

ISSN 1512 - 4649

# ეკონომისტი

სამართლებრივი რეგულაციები და რეგულირებადი  
სამეცნიერო-პრაქტიკული ჟურნალი

№3 2017 წელი

ეკონომიკური პოლიტიკა (მთავრობის,  
ბიზნესმენტა და მეცნიერთა პოზიციები)

ბაზისაზიზი, გუდალტრული ადრისხვა,  
აუდიტი

ბიზნესი და მენეჯმენტი

საბანკო სექტორი (ბანკირი, ბიზნესმენი,  
მენაბრე)

საბანკო სექტორი სიხლენი (სამეწარმეო  
სამართალი), კომენტარები

მეწარმეთა პითხვები და პროფესიონალთა  
პასუხები



ჟურნალი “ახალი ეკონომისტი”  
რევიზირებულია:

სსიპ ინსტიტუტ ტექნიფორმის ელექტრონულ  
გამოცემებში “ქართულ რევერატულ ჟურნალში”.

რევიზირებულად აღიარებულია:

- საქართველოს ბიზნესის მეცნიერებათა აკადემია;
- საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემია;
- ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი;
- ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი;
- საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი;
- გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი;
- თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტი, ESM ბიზნესის სკოლა;
- კავკასიის უნივერსიტეტი;
- სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი;
- შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი;
- სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი;
- შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო უნივერსიტეტი;
- აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი;
- საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტი;
- აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი;
- ოდესის მეჩნიკოვის სახელობის ეროვნული უნივერსიტეტი (ქ. ოდესა, უკრაინა);
- კავკასიის სტრატეგიული კვლევის ინსტიტუტი (ბაქო, აზერბაიჯანი);
- ბელორუსიის სახელმწიფო უნივერსიტეტი (მინსკი);
- ყაზახეთის ეკონომიკის, ფინანსებისა და სავაჭრო ვაჭრობის სახელმწიფო უნივერსიტეტი (ასტანა).

მისამართი: საქართველო,  
0105, თბილისი, ჯორჯაძის ქ. №5  
ტელ.: +995 (32) 2 990 576;  
მობ.: +995 (55) 277 554; +995 (95) 32 30 34;  
ელ-ფოსტა: loidk@yahoo.com  
ვებ-გვერდი: www.economisti.ge; www.loi.ge

The Magazine “Akhali Ekonomisti” (New  
Economist) HAS BEEN REVIEWED:

In “Georgian Reviewed Magazine” –  
P.L.L.E. Institute of Techninform

ACKNOWLEDGED TO BE REVIEWED BY:

- Georgian Academy of Business Sciences;
- Georgian Academy of Economical Sciences;
- I. Javakhishvili Tbilisi State University;
- Ilia State University;
- Georgian Technical University;
- Grigol Robakidze University;
- Tbilisi Free University, ESM Business School;
- Caucasus University;
- Sukhumi State University;
- Shota Rustaveli State University;
- Samtskhe-Javakheti State University;
- Shota Meskhia State University of Zugdidi;
- Akaki Tsereteli State University;
- Saint Andrew the First Called Georgian University of the Patriarchate of Georgia;
- East European University;
- Odessa Mechnikov National University (Odessa, Ukraine);
- Institute of Strategic Studies of the Caucasus (Baku, Azerbaijan);
- State University of Belarus (Minsk);
- University of Kazakhstan of Economy, Finances and International Trade (Astana).

ADDRESS: 5 Jorjadze str., 0105, Tbilisi, Georgia  
Tel.: +995 (32) 2 990 576;  
Mob.: +995 55 277 554; +995 (95) 32 30 34;  
E-mail: loidk@yahoo.com  
web-site: www.economisti.ge; www.loi.ge

# ახალი ეკონომისტი

ყოველკვარტალური სამართაშორისო რევიზირებადი და რეცენზირებადი  
სამეცნიერო-პრაქტიკული ჟურნალი №3(46), 2017

ლოიდ ქარჩავა - მთავარი რედაქტორი და სარედაქციო კოლეგიის თავმჯდომარე,  
ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორი, პროფესორი;  
საქართველოს მეცნიერთა საბჭოს თავმჯდომარე;  
საქართველოს ბიზნესის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი;  
ფაზისის საერო-სამეცნიერო აკადემიის ნამდვილი წევრი.

## სარედაქციო კოლეგია: მეცნიერებათა დოქტორები, პროფესორები:

რამაზ აბუსაძე (პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის დირექტორი); ნინო აბუსაძე; ანზორ აბრალავა; იური ანანიაშვილი; როზიტა ასათიანი; თეიმურაზ ბაბუნაშვილი (საქართველოს ბიზნესის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი); ვახან ბარათაშვილი; ელგერდ ბატიაშვილი; ბივი ბედიანაშვილი (ევროპის უნივერსიტეტის გლობალიზაციის ეკონომიკური და სოციალური პრობლემების კვლევის ინსტიტუტის დირექტორი); როსტომ ბერიძე (ბათუმის უნივერსიტეტი); თამარ გამსახურდია; თინა გელაშვილი; სიმონ გელაშვილი; რევაზ გველესიანი (ეკონომიკური პოლიტიკისა და ეკონომიკური განათლების ქართულ-გერმანული ინსტიტუტის დირექტორი); რევაზ გობოხია; ვლადიმერ ბრიბოლაია (მოსკოვი, რუსეთის ფედერაცია); ალექსი დანილჩენკო (ბელარუსის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის მოადგილე); ვოლგბანბ ვენბი (ბერლინი, გერმანია); შოთა ვეშაიძე; ნუზარ თოღუა; გონა თუთბერიძე (ევროპის უნივერსიტეტის პრორექტორი); სერგეი იაკუბოვიჩი (ოდესის ეროვნული უნივერსიტეტი, უკრაინა); ელდარ ისმაილოვი (კავკასიის სტრატეგიული კვლევის ინსტიტუტის დირექტორი, აზერბაიჯანის ბანკების ასოციაციის პრეზიდენტი); მერაბ კაკულია; ალექსანდრე კვაშილავა; ბია კვაშილავა; მურთაზ კვიციანი (სამეცნიერო ნაწილის რედაქტორი, გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის ბიზნესისა და მართვის სკოლის დეკანი); ვასილ კიკუტაძე; ირაკლი კოვზანაძე; კახა კორძია (კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის რექტორი); პაატა კოლაშვილი (საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის წევრი); ჰერალდ კუნცი (ბრანდენბურგი, გერმანია); ენვირ ლაბილია; ლორდი სტივენ ლორდ ლოიდ-გაბრატიონი (ოქსფორდის უნივერსიტეტი, ინგლისი); რევაზ ლორთქიფანიძე; ეკატერინე

ლომია (საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურის უფროსი); შალვა მაჭავარიანი (კავკასიის უნივერსიტეტის ვიცე-პრეზიდენტი); ელგუჯა მამვაბიშვილი; ნუზარ ნაღარაია (ფაზისის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი); დავით ნარმანია (თბილისის მერი); თედო ნინიძე; სოლომონ აპვლიაშვილი (თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის რექტორი); ვახტანგ სართანია (საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის მართვის ფაკულტეტის დეკანი); შიშო სარჯველაძე; ავთანდილ სილაბაძე (საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ნამდვილი წევრი); ალექსანდრე სიჭინავა; გელა სვირავა (ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი); დამიტკინ ტურმეკული (ყაზახეთის რესპუბლიკის ესთეტიკურ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი); სლავა ვეტილაძე; ლევან ქისტაური; რუსუდან ქუთათიელი (საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ბიზნეს-ინჟინერინგის ფაკულტეტის დეკანი); თეიმურაზ შენბელია; ბიორბი შიხაშვილი; ვანა შულენბაივა (ყაზახეთის რესპუბლიკა); ლალი ჩაბელიშვილი; დავით ჩერქეზიშვილი (აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის რექტორი); მიხეილ ჩიკვილაძე; ნიკო ჩიხლაძე; ავთანდილ ჩუთლაშვილი; ნოდარ ხაღური (საქართველოს კონკურენციის სააგენტოს თავმჯდომარე); ელენე ხარაბაძე; შიშო ხარაიშვილი; რევაზ ხარბაძე; მერაბ ხმალაძე; დავით ჯალაღონია (სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანი); ჯამლუტ ჯანჯავა (მთავარი რედაქტორის მოადგილე); იმეზო ჯბერმანია; მიხეილ ჯიბუტი (საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი). ნანა ჯღარკავა.

ახალი ეკონომისტი THE NEW ECONOMIST

შესაძლებელია, რედაქცია ყოველთვის არ იზიარებდეს ავტორის აზრს.

© ჟურნალი „ახალი ეკონომისტი“, 2017წ.  
© გამომცემლობა „ლოი“

ფასი 5 ლარი

№3(46), 2017 წელი, year



# The New ECONOMIST

QUARTELY INTERNATIONAL SCIENTIFIC-PRACTICAL MAGAZINE,  
PRECISED AND REVIEWED 3(46), 2017

**LOID KARCHAVA** - Editor-in-Chief and Head of Editorial Board;  
Doctor of Business Administration, Professor;  
Head of the Council of Scientists of Georgia;  
Academician of the Georgian Academy of Business Sciences;  
Academician of the Georgian Academy of Fazisi Sciences.

## EDITORIAL BOARD

Doctors of science, Professors:

RAMAZ ABESADZE (Director of Paata Gugushvili Economic institute); NINO ABESADZE; ANZOR ABRALAVA; IURI ANANIASHVILI; ROZETA ASATIANI; TEIMURAZ BABUNASHVILI (President of the Georgian Academy of Business Sciences); EVGENI BARATASHVILI; ELBERD BATIASHVILI; GIVI BEDIANASHVILI (Director of the European University's Institute of Research of economic and social problems of Globalization); ROSTOM BERIDZE (Batumi state university); TAMAR GAMSAKHURDIA; TINA GELASHVILI; SIMON GELASHVILI; REVAZ GVELESIANI (Director of Georgian-German Institute of Economic Policy and Economic Education); REVAZ GOGOKHIA (Editor-in-Chief of magazine „Economy and Business“); VLADIMIR GRIGOLAIA (Moscow, Russian Federation); ALEKSEY DANILCHENKO (Deputy of Rector of Belarusia State University); WOLFGANG WENG (Berlin, Germany); SHOTA VESHAPIDZE; NUGZAR TODUA; GOCHA TUTBERIDZE (Prorector of European University); SERGEY YAKUBOVSKIY (Odesa I.I.Mechnikov Odessa National University, Ukraine); ELДАР ISMAILOV (Director of Institute of Strategic Studies of the Caucasus, President of Azerbaijan Banks Association); MERAB KAKULIA; ALEKSANDRE KVASHILAVA; GIA KVASHILAVA; MURTAZ KVIRKVAIA (Editor of the Scientific part, Dean of Business and Management School of G. Robakidze University); VASIL KIKUTADZE; IRAKLI KOVZANADZE; KAKHA KORZAIA (Rector of Caucasus International University); PAATA KOGUASHVILI (member of Georgian Academy of Agriculture); HARALD KUNZ (Brandenburg, Germany); ENVER LAGVILAVA; The Rt Hon STEVEN LORD LLOYD-BAGRATIONI (University of Oxford, England); REVAZ LORDKIPANIDZE; EKATERINE LOMIA (Head of Department of In-

ternational Relations); SHALVA MACHAVARIANI (Vice-Prasident of Caucasus University in sciences field); ELGUJA MEQVABISHVILI; MARIAM MGBRISHVILI; NUGZAR NADARAIA (President of the Academy of Fazisi Sciences); DAVID NARMANIA (Mayor of Tbilisi); TEDO NINIDZE; SOLOMON PAVLIASHVILI (Rector of Tbilisi University); VAKHTANG SARTANIA (Dean of Economics and Business Administration Faculty of Saint Andrew the First Called Georgian University of the Patriarchate of Georgia); ETER SARJVELADZE; AVTANDIL SILAGADZE (Member of Georgian National Academy of Science); ALEKSANDRE SICHINAVA (Editor-in-Chief of magazine „Business Engineering“); GELA SVIRAVA; DAMETKEN TUREKULOVA (Academician of a Esthetical Science Academy of Kazakhstan, University of Kazakhstan of Economy, Finances and International Trade); SLAVA FETELAVA; LEVAN KISTAURI; RUSUDAN KUTATELADZE (Dean of Business-engineering Faculty of Georgian Technical University); TEMUR SHENGELIA; GIORGI SHIKHASHVILI; FAIA SHULENBAYEVA (University of Kazakhstan of Economy, Finances and International Trade); LALI CHAGELISHVILI; DAVID CHERKEZISHVILI (Rector of East European University); MICHAEL CHIKVILADZE; NIKO CHIKHLADZE; AVTANDIL CHUTLASHVILI; NODAR KHADURI (Head of the Georgian Competition Agency); ELENE KHARABADZE; ETER KHARAISHVILI; REVAZ KHAREBAVA; MERAB KHMALADZE; DAVID JALAGONIA (Dean of Economics and Business Faculty of Suxumi State University); JAMLET JANJGAVA (Deputy of Editor-in-Chief); EMZAR JGERENIA (Editor-in-Chief of magazine „Economy of Georgia“); MICHAEL JIBUTI (President of the Georgian Academy of Economics Sciences); NANA JGHARKAVA.

**მეცნიერება**

ვასილ ხიზანიშვილი - სოციალური საბაზრო ეკონომიკის ეთიკური საფუძვლები . . . . .	7
შოთა ვეშაპიძე, შოთა მარალაშვილი - ესტონური მოდელის ცალკეული ასპექტები და საქართველო . . . . .	12
პაატა ლეიანაშვილი - საბანკო საქმის “მისტერია”, რის შესახებაც არ იწერება სახელმძღვანელოებში . . . . .	20
ნინო ღამენია, თეიმურაზ ჩუბინიძე - რეიგანომიკა და ეკონომიკური გარდაქმნები საქართველოში . . . . .	31
მალენა კოწოწაშვილი - ჰიბრიდული ომი - ტერმინის გააზრებისთვის . . . . .	36
ზაირა ღუღუშაური - კერძო უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებს სახელმწიფოს მხრიდან კონტროლის გამკაცრება სჭირდებათ . . . . .	40
შალვა კვიციანიძე - ქართული შრომის ბაზრის ძირითადი თავისებურებანი . . . . .	43
თინათინ მემარიანიშვილი - სახელმწიფოსა და ბიზნესის ურთიერთქმედების მოდელი სახელმწიფო შესყიდვების სისტემაში . . . . .	50
ლაშა მბეღაძე - საჯარო სამსახურის პრობლემები და მათი გადაჭრის გზები . . . . .	54
ზოლვა რაღასი - თანამედროვე საზოგადოების, მედიისა და კულტურის მოდერნიზების შესავალი . . . . .	68
სნოტილი მხიზი - აფრიკის ჩუმი რეკოლონიზაცია, ტრანსნაციონალური კორპორაციების როლი აფრიკაში . . . . .	74
ქეთევან სიჭინავა - ელექტრონული მთავრობა, როგორც ინფორმაციული საზოგადოების ფორმირების სისტემა . . . . .	78
სალომე საქვარაძე - საჯარო მოხელეების მოტივაცია, სქემის დიზაინი და შესრულებული სამუშაოს შეფასების მენეჯმენტი . . . . .	85
მალხაზ ვარცვანია, ანი ქიმაძე - საქართველოს მცირე და საშუალო ბიზნესის მთავრობისეული SWOT-ანალიზის შეფასება . . . . .	88
თამარ კვანტალიანი - შემოსავლების უთანაბრობის პრობლემა და მისი შემცირების გზები საქართველოში . . . . .	92
მარინე ხალიშვილი - ეკონომიკური საინფორმაციო სისტემები . . . . .	97
<b>მართვის ახალბაზრდული სკოლა</b>	
შალვა ვოჟხაძე - დროის მართვის პრობლემები . . . . .	100
<b>ჩვენი სახელოვანი თანამემამულეები</b>	
ომარ შუღრა - ვლადიმერ კერესელიძე . . . . .	102
ომარ შუღრა - ივანე ბერიტაშვილი . . . . .	104
<b>ახალი წიბნები</b> . . . . .	106
<b>ბანცხალვა</b> . . . . .	110

ახალი ეკონომისტი THE NEW ECONOMIST

**SCIENCE**

**Vasil Khizanishvili** - The ethical foundations of the social market economy ..... 7

**Shota Veshapidze, Shota Karalashvili** - Particular Aspects of Estonian model and Georgia ..... 12

**Paata Leiashvili** - The banking case “mystery”, which is not written in the textbooks ..... 20

**Nino Damenia, Teimuraz Chubinidze** - Reaganomics and economic reforms in Georgia ..... 31

**Madlein Kotsotsashvili** - Hybrid war –for understanding the term ..... 36

**Zaira Gudushauri** - It is necessary to harch the control on higher private education institutions by the state ..... 40

**Shalva Kvezereli** - The main peculiarities of the Georgian labor market ..... 43

**Tinatin Medzmariashvili** - State and business interaction model in the state procurement system ..... 50

**Lasha Mgeladze** - Public service problems and ways to solving them ..... 54

**Memory Zodwa Radasi** - Modernity an introduction to modern society and media, culture & society ..... 68

**Snouthile Mkhize** - The silent recolonization of Africa, The role of multinational corporations in Africa ..... 74

**Ketevan Sichinava** - E-Governance as a tool for formation of Informative Society ..... 78

**Salome Sakvarelidze** - Public Employee Motivation, the Scheme Design and Performance Appraisal  
Management ..... 85

**Malkhaz Partsvania, Ani Kimadze** - The evaluation of Georgian small and medium business SWOT-analyze  
by the government ..... 88

**Tamar Kvantaliani** - Income inequality and solutions to fight it in Georgia ..... 92

**Marine Khalishvili** - Economic information systems ..... 97

საქართველოს ეკონომისტი THE NEW ECONOMIST

**THE YOUTH SCHOOL OF MANAGEMENT** ..... 100

**OUR FAMOUS COUNTRYMEN** ..... 102

**NEW BOOKS** ..... 106

**THE STATEMENT** ..... 110



სოციალური საბაზრო ეკონომიკის ეთიკური საფუძვლები



ვასილ ხიზანიშვილი  
 სოციალურ მეცნიერებათა დოქტორი ეკონომიკაში  
 იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო  
 უნივერსიტეტის ასისტენტ-პროფესორი.  
 Mob: 592200921  
 E-Mail: basil.khizanishvili@yahoo.com

*სოციალური საბაზრო ეკონომიკა არის ეკონომიკური წესრიგის ფორმა, რაც ეფუძნება სოციალური უზრუნველყოფისა და ეკონომიკური თავისუფლების ფუნდამენტურ პრინციპებს. ის საჭიროებს სამართლებრივ წესრიგს, როგორც ინდივიდუალური თავისუფლების წინაპირობას საზოგადოებასა და ეკონომიკაში. ეთიკა, როგორც ბაზრის კორექტორი წარმოადგენს სოციალური საბაზრო ეკონომიკის გაუმჯობესებისა და სრულყოფის საფუძველს.*

„კანონის ბატონობა შესაძლებელია მხოლოდ თავისუფალ ადამიანთა შორის, და თავისუფლება - მხოლოდ სამართლებრივი სახელმწიფოს ფარგლებში“.

ლეონარდ მიკში

სოციალური საბაზრო ეკონომიკა არის ეკონომიკური წესრიგის ფორმა, რაც ეფუძნება სოციალური უზრუნველყოფისა და ეკონომიკური თავისუფლების ფუნდამენტურ პრინციპებს. მისი ინტერესი შესაძლოა სამგვარი თვალსაზრისით კვალიფიცირდეს. პირველი, - სოციალური საბაზრო ეკონომიკის გაცხადებული მიზანია ბაზრისა და კონკურენციის ეკონომიკური პოზიტივის სოციალური თანასწორობის მოთხოვნებთან დაკავშირება. ამ კონცეფტის ძირითად მოთხოვნას წარმოადგენს ის, „თუ როგორ უნდა მოხდეს სოციალური უზრუნველყოფისა და ეკონომიკური თავისუფლების დივერგირებული მიზნების მორიგების“[1] საკითხთან დაკავშირებული გადაჭრის გზების ჩვენება, და რომელიც სოციალური სახელმწიფოსა და საბაზრო ეკონომიკას შორის დამოკიდებულების კიდევ უფრო ნათლად წარმოჩენის კუთხით დღემდე რჩება არსებულ დისკუსიათა საბაზისო საკითხად. მეორე, - „სოციალურის“ ატრიბუტი მიაჩნდება სოციალური საბაზრო ეკონომიკის საზოგადოებრივ მოთხოვნებზე. ამ პროგრამის დამფუძნებელი მამების სურვილი გაცილებით მეტი იყო, ვიდრე მხოლოდ ეფექტური ეკონომიკური და სოციალური წესრიგის შექმნა. ისინი მიზნად ისახავდნენ

საზოგადოების (societas) ყოვლისმომცველ ფორმირებას. სოციალური საბაზრო ეკონომიკის კონცეპტში მისწრაფება ხდება იმგვარ საზოგადოებრივ წესრიგზე, რომელშიც კლასობრივი ბარიერების მიღმა ყველა თანაბარ შანსებს იღებს. ამ აზრით ლუდვიგ ერჰარდის „კეთილდღეობა ყველასთვის“[2] გაგებულ უნდა იქნეს არა მხოლოდ როგორც წმინდა მატერიალური მოხმარება (consumerism), არამედ მის უკან დგას სადისტრიბუციო-პოლიტიკური პროექტი, რაც თითოეულს აძლევს შესაძლებლობას, მონაწილე გახდეს საერთო ეკონომიკურ და სოციალურ წრმატებათა პროცესში. ალფრედ მიულერ-არმაკი თავის „ირენიული ფორმულის“ (ბერძ. eirene: მშვიდობა) იდეაში პროგრამულად ასევე მოითხოვს ეკონომიკური ეფექტიანობისა და საზოგადოებრივი სურვილის მორიგებას, რაც ამავე დროს საზოგადოების შიგნით არსებულ განსხვავებულ წარმოდგენათა დაზავებას უნდა დაეფუძნოს. მესამე, - სოციალური საბაზრო ეკონომიკის სოციალური ინტერესი ასევე შეიძლება გაგებულ იქნას როგორც ავთენტურად ეთიკური, შესაბამისად ნორმატიული ინტერესი. ბაზარი და კონკურენცია არის საზოგადოებრივი ფორმირების საშუალება და არა მიზანი. საზოგადოებრივი მიზანი არის ადამიანის ღირსების შესაფერი წესრიგი,

სახალი ეკონომისტი THE NEW ECONOMIST

რომელიც ხელს უწყობს თითოეულს წარმატებული ცხოვრების მიღწევაში. კლასიკური ფორმით ეს ინტერესი გამოხატულებას პოულობს ფრანც ბომისა და ვალტერ ოიკენის მიერ დაფუძნებული კრებული „Ordo“-ს წინასიტყვაობაში: „ჩვენი მოთხოვნა ივარგლება ეკონომიკური და სოციალური წესრიგის შექმნით, რომელშიც ეკონომიკური წარმატება და ღირსეული ყოფითი პირობები თანაბრად არის უზრუნველყოფილი. რადგან ამ მიზნის მიღწევისათვის კონკურენცია მნიშვნელოვანია, რომლის გარეშეც იგი მიუღწეველი დარჩებოდა, ამიტომ ვსაჭიროებთ მას. ის არის საშუალება, და არა საბოლოო მიზანი“[3].

ეთიკურ საფუძველზე დამყარებული სოციალური საბაზრო ეკონომიკის სწორედ ამგვარი გააზრებაა მისაღები ფორმა, რომლის ერთ მხარეს მას ძალუმს გააცხადოს ამ ეკონომიკური და სოციალური წესრიგის მაღალი საზოგადოებრივი და ყოფითი მოთხოვნები, ხოლო მეორე მხარეს, დღევანდელ ინტერპრეტატორთა ამოცანას წარმოადგენს კვლავდაკვლავ განსაზღვრონ ამ კონცეფტის ნორმატიული შინაარსი. ამისათვის უპირველესად აუცილებელია, რომ ქრისტიანული ტრადიციის პოზიციიდან გავიხსენოთ სოციალური საბაზრო ეკონომიკის მამების სპეციფიკურად ეთიკური მისწრაფებანი.

მისი დროის კრიზისები - ვაიმარის რესპუბლიკის რღვევის და ნაციონალ-სოციალიზმის პერიოდში, სოციალური საბაზრო ეკონომიკის მოაზროვნეთათვის უპირველეს ყოვლისა ასევე „საზოგადოების სულიერ-მორალურ კრიზისში“[4] იყო საძიებელი. მათთვის დასავლეთ ევროპის კულტურის რელიგიური ფესვებისაკენ შემობრუნების გარეშე წარმოუდგენელი იყო „civitas humana“ მშენებლობა: „საბაზრო ეკონომიკა ჯერ კიდევ არ არის ყველაფერი. ის განხილულ უნდა იქნეს ყოვლისმომცველ ურთიერთკავშირის კონტექსტში“ [4, გვ.146]. ამ კონტექსტში აღფრედ-მიუღერ არმაკი საუბრობს მეტაეკონომიკურ მოცემულობაზე, როგორც წარმატებული ეკონომიკური პოლიტიკის წინაპირობაზე.

მრავალრიცხოვანი ციტატების გვერდით, რომლებიც სოციალური საბაზრო ეკონომიკის წარმომადგენელთა ცალკეულ შრომებში მოიძებნება, რელიგიური და ეთიკური საფუძვლების მნიშვნელობა ძლიერ ცხადი ხდება დოკუმენტში, რომელიც ე. წ. ფრაიბურგელთა წრის (Freiburger Kreis) გარემოში აღმოცენდა და მიმართული იყო ნაციონალ-სოციალისტური რეჟიმის წინააღმდეგ. 1942 წლის ზაფხულში ბერლინელი მღვდელი დიტრიხ ბონჰოეფერი გამოვიდა მოწოდებით,

რომ ე.წ. „აღმსარებელი ეკლესიის (Die Bekennende Kirche [BK]) დროებით მმართველობას თხოვნით მიემართა ფრაიბურგელთა წრისთვის, რათა მათ ომის შემდგომი გერმანიის ახალი წესრიგისთვის შეექმნათ მემორანდუმი. ამ მემორანდუმის მთავარი ნაწილი, რომელიც უმთავრესად ფრაიბურგელი ისტორიკოსის გერჰარდ რიტერის მიერ დაიწერა, შეიცავს რამდენიმე დანართს, მათშორის ეკონომიკისა და სოციალური წესრიგის შესახებ, რაც ვალტერ ოიკენისა და მისი ორივე კოლეგის, ეკონომისტების ქრისტიან ფონ დიტცესა და ადოლფ ლამპეს მიერ იქნა შემუშავებული.

ამ სისტემაში სამი ავტორი გამოყოფს მომავალი ეკონომიკური სისტემის სამ ძირითად მიმართულებას: (1) ღვთის სიტყვა, (2) ეკონომიკის ობიექტური საჭიროება და (3) ფაქტიური და მომავალი ეკონომიკური სიტუაცია. შინაარსობრივად ამ წერილში მრავალი რამ არის სოციალური საბაზრო ეკონომიკისთვის ნიშანდობლივი (განსაკუთრებით კონკურენციის უპირატესობა მკვეთრად განსაზღვრულ სამართლებრივ ჩარჩოებში). ეკონომიკის სხვა სისტემებთან შედარებით, სოციალური საბაზრო ეკონომიკის სისტემა ეფუძნება ქრისტიანულ მორალს, რაც მისი ჰუმანური ბუნების უზრუნველსაყოფად ქმნის ნათლად გამოკვეთილ ეთიკურ ბაზისს, ეს კი სოციალური საბაზრო ეკონომიკის კონტექსტში უზრუნველყოფს თავისუფალ სივრცეს ქრისტიანული თანაცხოვრებისათვის. თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ქრისტიანული იდეალებისაგან დამოუკიდებლად სოციალური საბაზრო ეკონომიკა ასევე ემყარება მეტაფიზიკურად და ნორმატიულად განსაზღვრად საწყისს, რაც მის უკან მყოფ ფილოსოფიურ კონცეპტზე მიანიშნებს.

ფრაიბურგის სკოლის მოსაზრებები, რომლებიც ვალტერ ოიკენისა და ფრანც ბომის მიერ 1930-იან წლებში იქნა წარმოდგენილი, დღემდე ითვლება ცენტრალურ თეორიულ საფუძვლად სოციალური საბაზრო ეკონომიკის ფორმირებისთვის[5]. ფრაიბურგის სკოლის კონცეფცია ეკონომიკური თეორიის ისტორიაში ორდოლიბერალიზმის (Ordoliberalismus) აღმნიშვნელია. სწორედ ასევე, ოლიბერალიზმის სხვა სახეობათაგან, განსაკუთრებით კი ანგლოსაქსურისაგან განსხვავებით ორდოლიბერალეები თავისუფლების ნაცვლად უპირატესობას წესრიგს ანიჭებენ. განსაკუთრებით ვალტერ ოიკენს მიაჩნდა, რომ მისი თეორია შესაბამისობაში მოდიოდა ბუნებისა და ადამიანის წესრიგის ფორმებთან[6]. მსგავსი ნაციონალურ-ეკონომიკური მეცნიერების პროგრამა, რომელსაც





სურს იყოს უფრო მეტი, ვიდრე მხოლოდ საქონელმომწოდების მექანიზმი, ოიკენისათვის ის ეხება ჭეშმარიტებას, რომლის შინაგან წვდომას იგი ჭეშმარიტების ფენომენოლოგიური დაკვირვების გზით ასაბუთებს. შესაბამისად, სასურველი საზოგადოებრივი წესრიგი დავალებულია „ჭეშმარიტების მეუფებისგან“; თავისუფლების განვითარება კი შესაძლებელია მხოლოდ მსგავსი წესრიგის ჩარჩოებში.

სამართლებრივი წესრიგის საჭიროება, როგორც წინაპირობა ინდივიდუალური თავისუფლებისათვის საზოგადოებასა და ეკონომიკაში, გაცხადებულია ორდოლიბერალებისა და სოციალური საბაზრო ეკონომიკის მხარდამჭერ სხვა მოაზროვნეთა მიერ ჩარჩო-წესრიგის იდეაში („თამაშის წესები“ საზოგადოებისათვის). მიზანია პრინციპებით ნაწარმოები ეკონომიკური პოლიტიკა, რომელიც იდეალური კონკურენციის წარმოდგენებთან არის თანხვედრაში. ამ მიზნისათვის ოიკენი თავის ეკონომიკური პოლიტიკის შრომებში აყალიბებს ე.წ. კონსტიტუტიურ და მარეგულირებელ პრინციპებს, რომელთა ინსტიტუციონალური და სამართლებრივი უზრუნველყოფის პირობებში გარანტირებულია ქმედითი და პატიოსანი კონკურენცია[7]. ოიკენისთვის კონსტიტუტიური ნიშნავს სრული კონკურენციის ქმედით ფასთა სისტემას, ფულად-საკრედიტო პოლიტიკის პრიმატს, ეკონომიკური პოლიტიკის მდგრადობას, ღია ბაზრებს, ხელშეკრულების თავისუფლებას, პასუხისმეგებლობასა და კერძო საკუთრებას. ოიკენისვე მიხედვით კონკურენციული წესრიგის რეგულირებისა და ფუნქციონირებისათვის არსებობს შემოსავლის პოლიტიკა (პროგრესული საგადასახადო სისტემა), ეკონომიკური ანგარიშიანობა (გარე ეფექტების ჩართვა), ზომები ანომალიური მიწოდების ქცევის მიმართ (განსაკუთრებით შრომის ბაზარზე) და უწინარესად მონოპოლიათა ეფექტური კონტროლის აუცილებელი პრინციპები[8].

სოციალური საბაზრო ეკონომიკის შესახებ მიმდინარე დღევანდელი სამეცნიერო დებატები მნიშვნელოვანია შემდეგი სამი თვალსაზრისით:

პირველი: სოციალური საბაზრო ეკონომიკის დღევანდელი თეორეტიკოსების აზრით თანამედროვე პლურალისტურ და ფართოდ სეკულარიზირებულ საზოგადოებაში მეტად აღარ შეიძლება ეკონომიკური და საზოგადოებრივი წესრიგის (რელიგიურ-)მეტაფიზიკური დასაბუთება. ეკონომიკური და სოციალური არანაქემენტის დასაბუთება არც (რელიგიურ-)

მეტაფიზიკურად შეიძლება, არც ეკონომიკურ ეფექტიანობასა და საერთო საზოგადოებრივ კეთილდღეობაზე მხოლოდ მისი პოზიტიური გავლენის მიხედვით განსჯა შესაძლებელი, არამედ ის თავის ლეგიტიმაციას იძენს უწინარესად იმით, რომ სათანადო საზოგადოებრივი წესრიგის ინსტიტუციონალური ფორმირება, ე.ი. ჩარჩო-წესრიგი, შესაბამისად, - საზოგადოების წესები შეესაბამება ყველა ინდივიდის და არა მხოლოდ ცალკეულისა თუ განსაზღვრული ჯგუფის ინტერესს. მაშასადამე, აქ უმნიშვნელოვანესია თანხმობის უნარის კრიტერიუმი: მხოლოდ მაშინ როდესაც ეკონომიკური და სოციალური პოლიტიკის წესები თითოეულისთვის მისაღებია და თანხვედრაშია მათ ინტერესებთან და მათ ამ უკანასკნელთა მხრიდან პრინციპული თანხმობა გააჩნიათ, არიან ლეგიტიმური თანამედროვე წესრიგის ეკონომიკის პერსპექტივით და აქვთ კარგი შანსი დემოკრატიის პირობებში ნამდვილად იქნენ რეალიზებულნი.

მეორე: ეკონომიკისა და მისი საკუთარი ლოგიკის სისტემური გაგების ფონზე, ანონიმურ და არა პერსონალურ ურთიერთობებზე დამყარებულ საზოგადოებას ძალუმს ეკონომიკური და სოციალური წესრიგის ნორმატიული მოლოდინები და მათი რეალიზება უზრუნველყოფს არა ცალკეულ ინდივიდთა სწორი ქცევებით, არამედ მხოლოდ შესაბამის ნორმატიულ ფორმათა სამართლებრივი განმტკიცებით. ფრაიბურგის სკოლის იდეათა ანალოგიურად, რომ ქმედითი კონკურენციული წესრიგი მხოლოდ შესაბამისი „თამაშის წესებით,, არის გარანტირებული, ასევე ღირებულია სოციალური საბაზრო ეკონომიკის ეთიკური საფუძვლებისათვის, რომლებსაც მართებთ ჩარჩო-წესრიგამდე მისასვლელის პოვნა: „საბაზრო ეკონომიკაში მორალის სისტემატური ადგილი არის ჩარჩო-წესრიგი“[9]. მაშინ საზოგადოების „მორალი“ ჩნდება მეტად არა ცალკეულის სათნოებაში, არამედ სამართლებრივად გამყარებულ ნორმატიულ სტრუქტურებში, რომლებიც სამართლიანობის აღსრულებას უზრუნველყოფენ. სამართლიანობის მოთხოვნები, რომლებიც ცივილიზებული საზოგადოებისაკენ არის მიმართული, უნდა იყოს პოლიტიკურად სასურველი და ასახული სამართლებრივ წესებში. მხოლოდ ამის შემდეგ იარსებებს იმის შანსი, რომ ყოველი ცალკეულის ნორმატიულად დასაბუთებული ინტერესი საკმარისად იქნას პრაქტიკაში გათვალისწინებული და რეალიზებული.

მესამე: თუმცა თანხმობის უნარის კრიტერიუმი ხსნის ახალ ლეგიტიმურ ბაზის სოციალური

საბაზრო ეკონომიკის კონცეფტისთვის და ასევე შესაძლებელია, რომ საბაზრო ეკონომიკის ჩარჩო-წესრიგის ეტიკის იდეით მიღებულ იქნეს ფუნქციონალურად დასაბუთებული განსაზღვრული ნორმატიული უფლებამოსილება; მაგრამ გაურკვეველი რჩება ის, თუ საბაზრო ეკონომიკის პირობებში მოთხოვნის რომელ ფორმაში უნდა ხდებოდეს შინაარსობრივი შევსება. ამისთვის შეიძლება ინკლუზიის კონცეფტი იქნას გამოყენებული[10].

საბაზრო-ეკონომიკური სისტემის საკუთარი შინაგანი ლოგიკიდან გამომდინარეობს ის, რომ ბაზრის სისტემა ინდივიდუალურ ინტერესებს მხოლოდ იმდენად ითვალისწინებს, რამდენადაც ისინი სისტემის ლოგიკისთვისაა (მოგების მიღება) მისაღები. ამასგარდა გამოცდილება აჩვენებს, რომ საზოგადოების წევრთა მნიშვნელოვანი ნაწილი ბაზრის სისტემიდან გამოირიცხება. თანხმობის პრინციპის გამოყენებით კი მისაღებია, რომ საზოგადოების წევრები ინფორმირებულნი იყვნენ იმის თაობაზე, რომ მათ ყველა წევრს საკუთარი შესაბამისი უნარების ფარგლებში ექნებათ პრინციპულად თანაბარი უფლება და თანასწორი შანსი შესაძლებლობების რეალიზებისთვის. მაშასადამე, აღნიშნული საზოგადოების თითოეული წევრი უნდა იყოს ამავე საზოგადოების სრულუფლებიანი წევრი. ეგზისტენციალური სიდუხჭირისაგან გათავისუფლების, განათლების მიღებისა და თვითგამორკვევის შესაძლებლობათა გარდა ეს ასევე ნიშნავს ადამიანთათვის შესაძლებლობების მიცემას მათი ინდივიდუალური უნარების განვითარებისთვის[11].

ალექსანდერ რიუსტოვი ამ მოსაზრებათა თაობაზე მსჯელობს „Vitalpolitik“-ის ტერმინით, რაც ეხება საზოგადოებრივი სტრუქტურების ფორმირებით ადამიანთათვის ღირსეული ცხოვრების მიცემის შესაძლებლობებს. ის წერს: „ვიტალურია ის, რაც „vita humana“-ს, რაც ადამიანის სიცოცხლეს, რაც ადამიანის ღირსეულ ცხოვრებას უწყობს ხელს. ჩვენი ნეოლიბერალური შეხედულება არის ის, რომ ეს სასიცოცხლო პოლიტიკა, ეს პოლიტიკა, რომელიც ბაზრის ასპექტს ეხება [იგულისხმება ეკონომიკის წესრიგი] ნამდვილად უდიდესი მნიშვნელობის მქონეა, მაშინ როდესაც ბაზარი მხოლოდ მიზნის მიღწევის საშუალებაა“[12].

არცთუ შორეულ წარსულში წარმოებულ

დისკუსიებში ამარტია სენის[13] შანსების რეალიზების კონცეფტმა განსაკუთრებით არსებითი როლი ითამაშა საზოგადოებრივი მონაწილეობისა და ჩართულობის პირობების საკითხის კვლავ ყურადღების ცენტრში, მათ შორის ეკონომიკის ფარგლებში მოქცევის თაობაზე.

რაც შეეხება დღევანდელ მოცემულობას, სოციალური საბაზრო ეკონომიკის ეტიკური საფუძვლების შესახებ მსჯელობისას ვაწყდებით ორგვარ პრობლემას. პირველი ეხება მოსაზრებას, რომლის თანახმადაც მოდერნში და განსაკუთრებით საბაზრო პროცესების სისტემური საკუთარი შიდა ლოგიკის ფონზე, სოციალური საბაზრო ეკონომიკის ნორმატიული მოთხოვნა პირველრიგში მუდმივ პოლიტიკურ ამოცანას წარმოადგენს და სამართლებრივი ზომების გატარებით საჭიროებს შესაბამისი ჩარჩო-წესრიგის მზრუნველობასა და შემდგომ განვითარებას. რისთვისაც აუცილებელია, რომ ისტორიულ და კულტურულ ხდომილებათა ფონზე გულდასმით ხდებოდეს რეალური პოლიტიკური პროცესების გაანალიზება. მეორე კი ეხება სოციალური საბაზრო ეკონომიკის ფარგლებში თითოეული მოქალაქის საკუთარი საზოგადოებრივი პასუხისმგებლობის საკითხთან დაკავშირებულ პრობლემას. ამასთან დაკავშირებით გასულ წლებში მეცნიერულ დისკუსიებსა და ეკონომიკურ პრაქტიკაში გაჩნდა სხვადასხვა ახალი ინიციატივები და იდეები, რაც დღეს საკუთარ ადგილს იკავებს სათნოების ეტიკაში და განიხილება სოციალური საბაზრო ეკონომიკის შემავსებელ კონცეფტად.

სოციალური საბაზრო ეკონომიკა იყენებს სოციალური გადანაწილების ეფექტურ ბერკეტს იმ იარების მოსაშუშებლად, რომელსაც ბაზარი და კონკურენცია აჩენს. ე. ი. სოციალურ პოლიტიკას გარკვეული შესწორებები შეაქვს ბაზრის ფუნქციონირებაში[14]. ამგვარი მიდგომა გვთავაზობს შემდეგს: სოციალური საბაზრო ეკონომიკა ეტიკურ საფუძვლებზე დაყრდნობით უნდა გაუმჯობესდეს და გახდეს სრულყოფილი. ეტიკა ითხოვს არა ნაკლებ, არამედ მეტ და უკეთეს ბაზარს, რომლის მიღწევისთვის ოიკენისევი სიტყვები რომ მოვიშველიოთ „სახელმწიფოს ეკონომიკური მოღვაწეობა მიმართული უნდა იყოს ეკონომიკური წესრიგის სახის ფორმირებაზე და არა ეკონომიკური პროცესების მართვაზე“ [7, გვ.336].



გამოყენებული ლიტერატურა:

1. Mueller-Armack, Alfred: Wirtschaftsordnung und Wirtschaftspolitik., Bern/Stuttgart, 1976, S.236.
2. Erhard, Ludwig: Wohlstand fuer alle [1957]. Jubilaeumsausgabe. Duesseldorf, 2000.
3. Ordo 1, 1948, xi.
4. Roepke, Wilhelm: Civitas humana. Grundfragen der Gesellschafts- und Wirtschaftsreform [1944]. Bern/Stuttgart, 1979, S.193.
5. Klump, Reiner: Wege zur Sozialen Marktwirtschaft – Die Entwicklung ordnungspolitischer Konzeptionen in Deutschland vor der Waehrungsreform. In: Erich W. Streissler (Hg.): Studien zur Entwicklung der oekonomischen Theorie xvi. Berlin, 1997, S.129-160.
6. Goldschmidt, Nils: Entstehung und Vermaechtnis ordoliberalen Denkens. Walter Eucken und die Notwendigkeit einer kulturellen Oekonomik., Muenster, 2002.
7. Eucken, Walter: Grundsaeetze der Wirtschaftspolitik [1952]. Tuebingen, 2004.
8. Bluemle, Gerold/Goldschmidt, Nils: Walter Eucken und das ordoliberale Programm. In: WISU – Das Wirtschaftsstudium 32(2003), S. 1539-1543.
9. Homann, Karl/Blome-Drees, Franz: Wirtschafts- und Unternehmensethik., Goettingen, 1992, S.35.
10. Bude, Heinz: Die Ausgeschlossenen. Das Ende vom Traum einer gerechten Gesellschaft., Muenchen, 2008.
11. Fuchs-Goldschmidt, Inga/Goldschmidt, Nils: Inklusion als Zielpunkt einer modernen Sozialpolitik. In: Zeitschrift fuer Wirtschaftspolitik 59, H. 1(2010), S.62-76.
12. Ruestow, Alexander: Palaeoliberalismus, Kommunismus und Neoliberalismus. In: Franz Greiss (Hg.). Wirtschaft, Gesellschaft und Kultur – Festgabe fuer Mueller-Armack. Berlin, 1961, S.68.
13. Sen, Amartya: Oekonomie fuer den Menschen. Wege zu Gerechtigkeit und Solidaritaet in der Marktwirtschaft., Muenchen, 2000.
14. ვასილ ხიზანიშვილი, ეთიკური ეკონომიკა (სახელმძღვანელო), თბილისი, 2016, გვ.84.

The ethical foundations of the social market economy

Vasil Khizanishvili

Doctor of Social Sciences in Economics,

Asssistant Professor of Iakob Gogebashvili Telavi State

University

Annotation

The social market economy is a form of economic order, what is based on the fundamental principles of social securing and economic freedom. It needs legal order, as a precondition of individual freedom in the society and economy. Ethics, as a market's corrector is the basis of improvement and perfection of the social market economy.



შოთა ვეშაპიძე  
დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს  
ეროვნული თავდაცვის აკადემიის პროფესორი



შოთა ყარალაშვილი,  
ეკონომიკის მაგისტრი

ახალი ეკონომისტი THE NEW ECONOMIST

სტატიაში განხილულია ესტონეთი მისი პოლიტიკურ-ისტორიული კონტექსტის მიხედვით და გავლენებულა პარალელი საქართველოსთან. საუბარია ესტონეთის სოციალური უზრუნველყოფის სისტემაზე, სოფლის მეურნეობის სექტორზე, ბიზნესგარემოსა და ეკონომიკურ პოლიტიკაზე, სტრუქტურულ რეფორმებზე. მოყვანილია საქართველოსა და ესტონეთის შედარებითი ანალიზი. ასევე სტატიას თან ახლავს კვლევის შედეგები რომელიც ჩატარდა მოქალაქეების მხრიდან ესტონური მოდელის ცოდნის, აღქმისა და დანერგვის შეფასებისათვის.

საკვანძო სიტყვები: ესტონური მოდელი, რეფორმა, საპენსიო სისტემა, პრივატიზაცია, ლიბერალური ეკონომიკა, კორუფცია.

ესტონეთის განვლილი გზა ძალიან ჰგავს საქართველოს ისტორიულ წარსულს და ყურადსაღებია ის ფაქტი, რომ საქართველოს ახალმა ხელისუფლებამ სწორედ ესტონური მოდელი აირჩია საქართველოს მომავალი განვითარების ანბანად. საინტერესოა ის თუ რის საფუძველზე მოხდა მსგავსი გადაწყვეტილების მიღება, ეს არის მხოლოდ ქვეყანათა ისტორიული მსგავსებიდან გამომდინარე, თუ მოხდა სხვადასხვა მოდელების გაანალიზება და ქართული რეალობასთან ყველაზე მეტად ზემოაღნიშნული მოდელის თანხვედრა გამოვლინდა, ანდა იქნებ მხოლოდ პოლიტიკურ გათვლებთან გვაქვს საქმე და არსებულმა მმართველმა გუნდმა საკუთარ თავზე მოირგო საქართველოს განვითარების კურსი?! ამ ყველაფერზე რომ პასუხი მივიღოთ, მივყვეთ თანმიმდევრულად: 1938 წლის ესტონეთის კონსტიტუცია ითვალისწინებდა საპრეზიდენტო სახელმწიფოს მოდელს. პრეზიდენტი, როგორც ცალკეინსტიტუცია, არიყომიჩნეულია უცილებლად და სახელმწიფოს წარმოადგენდა პარლამენტის თავმჯდომარე. დღევანდელი კონსტიტუციით, პრეზიდენტს სიმბოლურ ფუნქციებთან ერთად გააჩნია წარმომადგენლობითი ფუნქცია და ფორმალური საშინაო მოვალეობები. პარლამენტი კანონმდებლობის მიღებასთან ერთად ნიშნავს

პრემიერ-მინისტრს, უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეს და ირჩევს პრეზიდენტს. თუ გავავლებთ პარალელს საქართველოსთან, მაშინ ბევრ მსგავსებას დავინახავთ ამ ასპექტში; პრეზიდენტს დამოუკიდებელი საქართველოს მცირე ისტორიულ ორათეულწლოვან პერიოდში უმნიშვნელოვანესი როლი ჰქონდა ქვეყნისათვის, მაგრამ 2012 წლის არჩევნების შემდგომ ეს სურათი შეიცვალა და ამ ინსტიტუციას უფლებები შეეზღუდა, მაგრამ ერთი გარემოება მაინც უცვლელი რჩებოდა, რაც გულისხმობს პრეზიდენტის პირდაპირ არჩევითობას; აქაც ბოლო მოვლენებიდან გამომდინარე ვხედავთ, რომ ესტონურ მოდელთან გარკვეული მსგავსებისკენ მივდივართ, რადგან აქტიური საჯარო მსჯელობა მიდის კონსტიტუციაში ცვლილებების შესახებ, რომელიც გულისხმობს პრეზიდენტის პირდაპირი არჩევითობის წესის შეცვლას ე.წ. სამასი ხმოსანის მოდელით. რაც შეეხება მთავრობას საქართველოშიც და ესტონეთშიც სრულიად იდენტური მოდელია; მთავრობა პრემიერ-მინისტრის ხელმძღვანელობით წარმოადგენს ქვეყნის პოლიტიკურ ხელმძღვანელობას და იღებს გადაწყვეტილებებს მთელი აღმასრულებელი ხელისუფლების სახელით, რომელიც, ფაქტობრივად, სახელმწიფოს მეთაურია. ის

პირდაპირ არ მართავს არც ერთ სამინისტროს, მაგრამ, კონსტიტუციის მიხედვით, მთავრობის მუშაობის ზედამხედველია. ის მთავრობის შემადგენელი უდიდესი პარტიის მეთაურია. პრემიერ-მინისტრის მნიშვნელობა და როლი ხშირად დამოკიდებულია იმ პარტიის პოზიციაზე, რომელსაც ის მართავს კოალიციასთან მიმართებაში და პრემიერ-მინისტრის იმ ზეგავლენაზე, რომელიც მას გააჩნია საკუთარ პარტიაში. მინისტრები ხელმძღვანელობენ სამინისტროებს იმ პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიხედვით, რომლებიც მიღებულია მთავრობის მიერ. რაც შეეხება ადგილობრივი თვითმმართველობის საკითხს ესტონეთში თვითმმართველობების წარმომადგენლობითი ორგანო აირჩევა პირდაპირი არჩევნების გზით და ადგილობრივი ხელისუფლების კომპეტენციებს განეკუთვნება ისეთი საჯარო სერვისების მიწოდება, როგორებიცაა სასკოლო განათლება და სოციალური უზრუნველყოფის სფეროები.

სოციალური უზრუნველყოფის სისტემა ესტონეთში მოიცავს ისეთ სფეროებს, როგორებიცაა: პენსიები, ჯანმრთელობის დაზღვევა, უმუშევრობის დაზღვევა, სოციალური დახმარება უნარშეზღუდული ადამიანებისათვის და სახელმწიფო დახმარება იმ ადამიანებისთვის, რომლებიც გახდნენ დანაშაულის მსხვერპლი. ესტონეთი არის წევრი ევროპის სოციალური ქარტიისა, რომელიც განსაზღვრავს მინიმალურ სტანდარტებს ადამიანების სოციალური უფლებების დასაცავად. ასევე მნიშვნელოვან დოკუმენტს წარმოადგენს ევროპის სოციალური უზრუნველყოფის კოდექსი, რომელიც ევროკავშირის ქვეყნების სოციალური უზრუნველყოფის სტანდარტებს კარნახობს შემდეგ სფეროებში: სამედიცინო მომსახურება, უმუშევართა დახმარება, უნარშეზღუდული ადამიანების დახმარება და მოწყვლადი ოჯახების დახმარება. ქვემოთ მოცემულია ძირითადი სფეროების მოკლე აღწერა.

საპენსიო სისტემა - ესტონეთის საპენსიო სისტემის მიზანია, დაეხმაროს პირს, შეინარჩუნოს შემოსავლები და ცხოვრების სტანდარტები საპენსიო ასაკის მიღწევის შემდეგაც. ესტონეთის საპენსიო სისტემა შედგება სამი განშტოებისგან, რომელთაგან პირველია განახლებული სახელმწიფო საპენსიო სქემა, მეორე - სავალდებულო დაფინანსებული საპენსიო სქემა და მესამე - ნებაყოფლობითი დამატებითი საპენსიო სქემა, რომელიც მხარდაჭერილია სახელმწიფოს მიერ საგადასახადო გამოქვითვების მეშვეობით.

პირველი: სახელმწიფო პენსიები - სახელმწიფო პენსიები დაფინანსებულია სოციალური გადასახადით, რომელსაც იხდის ყველა დამქირავებელი დასაქმებულების სახელით და თვითდასაქმებულები. სოციალური გადასახადის განაკვეთია მთლიანი შემოსავლის 33%. პენსიებისთვის გამოყოფილი სოციალური გადასახადის წილი 20%-ს შეადგენს (13% გამოიყოფა სოციალური დაზღვევისთვის). სახელმწიფო პენსია ეფუძნება გადანაწილების პრინციპს, რაც გულისხმობს შემდეგს: დღევანდელი დასაქმებულების მიერ გადახდილი სოციალური გადასახადით ფინანსდება დღევანდელი პენსიონერების პენსიები. სახელმწიფო პენსიები ორად იყოფა: დასაქმებასთან დაკავშირებულ და მინიმალურ (ან ნაციონალურ) პენსიებად.

დასაქმებასთან დაკავშირებული პენსიები ანუ სტაჟის ხანგრძლივობასთან დაკავშირებული პენსიები შეიცვალა სოციალური გადასახადის შენატანებზე დაფუძნებული სისტემით. მუშაობის ყოველი წელი 1999 წლამდე ჩაითვლება, როგორც მომსახურების თანაბარი შენატანი, ხოლო შენატანები, რომლებიც განხორციელებულია 1999 წლის შემდეგ, პენსიების სახით დაუბრუნდება იმ პიროვნებას, რომელმაც ეს შენატანი განახორციელა. მოხუცებულობის პენსიის მიღებისათვის პირს უნდა გააჩნდეს ესტონეთში მუშაობის მინიმუმ 15-წლიანი სტაჟი.

ესტონეთის საპენსიო კანონმდებლობაში შეტანილი ცვლილებების მიხედვით, პენსიაზე გავსლის ასაკი ადრინდელი 60,5-63 წლიდან (60,5 წელი - ქალები, 63 - კაცები) 2016 წლისთვის გათანაბრდა 63 წლამდე, 2026 წლიდან კი 65 წლამდე გაიზრდება. ამ გადაწყვეტილებასაც საფუძვლად სავესებით კონკრეტული გათვლები და პროგნოზები დაედო: 2030 წლისთვის ესტონეთში პენსიონერი-დასაქმებულის შეფარდება ქვეყნის მოსახლეობაში 1:4-დან 1:3-მდე შემცირდება. 50 წელიწადში კი ესტონეთის შრომისუნარიანი მოსახლეობა მესამედზე მეტით - 284 ათასი ადამიანით შემცირდება. თუ პირი მოხუცებულობის პენსიის მიღების შემდეგაც იმუშავებს, მიუხედავად მისი შემოსავლისა, მას მთლიანად გადაუხდებიან მოხუცებულობის პენსიას.

ეროვნული პენსია წარმოადგენს მინიმალური შემოსავლის გარანტიას იმ პირებისათვის, რომლებსაც არ ენიშნებათ დასაქმებასთან დაკავშირებული ხანდაზმულობის პენსია. ეროვნული პენსია ესტონეთის რეზიდენტების უფლებაა, რომლებმაც 63 წელს მიაღწიეს. ისინი იღებენ პენსიას მიუხედავად იმისა, თუ რამდენი

წელი იმუშავეს, თუ ისინი ცხოვრობდნენ ესტონეთში ბოლო 5 წლის განმავლობაში და თუ სხვა სახელმწიფოდან არ იღებენ მოხუცებულობის პენსიას.

მეორე: სავალდებულო დაფინანსებული საპენსიო სქემა - დაფინანსებული პენსიები სახელმწიფოს მთავარი მხარდაჭერაა პენსიონრების დამატებითი შემოსავლით უზრუნველსაყოფად. ეს არის საპენსიო დანაზოგების გეგმა, სადაც პირი თავის პენსიას ინახავს ხელფასიდან 2%-ის საპენსიო ფონდში დარიცხვით. სახელმწიფო გამოყოფს დამატებით 4%-ს ხანდაზმულობის პენსიებისთვის სოციალური გადასახადიდან გამოყოფილი 20%-დან და იკავებს 16%-ს პირველი სვეტის პენსიონრებისათვის. სავალდებულო დაფინანსებულ საპენსიო სქემაში რეგისტრაცია სავალდებულოა იმ პირებისათვის, რომლებიც დაბადებულნი არიან 1983 წლის შემდეგ, ხოლო იმ პირებისათვის, რომლებიც 1983 წლამდე არიან დაბადებულნი, ამ სქემაში რეგისტრაცია ნებაყოფლობითია.

ნებისმიერ პირს შეუძლია, ერთი ფონდის ქვედანაყოფი მეორე ფონდის ქვედანაყოფზე გაცვალოს. დანაზოგები შენახულია პირის პირად საპენსიო ანგარიშზე და წარმოადგენს პირად მემკვიდრეობით აქტივებს. სოციალური გადასახადის შენატანები იგივე დარჩება, მიუხედავად იმისა, შეუერთდება თუ არა პირი მეორე სვეტს.

მესამე: ნებაყოფლობითი დამატებითი საპენსიო სქემა - ნებაყოფლობითი დამატებითი საპენსიო სქემა დაფუძნებულია ინდივიდუალურ ნებაყოფლობით საპენსიო შენატანებზე. მესამე სვეტი დაფუძნდა 1998 წლის შემდეგ, როდესაც საამისოდ აუცილებელი სამართლებრივი ჩარჩო ჩამოყალიბდა. ნებაყოფლობითი დამატებითი საპენსიო სქემაში მონაწილეობას აქვს ორი ფორმა: 1. კერძო კომპანიების მიერ შემოთავაზებული ლიცენზირებული სიცოცხლის დაზღვევის საპენსიო პოლისების შესყიდვა. 2. კერძო ფონდის მენეჯერების მიერ მართული ნებაყოფლობითი საპენსიო ფონდის პოლისის შესყიდვა.

ნებაყოფლობითი საპენსიო დაზღვევის მიზნით ესტონეთში მოქმედებს საგადასახადო შეღავათები იმ პირებისთვის, რომლებიც გადაწყვიტენ კერძო საპენსიო პოლისების შეძენას: 1. კერძო საპენსიო ფონდში გადახდილი შენატანები (საშუალო წლიური შემოსავლის მაქსიმუმ 15%-ის ოდენობით) გამოიქვითება დასაბეგრი შემოსავლებიდან; 2. შემოსავლები კერძო საპენსიო ფონდიდან, რომლის გადახდა მოხდება ერთჯერადად, დაიბეგრება

10%-იანი შეღავათიანი საშემოსავლო განაკვეთით, ნაცვლად 21%-იანი საშემოსავლო განაკვეთისა. თუ კერძო საპენსიო ფონდიდან საპენსიო ასაკში მიღებული შემოსავლები გადაიხდება ყოველთვიურად ან ყოველკვარტალურად, მაშინ ისინი გათავისუფლებულნი არიან საშემოსავლო გადასახადისგან.

სოციალური შეღავათები ენიშნებათ ესტონეთში მუდმივად მცხოვრებ ზომიერი, მძიმე ან ღრმა შეზღუდული შესაძლებლობების ადამიანებს. არსებობს სოციალური შეღავათების სხვადასხვა კატეგორიები და მათი განსაზღვრა ხდება სოციალური შეღავათების კურსის შესაბამისად. 2011 წლისათვის ეს კურსი 25,57 ევროს შეადგენს. უნარშეზღუდულ ადამიანებს 16 წლიდან საპენსიო ასაკამდე დახმარების სახით ყოველთვიურად ერიცხებათ გარკვეული რაოდენობის თანხა იმ დამატებითი ხარჯების დასაფარად, რაც მათი შეზღუდული შესაძლებლობებით არის გამოწვეული. 16 წლამდე უნარშეზღუდული ბავშვებისათვის დახმარების გადახდა ხდება ყოველთვიურად დამატებითი ხარჯების დასაფარად და სარეაბილიტაციო კურსით გათვალისწინებული მკურნალობის უზრუნველსაყოფად. ყოველთვიური დახმარება ეკუთვნით ასევე იმ უნარშეზღუდულ მშობლებს, რომლებსაც ჰყავთ 16 წლამდე ასაკის შვილები.

უმუშევრობის დაზღვევა ითვალისწინებს შემოსავლების ნაწილობრივ კომპენსაციას, თუ უმუშევრობა გამოწვეულია სხვადასხვა გარემოებებით. კანონი უმუშევრობის დაზღვევაზე ძალაში შევიდა 2002 წლის 1 იანვარს და უმუშევრობის კომპენსაციის გადახდა ხდება ესტონეთის უმუშევრობის ერთიანი ფონდიდან. უმუშევრობის დაზღვევის შენატანებს იხდიან როგორც დაქირავებულები, ისე დამქირავებლები.

ჯანდაცვის სისტემა - ჯანდაცვის დაზღვევის ფონდი ფარავს ადამიანის ჯანმრთელობასთან დაკავშირებულ მომსახურების ხარჯებს ავადმყოფობის შემთხვევაში, მიუხედავად იმ ადამიანის მიერ შეტანილი სოციალური გადასახადისა, რომელსაც ეს ხარჯები ეხება. დაქირავებულები და თვით დასაქმებულები ესტონეთში იხდიან სოციალურ გადასახადს, რომელიც მიღებული შემოსავლების 33%-ს შეადგენს. აქედან შემოსავლების 20% მიემართება საპენსიო ფონდში (საპენსიო დაზღვევის პირველი სვეტი), ხოლო 13% - სამედიცინო დაზღვევის ფონდში.

სასწრაფო დახმარების საჭიროების შემთხვევაში პირს შეუძლია მიმართოს საგანგებო მიღებისთვის



ან დაურევოს სასწრაფო დახმარებას. პაციენტი ფულს იხდის გაწეული მომსახურებისთვის შემდეგ შემთხვევებში: 1. ამბულატორიული გამოკვლევა – ოჯახის ექიმის საფასური შეადგენს 3.2 ევრომდე. 2. სპეციალიზებული სამედიცინო დახმარება – საფასური 3.2 ევრომდე. 3. სასწრაფო დახმარებით სარგებლობა – უფასო. 4. ავადმყოფის საავადმყოფოში სამკურნალოდ მოთავსება – საფასური 1.6 ევრომდე დღეში 10 დღემდე, ყოველ ჰოსპიტალიზაციაზე. ოჯახის ექიმს გააჩნია მთავარი როლი ესტონეთის ჯანდაცვის სტრუქტურაში.

აქედან გამომდინარე, საქართველომ უნდა გააფართოვოს სოციალური უზრუნველყოფის სისტემები (უმუშევრობის დაზღვევა, ჯანდაცვა, ოჯახის დახმარებები, პენსიები), რადგან ეს არის სიღარიბესთან ბრძოლის წარმატებული მიდგომა. არსებობს უამრავი ფაქტი იმის დასადასტურებლად, რომ ჯანდაცვის, განათლებისა და ნაღდი ფულის გადარიცხვის სისტემებს საკმაოდ პოზიტიური სოციალური გავლენა აქვს განვითარების საფეხურზე მყოფ ქვეყნებში. „სოციალური უზრუნველყოფა არ არის სოციალური ხარჯი, არამედ, ეს არის ინვესტიცია სიღარიბისა და სოციალურად დაუცველი ფენის ზრდის თავიდან ასაცილებლად, სოციალური თანხმობისა და მშვიდობის, გლობალური უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად. შესაბამისად, მთავარი საკითხი ის კი არ არის, რომ დაბალშემოსავლიან სახელმწიფოებს შეუძლიათ ჰქონდეთ სოციალური უზრუნველყოფის სისტემა, არამედ ის, შეუძლიათ თუ არა მათ, რომ არ ჰქონდეთ სოციალური უზრუნველყოფის სისტემა.

შევეხოთ საქართველოს საპენსიო სისტემას და იმას თუ რამდენად შეიძლება გამოყენებულ იქნას მსოფლიო მოდელები არსებული საპენსიო სისტემის დასახვეწად. თანამედროვე მსოფლიოს განვითარებულმა სახელმწიფოებმა დიდი ხანია გააცნობიერეს საპენსიო სისტემის რეფორმირების აუცილებლობა, რომელიც ადეკვატური იქნება ცივილიზებული სამყაროს წინაშე არსებული ფინანსური, დემოგრაფიული და ეკონომიკური გამოწვევებისა. მოსახლეობის მატებისა და დაბერების, სიცოცხლის ხანგრძლივობის ზრდის, გახშირებული ფინანსური კრიზისებისა და შრომითი ძალის შემცირების ფონზე, გასული საუკუნის 90-იანი წლების შუა ხანებიდან დღის წესრიგში დგება საპენსიო სისტემების გადაუდებელი რეფორმირების საკითხი. სწორედ აღნიშნულს ეხმიანება 1994 წელს, მსოფლიო ბანკის ეგიდით გამოქვეყნებული პირველი პუბლიკაცია. აღნიშნული დოკუმენტით, მსოფლიო ბანკმა

დაადასტურა, რომ პრობლემა რთულად სამართავია, საპენსიო უზრუნველყოფასთან დაკავშირებული რისკ-ფაქტორები კომპლექსური, ხოლო არსებული სისტემის ახლით ჩანაცვლება გადაუდებლად აუცილებელი.

საქართველოს მთავრობის მიერ გაცხადებული ეკონომიკური პოლიტიკის მიზანია ერთის მხრივ, იმგვარი ეკონომიკური რეფორმების გატარება, რომელიც შექმნის თანამედროვე, ინკლუზიურ და ლიბერალურ ეკონომიკურ გარემოს ქვეყანაში და მეორეს მხრივ, იქნება ადეკვატური საერთაშორისო დონეზე არსებული ეკონომიკური ძვრებისა და გახშირებული ფინანსური კრიზისების მიმართ. დაგროვებითი საპენსიო სისტემის დანერგვა, რომელიც მნიშვნელოვან როლს ასრულებს ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ პოლიტიკაში, სწორედ ზემოაღნიშნულ მიზნებს ემსახურება.

საქართველოს დღევანდელი საპენსიო სისტემა ორი, არათანაბარი ნაწილისგან შედგება: 1. სახელმწიფო საპენსიო სისტემა - ფიქსირებული პენსიების გაცემას სახელმწიფო ბიუჯეტიდან ახდენს; 2. არასახელმწიფო (კერძო) საპენსიო უზრუნველყოფის სისტემა, რომელსაც მთლიანი ბაზრის უმნიშვნელო ნაწილი უკავია, არ გააჩნია აუცილებელი საკანონმდებლო ბაზა ოპერირებისთვის, მაგრამ რომც გააჩნდეს საქართველოს მოსახლეობის უმრავლესობას არ აქვს იმ რაოდენობის შემოსავალი, რომ კერძო საპენსიო უზრუნველყოფის სისტემაზე დაიწყოს ფიქრი და ამიტომ აღნიშნული საკითხი იმყოფება განვითარების საწყის სტადიაზე.

ქვეყნის მაკროეკონომიკური მაჩვენებლები და საბიუჯეტო პოლიტიკის პრიორიტეტები, აგრეთვე, დემოგრაფიული სურათის დინამიკა მიუთითებს, რომ სოციალური ვალდებულებები საქართველოს ეკონომიკისა და საბიუჯეტო სახსრებისათვის მძიმე ტვირთია. 2008-2015 წლების სტატისტიკური მონაცემების მიხედვით (ცხრილი №1), ბიუჯეტის მიმდინარე სოციალური ხარჯების წილი საკმაოდ მაღალია, თუმცა ეს მაჩვენებელი განსაკუთრებით გაიზარდა უკანასკნელი 3 წლის განმავლობაში. 2013-2015 წლებში სოციალური ხარჯები მთლიანი ხარჯების თითქმის მესამედს უტოლდება. ამასთან, 2015 წლის ბიუჯეტის სოციალური ხარჯების ყველაზე დიდი ნაწილი, 1 390 მლნ ლარი, საპენსიო უზრუნველყოფაზე მოდის.

საქართველოს ეროვნული სტატისტიკის სამსახურის მიხედვით, 2015 წლისათვის შემცირდა მოსახლეობის რიცხოვნობა და საერთო რაოდენობაში გაიზარდა 65 წელს გადაცილებულ პირთა წილი. აქედან გამომდინარე,

სახელმწიფოსათვის მნიშვნელოვანია კერძო სექტორთან თანამშრომლობა და რისკების დივერსიფიკაცია ყველა იმ მიმართულებით, სადაც ამის რეალური შესაძლებლობა არსებობს. ამდენად, საპენსიო რეფორმის განხორციელება არა მხოლოდ პოლიტიკური ან ეკონომიკური საფუძვლებით ნაკარნახევი, არამედ რეალურად დამდგარი აუცილებლობაა.

რაც შეეხება სოფლის მეურნეობის სფეროს ესტონეთში, ჯერ კიდევ საბჭოთა კავშირის დროს ეჭირა მნიშვნელოვანი როლი. ამ პერიოდში ესტონეთში წარმოებული რძის და ხორცის პროდუქციის თითქმის 30-50% ექსპორტზე გადიოდა. 1995 წელს ესტონეთის სოფლის მეურნეობის პროდუქციის ღირებულება შეადგენდა ევროკავშირის მთლიანი სოფლის მეურნეობის პროდუქციის დაახლოებით 0.13%-ს. 1996 წელს სოფლის მეურნეობის სექტორს მშპ-ში ეკავა 5.2% და ამ სექტორში დასაქმებული იყო სამუშაო ძალის 8.1%. გასათვალისწინებელია, რომ 1991 წელს სოფლის მეურნეობაში დასაქმებულთა წილი 18.4%-ს შეადგენდა.

1991 წლიდან 2000 წლამდე სოფლის მეურნეობის სექტორის წილი ეკონომიკაში თითქმის 80%-ით შემცირდა. სოფლის მეურნეობის სექტორის წილის შემცირება თვისთავად მოხდა და არა რაიმე ხელოვნური ჩარევის შედეგად, მიუხედავად იმისა, რომ სოფლის მეურნეობის სექტორში დასაქმებულთა პროდუქტიულობას ხვასეკტორებში დასაქმებულთა საშუალო პროდუქტიულობასთან შედარებით დიდად არ განსხვავდებოდა ბალტიის სხვა ქვეყნების იგივე მაჩვენებლისგან.

სოფლის მეურნეობისა და მიწის მფლობელობასთან დაკავშირებული რეფორმები მიზნად ისახავდა დიდი ზომის კოლექტიური და სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ფერმების დაყოფასა და საოჯახო ფერმების ჩამოყალიბებას. მიწის პრივატიზაციის ეს პროცესი მოითხოვდა მიწების დაბრუნების შესახებ საჩივრების განხილვას, მიწის გაყიდვასა და ზოგიერთ შემთხვევებში პრივატიზაციის ობლიგაციებიდან კომპენსაციების გადახდას. ფერმების რესტრუქტურისაციის შედეგად შეიქმნა საკმაოდ ბევრი 4 ჰექტარამდე პატარა ზომის გაერთიანება.

საქართველოშიც რევოლუციის შემდგომი პერიოდიდან დრო და დრო აქტუალური ხდებოდა სოფლის მეურნეობის განვითარების საკითხი, პერიოდულად მოდიოდა სხვადასხვა ინიციატივების ტალღები, როგორებიცაა: სოფლის მხარდაჭერის პროგრამა, იაფი აგრო სესხი, სასოფლო სამეურნეო ტექნიკით უზრუნველყოფა,

ფერმერთა გადამზადების პროგრამები და სხვ. მაგრამ მიუხედავად ამისა რეალური შედეგი ვერცერთმა წამოწყებამ ვერ გამოიღო, რაც მოგვცემდა განვითარებულ სოფლის მეურნეობის სექტორს; ყოველწლიურად თავს იჩენდა არსებული მოსავლის გასაღების პრობლემა, ეს საკითხი საკმაოდ მწვავედ იდგა კახეთის რეგიონში, როდესაც გლეხთა გარკვეულმა ნაწილმა ვენახები სხვა ნარგავებით ჩაანაცვლეს; ასევე აღსანიშნავია გურია-აჭარის რეგიონში ციტრუსის ჩაბარების პრობლემა, რამაც საკმაო ზარალი მიაყენა გლეხებს. ზემოაღნიშნული საკითხები ხშირად კავშირშია გასაღების ბაზრების არ ქონასთან, აქვე მნიშვნელოვანია ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობა და სტაბილური გარემო, ასევე საუბარია პროდუქციის ხარისხზე, რომელიც ვერ აკმაყოფილებს ევროპულ მოთხოვნებს; მაგრამ ფაქტი რჩება ფაქტად, რომ სახელმწიფოს მხრიდან სათანადო ყურადღება არ ექცევა აგრო სფეროს, როდესაც ქვეყანას ამხელა პოტენციალი აქვს და შეუძლია ეკოლოგიურად სუფთა პროდუქციის ერთ-ერთი თვალსაჩინო ექსპორტიორი გახდეს.

რაც შეეხება ესტონეთის ეკონომიკას მისი მთავარი მახასიათებელი მოქნილობა და გახსნილობაა. ესტონეთის ეკონომიკა მიჩნეულია ერთ-ერთ ლიბერალურ ეკონომიკად მსოფლიოში. 2016 წლის მონაცემებით, 178 ქვეყანას შორის, ეკონომიკური თავისუფლების მიხედვით ესტონეთი მე-9 ადგილზეა, ხოლო საქართველო 23-ე. მსოფლიო ბანკის 2016 წლის მონაცემებით, 190 ქვეყანას შორის, ესტონეთი მე-12 ადგილზეა ბიზნესის კეთების სიმარტივის მიხედვით და უსწრებს ისეთ ქვეყნებს როგორებიცაა: გერმანია, შვეიცარია, საფრანგეთი, ნიდერლანდების სამეფო, კანადა. საქართველო რამდენადმე ჩამორჩება ესტონეთს და მე-16 ადგილს იკავებს, მაგრამ იგი ბევრ მასზე დიდ და განვითარებულ ქვეყანას უსწრებს აღნიშნული ინდექსის მიხედვით.

Transparency International-ის მიერ 167 ქვეყანაში ჩატარებული კვლევის მიხედვით, რომელიც შეეხება კორუფციის აღქმის ინდექსს ესტონეთი 24-ე ადგილს იკავებს და უსწრებს ისეთ ქვეყნებს როგორებიცაა საფრანგეთი და იტალია. კორუფციის აღქმის ინდექსი იმის მიხედვით ანიჭებს ქვეყანას ქულას და ახდენს მის რანგირებას, თუ რამდენად კორუმპირებულად აღიქმება საჯარო სექტორი ამ ქვეყანაში. ეს ინდექსი სხვადასხვა კვლევების კომბინაციაა. ამ კვლევებს დამოუკიდებელი და რესპექტაბელური ინსტიტუტები ახორციელებენ და გამოკითხავენ კორუფციის თემაზე მომუშავე ექსპერტებსა და ბიზნესის წარმომადგენლებს.





კორუფციის აღქმის ინდექსი ასახავს მოსაზრებებს მთელი მსოფლიოს მასშტაბით, მათ შორის იმ ექსპერტებისას, რომლებიც ცხოვრობენ და მუშაობენ იმ ქვეყანაში/ტერიტორიაზე, რომელსაც ქულას ანიჭებენ. საქართველო ამავე რეიტინგში 48-ე ადგილს იკავებს და უკეთესი მაჩვენებელი აქვს ვიდრე იტალიას, უნგრეთს, ხორვატიას, რუმინეთს და სხვ.

სწორედ იმის გასარკვევად თუ როგორ აღიქმება საქართველოს მოქალაქეებში ზემოაღნიშნული რეიტინგების საკითხები, რა სურათს ხედავენ ისინი რეალობაში, რამდენად იზიარებენ მთავრობის ენთუზიაზმს ესტონური მოდელის დანერგვის შესახებ, ჩატარდა გამოკითხვა, რის შედეგადაც გამოიკითხა ორასი პირი რომელიც უფრო მეტად ერკვევა ესტონურ მოდელში და ასევე საქართველოში არსებული ვითარების კომპეტენტურად შეფასებისთვის მეტი ცოდნა გააჩნია.

გამოკითხულები დაიყო განათლების დონის მიხედვით, სადაც საერთო სურათიდან დოქტორის ხარისხის მქონე არის 1,5%, დოქტორანტი - 2%, მაგისტრი - 40,8%, მაგისტრატურის სტუდენტი - 19,9%, ბაკალავრი - 33,2%, ბაკალავრიატის სტუდენტი - 1,5%, ხოლო საშუალო განათლების მქონე - 1 %. მათ შეეძლოთ კითხვარში არსებული შეკითხვებისთვის არსებული პასუხებიდან ამოერჩიათ ერთ-ერთი ან თავად ჩაეწერათ პასუხი. პირველ კითხვაზე, თუ რამდენად მისაღებია ესტონური მოდელი საქართველოსთვის, პასუხის გაცემა რომ გაადვილებოდათ გამოკითხულებს კითხვარს შესავლის სახით ახლავს ესტონური მოდელის მოკლე აღწერა; აღნიშნულ კითხვაზე პასუხები შემდეგნაირად გადანაწილდა: მისაღებია სრულად - 6,9%, მისაღებია ნაწილობრივ - 59,3%, არ არის მისაღები - 27,9%, არ მაქვს მოსაზრება - 2,5%, სხვა - 3,9%. მეორე კითხვაზე, არის თუ არა ქვეყანა მზად მსგავსი ტიპის ცვლილებებისათვის, შემდეგი სურათი შეიქმნა: გამოკითხულთა 6,4% ფიქრობს რომ ქვეყანა სრულიად მზად არის, 52 %-ის აზრით მზად არის ნაწილობრივ, 34,8% თვლის, რომ არ არის მზად, 3,9%-ს არ აქვს მოსაზრება ამ საკითხზე, ხოლო 3,4%-მა განსხვავებული პასუხი დააფიქსირა. მესამე კითხვა შეეხება თავად გამოკითხულებს და ინტერესდება რას ფიქრობენ ისინი ან რა მოლოდინი აქვთ, როგორ იმოქმედებს პირადად მათ კეთილდღეობაზე ესტონურ ეკონომიკურ მოდელზე გადასვლა; პასუხების მიხედვით დადგინდა, რომ გამოკითხულთა 11,8%-ს დადებითი მოლოდინები აქვს, უარყოფით ზეგავლენას ელის 27%, 59,3% თვლის რომ მათთვის არანაირი ცვლილება არ

იქნება, 2%-ს არ აქვს მოსაზრება, სხვა - 0,5%. მეოთხე კითხვა მდგომარეობს შემდეგში, თუ როგორ იმოქმედებს ესტონური მოდელი საქართველოს ეკონომიკაზე; უმრავლესობის აზრით (45,1%) არანაირი ზეგავლენა არ მოხდება, 12,3% ფიქრობს, რომ ქვეყნის ეკონომიკა გაიზრდება, 19,1% ეკონომიკის შემცირებას ვარაუდობს, ხოლო 22,5%-ს არ აქვს მოსაზრება. მეხუთე კითხვა აჩვენებს, თუ როგორ ხედავენ საქართველოს მოქალაქეები ქვეყანაში არსებულ უმუშევრობის პრობლემას და უმრავლესობის აზრით (67,2%) სახელმწიფოში უმუშევრობის დონე არის მაღალი, 23,1% თვლის, რომ საშუალო უმუშევრობის დონეა, მინიმალურად მიაჩნია 5,6%-ს, ხოლო მოსაზრება არ აქვს 4,1%-ს. მეექვსე კითხვა გამოძახილია წინა კითხვის და არკვევს, თუ, რამდენად შესაძლებელია მიღებულ განათლებასთან შესაბამისი სამუშაო ადგილის პოვნა; გამოკითხულთა ხმები შემდეგნაირად გაიყო: 5,6%-ის აზრით შესაძლებელია ყოველთვის, უმრავლესობა (61,7%) ფიქრობს, რომ შესაძლებელია, მაგრამ იშვიათად, ეს შეუძლებლად მიაჩნია 30,1%-ს და არ აქვს მოსაზრება 2%-ს. ქვემოთ მოყვანილი ცხრილიდართულია აქვს კითხვარს დაამცხრილიდან გამომდინარე, რომელიც შედეგნილია საქართველოს ეროვნული სტატისტიკის სამსახურისა და მსოფლიო ბანკის მონაცემებზე დაყრდნობით, დასმულია კითხვა, თუ რამდენად შესაძლებლად მიაჩნიათ გამოკითხულებს, რომ საქართველოში არსებული სურათი, რომელიც შეეხება დასაქმებულთა წილს სექტორების მიხედვით, ესტონური მოდელის დანერგვის შემდგომ მიუახლოვდეს ესტონეთში არსებულ დღევანდელ სურათს; ეს შეუძლებლად მიაჩნია 38,5%-ს, შესაძლებელია თვლის 23,6%, ხოლო მოსაზრება არ აქვს 36,9%-ს. (იხ. ცხრილი №1)

შემდეგი კითხვა შეეხება მოლოდინებს, თუ რა ინფორმაციას ფლობს გამოკითხული, როგორია მის გარშემო მოლოდინები ესტონური მოდელის შემოღებასთან დაკავშირებით; 10,3%-ის ირგვლივ დადებითი მოლოდინები აქვთ მოქალაქეებს, 21,1%-ის გარემოცვა უარყოფით შედეგებს მოელის, ნეიტრალური დამოკიდებულება აქვთ 25%-ის გარშემო მყოფ ადამიანებს, ხოლო არანაირ ინფორმაციას არ ფლობს აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით 43,6%. კითხვაზე, უცვლელად უნდა დაინერგოს ესტონური მოდელი თუ უნდა მოხდეს მისი ქართულ რეალობაზე მორგება, უმრავლესობამ (79,2%) ცალსახად გასცა პასუხი, რომ უნდა მოხდეს საქართველოში არსებული მდგომარეობის გათვალისწინება; 19,8% ფიქრობს, რომ არსებითი მნიშვნელობა არ აქვს, ხოლო 1%-ს არ აქვს მოსაზრება. ზემოთმოყვანილ კორუფციის აღქმის ინდექსის

		მშპ ერთ სულ მოსახლე ზე \$ (2015)	ვალი მთლიან შიდა პროდუქტ თამ	ურბანიზა ცია	დასაქმებულთა წილი სექტორების მიხედვით			გზავნილ ბის წილი ეკონომიკა ში
					მომსახურ ება	მრეწველ ობა	სოფლის მეურნე ობა	
1.	ესტონეთი	28,600	9%	67%	68%	28%	4%	2%
2.	ლიტვა	28,400	45%	67%	72%	20%	8%	3%
3.	ლატვია	24,700	36%	67%	67%	24%	9%	5%
4.	რუსეთი	25,400	9%	74%	63%	28%	9%	1%
5.	ყაზახეთი	24,300	24%	53%	62%	12%	26%	0%
6.	აზერბაიჯ ანი	18,000	20%	55%	50%	12%	38%	3%
7.	ბელარუს ი	17,700	48%	77%	58%	33%	9%	1%
8.	თურქმენ ეთი	16,400	0%	50%	38%	14%	48%	0%
9.	საქართვე ლო	9,600	41%	54%	35%	9%	56%	9%
10.	სომხეთი	8,500	49%	63%	44%	17%	39%	14%

წყარო: მსოფლიო ბანკი - <http://databank.worldbank.org>

რეიტინგს სკეპტიკურად უყურებს საქართველოს მოსახლეობა, რადგან კითხვაზე არის თუ არა სახელმწიფოში კორუფცია, გამოკითხულთა 62,8%-მა დადებითი პასუხი გასცა, აქვე განსხვავებული პოზიცია დააფიქსირა 1%-მა და ისინი ფიქრობენ რომ არის ნაწილობრივ ან მინიმალიზებულიად, 29,6% თვლის რომ არ არის ქვეყანაში კორუფცია, ხოლო 6,6%-ს არ აქვს მოსაზრება. რაც შეეხება ნეპოტიზმს, გამოკითხულთა აბსოლუტური უმრავლესობა (94,4%) ფიქრობს, რომ საქართველოში არის ნეპოტიზმის პრობლემა, 3,1%-ს მიაჩნია, რომ არ არის, 2,6%-ს არ აქვს მოსაზრება, ხოლო ერთი გამოკითხულის აზრით ეს პრობლემა ძირითადად ადგილობრივ თვითმმართველობებშია. კითხვაზე, საქართველოს ესტონურ მოდელზე გადასვლა შეცვლის თუ არა არსებულ სურათს კორუფციისა და ნეპოტიზმის კუთხით უკეთესობისკენ, დადებითი პასუხი გასცა 7,1%-მა, 41,3% თვლის, რომ არაფერი შეიცვლება, ნაწილობრივი გაუმჯობესების პროგნოზს აკეთებს 42,9%, ხოლო არ აქვს მოსაზრება 7,7%-ს.

კითხვარის შედეგებიდან ნათლად ჩანს, რომ მოლოდინები ესტონური მოდელის დანერგვასთან მიმართებით არც თუ ისე ოპტიმისტურია და არც სხვადასხვა ზემოაღნიშნულ ასპექტებში იზიარებენ გამოკითხულები არსებულ რეიტინგებში ასახულ სურათს. ეს შეიძლება აიხსნას ინფორმაციის ნაკლებობით შემფასებელი ორგანიზაციების მხრიდან ან გამოკითხულთა მიერ ზედმეტად კრიტიკული მიდგომით ქვეყანაში არსებული

სიტუაციისადმი.

რევოლუციის შემდგომ საქართველოში საკმაოდ აქტუალური გახდა პრივატიზაციის საკითხი; რომელიც ესტონეთში ეკონომიკის ლიბერალიზაციის მოდელის საძირკვლიდან აღმოცენებულ ხეს წააგავდა. ახალმა მთავრობამ ბიუჯეტის შევსებისა და ეკონომიკის გაცოცხლების მიზნით სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ქონების პრივატიზაციას მიჰყო ხელი; მართალია, იმ პერიოდისათვის დიდი ვნებათა ღელვა გამოიწვია ამ საკითხმა საზოგადოების სხვადასხვა წრეებში, მაგრამ ხელისუფლება დაჟინებით მიჰყვებოდა არჩეულ კურსს, რამაც თუ მსოფლიო რეიტინგებს დავეყრდნობით მკაფიო შედეგი გამოიღო; საქართველო მოწინავე ადგილებს იკავებდა ბიზნესის კეთების სიმარტივის ინდექსის მიხედვით, ასევე ქვეყანა აღიარებულ იქნა როგორც ლიდერი რეფორმატორი და სხვ. მაგრამ ყველაფერ ამასთან ერთად იყო ბევრი უხეში შეცდომა დაშვებული, რაც საქართველოსთვის უარყოფით შედეგებს მოასწავებდა გრძელვადიან პერიოდში, რის მაგალითებსაც არსებულ რეალობაში მრავლად ვხვდებით.

სრულიად ცალსახაა, რომ ამა თუ იმ მოდელის თუ მისი კომპონენტების გამოყენებისას სხვა ქვეყნის კონტექსტში ხდება მისი მოდიფიცირება და ადაპტირება, რამდენადაც სრულიად ანალოგიური გარემო ვერ იარსებებს. თუმცა, ეკონომიკური და პოლიტიკური ანალიზის საფუძველზე, ცხადია, იკვეთება თანხვედრისა თუ ცდომილების ის

ზღვარი, რომელიც საშუალებას გვაძლევს, ამა თუ იმ მოდელის თუ მისი კომპონენტების გამოყენების შესაძლებლობასა თუ მიზანშეწონილობაზე და სავარაუდო მიზეზ-შედეგობრივ კავშირებზე ვისაუბროთ. ქვეყნების მოდელების დახასიათება იძლევა საშუალებას, გამოტანილი ძირითადი დასკვნების საფუძველზე გარკვეული პარალელები გავავლოთ საქართველოსთან, დავინახოთ ქართული რეფორმების და ეკონომიკური კურსის წარმატება თუ წარუმატებლობა.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. შერგელაშვილი თ., ხოკრიშვილი ე. (2012), სინგაპური, ესტონეთი, შვეიცარია: სამიზნე მოდელები ქართული ტრანსფორმაციისათვის?, ევროპული ინიციატივა - ლიბერალური აკადემია თბილისი.
2. ვეშაპიძე შ., სიჭინავა ა. (2015), თანამედროვე ეკონომიკური მოდელები: ღირებულებები, მიღწევები, თავისებურებები, თბილისი.
3. ვეშაპიძე შ. (2013), ევროპული ღირებულებები საქართველოსთვის, თბილისი.
4. საჭიროა თუ არა საპენსიო რეფორმა? საპენსიო რეფორმა, გლობალური და ქართული პერსპექტივა, თბილისი, 2013.  
[http://www.eprc.ge/admin/editor/uploads/files/sapensio%20reporma\\_WEB\\_2.pdf](http://www.eprc.ge/admin/editor/uploads/files/sapensio%20reporma_WEB_2.pdf).
5. Тимошина Т. (2008), Экономическая история зарубежных стран, Москва.
6. Laar M., The Estonian Economic Miracle - <http://www.heritage.org/research/reports/2007/08/the-estonian-economic-miracle>.
7. საქართველოს ფინანსთა სამინისტრო - [www.mof.ge](http://www.mof.ge).
8. 2016 index of economic freedom - <http://www.heritage.org/index/>.
9. World economic forum - <http://reports.weforum.org/global-competitiveness-report-2015-2016/competitiveness-rankings/>.
10. The world bank - <http://databank.worldbank.org/data/reports.aspx?source=2&series=NY.GDP.MKTP.KD.ZG&country> ; <http://www.doingbusiness.org/rankings>.
11. Transparency international - <https://www.transparency.org/cpi2015/>.

Particular Aspects of Estonian model and Georgia

Shota Veshapidze  
 Doctor of Economics,  
 Ministry of Defence of Georgia  
 lepl David Agmashenebeli  
 National Defence Academy of Georgia,  
 Professor,

Shota Karalashvili,  
 Master of Economics

Resume

The article has been reviewing Estonia according to its political-historical context and is influenced by parallel with Georgia. It concerns the social security system of Estonia, agriculture sector, business environment and economic policy and structural reforms. The article describes a comparative analysis of Georgia and Estonia. Also the article is accompanied by the results of the survey, which was conducted by the citizens in order to assess the knowledge, perception and implementation of the Estonian model.

Keywords: Estonian model, reform, pension system, privatization, liberal economics, corruption.



საბანკო სექტორის “მისტერია”, რის შესახებაც არ იწერება სახელმძღვანელოებში

პაატა ლეიფვილი  
პროფესორი

ახალი ეკონომისტი THE NEW ECONOMIST

ნაშრომში განხილულია ფულის, კრედიტისა და საბანკო სისტემის პრობლემები თანამედროვე ეკონომიკაში. როგორც წესი, ეკონომიკურ სახელმძღვანელოებში ეს პრობლემები არ არის სწორად ასახული, რის გამოც ეკონომიკური პროფილის სტუდენტთა მთელი თაობები ამთავრებენ უნივერსიტეტებს არასწორი წარმოდგენებით თანამედროვე საბანკო სისტემის შესახებ. ეს პრობლემები განსაკუთრებით აქტუალური გახდა 2008 წლის მსოფლიო კრიზისის შემდეგ, რომლის პროვოცირებაშიც დიდი როლი ითამაშა კომერციული ბანკების საკრედიტო ექსპანსიამ.

საკვანძო სიტყვები: ეკონომიკური რეფორმები, “შოკური პრივატიზაცია”, ბანკები, კრედიტი, საბანკო ფული, ფინანსური არასტაბილურობა, ეკონომიკური განათლება.

შესავალი

მონეტარული პოლიტიკა ვერ იქნება ეფექტიანი მანამდე, სანამ ეფუძნება მცდარ თეორიას. იმის გაცნობიერება, რომ ნეოკლასიკური თეორია და მასზე დაფუძნებული მონეტარული პოლიტიკა ვერ უპასუხებენ თანამედროვე მოთხოვნებს, სულ უფრო ცხადი ხდება მსოფლიოში პროგრესულად მოაზროვნე ეკონომისტებისთვის. სამწუხაროდ საქართველოში თითქმის ერთი-ერთზე ხდება იმ პოლიტიკის კოპირება, რომელიც წარუმატებელია თვით დასავლეთშიც. თითქმის 3 ათწლეულია ვატარებთ რეფორმებს “ვაშინგტონის კონსენსუსის” რეცეფტებით, მაგრამ ქვეყანა ისევ უმძიმეს მდგომარეობაშია. ამ ათწლეულების მანძილზე ეკონომიკურ მეცნიერებაშიც დაიბადა ახალი პროგრესული იდეები და თვით ეკონომიკაშიც მოხდა მნიშვნელოვანი ცვლილებები, მაგრამ ეკონომიკური პოლიტიკის ხედვაში არსებითად არაფერი შეცვლილა. კორუფცია, თაღლითობა, ქურდობა და ძარცვა, რომელსაც საფუძველი ჩაეყარა 90-იან წლებში და დაიწყო “შოკური პრივატიზაციით”, სახელმწიფო ვალების მითვისებით და შემდეგ “ამნისტიის შესახებ კანონით” ნაძარცვის დაკანონებით, გრძელდება დღემდე და გახდა ჩვეულებრივი მოვლენა. და ეს გრძელდება თითქმის 30 წელია. როგორც მე-19 საუკუნის ინგლისელი ეკონომისტი ფრედერიკ ბასტია წერდა: “როდესაც ქურდობა ხდება ცხოვრების წესი, საზოგადოებაში ერთად ცხოვრები ადამიანთა ჯგუფისთვის, დროთა განმავლობაში ისინი თავიანთთვის ქმნიან სამართლებრივ სისტემას, რომელიც აძლევთ მათ ამის კეთების უფლებას, და ზნეობრივ კანონებს, რომლებიც იწინებენ ამას.” საქართველოში შექმნილი მდგომარეობა ადასტურებს ამ სიბრძნეს.

რაც უფრო დიდი ხნით გაიწელება ეკონომი-

კური რეფორმები, მით უფრო გაძნელდება მათი წარმატებით რეალიზება. და მართლაც, გარდა იმისა, რომ კორუფცია, თაღლითობა და ქურდობა უკანონოდ ახდენენ სიმდიდრის და შემოსავლების გადანაწილებას და ხელს უწყობენ საზოგადოების უკიდურეს პოლარიზაციას მდიდრებად და ღარიბებად, ამასვე უკვე კანონიერად, აკეთებს სახელმწიფოს ულტრალიბერალური პოლიტიკა. ამ პოლიტიკის შედეგად საზოგადოების მცირე ნაწილი სულ უფრო მდიდრდება უმრავლესობის ხარჯზე. ამიტომ საზოგადოებაც და მისი ინტერესებიც გაიყო ორ დაპირისპირებულ მხარედ. ის, რაც აწყობს ერთ მხარეს – არ აწყობს მეორეს. ამიტომ, როდესაც ვამბობთ, რომ ეკონომიკური პოლიტიკა არაეფექტიანია, საჭიროა დავაზუსტოთ – “არაეფექტიანია ვისთვის?”. და პასუხიც ცხადია. პასუხს იძლევა თვით ამ პოლიტიკის შედეგები. ამიტომ ამ პოლიტიკის ძირეულად შეცვლა სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია საზოგადოების უმრავლესობისთვის, მაგრამ იგი არ შედის საზოგადოების გარკვეული ჯგუფის ინტერესებში. მართალია, ეს ჯგუფი საზოგადოების მცირე ნაწილია, მაგრამ, სწორედ მასშია კონცენტრირებული რეალური ძალაუფლება და მასზე დამოკიდებული ეკონომიკური და პოლიტიკური რეფორმების გატარება.

ამასთან, ნეოლიბერალური პოლიტიკა და საბაზრო ძალების გათავისუფლება ცხადდება ეკონომიკის განვითარების და საზოგადოების ცხოვრების დონის ამაღლების უმთავრეს პირობად. ანუ მიჩნეულია, რომ იგი ემსახურება მთელი საზოგადოების ინტერესებს. ამ იდეებს, რომლებიც ეფუძნება ნეოკლასიკური თეორიის მცდარ დოგმებს, თავს ახვევენ საზოგადოებას ეკონომიკური განათლების სისტემის და მასშედიის მეშვეობით. ხოლო ამ პოლიტიკის რეალური



შედგები არის შემოსავლების გადანაწილება მდიდარი უმცირესობის სასარგებლოდ, რაც, თავს მხრივ, იწვევს ეკონომიკური განვითარების ბლოკირებას. ეს პოლიტიკა ეწინააღმდეგება მთლიანად საზოგადოების ინტერესებს. ნეოლიბერალური პოლიტიკის შედეგები დიამეტრალურად განსხვავდება დეკლარირებული მიზნებისაგან.

ცხადია, სოციალური უსამართლობა ბადებს უამრავ სხვა პრობლემას: პოლიტიკურ და სოციალურ არასტაბილურობას, საზოგადოების ზნეობრივ დეგრადაციას, კრიმინოგენურ გარემოს, საზოგადოების აპათიას და ა.შ. ეს თავისთავად უმძიმესი პრობლემებია, მაგრამ ეკონომიკური პოლარიზაცია პირველ რიგში პრობლემებს ქმნის თვით ეკონომიკაში. (Leishvily, 2017). საქმე ისაა, რომ საქონლის და მომსახურების წარმოების პროცესში იქმნება ის შემოსავლები, რომლითაც შესყიდული უნდა იქნეს წარმოებული საქონელი. “მიწოდება ქმნის თავის მოთხოვნას” (სეი). მაგრამ თუ ეს შემოსავლები ნაწილდება უკიდურესად უთანაბრად, მაშინ ერთობლივი მოთხოვნა მცირდება, რაც იწვევს მშპ-ის ვარდნას. ეს გამოწვეულია იმით, რომ მდიდარი უმცირესობა მოიხმარს თავისი შემოსავლების მხოლოდ მცირე ნაწილს და დანარჩენს ზოგავს და ახდენს მის კაპიტალიზაციას.<sup>1</sup> ანუ მდიდარი უმცირესობის შემოსავლების მნიშვნელოვანი ნაწილი არ ხმარდება წარმოებული პროდუქციის შექმნას და გაედინება წარმოების სფეროდან (საფინანსო სექტორში, უძრავი ქონების ბაზრებზე, საზღვარგარეთ ოფშორებში და ა.შ.). ამიტომ, წარმოების სფეროში შექმნილი შემოსავლები, რომელიც რჩება ღარიბ უმრავლესობას, აღარ არის საკმარისი ქვეყანაში წარმოებული საქონლის და მომსახურების შესაძენად. ბაზრებზე რჩება გაუყიდავი საქონელი, ეცემა ფასები, მოგება და წარმოების სტიმულები. საზოგადოების დაბალი მსყიდველობითი უნარი არის ერთობლივი მოთხოვნის დასუსტების და ეკონომიკის ზრდის დაბალი ტემპების მთავარი მიზეზი. ხდება ეკონომიკის თვითბლოკირება და აუცილებელი ხდება მოთხოვნის ხელოვნური სტიმულირება. ასეთი კრიზისი გამოწვეულია არა ეკონომიკური ციკლით, არამედ საბაზრო ეკონომიკის სისტემური პრობლემებით. კერძოდ, გამოწვეულია მონოპოლიზაციის და ეკონომიკური პოლარიზაციის შეუქცევადი პროცესებით, რომლებსაც საბაზრო კონკურენცია თვით ბადებს ევოლუციის შედეგად (ლეიაშვილი, 2017).

პირველად ეს პრობლემები გამოვლინდა 30-იანი წლების “დიდი დეპრესიის” ფორმით და მის დასაძლევად საჭირო გახდა მოთხოვნის ხელოვნური სტიმულირება. მოთხოვნის ხელოვნური სტიმულირება გადაავადებს პრობლემას, მაგრამ ვერ აღმოფხვრის პრობლემების მიზეზს. რადგან ეს სისტემური პრობლემებია და განპირობებულია გაცილებით სიღრმისეული ფაქტორებით, საბაზრო

ეკონომიკის ისტორიული განვითარებით. ამიტომაც მოთხოვნის სტიმულირება ფისკალური მეტოდებით კეინზიანური პოლიტიკის თანახმად აღმოჩნდა ისევე წარუმატებელი, როგორც მოთხოვნის სტიმულირება მონეტარული მეტოდებით ნეოლიბერალური პოლიტიკის თანახმად. ორივე პოლიტიკამ ჯერ წარმოშვეს ხანგრძლივი ეკონომიკური ზრდა, მაგრამ, ბოლოს ორივე დამთავრდა ღრმა კრიზისით (1970-იანი წლების სტაგფლაციით და 2008 წლის “დიდი რეცესიით”) (Keen, 2009; Werner, 2005; Turner, 2016).

მართალია საქართველოში შემოსავლების და სიმდიდრის პოლარიზაცია გამოწვეულია არა საბაზრო ეკონომიკის ევოლუციით, არამედ “შოკური პრივატიზაციით” და თავს მოხვეული ნეოლიბერალური პოლიტიკით, მაგრამ ეკონომიკის თვითბლოკირების მიზეზი იგივეა – წარმოების მონოპოლიზაცია და შემოსავლების და სიმდიდრის პოლარიზაცია. წარმოება ვერ ვითარდება, რადგან ერთობლივი შემოსავალი მცირეა და ისიც პოლარიზებულია, ხოლო შემოსავალი მცირეა და პოლარიზებულია იმიტომ, რომ წარმოება განუვითარებელია და ისიც მონოპოლიზირებულია. ამ წრიული კაუზალობის გამო ეკონომიკა მოექცა “ზაფანგში”, მოხდა მისი თვითბლოკირება. ამ აბსურდული და ყოველად უპერსპექტიო ვითარების შენარჩუნებაში ერთ-ერთ მთავარ როლს თამაშობს საბანკო სისტემა და ნეოლიბერალური მონეტარული პოლიტიკა, რომლებიც ეფუძნებიან სრულიად დისკრედიტირებულ ეკონომიკურ თეორიას.

“გამოდის, რომ ჩვენი ნაციონალური მიმოქცევის საშუალებები არსებობენ ბანკების საკრედიტო ოპერაციების წყალობით, რომლებიც სესხად გასცემენ არა ფულს, არამედ მხოლოდ დაპირებას, რომ გადაიხდიან ფულს, რომელიც მათ არა აქვთ.”

იოჰანზ ვიშმერი.

### 1. როგორ იქმნება საბანკო ფული?

საქართველოში ეკონომიკის ერთ-ერთ ყველაზე განვითარებულ სექტორად ითვლება საბანკო სექტორი. იგი ორგანიზებულია თანამედროვე მსოფლიო სტანდარტების მიხედვით. მაგრამ საქმე ისაა, რომ დასავლეთის საბანკო სისტემას და მონეტარულ პოლიტიკას თვითონ გააჩნიათ სერიოზული ნაკლოვანებები და გახდნენ მწვავე კრიტიკის ობიექტი თვითონ დასავლეთში. მთავარი წარმოდგენები თანამედროვე ფულის, კრედიტის და საბანკო საქმის შესახებ განსხვავდება რეალობისაგან. საზოგადოების უმრავლესობა არ არის ინფორმირებული იმის შესახებ, თუ რამდენად აბსურდული, სოციალურად უსამართლო და რისკების შემცველია კომერციული ბანკების საქმიანობა.

<sup>1</sup> კეინზის “ფსიქოლოგიური კანონის თანახმად” შემოსავლების ზრდასთან ერთად იზრდება “დაზოგვის ზღვრული მიდრეკილება” და მცირდება “მოხმარების ზღვრული მიდრეკილება”.

1. თანამედროვე საბანკო სისტემა, მათ შორის საქართველოშიც, არ ფუნქციონირებს ისე, როგორც ამას აღწერენ სახელმძღვანელოები. სახელმძღვანელოების თანახმად: 1) ბანკები არიან უბრალო შუამავლები დამზოგველებსა და მსესხებლებს შორის; და 2) ბანკები კრედიტებს აძლევენ მეწარმეებს ბიზნეს-პროექტებში ინვესტირების მიზნით. არც პირველი, არც მეორე დებულება არ შეესაბამება სინამდვილეს. ბანკები არიან არა შუამავლები, არამედ, თვით ქმნიან და ანაწილებენ ფულს დაკრედიტების პროცესში. ხოლო საწარმოო ინვესტიციების მიზნებზე გაიცემა კრედიტების მხოლოდ უმნიშვნელო ნაწილი. კრედიტების ძირითადი მასა გაიცემა უძრავი ქონების შესაძენად, სპეკულაციურ და სამომხმარებლო მიზნებზე. ბანკების ასეთი საქმიანობა მომგებიანია მათთვის, მაგრამ არ არის მომგებიანი საზოგადოებისთვის. მაგრამ საზოგადოება არ არის ინფორმირებული იმის შესახებ, რომ საბანკო სისტემა სრულიად ლეგალურად ახდენს საზოგადოების მსყიდველობითი უნარის გადანაწილებას თავის სასარგებლოდ და პრაქტიკულად უსასყიდლოდ ითვისებს საზოგადოების მიერ შექმნილ დოვლათს.

“თანამედროვე საბანკო სისტემა ფულს ქმნის არაფრიდან. ეს პროცესი ყველაზე უფრო დაუჯერებელი ფოკუსია, ვიდრე ოდესმე მოფიქრებულა. მეფასშეობა ჩაფიქრებულია უკანონობით და შობილია მანკიერებით. ბანკირებს ეკუთვნის მთელი მსოფლიო. წაართვით მათ იგი, მაგრამ დაუტოვეთ ფულის შექმნის ძალაუფლება და ისინი კალმის ერთი გაკვრით შექმნიან საკმარის ფულს, რათა უკანვე გამოისყიდონ იგი. ... წაართვით მათ ეს დიდი ძალაუფლება, და ყველა დაგროვილი დიდი სიმდიდრე, ისევე როგორც ჩემი, გაქრება, და ისინი უნდა გაქრეს კიდევ, რათა მსოფლიო გახდეს უკეთესი და უფრო ბედნიერი. მაგრამ თუ თქვენ გსურთ განაგრძოთ ბანკების მონობა და თან ფულიც იხადოთ საკუთარი მონობისათვის, მაშინ მიეცით უფლება ბანკირებს განაგრძონ ფულის შექმნა და სესხების მართვა.”

სმრ ჯ(ოზ)იან სტამპი, ინგლისის ბანკის მმართველი 1928-1941 წლებში, თავისი დროის მეორე უმდიდრესი ადამიანი ინგლისში (ციტ. წყარო: Grignon, 2009).

სახელმძღვანელოებში აღწერილი მულტიპლიკატორის მოდელი გულისხმობს, რომ კრედიტი გაიცემა მხოლოდ იმის შემდეგ, როდესაც ვინმე შეიტანს ფულს დეპოზიტზე. და თუ სარეზერვო ნორმა არის, მაგალითად, 10%, მაშინ კრედიტის სახით შეიძლება გაიცეს დეპონირებული თანხის 90%. მაგრამ თანამედროვე პირობებში კრედიტის გაცემა, როგორც წესი, არ საჭიროებს წინასწარ ფულის დეპონირებას. ფული გაიცემა საბანკო ფულის, ანუ დეპოზიტის შექმნის გზით, რომელიც წარმოადგენს სხვა არაფერს, თუ არა ელექტრონულ ფულს, ანუ კომპიუტერის მეხსიერებაში გაკეთებულ ჩანაწერს.

2. როგორ ხდება ეს რეალურ პირობებში?

თუ პავლეს სურს აიღოს კრედიტი \$1000, ბანკი აფორმებს მასთან კონტრაქტს, რომლის თანახმადაც პავლე იღებს ვალდებულებას დაუბრუნოს ბანკს ვალი შეთანხმებულ ვადებში. ეს არის პავლეს ვალდებულება ბანკის წინაშე, რომელიც, ხელმოწერის შემდეგ დებულობს კანონის ძალას. თუ პავლე არ დააბრუნებს ვალს, იგი დაკარგავს სახლს, მანქანას, ან რაიმე სხვა ძვირადღირებულ ქონებას, რომელიც ჩადებული იქნება გირაოში. ამის შემდეგ ბანკი გახსნის პავლეს სახელზე სადეპოზიტო ანგარიშს \$1000-ის თანხაზე. ეს უკვე არის ნაბკის ვალდებულება პავლეს წინაშე. მაგრამ პავლეს საბანკო ანგარიშზე დარიცხული ეს \$1000 არ იქნა გადმორიცხული რომელიმე სხვა ანგარიშიდან, არც ამავე ბანკის და არც სხვა ბანკის ანგარიშიდან. მოხდა მხოლოდ რიცხვების ჩაწერა ბანკის კომპიუტერების მეხსიერებაში.

3. ამასთან დაკავშირებით ინტერესს წარმოადგენს ამ პროცესის ინტერპრეტაცია პროფ. რიჩარდ ვერნერის მიერ. მის თანახმად, იურიდიული თვალსაზრისით, ის, რასაც ბანკი უწოდებს კრედიტის გაცემას, სინამდვილეში არ არის კრედიტის გაცემა. რადგან, როგორც წესი, კრედიტის გაცემა გულისხმობს, რომ კრედიტის სახით გაცემული საგანი, ფიზიკურად ამოღებული იქნება ერთი სუბიექტის მოხმარების სფეროდან და მოსახმარად გადაეცემა მეორე სუბიექტს. მაგრამ, თანამედროვე ბანკის მიერ კრედიტების გაცემის დროს არ ხდება ფულით სარგებლობის უფლების გადაცემა ერთი სუბიექტიდან მეორესათვის. აქ საერთოდ არ ხდება ფულის, როგორც მსყიდველობითი უნარის, საიდანმე ამოღება. ამიტომ ეს პროცესი არ არის კრედიტის გაცემა სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით. ბანკები არ გასცემენ ფულს კრედიტების სახით, არამედ ქმნიან მას.

“ფული არ იყო ბანკის მიერ ამოღებული სხვა გამოყენების სფეროდან. იგი არ იყო გადმოტანილი ან გადმორიცხული ეკონომიკის რომელიმე სხვა ნაწილიდან. მეტიც, მართალია იგი ნაჩვენებია როგორც დეპოზიტი, ფაქტობრივად იგი არ იყო დეპონირებული ვინმეს მიერ. ბანკმა უბრალოდ შექმნა ფული ციფრების ჩაწერით თავის საბუღალტრო წიგნებში და კლიენტების საჩუქრად წიგნაკებში. ფაქტიურად ბანკი ქმნის ილუზიას, თითქოს მისმა მსესხებელმა შეიტანა დეპოზიტი, რაც რეალურად არ მომხდარა. განსხვავებით იმისაგან, რაც წერია სახელმძღვანელოებში, ჩვენ ვხედავთ, რომ ყოველ ინდივიდუალურ ბანკს შეუძლია ასე შექმნას ფული, როდესაც იგი გასცემს სესხს. ამ ჭეშმარიტების ჩვენება სახელმძღვანელოებში ... ასწავლიდა სტუდენტებს თუ სინამდვილეში რას აკეთებენ ბანკები: ისინი ქმნიან ფულს არაფრიდან. ბანკი მხოლოდ ახდენს იმის სიმულირებას, თითქოს მას აქვს სესხის თანხა, რომლითაც დაკრედიტებულია მავანის ანგარიში, და არავინ იცის ამ განსხვავების შესახებ.”

(Werner, 2005)

რ. ვერნერი ბანკების ასეთ ქმედებას განიხილავს არა როგორც კრედიტის გაცემას, არამედ უფრო როგორც ფასიანი ქაღალდებით ვაჭრობას.



როდესაც კლიენტი ხელს აწერს საკრედიტო შეთანხმებას, კანონის თანახმად იქმნება ფასიანი ქაღალდი. ეს არის კლიენტის სავალო ვალდებულება ბანკის წინაშე. ბანკი ყიდულობს კლიენტისაგან ამ სავალო ვალდებულებას. წმინდა იურიდიული თვალსაზრისით სწორედ ეს ხდება კომერციულ ბანკებში. მაგრამ რით იხდის ბანკი ამ ფასიანი ქაღალდის საფასურს? საფასურს იგი იხდის შემხვედრი ვალდებულებით. კერძოდ, ბანკი ხსნის კლიენტის სახელზე მოთხოვნამდე დეპოზიტს. ეს ახლად შექმნილი დეპოზიტი სწორედაც არის ახალი ფული, ახალი მსყიდველობითი უნარი, რომელიც ბანკმა შექმნა “არაფრიდან” უბრალოდ ციფრების ჩაწერით კლიენტის სადეპოზიტო ანგარიშზე. ეს ფული არსაიდან იყო აქ გადმორიცხული.

ყოველივე ეს მოწმობს იმაზე, რომ კერძო ბანკები არიან არა უბრალოდ შუამავლები დამზოგველებსა და მსესხებლებს შორის, არამედ საბანკო ფულის შექმნელები. და ესე იგი ის, რასაც წერენ სახელმძღვანელოებში რადიკალურად განსხვავდება იმისაგან, რაც ხდება სინამდვილეში.<sup>2</sup>

“როგორც კი გავაცნობიერებთ, რომ ... “კრედიტებით” გამყარებული მოთხოვნა არსებითად იგივე გზით ზემოქნედებს ფასებზე, როგორც გადახდის კანონიერი საშუალებებით გამოწვეული მოთხოვნა, ჩვენ ვაღვაწავართ საკრედიტო სტრუქტურის სასარგებლო თეორიის გზას.”

იოზეფ შუმპეტერი, 1954.

## 2. საკრედიტო ფული

1. მსყიდველობითი უნარის ან ფასებზე ზემოქმედების თვალსაზრისით საბანკო ფული, როგორც კრედიტი, არ განსხვავდება ნაღდი ფულისაგან. 1000 ლარი, რომელიც კლიენტს ნაღდი ფულის

სახით შეაქვს თავის საბანკო ანგარიშზე საღაროს მეშვეობით ისევე ასრულებს თავის ფუნქციებს, როგორც სხვა ანგარიშიდან გადმორიცხული 1000 ლარი (ამასთან, შესაძლოა იმ “სხვა” ანგარიშზე ფული შექმნილი იყო “არაფრიდან” კრედიტის გაცემის დროს).<sup>3</sup> (Werner, 2005).

ცხადია, ბანკის კლიენტებს თავიანთ ანგარიშზე დარიცხული ფული სჭირდებათ გამოსაყენებლად. მაგრამ თუ ეს ფული არსებობს მხოლოდ როგორც რიცხვების ჩანაწერი საბანკო კომპიუტერების მეხსიერებაში, როგორ გამოიყენებენ ისინი ასეთი ელექტრონული ფორმით არსებულ ფულს რეალურ ეკონომიკურ პროცესებში? დეპოზიტების მფლობელებს ხომ სჭირდებათ ფული და არა ციფრები კომპიუტერების მეხსიერებაში? საქმე ისაა, რომ უმრავლეს შემთხვევაში კლიენტებს არ სჭირდებათ ნაღდი ფულის გამოტანა ბანკებიდან, რადგან 95%-ზე მეტი გადახდები თანამედროვე ეკონომიკაში ხორციელდება უნაღდო ფორმით, ანუ ტრანსაქციების დიდი უმრავლესობა ხდება “ანგარიშიდან ანგარიშზე”, და არა “ხელიდან ხელში”. ამიტომ ადგილი აქვს კომპიუტერების მეხსიერებაში ჩაწერილი წიფრებით მანიპულირებას. ხოლო ნაღდი ფულზე მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად, ბანკებს სჭირდებათ ძალზე უმნიშვნელო რეზერვები. რადგან, როგორც აღინიშნა, რეალურ ეკონომიკაში ნაღდი ფულით ტრანსაქციების რაოდენობა 5%-ზე ნაკლებია და, შესაბამისად, ბანკებიდან ნაღდი ფულის გატანის მსურველებიც ცოტაა.

მართალია, საზოგადოებამ არ იცის, რომ მიმოქცევაში არსებული ფულის 95%-ს შეადგენს საბანკო დეპოზიტები და რომ ამ საბანკო ფულს

2 “... ეს გარემოება არსებითად ცვლის ანალიტიკურ სიტუაციას და სრულიად მიუდებელს ხდის საბანკო კრედიტის გაცემას, როგორც არსებული სახსრებისა, რომლებიც, წმინდათა წარმოსახვითი დაზოგვის მეშვეობით ამოღებულ იქნა წინა გამოყენების სფეროდან და შემდეგ გაცემულ იქნა სესხის სახით მისი მფლობელის მიერ. გაცილებით უფრო რეალურია, თუ ვიტყვით, რომ ბანკები “ქმნიან კრედიტს”, ანუ, რომ ისინი ქმნიან დეპოზიტს კრედიტის გაცემისას, ვიდრე იმის თქმა, რომ ისინი გასცემენ დეპოზიტებს, რომლებიც მიზარებული იყო მათთვის. და ამას ამტკიცებს ის, რომ დეპოზიტორები არ გააკეთებდნენ ინვესტიციებს იმ როლში, რომელიც მათ მიაწერეს, მაგრამ რომელსაც ისინი არ თამაშობენ. თეორია, რომელსაც ასე დაუინებთ ეპოტინებიან ეკონომისტები, წარმოგვიჩენს მათ დამზოგველებათ, მაშინ, როდესაც ისინი არ ახდენენ დაზოგვას და არც აპირებენ ამის გაკეთებას. “კრედიტის შექმნის” თეორია არა მხოლოდ აღიარებს აშკარა ფაქტებს მათი ხელოვნური კონსტრუქციებით მიჩქმალვის გარეშე, იგი აგრეთვე ავლენს დაზოგვის და ინვესტირების სპეციფიურ მექანიზმს, რომელიც დამახასიათებელია სრულფასოვანი კაპიტალისტური საზოგადოებისთვის და ბანკების ჭეშმარიტ როლს კაპიტალიზმის ევოლუციაში” (Schumpeter, 1954, p. 1114).

3 მე-20 საუკუნის დასაწყისში კრედიტის არსებითი როლი მაკროეკონომიკურ თეორიაში უკვე იყო იმდენად ფართოდ აღიარებული, რომ აისახა კიდევ Encyclopaedia Britannica-ს მე-11 გამოცემაში (1910 წ.): “კრედიტების განუზომელმა ზრდამ და მათ რეალიზებამ ინსტრუმენტებში, რომლებიც შეიძლება იყვნენ გამოყენებული როგორც ფულის შემცვლელი, განაპირობებს ფულის ღირებულების შესახებ შეხედულებების გაერცვლება, რომელსაც შეიძლება ეწოდოს “საკრედიტო თეორია”. ამ დოქტრინის მიმდევრების თანახმად, ლითონის ფულის ფაქტიურ რაოდენობას აქვს მხოლოდ მიზერული გავლენა ფასების დონეზე და, შესაბამისად, ფულის ღირებულებაზე. ის, რაც სინამდვილეში მნიშვნელოვანია, ეს არის მიმოქცევაში საკრედიტო ინსტრუმენტების მოცულობა. მათ რაოდენობაზე დამოკიდებული ფასების ცვლილებები. საბითუმო ბაზარზე ოქრო გახდა მხოლოდ წვრილი გასაცვლელი მონეტა და მის რაოდენობას, როგორც ფასების დეტერმინანტს, ნაკლები მნიშვნელობა აქვს.” Encyclopaedia Britannica, 1910 (cit. wyaro: Werner, 2005).

ბანკები ქმნიან “არაფრიდან”, მაგრამ თვითონ ბანკირებმა იციან ამის შესახებ.<sup>4</sup>

2. თუ კრედიტების გაცემის დროს იქმნება საბანკო ფული, იგი ასევე ნადგურდება ვალის დაბრუნებისას. ეკონომიკაში კრედიტების გაცემის და ვალების დაბრუნების პროცესში ბანკები ყოველდღიურად მასიურად ქმნიან და ანადგურებენ ფულს. ბანკები პერმანენტულად უნდა ქმნიდნენ ახალ კრედიტებს, რათა შეეძლოთ დაბრუნებული ვალების კომპენსირება. იმაზე, თუ როგორია რისკისადმი მიდრეკილება, და რამდენად აქტიურად ხდება ახალი კრედიტების გაცემა, და რამდენი მოვალე აბრუნებს ვალს, დამოკიდებულია გაიზრდება თუ შემცირდება ეკონომიკაში ფულის მასა, ერთობლივი მოთხოვნა და ეკონომიკური ზრდის ტემპები.

ბუნებრივია იბადება კითხვა - ბანკებისათვის რა აზრი აქვს კრედიტების გაცემისას ფულის შექმნას, თუ ვალის დაბრუნებისას ეს ფული ისევ ნადგურდება? საქმე ისაა, რომ მთელი ეს პერიოდი - კრედიტების გაცემიდან ვალების დაბრუნებამდე - ბანკები იღებენ პროცენტს. ეს არის მათი შემოსავალი. გარდა ამისა, ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ, მართალია კრედიტების გაცემისას ფული იქმნება “ჰაერიდან”, მაგრამ მსესხებელმა გირაოში უნდა ჩადოს რეალური აქტივები (სახლი, მიწის ნაკვეთი, ბინა, მანქანა და სხვ.) ვალის დაუბრუნებლობის შემთხვევაში, ბანკი სრულიად კანონიერ საფუძველზე ითვისებს ამ ქონებას, რომელსაც აქვს რეალური ღირებულება. ანუ, ვალის დაუბრუნებლობის შემთხვევაში, ფიქტიური ფულის სანაცვლოდ ბანკი ღებულობს კომპენსაციას რეალური აქტივებით.

3. გარდა იმისა, რომ ბანკები ქმნიან ეკონომიკაში მსყიდველობით უნარს, ძალზე მნიშვნელოვანია ისიც, რომ ისინი თვითონვე ანაწილებენ მას მსესხებლებს შორის, რადგან ბანკები იღებენ საბოლოო გადაწყვეტილებას თუ ვის და რა მიზნებისათვის მისცენ კრედიტი და ვის უთხრან უარი. ცხადია ბანკები, როგორც კერძო ორგანიზაციები, ამ გადაწყვეტილებებს ღებულობენ საკუთარი ინტერესებიდან გამომდინარე. ამასთან, ეკონომიკისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, თუ რა მიზნებზე გაიცემა კრედიტები, რამდენად უწყობენ

ხელს მშპ-ის ზრდას ამ კრედიტებით დაფინანსებული ოპერაციები. ამაზეა დამოკიდებული თუ რას ექნება ადგილი, აქტივებზე ფასების ზრდას, რესურსების არაეფექტიან განაწილებას, საფინანსო “ბუშტის” ფორმირებას და ფინანსურ კრიზისს, თუ პირიქით, ახალი პროდუქტების და მომსახურების შექმნას, მწარმოებლურობის ზრდას და ეკონომიკის არაინფლაციურ ზრდას (Ryan-Collins ..., 2012; Turner, 2016; Werner, 2016; Keen, 2009)

ისტორია მოწმობს, რომ ბანკები უპირატესობას ანიჭებენ კრედიტების გაცემას ფინანსური და სპეკულაციური ოპერაციებისათვის, უძრავი ქონების საყიდლად, რომლებიც ხშირად იძლევიან სწრაფ მოგებას, ან დაკავშირებული არიან დაბალ რისკებთან, მაგრამ არ შეაქვთ წვლილი მშპ-ის ზრდაში. ტრანსაქციები, რომლებიც გავლენას ახდენენ მშპ-ის ზრდაზე, წარმოადგენენ მთლიანად ეკონომიკაში განხორციელებული ტრანსაქციების მხოლოდ ნაწილს. მაგრამ ისეთ ტრანსაქციებს, რომლებიც დაკავშირებულია ფინანსურ სპეკულაციებთან, უკვე არსებული აქტივების (უძრავი ქონების, ნახშიარი მანქანების და სხვ.) ყიდვასთან და ა.შ., არ შეაქვთ წვლილი ნომინალური მშპ-ის ზრდაში.

ამასთან აღსანიშნავია, რომ სახელმძღვანელოების თანახმად ფულის რაოდენობრივ განტოლებაში, რომელიც წარმოადგენს თანამედროვე მონეტარული პოლიტიკის ფორმირების ლოგიკურ საფუძველს, ნომინალური მშპ გამოხატავს ყველა ტრანსაქციის მთლიან ღირებულებას. შესაბამისად, თუ იზრდება ტრანსაქციების ღირებულება, რომლებიც არ არიან დაკავშირებული მშპ-თან, მაშინ მშპ ვერ ასახავს ადეკვატურად ტრანსაქციების სერთო ღირებულების ცვლილებებს. ცხადია, ასეთ მცდარ თეორიაზე დაფუძნებული მონეტარული პოლიტიკა ვერ იქნება ეფექტიანი.

4. ზემოთქმული ახასიათებს საერთოდ თანამედროვე საბანკო სისტემას. მაგრამ საქართველოში მიმდინარე პროცესების უფრო სრული სურათის შესაქმნელად, საჭიროა გავითვალისწინოთ, ჯერ-ერთი, ეკონომიკის ძალზე დიდი გახსნილობა (იმპორტის წილი მშპ-ში შეადგენს 50%-ზე მეტს) და, მეორეც, დოლარიზაციის მაღალი დონე. დო-

აი რას წერენ ისინი: “ფულის შექმნაში გაცილებით უფრო მნიშვნელოვან როლს თამაშობს საბანკო სექტორი. ... როდესაც ბანკები გასცემენ კრედიტებს, ისინი ქმნიან დამატებით დეპოზიტებს მათთვის, ვინც იღებს ვალს.” (Bank of England, 2007); “... ფულის მასის ცვლილებები პირველ რიგში ასახავენ საბანკო დაკრედიტების განვითარებას, როგორც ახალი დეპოზიტების შექმნას.” (Bank of England, 2007); “რადგან დეპოზიტები და საბანკო დაკრედიტება თითქმის იდენტურია, ფული და კრედიტი ხშირად გამოიყენება თითქმის თანაბრად, როგორც ურთიერთ ჩანაცვლებადი ცი ... “ (Bank of England, 2008); “ყოველ ჯერზე და ყოველთვის, როდესაც ბანკი ქმნის კრედიტს, იქმნება ახალი დეპოზიტი – ბრენდი ახალი ფული.” (გრეგორი ტოუერსი, კანადის ცენტრალური ბანკის ყოფილი მმართველი, 1939); “ევროსისტემაში, ფული იქმნება, პირველ რიგში, საბანკო კრედიტის გაფართოების ზრდის მეშვეობით. ... კომერციულ ბანკებს თვით შეუძლიათ ფულის შექმნა, ეგრედ წოდებული “ქირო-ფული”.” (Bundesbank, 2009); “ემორჩილებიან რა მხოლოდ (მაგრამ მკაცრად) რწმენას თავიანთი გადახდისუნარიანობის თაობაზე, ბანკები ზრდიან კრედიტს უბრალოდ მსესხებლების მიმდინარე ანგარიშების ზრდით, რომელიც შეიძლება იყოს გადახდილი ნებისმიერ ადგილას, სადაც ისურვებს მსესხებელი, ბანკის “საკუთარ თავზე გამოწერილი ჩეკის” მეშვეობით. ანუ ბანკები ზრდიან კრედიტს ფულის შექმნის გზით.” (პოლ ტაკერი, ინგლისის ბანკის მმართველის მოადგილე და მონეტარული პოლიტიკის კომიტეტის წევრი, 2007). [ციტ. წყარო: Grignon, 2009].





ლარიზაციის დონის შესამცირებლად გატარებული დონისძიებების მიუხედავად, მრავალი მსხვილი გარიგება რეალურად ხდება დოლარებში და დოლარზე მოთხოვნა დიდია. კრედიტების დიდი რაოდენობა გაიცემა დოლარებში. ეს ნიშნავს იმას, რომ კომერციული ბანკები “არაფრიდან” ქმნიან უნაღდო დოლარებს ისევე, როგორც უნაღდო ლარებს. ამიტომ სავალუტო კურსი დიდად არის დამოკიდებული არა მარტო ექსპორტის და იმპორტის თანაფარდობაზე, ან უცხოურ ინვესტიციებზე, არამედ კომერციული ბანკების საქმიანობაზეც, იმაზე, თუ რომელ ვალუტაში გაიცემა კრედიტები და როგორია ლარებში და დოლარებში გაცემული კრედიტების თანაფარდობა. თუ დოლარიზაციის შემცირების მიზნით ეროვნული ბანკი შეეცდება გააღწიოს იქონიოს კომერციულ ბანკებზე, რათა შეზღუდონ კრედიტები დოლარებში, ამის შედეგი იქმნება ლარის კურსის ვარდნა, რადგან შეიცვლება მიმოქცევაში არსებული ლარის და დოლარის მასების თანაფარდობა. როგორც წესი, სავალუტო კურსის მკვეთრი ცვლილებების მიზეზების ახსნისას, ეს ფაქტორი ნაკლებად არის გათვალისწინებული ეკონომიკური ექსპერტების მიერ. ამიტომ კურსის მკვეთრი რყევები ხშირად რჩება აუხსნელი, რაც ხელს უშლის ადეკვატური მონეტარული პოლიტიკის შემუშავებას. მაგრამ სავალუტო კურსის მკვეთრი ცვლილებები დაკავშირებულია არაერთგვაროვან პროცესებთან (შესაძლოა დადებითად მოქმედებდნენ სავაჭრო ბალანსზე, მაგრამ უარყოფითად - მსესხებლების გადახდის უნარიანობაზე და ფინანსურ სტაბილურობაზე ან, პირიქით).

“ის ვინც აკონტროლებს ფულის რაოდენობას ჩვენს ქვეყანაში, არის მთლიანად მრეწველობის და ვაჭრობის სრული ბატონ-პატრონი. ... და როდესაც თქვენ გესმით, რომ სისტემა ძალზე მარტივად იმართება სხვადასხვა გზებით პირამიდის თავში მყოფი რამდენიმე გავლენიანი ადამიანის მიერ, მაშინ აღარაა საჭირო თქვენთვის იმის ახსნა, თუ როგორ იბადება ინფლაციის და დეპრესიის პერიოდები.”

ჯეიმს ბარფილდი,  
ამერიკის პრეზიდენტი, 1981 წ.

3. საბანკო სისტემა და ფინანსური არასტაბილურობა

1. როგორც აღინიშნა, კრედიტების გაცემისას იქმნება ფული, ხოლო ვალების დაბრუნებ-

ისას – ნადგურდება. მაგრამ კრედიტზე ირცლება პროცენტი. ეს იმას ნიშნავს, რომ ბანკს უნდა დაუბრუნდეს მეტი ფული, ვიდრე შეიქმნა კრედიტების გაცემისას. რა წყაროდან იქმნება ეს ფულის ნამეტი პროცენტების გადასახდელად? ცალკეული მსესხებლების შემთხვევაში, ცხადია, რომ პროცენტის გადახდის წყარო არის მათი მომავალი შემოსავლები. ვისი შემოსავლებიც არ იქნება საკმარისი პროცენტების გადასახდელად ის გაკოტრდება და ბანკები მიითვისებენ გირაოში ჩადებულ ქონებას. მაგრამ, თუ განვიხილავთ მთლიანად ეკონომიკას, მაშინ სრულიად იცვლება საკითხისადმი მიდგომა. მთლიანად საბანკო სისტემას უნდა დაუბრუნდეს მეტი ფული, ვიდრე გაცემული იქნა კრედიტების სახით. და რადგან ფული იქმნება კრედიტების სახით, და კრედიტებს ქმნიან ბანკები, ამიტომ კრედიტების დასაფარი ფულისათვის ასევე საჭიროა კრედიტები, რომელსაც ასევე ერიცხება პროცენტები და რომლის დასაფარავად ისევე საჭიროა პროცენტიანი კრედიტები და ა.შ. ამის შედეგად პროცენტების და კრედიტების რაოდენობა გამუდმებულად იზრდება. შესაბამისად იზრდება ფულის მასაც და ინფლაციაც, მცირდება ფულის მსყიდველობითი უნარი და აქედან მთელ სარგებელს დებულობენ ბანკები.

2. სასაქონლო მასასთან მიმართებაში ფულის მასის წინმსწრები ზრდა ვერ გაგრძელდება უსასრულოდ. წარმოიშვება ფინანსური ბუშტი, რომელიც სკდება, რასაც გარდუვალად მოსდევს საფინანსო (და ხშირად, ეკონომიკური) კრიზისი.

“50 წლის განმავლობაში კერძო სექტორის საკრედიტო მხარი (კრედიტი გაყოფილი მშპ-ზე) სწრაფად გაიზარდა ყველა განვითარებულ ქვეყანაში; 1950 წლიდან 2006 წლამდე იგი გასამმაგდა. ... საკრედიტო მხარი გაიზარდა იმიტომ, რომ კრედიტი იზრდებოდა უფრო სწრაფად, ვიდრე ნომინალური მშპ. ორი ათწლეულის მანძილზე 2008 წლამდე, მრავალ განვითარებულ ქვეყანაში ტიპური სურათი იყო ის, რომ კრედიტი იზრდებოდა წელიწადში 10-15%-ით, ხოლო ნომინალური ეროვნული შემოსავალი – 5%-ით. მაშინ ისე ჩანდა, თითქოს კრედიტების ასეთი ზრდა აუცილებელი იყო ადეკვატური ეკონომიკური ზრდის უზრუნველსაყოფად. ... ისე ჩანს თითქოს ჩვენთვის აუცილებელია კრედიტების უფრო სწრაფი ზრდა მშპ-სთან შედარებით იმისთვის, რომ შევინარჩუნოთ ეკონომიკური ზრდა მისაღებ დონეზე, მაგრამ ამას გარდუვალად მიყვავართ კრიზისამდე ვალების წნეხის ზრდამდე და პოსტკრიზისულ რეცესიამდე.” (Turner, 2016, p. 7)

5 “ისევე როგორც ფულის მასა იზრდება საბანკო მულტიპლიკატორის შესაბამისად, კრედიტების “არაფრიდან” შექმნით გამოწვეული ეკონომიკური კრიზისი, საბოლოო ანგარიშით, იწვევს ენდოგენურ ვარდნას, რომელიც, მკვეთრად ამცირებს ფულის მასას. ეს ხდება კრედიტების ნაადრევი დაფარვის და საკრედიტო დავალიანებების მოცულობის ზრდის ფართოდ გავრცელების გამო. ამიტომ, ნაწილობრივი რეზერვების საბანკო სისტემა ქმნის ძალზე ელასტიურ ფულის მასას, რომელიც ადვილად “იწვლება”, მაგრამ შემდეგ ასევე ადვილად უნდა შეიკუმშოს, რაც შესაბამის გავლენას ახდენს ეკონომიკურ აქტიობაზე, რომელიც პერიოდული თანმიმდევრობით გაივლის აღმავლობის და ვარდნის სტადიებს. ეკონომიკური აქტიობის “მანიკალურ-დეპრესიული” ხასიათი, ყველა თავისი მიმე და მტკივნეული სოციალური შედეგებით, უდაოდ წარმოადგენს თანამედროვე საბანკო სისტემის მიერ საზოგადოებაზე განხორციელებულ ყველაზე დამღუპველ და დამანგრეველ ზემოქმედებას” (de Coto, 2008, c. 196-197).

თუ მიკრო დონეზე ყოველი კერძო ბანკი თვითონ ქმნის, და თვითონვე ანაწილებს ფულს და მსყიდველობით უნარს, ეს ნიშნავს იმას, რომ მაკრო დონეზეც მსყიდველობითი უნარის და ფულის განაწილება ქვეყანაში დამოკიდებულია კერძო ბანკების გადაწყვეტილებებზე და მათ ინტერესებზე. ამიტომ, კომერციული ბანკების კოლექტიურ გადაწყვეტილებებზე დიდად არის დამოკიდებული ეკონომიკის რომელ სექტორში განხორციელდება ინვესტიციები, რომელი დარგები განვითარდება, როგორი იქნება ექსპორტის და იმპორტის თანაფარდობა, ეკონომიკის გახსნილობა, მსხვილი და მცირე ბიზნესის თანაფარდობა, დასაქმება, ინფლაცია, ეკონომიკური ზრდის ტემპები და ა.შ. ფაქტიურად კომერციული ბანკების მფლობელები, კერძო პირთა მცირე ჯგუფი, თავიანთი კერძო ინტერესებიდან გამომდინარე, არაფორმალურად წყვეტენ თუ როგორ უნდა განვითარდეს ქვეყნის ეკონომიკა, მიუხედავად იმისა, რომ მათთვის ეს უფლება არავის მიუნიჭებია. ამის შესაძლებლობა მათ მიანიჭა თვით საბანკო სისტემამ.<sup>6</sup>

“... ბანკირი, საბოლოო ანგარიშით, ითვისებს ამ სახსრებს და მიიწვევს მათ თავის საკუთრებად. მოკლედ ბანკები ავროვებენ უდიდეს სიმდიდრეს ძირითადად საგადასახდელ საშუალებების შექმნის გზით და სხვა პირთა საზარალოდ. მაგრამ, ბანკების მიერ მიყენებული ზიანი, რომელიც მდგომარეობს თანდათან ფარდობით მსყიდველობითი უნარის შემცირებაში, ძალიან განზოგადებულია და განზავებულია. ეს პროცესი მიმდინარეობს პერმანენტულად და დაკავშირებულია საბანკო სისტემაში გადახდის საშუალებების არაფრიდან შექმნასთან. სიმდიდრის შეუნერებელი გადანაწილება ბანკირების სასარგებლოდ ხდება მუდმივად, სანამ საბანკო მეწარმეობა არ განიცდის რაიმე რყევებს და აქტივები განაგრძობენ ბანკების ბალანსების ზრდას კრედიტების და ინვესტიციების ფორმით, რომლებიც გამყარებულია არაფრიდან შექმნილი დეპოზიტებით” (de Coto, 2008, c. 153).

როდესაც კრედიტები გაიცემა არასაწარმოო ოპერაციებისთვის, მაშინ ადგილი აქვს ახალი ფულის შექმნას, მაგრამ არ იქმნება საქონელი და მომსახურება. თუ ასეთი კრედიტების მოცულობა უზომოდ გაიზრდება, ეს შექმნის არასტაბილურობას მთლიანად ეკონომიკაში, რადგან ასეთი ოპერაციების შედეგად არ იქმნება საქონელი და მომსახურება, არ იქმნება ახალი შემოსავლები, რომლებით აუცილებელია ვალების მომსახურებისთვის, თავნის და პროცენტის დასაფარად.<sup>7</sup> ხოლო თუ მოხდება ბიზნესინვესტიციების დაკრედიტება, მაშინ იქმნება საქონელი და მომსახურება, სამუშაო ადგილები და შემოსავლები. შესაძლებელი ხდება ვალების მომსახურება, ხოლო ეკონომიკა ეფექტიანად ფუნქციონირებს ინფლაციის და უმუშევრობის გარეშე.

4. ნეოლიბერალური პოლიტიკა მეტ თავისუფლებას ანიჭებს ბანკებს. ასეთ პირობებში, კერძო ბანკები ცდილობენ დააკრედიტონ მოკლევადიანი და ნაკლებ სარისკო პროექტები. კრედიტების უმეტესობა გაიცემა იმპორტის, ვაჭრობის, უკვე არსებული უძრავი ქონების შექმნის, სამომხმარებლო მოთხოვნის, სპეკულაციური გარიგებების დასაფინანსებლად. ნაკლებად ხდება გრძელვადიანი საწარმოო ინვესტიციების დაფინანსება. ბანკების მიერ შექმნილი ფულის უდიდესი ნაწილი მიემართება უძრავი ქონების და სამომხმარებელ ბაზრებზე, როგორც აღინიშნა, ამის შედეგად იზრდება ფასები ბინებზე, მიწის ნაკვეთებზე, მანქანებზე, სამომხმარებლო ტექნიკაზე, ფასიან ქაღალდებზე. ეს ფული ხელს არ უწყობს უშუალოდ სამუშაო ადგილების შექმნას.<sup>8</sup> ისინი მხოლოდ ზრდიან ცხოვრების ღირებულებას, ეკონომიკურ უთანაბრობას, ფინანსურ არასტაბილურობას და წარმოშობენ კრიზისებს. (Turner, 2016; Werner, 2016)

6 “ორივე საქმიანობა - დეპოზიტების შექმნა და ბანკოტების ემისია - ახდენს მნიშვნელოვანი აქტივების გენერირებას ბანკებისათვის, რომლებიც თანდათან ართმევენ ამ სიმდიდრეს ბაზრის ყველა სხვა მონაწილეს ისეთი პროცესის მეშვეობით, რომლის ვერც გაგება, და ვერც იდენტიფიცირება საბაზრო აგენტებს არ შეუძლიათ, - პროცესისა, რომელიც იწვევს ამ ქვეყანაში გამოყენებული ფულის ერთეულის მსყიდველობითი უნარის შეუმჩნეველ დაქვეითებას. საკრედიტო ექსპანსია ხორციელდება ახალი დეპოზიტების და ბანკოტების შექმნით და რადგან საზოგადოების სუბიექტური თვალსაზრისით ისინი ითვლება ფულად, ამიტომ ნორმალურ პირობებში ისინი არასოდეს იქნება ამოღებული. ამ გზით ბანკები ითვისებენ უზარმაზარ სიმდიდრეს, რომელსაც ისინი, საბუღალტრო თვალთახედვით, უზრუნველყოფენ დეპოზიტებით და ბანკოტებით, რაც საშუალებას აძლევთ მათ შენიღბონ ის ფაქტი, რომ ეკონომიკური თვალსაზრისით, ბანკები არიან ერთადერთი ბენეფიციარები, რომლებიც დე ფაქტო დებულობენ მთელ მოგებას ამ აქტივებიდან. ამგვარად მათ აღმოაჩინეს ფინანსირების უშრეტო წყარო, რომლის დაბრუნებასაც, როგორც ჩანს, მათ არ მოსთხოვენ, ანუ “სესხი”, რომელიც მათ არასოდეს უნდა დააბრუნონ (არსებითად “საჩუქარი”)” (de Coto, 2008, c. 188).

7 ფინანსური სპეკულაციების სფეროში, მართალია, ცალკეული ოპერაციები შეიძლება იყოს მომგებიანი, მაგრამ, მთლიანობაში, ამ სფეროში ადგილი აქვს მხოლოდ შემოსავლების გადანაწილებას და ერთის მოგება დაკავირებულია ვიღაცის ზარალთან. ცხდია, ასეთ პირობებში სპეკულაციურ მიზნებზე გაცემული კრედიტების ნაწილი ვერ დაბრუნდება (და “ჰაერიდან” შექმნილი ფულის სანაცვლოდ ბანკები მითვისებენ გირაოში ჩადებულ რეალურ ქონებას).

8 მართალია, არაპირდაპირ, ერთობლივი მოთხოვნის ხელშეწყობით, სამომხმარებლო კრედიტები გაგლენას ახდენენ წარმოების სტიმულირებაზე, მაგრამ, როგორც მართებულად ამტკიცებს ჰ. მინსკის “ფინანსური არასტაბილურობის ჰიპოთეზა”, და როგორც ამას ადასტურებენ რეალური პროცესები, საკრედიტო ექსპანსიის გზით მოთხოვნის და ეკონომიკური ზრდის ხელშეწყობა გამყარდება კრიზისით.



“მთავრობა უნდა ქმნიდეს, უშუალოდ და უზრუნველყოფდეს მთელი იმ ფულის და კრედიტების მიმოქცევას, რომელიც აუცილებელია მთავრობის ხარჯების და მომხმარებელთა მსყიდველობითი უნარის დასაცავად. ამ პრინციპის გაზიარებით გადასახადის გადამხდელები დაზოგავენ სესხთან დაკავშირებული პროცენტების უზარმაზარ თანხებს. ფულის შექმნის და გამოშვების პრივილეგია არის მთავრობის არა მხოლოდ უმაღლესი პრეროგატივა, არამედ უდიდესი შემოქმედებითი შესაძლებლობებიც მისთვის.”

აბრაამ ლინკოლნი, აშშ-ის მე-16 პრეზიდენტი 1861-1865 წლებში.

4. საბანკო სისტემის რეფორმები

1. საბანკო სისტემის ფუნქციონირების გასაუმჯობესებლად არსებობს მრავალი პროექტი. ზოგი მადგანი შედარებით იოლად განსახორციელებელია, ზოგიც საჭიროებს რადიკალურ რეფორმებს. მაგალითად სახელმწიფომ შეიძლება განახორციელოს კონტროლი არა მარტო კრედიტების მოცულობაზე, არამედ იმაზეც თუ როგორ განაწილდეს კრედიტი ეკონომიკის დარგებს შორის და რამდენად შეიზღუდოს არამწარმოებლური კრედიტები (სამომხმარებლო ან სპეკულაციური მიზნებისათვის) (Werner, 2005). 2008 წლის კრიზისის შემდეგ ასეთ პრაქტიკას მიმართეს ზოგიერთ ქვეყანაში. მაგალითად, ინგლისის ბანკმა უპირატესობა მიანიჭა მცირე და საშუალო ბიზნესის დაკრედიტებას, ევროპის ბანკმა – იპოთეკურ კრედიტებს, ჩინეთის ბანკმა – აგრარულ კრედიტებს და მცირე ბიზნესს, კორეის ბანკმა – მცირე და საშუალო ბიზნესს (Turner, 2015)

2. გერმანიის გამოცდილებაზე დაყრდნობით ვერნერი გთავაზობს რეფორმების თავისებულ ხედვას. იგი სამართლიანად მიიჩნევს, რომ საბანკო სისტემის მთავარ კანონზომიერებას წარმოადგენს ის, რომ დიდი ბანკები დიდი კრედიტებით აკრედიტებენ დიდ მსესხებლებს. მათთვის დამახასიათებელია მასშტაბური ფინანსური სპეკულაციების დაკრედიტებისკენ მიდრეკილება. ისინი ნაკლებად ინტერესდებიან მცირე ბიზნესით, ხოლო მცირე ზომის ბანკები ძირითადად აკრედიტებენ მცირე და საშუალო ზომის ფირმებს. რატომ არის მნიშვნელოვანი მცირე და საშუალო ბიზნესის ფინანსირება? იმიტომ რომ მათ აქვთ დიდი მნიშვნელობა ეკონომიკის განვითარებისთვის: 1) უმრავლეს ქვეყანაში მცირე და საშუალო ზომის საწარმოები ახორციელებენ ერთობლივი ინვესტიციების 20-30%-ზე მეტს; 2) ისინი უზრუნველყოფენ დასაქმების დაახლოებით 70%-ს; 3) ფული, რომელიც ინვესტირებულია მცირე და საშუალო ბიზნესში, ქმნის გაცილებით მეტ სამუშაო ადგილს, ვიდრე იგივე ფული, ინვესტირებული მსხვილ კომპანიებში. ამიტომ ეკონომიკას სჭირდება მცირე ზომის ბანკები.

3. არსებობს რადიკალური ცვლილებების პროექტებიც. 2008 წლის კრიზისის შემდეგ ჯ. ბენესმა და მ. კამპოფმა წარმოადგინეს პრობლემის უფრო სფუძვლიანად გადაჭრის პრო-

ექტი, რომელიც გულისხმობს საბანკო სისტემაში დეპოზიტების ნაწილობრივი რეზერვების ჩანაცვლებას 100%-იანი რეზერვებით. (ენეს, უმპოფ 2012). ასეთ პირობებში თითოეული ბანკი ვალდებული იქნება დროის ნებისმიერ მომენტში სრულად იქონიოს მისი დეპოზიტების ტოლი რეზერვები. ეს რეზერვები ეფექტიანად არის მიბმული დეპოზიტებთან და ამიტომ ვერ იქნება ბანკის მიერ გამოყენებული საკუთარი მიზნებისათვის. თავისი ინვესტიციებისათვის (კრედიტების გასაცენად ან ფასიანი ქაღალდების საყიდლად) ბანკს უნდა ჰქონდეს დამატებითი რესურსები.

4. უფრო რადიკალურ ზომებს გულისხმობს “სუვერენული ფულის” პროექტი. ამ პროექტის მიზანი იგივეა, რაც 100%-იანი რეზერვების პროექტისა. კერძოდ, ბანკების მიერ ფულის შექმნის შეწყვეტა დაკრედიტების პროცესში. მაგრამ ამ მიზნის მიღწევის ხერხი განსხვავებულია. 100%-იანი რეზერვების შემთხვევაში ეს ხდება ბანკების იძულებით, რომ დეპოზიტების საპირწონედ შეინახონ რეზერვების 100%. ეს პროექტი გულისხმობს ფულის მიმოქცევის ორ ნაწილად გაყოფას, ხოლო სუვერენული ფულის სისტემა გულისხმობს ფულის მიმოქცევის მხოლოდ ერთიან სისტემას. დეპოზიტების და ბანკოტების ნაცვლად მიმოქცევაში იქნება მხოლოდ ცენტრალური ბანკის მიერ გამოშვებული სუვერენული ფული. ამიტომ ბანკები ვეღარ შეძლებენ ახალი ფულის შექმნას და ამის უფლება ექნება მხოლოდ სახელმწიფოს (Dyson, Hodgson, 2016; Dyson, Jackson, 2014).

დასკვნა

1. “საბჭოთა იმპერიის” დაშლის შემდეგ ეკონომიკური გარდაქმნებისათვის ეკონომიკურმა მეცნიერებამ ვერაფერი უკეთესი ვერ შესთავაზა გათავისუფლებულ ქვეყნებს გარდა “ვაშინგტონის კონსენსუსის” იდეებისა, თავისი “შოკური პრივატიზაციით”, ფასების გათავისუფლებით და სხვ. რეცეპტებით. სწორედ მაშინ ჩაყვარა საფუძველი მრავალ პრობლემას, რომლის წინაშეც დღეს დგას საქართველო. და მართლაც, თუ გარდაქმნების პირველ წლებში “შოკური პრივატიზაცია” იყო “ღელვების ფოთოლი” აშკარად კრიმინალური მოქმედებებისთვის, ხალხის გაძარცვისთვის, თანამედროვე კომერციული ბანკები უკვე სრულიად ლეგალურად აგრძელებენ ხალხის ძარცვას ყველას თვალწინ. და ისევე, როგორც განვითარებულ ქვეყნებში, ეს შესაძლებელი გახდა რთულად ორგანიზებული საფინანსო სისტემის წყალობით, რომელიც აგებულია ნეოკლასიკური თეორიის მონეტარისტულ იდეებზე. მაგრამ სათანადო პროფესიული ცოდნის გარეშე საზოგადოებას არ შეუძლია თვითონ გაერკვას ფინანსური პროცესების სირთულეებში. არც ეკონომიკურ სახელმძღვანელოებში წერია იმის შესახებ, თუ სინამდვილეში რა ხდება საბანკო სისტემაში.

2. “აპრილის ყოველთვიურ ანგარიშში ბუნდესბანკი დაგვიანებით დაეთანხმა ინგლისის ბანკს

და ნათლად განაცხადა, რომ სახელმძღვანელოების უმრავლესობაში ბანკების და ფულის შექმნის პროცესის ინტერპრეტაცია მცდარია: ბანკები არ არიან შუამავლები; ისინი ქმნიან ფულს ეხნიპილო (არაფრიდან)” (Haering, 2017, p. 7). ისდა დაგვრჩენია ვიმედოვნოდ, რომ საქართველოს ეროვნული ბანკი გაიმეორებს ინგლისა და გერმანიის ცენტრალური ბანკების გამოცდილებას და გააკეთებს სათანადო განცხადებას. (ეს შეესაბამება მის “დასავლური სტანდარტების დანერგვის” პოლიტიკას). სახელმძღვანელოებში (ასევე თვით ეროვნული ბანკის ოფიციალურ საიტზე) ამ საკითხების არასწორი ინტერპრეტაციის აღიარება, ჩაითვლება პირველ ნაბიჯად სწორი მიმართულებით. ადრე თუ გვიან, მისი ლოგიკური გაგრძელება იქნებოდა საქართველოში აბსურდული, სოციალურად უსამართლო და ეკონომიკურად მადესტაბილიზირებელი საბანკო სისტემის რეფორმირების გზების ძიება; მეორეც, ახალი სახელმძღვანელოების შექმნა და ეკონომიკური განათლების მოძველებული სისტემის რეფორმა; და მესამეც, საზოგადოების ინფორმირება კომერციული ბანკების რეალური საქმიანობის და მათი დამანგრეველი შედეგების შესახებ.

3. საქართველომ შექმნა ფულად-საკრედიტო და საბანკო სისტემის დასავლური მოდელი, ატარებს ანალოგიურ პრინციპებზე დამყარებულ მონეტარულ პოლიტიკას, და წარმოშვა ანალოგიური პრობლემები და ფინანსური დესტაბილიზაციის რისკები. სამწუხაროდ, თუ ვიმსჯელებთ სამეცნიერო პუბლიკაციების, განცხადებების და მიღებული გადაწყვეტილებების მიხედვით, საქართველოში მრავალი მეცნიერი, პოლიტიკოსი და მთლიანად საზოგადოება, სათანადოთ ვერ აცნობიერებენ ამ პრობლემის სერიოზულობას.

ამასთან გასათვალისწინებელია, რომ ამ პრობლემების გადაჭრა საჭიროებს იმდენად ძირფეხვიან რეფორმებს და ეხება იმდენად გაყვანიანი ჯგუფების ინტერესებს, რომ მათი წინააღმდეგობის გადალახვას რეფორმატორები შეძლებენ მხოლოდ საზოგადოებრივი აზრის მხარდაჭერით. ამიტომ საჭიროა ამ საზოგადოებრივი აზრის შექმნა. ამისთვის ერთ-ერთ მთავარ წინააღმდეგობას წარმოადგენს ეკონომიკური განათლების არსებული სისტემა.

ეკონომიკურ მეცნიერებაში დღეს არსებული 20-ზე მეტი მიმდინარეობიდან, ეკონომიკურ ფაკულტეტებზე ასწავლიან მხოლოდ ერთს, ისიც სრულიად დისკრედიტირებულს, და თანაც, ასწავლიან სამ საფეხურად, მასალის თანდათან გართულებით, რასაც ეთმობა უამრავი სალექციო საათები.<sup>9</sup>

ეკონომიკურ განათლებაში შექმნილი ეს აშკარა აბსურდული სიტუაცია არ შეიძლება იყოს შემთხვევითი. ეკონომიკური განათლება არის საზოგადოებრივი აზრით მანიპულირების და ეკონომიკური ძალაუფლების შენარჩუნების მძლავრი იარაღი. რატომ დომინირებს საქართველოში რეალობას მოწვევტილილი “ეკონომიქსის” სწავლება? მთავარ მიზეზად სახელდება ის, რომ ასე ხდება მთელ მსოფლიოში. ამასთან არაფერი ითქმება “ეკონომიქსის” სწავლებასთან დაკავშირებულ უპრეცედენტო მასშტაბის პროტესტის შესახებ მსოფლიოს წამყვანი უნივერსიტეტების სტუდენტების, პროფესორის და ცნობილ მეცნიერთა მხრიდან.<sup>10</sup>

4. პირველი ნაბიჯი, რომელიც უნდა გადაიდგას იმისათვის, რომ საზოგადოება გაათავისუფლდეს იმ თავსმოხვეული ეკონომიკური ილუზიებისაგან, რომლის მეშვეობითაც ხდება მისი მანიპუ-

9 მსოფლიოს წამყვან უნივერსიტეტებში “ეკონომიქსის” სწავლება მიმდინარეობს სამ დონეზე, ერთი და იგივე მასალის თანდათან გართულებით, და ბოლოს რთული მათემატიკური აპარატის გამოყენებით. სწავლების ასეთი მეთოდი სტუდენტების გონებაში იდეოლოგიური დოგმების “ჩაბეჭვდას” უფრო ჰგავს, ვიდრე ჩვეულებრივი სწავლების პროცესს. (ამასთან აღსანიშნავია, რომ ზოგიერთ წამყვან უნივერსიტეტში უკვე გაიხსნა პეტეროლოქსული თეორიების კათედრები. მაგალითად, ლონდონის ერთ-ერთ უნივერსიტეტში ასეთ კათედრას ხელმძღვანელობს სტივი კინი) “დღეს უკვე თითქმის ყველასათვის ცხადია, ... რომ ჩვენი კოლექტიური უუნარობა დაგვენახა კატასტროფა მის განქანაღებ და ის ფაქტი, რომ სისტემა, რომელიც ჩამოიშალა, იყო შეკერილი ისე, რომ შესაბამისობაში მოყვანილიყო მეინსტრიმის სწავლებასთან, ნიშნავს იმას, რომ ჩვენ, სახელმძღვანელოებმა, რომლითაც ვსარგებლობთ, და კურსებმა, რომელსაც ვასწავლით, მივეცით თავშესაფარი ფუნდამენტურ ილუზიებს იმის თაობაზე, თუ როგორ ფუნქციონირებს ეკონომიკა და, განსაკუთრებით, მისი ბაზრები. ხოლო ეკონომიქსში არაფერია უფრო მნიშვნელოვანი, ვიდრე სწავლება, რადგან, როგორც ერთხელ აღნიშნა უფროსმა გელბრეიტმა, ეკონომიქსი არის პირველ რიგში სწავლების პროფესია. ეს ბუნებრივად ხდის ეკონომიქსს საწყის წერტილად როგორც იმის ანალიზისათვის, თუ როგორ მოხდა, რომ ასე საშინლად ცუდად განვითარდა ეკონომიქსი, და რა შეიძლება გააკეთდეს, რომ მომავალში მან ხელი არ შეუწყოს ადამიანურ კატასტროფებს. ათწლეულზე მეტია გრეგორი მენქიუს “ეკონომიქსის პრინციპები”, თავის ხუთ ვერსიაში, მთელს მსოფლიოში აღიარებულია ძირითად დომინირებულ სახელმძღვანელოდ. ასევე, მისი ავტორი, როგორც პრეზიდენტ ბუშის ეკონომიკური მრჩეველების კომისიის თავმჯდომარე 2003-დან 2005 წლამდე, უშუალოდ იყო ჩართული კატასტროფის ინჟინერინგში. ამიტომ, მენქიუს სახელმძღვანელო მიმჩნია იდეალურ ადგილად იმის გასაღების, აზრთა წყობის, ძაფის საძიებლად, თუ როგორ მოხდა, რომ ეკონომიკური პროფესია, ასევე საზოგადოება, რომელსაც იგი ასწავლის, გახდა იმდენად უმეცარი, დეზინფორმირებული და უყურადღებო იმის თაობაზე, თუ როგორ ფუნქციონირებენ ეკონომიკები რეალურ სამყაროში” (Fullbrook, 2009, p. 2).

10 არაფერს ამბობენ მსოფლიოში მიმდინარე სტუდენტთა საპროტესტო მოძრაობაზე, რომელშიც უკვე 2014 წელს იყო გაერთიანებული 30 ქვეყნიდან მსოფლიოს წამყვანი უნივერსიტეტების 65 სტუდენტური ორგანიზაცია; იმის შესახებ, რომ გრეგორი მენქიუს სტუდენტებმა პროტესტის ნიშნად დემონსტრაციულად დატოვეს მისი ლექციები და გამოაქვეყნეს ღია წერილი “ეკონომიქსის” სწავლების მკაცრი კრიტიკით; სამეცნიერო ცენტრების შესახებ,

ლირება და ქვეყნის ეკონომიკის არასწორი გზით განვითარება, არის ეკონომიკური განათლების რადიკალური რეფორმა. სხვა დისციპლინებისაგან განსხვავებით, ეკონომიკურ თეორიაში ღრმა კრიზისის გამო არ არსებობს ერთიანი პარადიგმა, რომელსაც უნდა იზიარებდეს დარგის მეცნიერთა დიდი უმრავლესობა. ასეთ ვითარებაში ერთადერთი გამოსავალია, ნაცვლად დისკრედიტირებული “ეკონომიკის” სამსაფეხურიანი სწავლებისა, რომელსაც ეთმობა უამრავი სალექციო დრო, უმჯობესია ეს დრო გადანაწილდეს შედარებით გავლენიანი, ალტერნატიული ჰეტეროდოქსული მიმდინარეობების შესასწავლად.<sup>11</sup> ეს თეორიები შეიცავენ მრავალ ძალზე საინტერესო იდეას და მათი სწავლება ხელს შეუწყობს როგორც მომავალი ეკონომისტების და პოლიტიკოსების შემოქმედებითი აზროვნების განვითარებას, ასევე უფრო სრული წარმოდგენის შექმნას ეკონომიკურ მეცნიერებაში მიმდინარე პროცესების შესახებ. ნებისმიერ შემთხვევაში მიუღებელია 21-ე საუკუნეში უნივერსიტეტებში ა პრიორი მცდარი თეორიის სწავლება და, ფაქტიურად, მეცნიერების სახელით “სიცრუის ქადაგება”.

5. საქართველო უნდა გახდეს დასავლური სამყაროს ნაწილი და სავსებით ცხადია, რომ ჩვენთვის არ არსებობს სხვა ალტერნატივა. მაგრამ, ამასთან საჭიროა ვაცნობიერებდეთ, რომ დასავლური ცივილიზაციის მრავალ სიკეთესთან ერთად საქართველოს მოუწევს იმ პრობლემებთან დაპირისპირება, რომლებიც თან სდევს ამ ცივი-

ლიზაციას. გარდა იმისა, რაც მართლაც ღირებულება და მისაბაძია, დასავლეთში მრავლად არის ისიც, რაც სრულიად მიუღებელია საქართველოს ეკონომიკის, პოლიტიკის, კულტურისა თუ ზნეობისათვის. ამიტომ, საჭიროა დასავლური კანონების ინსტიტუტების და სხვა ატრიბუტების არა მექანიკური კოპირება. საჭიროა ძალისხმევა, რომ გადმოვიღოთ მხოლოდ ჩვენს თვითმყოფადობასთან თავსებადი და ქვეყნის განვითარებისთვის აუცილებელი დასავლური ფასეულობები; ვადიაროთ საკუთარი შეცდომები და პრობლემები; ვიქონიოთ ადეკვატური რეაგირება მათზე. დასავლეთი არ არის მხოლოდ ის, რასაც აცხადებს დასავლეთის ოფიციალი, არამედ ისიც, რასაც ფიქრობენ ამბობენ და აკეთებენ ისინი, ვინც აკრიტიკებს და უპირისპირდება მას; ისინი, ვინც არ ეგუება უსამართლობას, სისასტიკეს და ძალადობას, რასაც არ არის მოკლებული დასავლური სამყარო ისევე, როგორც მთელი დანარჩენი მსოფლიო. დასავლეთი ასოცირდება თავისუფლების სულისკვეთებასთან, საკუთარ ბედზე პასუხისმგებლობასთან, მზაობასთან დაიცვან თავისი ლეგიტიმური ინტერესები და სოციალური სამართლიანობა. თუ გვინდა გავხდეთ დასავლური სამყაროს ღირსეული წევრი და არა მისი მახინჯი დანამატი, უნდა გავითვალისწინოთ, რომ მართალია დასავლეთი გვემხარება რუსეთის იმპერიული ზრახვებისაგან დაცვაში, მაგრამ იგი ვერ დაგვიცავს ჩვენ ჩვენივე თვისაგან. როგორ გავაკეთოდ ეს? ამის სწავლაც დასავლეთისგან გვმართებს.

ბამოქმენებული ლიტერატურა:

1. Benes J., Kumhof M. The Chicago Plan Revisited. Inetnationally Monetary Fund, August 2012. WP/12/202. <http://www.imf.org/external/pubs/ft/wp/2012/wp12202.pdf>.
2. Dyson B., Hodgson G., van Lerven F., Sovereign Money. An Introduction., Positive Money, December, 2016, [www.positivemoney.org](http://www.positivemoney.org).
3. Dyson B., Jackson A., Hodgson G. Creating a Sovereign Monetary System. Positive Money, London, Davina House, 15th July 2014, pp. 7-8. [www.positivemoney.org](http://www.positivemoney.org)
4. Fisher, I. 100% Money. New York: The Adelphi Company, 1935.
5. Fullbrook E.. Toxic Textbooks. In The Handbook of Pluralist Economics Education, ed. Jack Reardon. London and New York: Routledge. 2009. <http://www.toxictextbooks.com/ToxicTextbooksFullbrook.htm>
6. Grignon P., 2009. “Money as Debt”. [www.moneyasdebt.net](http://www.moneyasdebt.net)
7. Haering N. Bundesbank rejects 100%-money based on sophistry and false claims. May 11, 2017. <http://norberthaering.de/en/32-english/news/830-buba-100-percent-money>
8. Keen S.. The Roving Cavaliers of Credit. January 31, 2009, Debtwatch. <http://www.debtdeflation.com/blogs/2009/01/31/therovingcavaliersofcredit/>
9. Leishvily P. The Relativity Theory of General Economic Equilibrium . American Journal of Economics,

მათ შორის ჯორჯ სოროსის მიერ დაფუძნებულ “ახალი ეკონომიკური აზროვნების ინსტიტუტის”, რომლებიც სპეციალურად შეიქმნენ ალტერნატიული ეკონომიკური პარადიგმის შესამუშავებლად; იმის შესახებ, რომ 2008 წელს აშშ-ის კონგრესშიც კი განიხილეს ეკონომიკურ მეცნიერებაში არსებული პრობლემები და მისი უნარობა მსოფლიო კრიზისის პროგნოზირების თაობაზე; იმის შესახებ, რომ ინგლისის პარლამენტშიც კი განიხილეს საბანკო სისტემის ძირფესვიანი რეფორმირების საკითხი ფულის და კრედიტის ახალი მეცნიერული გაგების საფუძველზე; არაფერს ამბობენ უამრავი კონფერენციებზე, სამეცნიერო შრომებზე თუ პედაგოგიკურ წერილებზე, რომლებიც ეძღვნება ღრმა კრიზისის ეკონომიკურ მეცნიერებაში და ახალი ეკონომიკური პარადიგმის შემუშავების აუცილებლობას, ეკონომიკური განათლების პროგრამებში რადიკალური ცვლილებების შეტანის აუცილებლობას და ა.შ. 11 ესენია ინსტიტუციონალიზმი, ახალი კეინზიანელები, ნეოაგსტრიული სკოლა, ნეომარქსიზმი, ცოდნაზე დამყარებული ეკონომიკის, ბიხევიორიზმი, ინოვაციური ეკონომიკის, ეკონომიკური კიბერნეტიკა, ნეოროეკონომიკის, ეკონოფიზიკა, გენდერული ეკონომიკის, ეკოლოგიური ეკონომიკის და სხვ.

10. Ryan-Collins J., Greenham T., Werner R., Jackson A.. Where Does Money Come From? A Guide to the UK Monetary and Banking System. [www.positivemoney.org](http://www.positivemoney.org).
11. Schumpeter, J. History of Economic Analysis, New York: Oxford University Press, 1954.
12. Sovereign Money and full reserve banking proposals aren't one and the same. <http://positivemoney.org/2017/04/sovereign-money-is-not-full-reserve-banking/>
13. Stiglitz, J. The Price of Inequality: How Today's Divided Society Endangers Our Future. W. W. Norton & Company, 2012.
14. Stiglitz J., Weiss A. Credit rationing in markets with imperfect information, American Economic Review, vol. 71, no. 3, 1981, pp. 393–410.
15. Turner A. Between Debt and Devil: Money, Credit, and Fixing Global Finance. Princeton University Press, 2016.
16. Turner A. A new era for monetary policy - Adair Turner. 17 Febr, 2015. <https://www.youtube.com/watch?v=UVQdeb0EdWA>
17. Turner A., Credit, Money and Leverage: What Wicksell, Hayek and Fisher Knew and Modern Macroeconomics Forgot. Stockholm School of Economics Conference on: "Towards a Sustainable Financial System", Stockholm, 12 September 2013.
18. Werner R., New Paradigm in Macroeconomics : Solving the Riddle of Japanese Macroeconomic Performance. PALGRAVE MACMILLAN, New York, N.Y. 2005.
19. Werner R., Where money comes from.. <https://www.youtube.com/watch?v=r7qOuY9ZJ8w>
20. Werner R. Banking for the bankers vs. banking for the community. Banking and money reform conference. Dublin, Ireland - 29 April 2016.
21. Werner R. A lost century in economics: Three theories of banking and the conclusive evidence. International Review of Financial Analysis 46, 2016, 361–379.
22. ლეიაშვილი პ. ეკონომიკური მოღვაწეობა: სისტემური ანალიზი. მეცნ.-რედ.: რ. ასათიანი, თბ. "სიასლე", 2017.
23. де Сото У. Х. Деньги, банковский кредит и экономические циклы Челябинск: Социум, 2008.



რეიგანომიკა და ეკონომიკური გარდაქმნები საქართველოში



ნინო დამენია  
 ბიზნესის მართვის დოქტორი,  
 საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია  
 პირველწოდებულის სახელობის ქართული  
 უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი;  
 ელ.ფოსტა: n.damenia@sangu.edu.ge  
 ტელეფონი: 599712284



თეიმურაზ ჩუბინიძე  
 ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის  
 სახელმწიფო უნივერსიტეტის, ეკონომიკისა და  
 ბიზნესის ფაკულტეტის 3 კურსის სტუდენტი  
 ელ.ფოსტა: temochubinidze96@gmail.com  
 ტელეფონი: 571061823

*სტატიაში განხილულია 20 საუკუნის 90-იანი წლების ეკონომიკური გარდაქმნები საქართველოსა და ამერიკის შეერთებულ შტატებში. ახსნილია რეიგანომიკა, როგორც მიწოდებაზე დამყარებული ეკონომიკა და საგადასახადო შეღავათები. წარმოდგენილია საქართველოში განხორციელებული შოკური თერაპიის „ბალცეროვიჩის გეგმა“. გაანალიზებულია გარდამავალ პერიოდში საქართველოს რეალობაში არსებული ფინანსური სტაბილურობის პრობლემა და დასკვნის სახით აღნიშნულია, რომ საბაზრო ეკონომიკა არის არჩევანი, რომელსაც საქართველოსთვის ალტერნატივა არ გააჩნია.*

რეიგანომიკა - ეს არის ტერმინი, რომელიც აშშ-ის პრეზიდენტის რონალდ რეიგანის, როგორც თავისუფალი ბაზრის მქადაგებლის ეკონომიკური პოლიტიკის აღსანიშნავად გამოიყენება (ინგლ. Reaganomics, ორი სიტყვის Reagan და economics შერწყმით მიღებული ტერმინი, რომელიც პირველად რადიო წამყვანმა პოლ ჰარვიმ გამოიყენა; ასევე არსებობს ტერმინის დამცინავი ფორმა ვუდუ-ეკონომიკა). აშშ-ს პრეზიდენტ რონალდ რეიგანის (1981-89 წწ.) ეკონომიკური პოლიტიკა ეყრდნობოდა ოთხი ძირითად პრინციპს: მთავრობის ხარჯების ზრდის შემცირება, მუშახელზე და კაპიტალზე მარგინალური გადასახადის განაკვეთის შემცირება, რეგულირების შემცირება, და ფულის მიწოდების კონტროლი ინფლაციის შეზღუდვის მიზნით (მონეტარული პოლიტიკა).

რეიგანის პრეზიდენტად გახდომა დაემთხვა აშშ-ში მაღალი ინფლაციისა და უმუშევრობის პერიოდს, რომელიც მნიშვნელოვანწილად დაძლეულ იქნა მისი მმართველობის პერიოდის დასრულების ჟამს. თუმცა, დღემდე გრძელდება კამათი იმაზე, თუ რა გავლენა მოახდინა რეიგანის ფისკალურმა პოლიტიკამ აღნიშნულ მოვლენებზე და რამდენად მნიშვნელოვანი იყო ისეთი ფაქტორები, როგორიცაა ფედერალური რეზერვის მიერ გატარებული ინფლაციის საწინააღმდეგო მონეტარული

პოლიტიკა, ან ნავთობის ფასის მნიშვნელოვანი კლება, რომელიც ახლო აღმოსავლეთში მიწოდების შოკმა გამოიწვია.

1981 წელს ამერიკის შეერთებულ შტატებში გამართულ არჩევნებში რეიგანის გამარჯვებამ დიდი ცვლილებები მოუტანა ქვეყანას. ისტორიული შეფასებით, არჩევნები ამერიკაში იშვიათად არის რევოლუციური. როდესაც მოწინააღმდეგე პარტიის ლიდერი იკავებს პრეზიდენტის პოსტს, მიუხედავად წინასაარჩევნო კამპანიის დროს გაკეთებული განცხადებებისა, იგი ცდილობს ფრთხილად და თანდათანობით შეცვალოს ის კურსი, რომელსაც მისი წინამორბედები მიჰყვებოდნენ. ასე ხდებოდა 1932 წელს, ფრანკლინ რუზველტის არჩევიდან 1980 წლამდე. თუმცა, 1980 წელს რესპუბლიკური პარტიის ლიდერად რონალდ რეიგანის დასახელება ნიშანი იყო იმისა, რომ რესპუბლიკური პარტია მემარჯვენეთა იდეოლოგიის გახდა. რადგან 1980 წელს ჯორჯ ბუში რეიგანის მოწინააღმდეგე იყო, მან რეიგანის ხედვას „ჯადოსნური ეკონომიკა“ უწოდა. თუმცა, როდესაც რეიგანმა ბუშს ვიცე-პრეზიდენტობა შესთავაზა, იგი ადვილად დათანხმდა და მიიღო რეიგანომიკა და კონსერვატიული იდეოლოგიის სხვა პრინციპებიც.

საპრეზიდენტო ვადის განმავლობაში, პრეზიდენტები პასუხისმგებელი არიან

გაუარესებულ მაკროეკონომიკურ მდგომარეობაზე, იმ შემთხვევაშიც კი, თუ ეს მათი ბრალი არ არის. შესაბამისად, დამსახურებაში შეიძლება ჩავუთვალოთ კარგი მაკროეკონომიკური მდგომარეობაც, მაშინაც კი თუ ეს მათი დამსახურება არაა.

ამერიკის ეკონომიკის ყველაზე მთავარი პრობლემა შრომის პროდუქტიულობის ზრდის დაბალი ტემპი გახლდათ. მიუხედავად იმისა, უმუშევრობის დონე მაღალია თუ დაბალი, შრომის პროდუქტიულობის ზრდის დაბალი ტემპი იწვევს ეკონომიკის შენელებას, სოციალური პროგრესის შენელებას როგორც რეცესიის, ასევე კეთილდღეობის დროსაც. ზოგიერთი ეკონომისტის აზრით, ეკონომიკისთვის ეს უფრო მავნეა, ვიდრე ციკლური რეცესია.

რეიგანომიკა იყო მიწოდებაზე დამყარებული ეკონომიკა. 1981 წლის საგადასახადო შეღავათები და 2.5 პროცენტის მშპ მიზნად ისახავდა მიწოდების სტიმულებს, რასაც უნდა გამოეწვია ამერიკელი ხალხის ენერჯის გამოთავისუფლება იმისათვის, რომ ემუშავათ უფრო მეტი, დაეზოგათ მეტი, გაეკეთებინათ მეტი ინვესტიცია, დაეწყოთ მეტი ბიზნესი და გაეწიათ უფრო მეტი რისკი. ამას კი საბოლოო ჯამში ეკონომიკის პროდუქტიულობის ზრდა უნდა მოჰყოლოდა. რეიგანის პირველი საგადასახადო კანონპროექტი 1981 წლის აგვისტოში შევიდა ძალაში. საშემოსავლო გადასახადის განაკვეთის მაქსიმალური მაჩვენებელი 70%-დან 50%-მდე შემცირდა, მინიმალური კი 14%-დან 11%-მდე. წარმომადგენელთა პალატამ კანონპროექტი კანონად აქცია 238-დან 195 ხმით. მას 48 დემოკრატმა დაუჭირა მხარი, ერთმა რესპუბლიკელმა კი წინააღმდეგ მისცა ხმა. სენატში კანონპროექტმა 89 დადებითი და 11 უარყოფითი ხმა მოაგროვა. მომხრეთა შორის 37 დემოკრატი იყო, ერთი რესპუბლიკელი კი აქაც წინააღმდეგ აღმოჩნდა. ასე დაიწყო რეიგანომიკა.

უნდა აღინიშნოს, რომ ამერიკის შიდა ეკონომიკური ცხოვრების შეცვლის საქმეში პრეზიდენტი რეიგანი არ იყო მარტო. ფედერალური სარეზერვო სისტემის თავმჯდომარის, პოლ უოლქერის დამსახურებაც დიდია, რომელიც ამ თანამდებობაზე პირველად ჯიმი ქარტერმა დანიშნა. მის მიერ გატარებული მკაცრი ფულად-საკრედიტო პოლიტიკის დამსახურებაც დიდია 1981 წლის 13,5%-იანი ინფლაციის 1983 წელს 3,2%-მდე ჩამოყვანაში.

რეიგანის რევოლუციამ შეძლო და ამერიკა დამრა დაბალი გადასახადების, მყარი დოლარის, თავისუფალი ვაჭრობისა და ნაკლები

რეგულირებისაკენ. 1982 წლის დეკემბრიდან 1990 წლის ივნისის ჩათვლით რეიგანომიკამ 21 მილიონზე მეტი სამუშაო ადგილი შექმნა. რეიგანომიკის წარმატების მთავარ გასაღებად ადამიანების ქცევის შეცვლა მიიჩნევა – მათ გაუჩნდათ მეტი პატივისცემა სამუშაოს, ინვესტირებისა და წარმოების მიმართ. ამის მისაღწევად პირადი საშემოსავლო გადასახადის განაკვეთი არამარტო მნიშვნელოვნად შემცირდა, არამედ მოხდა მისი ინდექსირებაც 1985 წლის ინფლაციის გათვალისწინებით. რეიგანს პირადი გამოცდილებაც გამოადგა – როგორც კი მისი შემოსავლები საგადასახადო ზღურბლს უახლოვდებოდა, იმ წელს მეტ ფილმში გადაღების სურვილიც უქრებოდა. დაბალი გადასახადი შემოსავლების ზრდას უწყობს ხელს, ასე იყო პირადად მის შემთხვევაშიც და ამიტომაც იყო, რომ ამერიკელთა 1%, ვისაც ყველაზე მაღალი შემოსავლები ჰქონდა, მთლიან შიდა პროდუქტთან შეფარდებით მეტ გადასახადს იხდიდა 1988 წლის დაბალი გადასახადების პირობებში, ვიდრე 1980 წელს, როდესაც უფრო მაღალი საგადასახადო განაკვეთით იბეგრებოდნენ. ის, რასაც “ლაფერის მრუდს” უწოდებენ, სწორედ, რომ საღი აზრია. “ლაფერის მრუდი” გადასახადებსა და საგადასახადო შემოსავლებს შორის ურთიეთკავშირის გრაფიკული გამოსახულებაა. გარკვეულ წერტილამდე გადასახადების შემცირება საგადასახადო შემოსავლების ზრდას იწვევს და პირიქით.

ახლა კი ვნახოთ როდის დაიწყო საქართველოში ეკონომიკის ლიბერალიზაცია და რა გზა გაიარა მან დღემდე. რა ფაქტორებმა იმოქმედეს მის განხორციელებაზე და ზოგადად, რატომ არის მნიშვნელოვანი საქართველოსთვის ეკონომიკის ლიბერალიზაცია.

როგორც აღვნიშნეთ, ამერიკაში ეკონომიკის ლიბერალიზაცია 1981 წელს დაიწყო და მეტ-ნაკლებად წარმატებით განხორციელდა, თუმცა ფაქტია, რომ ეს პროცესი შეუქცევადი გახდა. სწორედ ეს იყო ლიბერალიზაციის პირველი ტალღა, რომელსაც შემდგომ მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებშიც შეუერთდნენ. გასული საუკუნის 90-იან წლებში, საბჭოთა რეჟიმისგან დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ საქართველო მიიღტვოდა დემოკრატიული ღირებულებების მქონე საზოგადოებად ჩამოყალიბებისკენ. თუმცა, გეგმიური ეკონომიკიდან საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლა პრობლემატური აღმოჩნდა არაერთი მიზეზის გამო: შიდა ომები, საშინაო და მსოფლიო ეკონომიკური კრიზისები, ქვეყნის ტერიტორიის 20%-ის დაკარგვა. ამასთან, ეკონომიკური გარდაქმნა ხასიათდებოდა არათანმიმდევრული





სტრატეგიებითა და რეფორმებით, სპონტანურობით, ხედვის უქონლობით, სხვადასხვა მიდგომების კომბინაციის მცდელობითა და ხანდახან პასუხისმგებელი პირების გამოუცდელობით. თუმცა, წარუმატებელი რეფორმების და არათანმიმდევრულობის საფუძველი პოსტ-კომუნისტური გარდაქმნისთვის შესაფერისი სახელმწიფო ინსტიტუტების არარსებობა გახდა.

ტრანსფორმაციის ისტორიასა და ემპირიულ მონაცემებზე დაყრდნობით გამოიკვეთა პოსტ-კომუნისტური ტრანზიციის ორი ძირითადი მიმართულება: „გრადუალიზმი“ და „შოკური თერაპია“, რომელთა შორის ძირითადი განსხვავება „ტრანზიციის პერიოდია“. შოკური თერაპია ყველაზე პოპულარული ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპაში იყო. ამ რეგიონის გარდამავალმა ქვეყნებმა სასწრაფოდ მიმართეს შოკურ თერაპიას ეკონომიკის ავტომატურ რეჟიმში მოსაყვანად და ფასებისა და მიწოდება-მოთხოვნის ბაზრის მიერ დასარეგულირებლად. ზოგადად, შოკური თერაპია გულისხმობს მტკიცე ფისკალური და მონეტარული პოლიტიკის გატარებას: ფასების ლიბერალიზაციის, ბიუჯეტის დეფიციტის მინიმიზაციის, კრედიტების გაცემის შეზღუდვით ფულის მარაგის მკაცრი რეგულაციის და შემოსავლის ზრდის მცირევადიანი რეგულაციის საშუალებით სუბსიდიების გაუქმებას. სამთავრობო სექტორი მცირე როლს თამაშობს, ეკონომიკის ცენტრალური ფიგურა კერძო სექტორი ხდება და წამყვან ძალად მცირე და საშუალო საწარმოები იქცევა.

ეკონომისტი, პოლონეთის ყოფილი ფინანსთა მინისტრი, შემდგომში ყოფილი პრემიერ-მინისტრის მოადგილე და პოლონეთის ეროვნული ბანკის პრეზიდენტი, ლეშეკ ბალცეროვიჩი ყველაზე მეტად ცნობილია, როგორც 1990-იან წლებში განხორციელებული შოკური თერაპიის „კლასიკური“ მაგალითის, იგივე „ბალცეროვიჩის გეგმის“ ავტორი, რომელიც შემდეგი პუნქტებისგან შედგებოდა:

1. საშინაო ფასების გათანაბრება მსოფლიო საბაზრო დონესთან ინფლაციის გათვალისწინებით;
2. ინფლაციის დროს შემოსავლის ზრდის შეზღუდვა;
3. ფულის მარაგის შეზღუდვა და საპროცენტო განაკვეთის მნიშვნელოვანი ზრდა;
4. პერსონალური დანაზოგების სტიმულაცია დეპოზიტზე საპროცენტო განაკვეთის გაზრდით;
5. საბიუჯეტო ხარჯის კლება სამთავრობო ინვესტიციის შემცირებითა და არამომგებიანი ბიზნესწამოწყებებისთვის სუბსიდიების

- გაუქმებით;
6. სამთავრობო ბონდების გამოშვება სამთავრობო ბიუჯეტის დეფიციტის დასაფინანსებლად;
  7. საგადასახადო კოდექსის დარეგულირება და ინტეგრირება;
  8. ეროვნულ ვალუტაზე ერთი გაცვლითი კურსის და საშინაო ბაზარზე მისი კონვერტულობის დაწესება;
  9. საერთო საბაჟო ტარიფის დაწესება იმპორტის შეზღუდვისა და ექსპორტის სტიმულაციის მიზნით;
  10. მოსახლეობისთვის სოციალური დახმარების პროგრამის დაწესება ბიუჯეტის შეზღუდვების გათვალისწინებით;
  11. მონოპოლიური საქმიანობების აღმოფხვრა, საწარმოებს შორის კონკურენტუნარიანობის ხელშეწყობა და ამ კონკურენციაში სახელმწიფოს ინტერვენციის გაუქმება. [2]
- ეკონომისტი, საქართველოს ყოფილი ეკონომიკის მინისტრი, ეკონომიკის პროფესორი, პოსტ-კომუნისტური გარდაქმნების შესახებ არაერთი ნაშრომის ავტორი, ვლადიმერ პაპავა წერს: „პრაქტიკამ გვაჩვენა, რომ შოკური თერაპია საუკეთესო შედეგებს იძლევა ისეთ ქვეყნებში, სადაც ეკონომიკის სტატუსი რეფორმებამდე (ან „შოკამდე“) იმდენად ცუდი იყო, რომ ადამიანები მზად იყვნენ, გაეძლოთ ყველაფრისთვის, რაც საჭირო იყო არსებული სიტუაციის გადასალახად. ამ შემთხვევაში, შოკური თერაპიის უარყოფითი ეფექტები უგულვებელყოფილია. დადებითი ეფექტები იმდენად აშკარაა, რომ შოკური თერაპიის ინიციატორებმა თავი ნებისმიერი პოლიტიკური საშიშროებისგან დაცულად შეუძლიათ იგრძნონ. „პოლონეთთან, როგორც წარმატებული შოკური თერაპიის საუკეთესო მაგალითთან შედარებით, საქართველოს საბჭოთა კავშირისგან მემკვიდრეობით არ გადმოსცემია სათანადო სახელმწიფო ინსტიტუტები, რამაც შეუძლებელი გახადა არსებითი რეფორმების წარმატება. ქართულმა შოკურმა თერაპიამ წარმატებით განახორციელა მხოლოდ ფასების ლიბერალიზაცია, მინიმალური ხელფასის და სოციალური დაცვის სარგებელის ინდექსირება და საგადასახადო რეფორმა. სხვა რეფორმები ჩავარდა სათანადო ინსტიტუტების, ექსპერტიზის და ეროვნული ვალუტის არარსებობის და კრიმინალური სიტუაციის გამო, რამაც კიდევ უფრო გაამწვავა ეკონომიკის მდგომარეობა.“ [1]
- საქართველოს რეალობაში საბაზრო ეკონომიკაზე გარდამავალი პერიოდის ერთ-ერთი

უმნიშვნელოვანესი პრობლემა ქვეყნის ფინანსური სტაბილურობის უზრუნველყოფა იყო და არის, რაც საქართველოს ეროვნული ბანკის ერთ-ერთი ძირითადი ფუნქციაა. როგორც ცნობილია, საფინანსო სექტორს უდიდესი მნიშვნელობა აქვს ქვეყნის ეკონომიკისათვის, ვინაიდან იგი ასრულებს ყველაზე ეფექტიანი შუამავლის როლს კრედიტორებსა და მსესხებლებს შორის. ჩვეულებრივი კომპანიებისაგან განსხვავებით, კომერციული ბანკების ან საფინანსო სექტორის სხვა წარმომადგენლების პრობლემები მყისიერად აისახება დანარჩენ ეკონომიკაზე. აქედან გამომდინარე, აუცილებელია საფინანსო სექტორის რისკების მუდმივი მონიტორინგი, როგორც ცალკე აღებული საფინანსო ინსტიტუტის, ასევე მთლიანად სექტორის დონეზე. საქართველოს ეროვნული ბანკი საფინანსო სექტორის სისტემური რისკების შესწავლის მიზნით წელიწადში ერთხელ აქვეყნებს მის მიერ ჩატარებული გამოკვლევების შედეგებს - ფინანსური სტაბილურობის ანგარიშს, სადაც სტანდარტული მაკროეკონომიკური ანალიზისგან განსხვავებით ასახულია მოვლენები, რომელთა მოხდენის ალბათობის დადგენა რთულია, მაგრამ რისკის მატერიალიზაციის შემთხვევაში უარყოფითი ზეგავლენა - არსებითი. ეროვნული ბანკი ქვეყნის ფინანსური სტაბილურობის უზრუნველყოფის მიზნით, 2009 წლის დეკემბრიდან, პასუხისმგებელია საფინანსო სექტორის ცალკეულ მონაწილეთა - კომერციული ბანკების, სადაზღვევო კომპანიების, საკრედიტო კავშირების, მიკროსაფინანსო ორგანიზაციების, ფულადი გზავნილების განმხორციელებელი პირების, ვალუტის გადამცვლელი პუნქტებისა და ფასიანი ქაღალდების ბაზრის ზედამხედველობასა და რეგულირებაზე. ფინანსური სტაბილურობის მაკრო და მიკრო ასპექტების ერთი ორგანიზაციის ქვეშ მოქცევა, ფინანსური სისტემის გამართული ფუნქციონირების ერთ-ერთ მნიშვნელოვან ხელშემწყობ ფაქტორად განიხილება, მაგრამ საქართველოში დღემდე არ არის შესწავლილი საბანკო სექტორის მდგრადობის როლი ქვეყნის ფინანსური სტაბილურობის უზრუნველყოფაში. საყურადღებოა, რომ ფინანსური სტაბილურობის კვლევის სფეროში ბევრი პრობლემაა დაგროვილი. საქმე ის არის, რომ ადრე საფინანსო პოლიტიკის საკითხების კვლევა ფინანსური მდგრადობის პოზიციებიდან, ამასთან ფინანსური სტაბილურობის ანალიზი და ცხადია, მისი უზრუნველყოფის ღონისძიებების შემუშავება არ ხდებოდა. რაც შეეხება სოციალურ მდგომარეობას, 2003 წლის ვარდების რევოლუციამ მკვეთრი

ცვლილებები შეიტანა საქართველოს კრიმინალურ მდგომარეობაში და სოციალურ-ეკონომიკურ სფეროში. ბიზნესის კეთების სიმარტივის რეიტინგებში მოწინავეობის, პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ზრდის, ტურიზმის აყვავების და კორუფციის აღმოფხვრის განმავლობაში ადამიანთა უფლებების დარღვევათა რიცხვი, შერჩევითი სამართალი და კონტროლერული რეფორმების რიცხვი იზრდებოდა. შევარდნამის ადმინისტრაციისთვის დამახასიათებელი სპონტანური რეფორმები და სტრატეგიული არათანმიმდევრულობა სააკაშვილის რეჟიმის დროსაც განმეორდა. მაშინ, როდესაც მთავრობა თავდადებით ეწეოდა მასიურ პრივატიზაციას, ბაზრის ლიბერალიზაციას, ბაზარზე სახელმწიფოს როლის გაუქმებას და შოკური თერაპიისთვის დამახასიათებელ სხვა რეფორმებს, იგი ინვესტიციას დებდა მშპ-ზე ყველაზე დიდი ეფექტის მქონე სექტორებში - გრადუალიზმისთვის დამახასიათებელი მიდგომა. ზოგადად, ამ ორი მიდგომის კომბინაცია ყველაზე კარგი სტრატეგიაა, თუმცა გრადუალისტური რეფორმები უნდა გატარდეს მხოლოდ სათანადო ინსტიტუტების ჩამოყალიბებისა და „შოკის“ გასვლის შემდეგ. სააკაშვილის მთავრობას არ გააჩნდა მტკიცე სტრატეგიული მიმართულება, რამაც მოსახლეობის დამოკიდებულებაზეც იმოქმედა.

მთლიანობაში, “ვარდების რევოლუციის” ხელისუფლების შემდგომი ეკონომიკური პოლიტიკის შესაფასებლად მნიშვნელოვანია შემდეგი საკითხები: რამდენად ლიბერალურია მთავრობის ეკონომიკური პოლიტიკა? “მიუხედავად იმისა, რომ ცალკეული მიმართულებით მთავრობამ მართლაც მოახდინა მკვეთრი დერეგულირება (მაგ., შრომის კანონმდებლობა, ანტიმონოპოლიური კანონმდებლობა და ა.შ.), ვერ ჩამოყალიბდა არსებითად თავისუფალი ეკონომიკური გარემო, რისი უმთავრესი მიზეზიც საკუთრების დაუცველობა იყო. შედეგად, ვერ მოხერხდა ეკონომიკური განვითარების იმ რეალური უპირატესობების გამოვლენა, რომელიც ლიბერალურმა ეკონომიკურმა გარემომ უნდა მოიტანოს.” [3]

რაც შეეხება დღევანდელ ვითარებას, 2012 წლის შემდგომი ხელისუფლების ძირითადი მიმართულებას სწორედ იმ ინსტიტუტების შექმნა და გაძლიერება წარმოადგენს, რომელმაც ხელი უნდა შეუწყოს ბიზნესის კეთებას და მის დაცვას ნებისმიერი ჩარევისგან. საქართველოს ეკონომიკური განვითარება დღევანდელ ეტაპზე ორიენტირებულია მსოფლიო ეკონომიკაში

ინტეგრაციის გაღრმავებაზე. ამ მიზნით რამდენად წარმატებულად ხორციელდება ხორციელდება ეკონომიკის ლიბერალიზაცია და ეს ყველაფერი, ამის შეფასება უკვე მომავალი ბიზნესის ხელშემწყობი გარემოს ჩამოყალიბება, შედეგების მიხედვით შეგვიძლია გავაკეთოთ. რაც პირდაპირ ზემოქმედებს კონკურენციის ფაქტი კი ერთია - საბაზრო ეკონომიკა არის განვითარებასა და ურთიერთდაკავშირებულ არჩევანი, რომელსაც საქართველოსთვის საწარმოთა ქსელის განვითარების პროცესზე. ალტერნატივა არ გააჩნია.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. თამარ ბურდული, ეკონომიკური გარდაქმნები საქართველოში: გზა შოკური თერაპიიდან ღრმა და ყოვლისმომცველ თავისუფალ სავაჭრო ზონამდე, GeoWel Research. [https://www.nbg.gov.ge/uploads/journal/2015/2015\\_2/statia3.pdf](https://www.nbg.gov.ge/uploads/journal/2015/2015_2/statia3.pdf)
2. ვლადიმერ (ლადო) პაპავა, საქართველოს ეკონომიკა - რეფორმები და ფსევდორეფორმები, „ინტელექტი“, თბ., 2015.
3. საქართველოს ეკონომიკური ტრანსფორმაცია: დამოუკიდებლობის 20 წელი. © EI-LAT 2012 “ევროპული ინიციატივა – ლიბერალური აკადემია თბილისი” რუსთაველის გამზირი, 50/1, 0108, თბილისი, საქართველო. [http://www.ei-lat.ge/images/stories/The\\_Economic\\_Transformation\\_of\\_Georgia\\_\\_20\\_Years\\_of\\_Independence\\_Interim\\_Report\\_geo.pdf](http://www.ei-lat.ge/images/stories/The_Economic_Transformation_of_Georgia__20_Years_of_Independence_Interim_Report_geo.pdf)
4. კერძო სექტორი და განვითარება (სადისკუსიო წერილების სერია) <http://www.nplg.gov.ge/gsd/cgi-bin/library.exe?e=d-01000-00---off-0ekonomik--00-1---0-10-0---0---0prompt-10---4-----0-11--11-ka-50---20-about---00-3-1-00-0-0-11-1-0utfZz-8-00&a=d&c=ekonomik&cl=CL4.2&d=HASH2ff40e4921399b171cb567.3>
5. საბანკო საქმიანობის რეგულირების აქტუალური საკითხები საქართველოში <http://www.nplg.gov.ge/gsd/cgi-bin/library.exe?e=d-01000-00---off-0ekonomik--00-1---0-10-0---0---0prompt-10---4-----0-11--11-ka-50---20-about---00-3-1-00-0-0-11-1-0utfZz-8-00&a=d&c=ekonomik&cl=CL4.2&d=HASHf556b9ce00fb24a2b8b577.2>
6. <http://www.bm.ge/ka/article/saqartveloshi-1-miliardi-dolaris-kapitalis-mqone-chinuri-banki-gaixsneba/11534>
7. ზურაბ მუმუკუდიანი, “საბანკო სექტორის მდგრადობის როლი ქვეყნის ფინანსური სტაბილურობის უზრუნველყოფაში” - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ბიზნესის, სამართლის და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი.

Reaganomics and economic reforms in Georgia

Nino Damenia  
 Doctor of Business Management,  
 Associated Professor, St. Andrew the First-Called  
 GEORGIAN UNIVERSITY of the Patriarchate of Georgia

Teimuraz Chubinidze  
 Junior Student of Ivane Javakhishvili Tbilisi State University  
 Faculty of Economics and Business

Abstract

The article discusses the economic transformations of 90s in Georgia and in the United States. Reaganomics is determined as a supply-side economics with lower tax system. The article discusses shock therapy “Balcerovich Plan” in Georgia. It analyses the problem of financial stability in the transformation period and as a conclusion, the paper notes that market economy is the choice of which alternative Georgia does not have.

ჰიბრიდული ომი – ტერმინის გააზრებისთვის



მადლენა კოწოწაშვილი  
სოციალურ მეცნიერებათა აკადემიური დოქტორი  
E-mail: madleinkotsotsashvili@gamil.com  
T: 597637657

ახალი ეკონომისტი THE NEW ECONOMIST

ტერმინი „ჰიბრიდული ომი“ შედარებით ახალია და ფეხს 21-ე საუკუნის დასაწყისიდან იკიდებს. თანამედროვე კონფლიქტის ამგვარი ფორმულირება გამოიყენეს ამერიკელმა სამხედრო პუბლიცისტებმა ჯ. მეტისმა და ფ. ჰოფმანმა სტატიაში *Future Warfare: The Rise of Hybrid Wars*, რომელიც დაიბეჭდა 2005 წელს. შემდგომ ფ. ჰოფმანმა უფრო დააზუსტა ტერმინი. მისი აზრით, ჰიბრიდულ ომში ასიმეტრიული ანუ არატრადიციული კომპონენტები უმნიშვნელოვანეს ოპერატიულ ფუნქციას იძენენ, მაშინ, როდესაც ჩვეულებრივ სამხედრო კონფლიქტში მათი როლი დაყვანილია უპირატესად მოწინააღმდეგის ყურადღების გადატანაზე. ანუ თანამედროვე წარმოდგენების თანახმად, ჰიბრიდული ომი შეიცავს კლასიკური ომის მეთოდების, დივერსიების, პარტიზანული მოქმედებებს და საინფორმაციო ტექნოლოგიებს ერთობლივად. კაციობრიობის ისტორია ძველი მსოფლიოდან დღემდე სავსეა ასეთი ომების მაგალითებით. ამიტომ, ტერმინი „ჰიბრიდული ომი“ მეცნიერულ საფუძველზე შემუშავებული და დასაბუთებული ტერმინი ვერ იქნება და ახალი თაობის ომად ვერ მივიჩნევთ, რადგან ომის წარმოების ინსტრუმენტების არსენალი უძველესი დროიდან დღემდე გაფართოვდა, მიზნები და ამოცანები კი უცვლელი დარჩა.

თუ ტერმინი „ჰიბრიდული ომი“ მაინც უნდა გამოვიყენოთ, ეს მხოლოდ იმ კონტექსტში, როცა საუბარია ბრძოლის ველზე სიმეტრიული და ასიმეტრიული ომის წარმოებაზე ახალი ტექნოლოგიების და ტექტიკის გამოყენებით და არა ფართო გაგებით. სხვა შემთხვევაში ეს იქნება პროპაგანდა და არა ანალიტიკა.

ჰიბრიდული ომის ფენომენთან დაკავშირებით არაერთი სამეცნიერო კვლევა არსებობს. უკრაინაში მიმდინარე ომისა და რუსეთის მიერ ყირიმის ანექსიის შემდეგ ამ ფენომენმა პოლიტიკურ, სამხედრო, აკადემიურ და ჟურნალისტურ წრეებში განსაკუთრებული ყურადღება მიიპყრო.

საერთოდ, ომი ჩვენ წარმოგვიდგენია როგორც ორი მოწინააღმდეგე ძალის დაპირისპირება, რომლებიც ფრონტის სხვადასხვა მხარეს დგანან. მაგრამ თანამედროვე ომი წარმოადგენს სხვა ფენომენს. ჰიბრიდული ომი მიზნად ისახავს არამარტო მოწინააღმდეგე მხარის, არამედ მოკავშირეების ტოტალურ კონტროლს. ის შეიძლება ჩუმად მიმდინარეობდეს, მაგრამ შედეგები დამანგრეველი იქნება.

რა არის ჰიბრიდული ომი: რეალური მოვლენა თუ ისტორიული მითი? დღეს საინფორმაციო საშუალებები აქტიურად იყენებენ ტერმინს „ჰიბრიდული ომი“. ხშირად მას წარმოგვიდგენენ, როგორც თანამედროვე, ახალი თაობის ომის მაგალითს. ისმის ლოგიკური კითხვა: კანონზომიერია კი ასეთი მიდგომა, მოცემული ტერმინი არის კი მეცნიერულად დასაბუთებული,

თუ ის ერთ-ერთი მითია მრავალ პროპაგანდისტულ მითს შორის?

პირველ ეტაპზე განვსაზღვროთ, რას გულისხმობენ ტერმინში „ჰიბრიდულ ომი“. ამ ტერმინით აღინიშნავენ მტრული მოქმედებების სახეობას, როდესაც თავდამსხმელი მხარე არ მიმართავს კლასიკურ სამხედრო შეჭრას, არამედ გამარჯვებას აღწევს სხვადასხვა ხასიათის დივერსიული ქმედებებისა და სამიზნე ქვეყანაში მცხოვრებ პროტესტულად განწყობილი მოსახლეობის მხარდაჭერის ერთობლიობით. ამ ერთობლიობაში შეიძლება შედიოდეს 21-ე საუკუნის კიბერომები. „ჰიბრიდული ომის“ პირობებში თავდამსხმელი მხარე ყველანაირად უარყოფს მასში მონაწილეობას. ასეთი „შეზღუდული“ ომი თავდამსხმელს თეორიულად შესაძლებლობას აძლევს კონფლიქტი ხანგრძლივი დროით შეინარჩუნონ. მათი ფინანსური დანახარჯები და ადამიანური დანაკარგები შეუდარებლად უდრო მცირე და უმნიშვნელო იქნება, ვიდრე ჩვეულებრივ ომში; ასევე მნიშვნელოვანია გავარკვიოთ, არის კი „ჰიბრიდული ომი“ მართლაც ახალი მოვლენა კაციობრიობის ისტორიაში თუ მხოლოდ

მორგებული დეფინიციას, რაც პოპულარულ სახელდებად იქცა.

ტერმინი „ჰიბრიდული ომი“ შედარებით ახალია და ფეხს 21-ე საუკუნის დასაწყისიდან იკიდებს. თანამედროვე კონფლიქტის ამგვარი ფორმულირება გამოიყენეს ამერიკელმა სამხედრო პუბლიცისტებმა ჯეიმს მეტისმა და ფრენკ ჰოფმანმა სტატიაში Future Warfare: The Rise of Hybrid Wars, რომელიც დაიბეჭდა 2005 წელს. შემდგომ ფ. ჰოფმანმა ტერმინი უფრო დააზუსტა. მისი აზრით, ჰიბრიდულ ომში ასიმეტრიული ანუ არატრადიციული კომპონენტები, მაგალითად, პარტიზანები, უმნიშვნელოვანეს ოპერატიულ ფუნქციას იძენენ, მაშინ, როდესაც ჩვეულებრივ სამხედრო კონფლიქტში მათი როლი დაყვანილია უპირატესად მოწინააღმდეგის ყურადღების გადატანაზე. ანუ თანამედროვე წარმოდგენების თანახმად, ჰიბრიდული ომი შეიცავს კლასიკური ომის მეთოდების, დივერსიებს და პარტიზანული მოქმედებებს და საინფორმაციო ტექნოლოგიებს.

რა არის „ჰიბრიდული ომი“? „ჰიბრიდული ომის შესახებ გავრცელებული შეხედულებებიდან ერთი საერთო პოვნა ნამდვილად შეიძლება: ეს არის ომი მართვადი ქაოსის მეშვეობით, რომლის ერთ-ერთი მთავარი შემადგენელი საინფორმაციო ომია, მოწინააღმდეგის სრული დემორალიზების მიზნით. გამოყოფენ ჰიბრიდული ომის ელემენტებს: სამიზანე სახელმწიფოში “დასაყრდენი ჯგუფების” შერჩევა და მათი გამოყენება პროვოკაციებისთვის, დესტაბილიზაციის და კრიზისის ინსპირირება მსხვერპლ სახელმწიფოში; ქვეყნის დეგრადაცია, გადატაკება და დაშლა; აგრესორისთვის სასურველი პოლიტიკური ხელისუფლების მოყვანა სამიზნე ქვეყნის სათავეში.

ჰიბრიდული ომის თავისებურება იმაში მდგომარეობს, რომ გამოიყენება სამხედრო და არასამხედრო ინსტრუმენტები, რომლებიც ერწყმიან ინფორმაციული ომის მეთოდებს, იზრდება არაპირდაპირი და ასიმეტრიული მოქმედებების მნიშვნელობა. ასევე გამოიყენება ფარული ძალისმიერი ქმედებები. გამოიყენებულია საპროტესტო პოტენციალი, რომელიც ადგილობრივ მოსახლეობაში არსებობს.

ბოლო პერიოდში ამ ტერმინს ჩრდილო-ატლანტიკური ალიანსის ხელმძღვანელები ხშირად იყენებენ. 2015 წლის მარტში ნატოს გენერალური მდივნის მოადგილემ ა. ვერბშოუმ ვრცელი განმარტება მიუძღვნა ჰიბრიდული ომის ცნებას. მისი განმარტებით, „ჰიბრიდული ომი“ არის ღია შეიარაღებული კონფლიქტის, ფარული სამხედრო ინტერვენციის, შეიარაღების სიტემების და იარაღის

საიდუმლო მიწოდების, ეკონომიკური შანტაჟის, დიპლომატიური თვალთმაქცობის, მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით პირდაპირი დეზინფორმაციის გავრცელებით მოსახლეობის ფსიქოლოგიური მანიპულაციის ერთობლიობა აგრესორის მიზნების მისაღწევად. ასე შეაფასა ვერბშოუმ რუსეთის ქმედებები უკრაინაში. თუმცა, თავის მხრივ, რუსებიც აქტიურად მიმართავენ ამ ტერმინს და დასავლეთს ბრალს დებენ რუსეთის წინააღმდეგ ჰიბრიდული ომის წარმოებაში.

დღეს ჰიბრიდული ომის წარმოებას რატომღაც მხოლოდ რუსეთს უკავშირებენ. არის კი ასე სინამდვილეში?! მართლაც საინტერესოა ჰიბრიდული ომი რუსული ფენომენია თუ მისი ფესვები სხვაგან უნდა ვეძიოთ; და საერთოდ: როგორ უნდა განვსაზღვროთ ჰიბრიდული საფრთხე და ჰიბრიდული ომის არსი. ამ კითხვებზე თანამედროვეობის არაერთი მკვლევარი ცდილობს პასუხის გაცემას.

ჰიბრიდი თვითონ ეს სიტყვა არახალია და ნაჯვარს ნიშნავს. ამ ტერმინით განვსაზღვროთ თანამედროვე ომი, მის მრავალფეროვან ბუნებასა და მრავალპლანიანობაზე მიუთითებს. თუმცა, მკვლევართა უმრავლესობა, მათ შორის ქართველი მკვლევარებიც, ჰიბრიდულ ომს უპირატესად საინფორმაციო-პროპაგანდისტულ და კიბერომთან აიგივებს. თვითონ რუსი ექსპერტები ასაბუთებენ, რომ ჰიბრიდული ომის უმძლავრესი იარაღი – ეს არის სამოქმედო გეგმის მომზადება და რეალიზაცია ქსელური მართვის განხორციელებით. ანუ იქმნება ჰორიზონტალური პოლიცენტრისტული სტრუქტურები და შენდება მკაცრი იერარქიული მმართველობითი პირამიდები. შეიძლება განხორციელდეს საიდუმლო ფარული დივერსიული მოქმედებები, აჯანყებები, სეპარატისტული ამბოხებები, რომლის დროსაც იერიში იქნება მიტანილი სახელმწიფო მართვის სტრუქტურებზე. სამხედრო მოქმედებებს მხარს დაუჭერენ შიდა სტრუქტურები, ნაციონალისტური ორგანიზაციები, ფსევდორელიგიური დაჯგუფებები, მაფია ან ოლიგარქები. როგორც ვხედავთ მიდგომები მრავალია.

დავუშვათ, რომ ტერმინს „ჰიბრიდული ომი“ მართლაც საფუძველი აქვს. მთავარი კითხვაა: წარმოადგენს კი ის მაგალითს „ახალი თაობის ომისა“, თუ რაღაც მისი მსგავსი უკვე ვნახეთ ადრე? სრული დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ მსგავს ილეთებს ღრმა ისტორიულ წარსულშიც იყენებდნენ. იგივე პელოპონესის ომში ძვ.წ.აღ. 434-404 წ. ექსპერტები ჰიბრიდული ომის ნიშნებს ხედავენ. ასევე ძველი რომის

იმპერატორ ავბგუსტის მიერ გერმანულ ტომებთან წარმოებულ ომში, რომელიც მოხდა 12 წელს ჩვ.ერამდე. ეს ომი იყო ერთგვარი ნაზავი რომაელთა ღია საბრძოლო შეტაკებების, დივერსიულ-დაზვერვითი ოპერაციების და პროვოკაციებისა, ასევე დიპლომატიური მცდელობებისა, რომელიც მიმართული იყო მტრის დასაქუცმაცებლად და დასასუსტებლად. ზოგიერთი მკვლევარი ასევე ასახელებს სასმელი წყლის ჭების მოწამვლას ჰიბრიდული ომის კლასიკურ ტაქტიკის გამოვლინებად.

ჰიბრიდული ომის ელემენტები ძალიან ნათლად გამოვლინდა მე-20 საუკუნის 30-იანი წლების ესპანეთის სამოქალაქო ომში, რომელიც ერთ-ერთი ყველაზე სისხლიანი ფურცელია ისტორიაში. ამ ომში საბჭოთა კავშირი, რომელიც მხარს უჭერდა ესპანეთის რესპუბლიკას, ასევე გერმანია, რომელიც მხარს უჭერდა გენერალ ფრანკოს, ფართოდ იყენებდნენ ჰიბრიდულ ტექნოლოგიებს.

რომ შევაჯამოთ კომპონენტები იმისა, რასაც დღეს ჰიბრიდულ ომად შეაფასებდნენ, არსებობდა ისტორიის ყველა ეტაპზე. უბრალოდ მათ სხვა სახელი ერქვა. ძლიერი ქვეყნების ჩარევა სუსტი სახელმწიფოების საქმეებში არ შეიძლება შევაფასოთ ახალი თაობის ომად. გავმეორდებით და ვიტყვით, რომ ეს იყო ყოველთვის ხან აშკარად გამოხატული, ხან სუსტად. ამ საფუძვლით ტერმინი „ჰიბრიდული ომი“ მეცნიერულ ტერმინად მივიჩნით, არ იქნება მიზანშეწონილი. ის არ გულისხმობს პრინციპულად ახალ ტექნოლოგიებს და ტაქტიკას ომის წარმოებაში. ფართო გაგებით ეს კიდევ ერთი პროპაგანდისტული შტამპია.

„ჰიბრიდული ომის“ – განმარტება ერთმნიშვნელოვანი არ არის. ხშირად ასე იხსენებენ ახალი ტიპის ომებს. ეს აბსურდია. ადამიანები ადამიანებად რჩებიან, ინსტინქტებიც იგივე რჩებათ, ხოლო ინსტრუმენტები სხვა. პრობლემა ისიც, რომ ექსპერტები ამ ტერმინში გულისხმობენ მკვეთრად განსხვავებულ აზრებს. ერთი ნაწილისთვის ჰიბრიდული ომი – ეს არის სინთეზი სიმეტრიული და ასიმეტრიული ტაქტიკისა, ანუ ჰიბრიდული სამხედრო ნაწილების და ტექნიკის გამოყენება, რომლებიც მოიცავენ სხვადასხვა სახეობას. მაგრამ არც ეს არის ახალი. თანამედროვე ისტორია ცხადყოფს, რომ მე-20 საუკუნის ისტორია სწორედ ასეთი ომების ისტორიაა.

სხვებისთვის ეს ტერმინი, უპირველეს ყოვლისა, იდეოლოგიურ და ინფორმაციულ შეფერილობას ატარებს. „ჰიბრიდული“ შეიძლება ვუწოდოთ მხოლოდ ისეთ ომს, რომელიც არამარტო ბრძოლის ველზე მიმდინარეობს, არამედ საინფორმაციო

სივრცეში, მასმედიასა და სოციალურ ქსელებში, „ღმერთებისა“ და „ჭინკების“ შორის. მოკლედ და მარტივად რომ ვთქვათ – ადამიანების თავში.

თუ ამ ტერმინს ჯარების და ტექნიკის ჰიბრიდულ სახეობებთან დაკავშირებით ვიყენებთ, ეს გასაგებია (ტექნოლოგიების განვითარებასთან ერთად ასეთი სახეობა გაჩნდებოდა), ტერმინის მეორე მნიშვნელობა ახსნას მოითხოვს. როდესაც ორ მტრულად განწყობილ იდეოლოგიურ სისტემას ან პროპაგანდისტულ სტრუქტურებს შორის ყველა ხელმისაწვდომი ინსტრუმენტების გამოყენებით მიმდინარეობს დაპირისპირება, მაგრამ ომის გამოცხადების გარეშე, ასეთ კონფლიქტებს შეიძლება კი ჰიბრიდული ვუწოდოთ? თუ უფრო ღრმად ჩავვიხედით, მაშინ ყველა მეტ-ნაკლებად მსხვილი კონფლიქტი, რომელიც ისტორიაში მომხდარა და რომელიც იდეოლოგიურ განსხვავებულობას ეფუძნება, ჰიბრიდული ყოფილა. ამის უამარავი მაგალითი არსებობს.

ძველ რომში წარმოებულ ომებს თუ გადავხედავთ, რომლებსაც ის აწარმოებდა ბარბაროსებთან ომის გამოცხადების გარეშე მრავალნაირი მქადაგებლებისა და ემისრების დახმარებით რომი ცდილობდა თავისი ინტრესების განხორციელებას, თუ რწმენის შეცვლით არა, მაშინ ოქროს მეშვეობით. ასევე ბიზანტიაც დებდა ფსონს ქრისტიანობაზე, როგორც თავის იდეოლოგიურ ბაზაზე სასანიდებთან კონფლიქტის დროს, შემდეგ კი არაბებთან ომში.

სოციალური ქსელები იმ დროს რომ ყოფილიყო, მაშინ მას რომაელებიც ალბათ სიხარულით გამოიყენებდნენ ბარბაროსების ფართო მასების თავის მხარეს გადმოსაბირებლად. ადგილობრივი ელიტების მოსყიდვა კი, ფაქტია, ყველა დროში ხდებოდა და ასეც გაგრძელდება. ყველაფერი ეს შედის „რბილი ძალის“ ცნებაში. რომელიც ფართოდ გამოიყენებოდა რომში პრინციპით „დაყავი და იბატონე. კითხვაზე: „ჰიბრიდული ომი“ უახლესი გამოგონებაა? კეისარი ალბათ არ დაგვეთანხმებოდა.

სხვა მაგალითი, უფრო ახალი, არის ცივი ომი საბჭოთა კავშირსა და აშშ-ს შორის. იყო კი მათ შორის ომი გამოცხადებული? – არა. მაგრამ იყო თუ არა დაპირისპირება პროპაგანდისა და მოსყიდვის გამოყენებით, საინფორმაციო სივრცის უახლესი გამოგონებების გზით (რადიო, გაზეთები, ტელევიზია, კომპიუტერი)? – იყო. ამისთვის კოსმოსურ თანამგზავრებსაც კი იყენებდნენ. ამგვარად, „ცივი ომიც“ ჰიბრიდული ყოფილა ისევე, როგორც კორეის, ვიეტნამის და სხვა ომები.

სირიასა და ერაყზე საურისას თანამედროვე მსოფლიოში პოლიტიკურ წრეებში და მაღალი

დონის შხვედრების დროს ძალიან ხშირად იყენებენ, როგორც ჰიბრიდული ომის მაგალითს. მაგრამ, რა პრინციპული განსხვავებაა ამ კონფლიქტსა და საბჭოთა კავშირისა და აშშ-ს ომებს შორის თალიბებთან და ავღანეთთან?! ეს ტაქტიკა მიღებული იყო „შეიარაღებაში“ ყველა ისლამისტი ამბოხებულების მიერ ჯერ კიდევ არაბთა დაპყრობებიდან დღემდე, უბრალოდ, ადრე არ იყენებდნენ სოციალურ ქსელებს, ინტერნეტს, მასმედიას; ეყრდნობოდნენ უბრალო მქადაგებლებს, მეგობრულ ლიდერებს, რომლებიც სამიზნე ტერიტორიაზე ცხოვრობდნენ.

იგივე „ისლამური სახელმწიფოს“ წარმატება დაფუძნებულია ძველ ტრადიციებზე, რომელიც თანამედროვე ტექნოლოგიების მეშვეობით სრულყოფილებამდეა მიყვანილი. ამის გასაღები თანამედროვე საინფორმაციო ინსტრუმენტების გზით, მუსლიმანების ფართო მასების მობილიზაციაშია, რომლებიც არსებული მსოფლიო წესრიგით, ასევე კარგად გაწვრთნილი, გამოცდილი მეთაურების ჩართულობით უკმაყოფილო არიან.

დღეს ჰიბრიდულს უწოდებენ პრაქტიკულად ყველა არსებულ საერთაშორისო კონფლიქტს,

რომელიც ომის ოფიციალურად გამოცხადების გარეშე მიმდინარეობს, რიგ შემთხვევაში კი ეს ომი გამოცხადებულიცაა. მაგალითად, რუსეთ-საქართველოს 2008 წლის აგვისტოს ომი, ან იემენის ბოლოს დროის სამოქალაქო ომი.

ზემოაღნიშნული შემდეგი დასკვნის გამოტანის საშუალებას გვაძლევს: „ჰიბრიდული ომის“ ცნება ხელოვნურად არის მოგონილი, როგორც პუბლიცისტების და პროპაგანდისტების ხატოვანი ლექსიკა. ეს არ არის ომის და ზოგადად, საერთაშორისო კონფლიქტის ძირეული ცვლილების შედეგი, ან მოვლენა. დიახ, ომის წარმოების ინსტრუმენტების არსენალი უძველესი დროიდან დღემდე გაფართოვდა, მაგრამ მიზნები და ამოცანები უცვლელი დარჩა.

თუ ტერმინი „ჰიბრიდული ომი“ მაინც უნდა გამოვიყენოთ, ეს მხოლოდ იმ კონტექსტში, როცა საუბარია ბრძოლის ველზე სიმეტრიული და ასიმეტრიული ომის წარმოებაზე ახალი ტექნოლოგიების და ტაქტიკის გამოყენებით და არა – ფართო გაგებით. სხვა შემთხვევაში ეს იქნება პროპაგანდა და არა ანალიტიკა.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. გ. მგალობლიშვილი, ბ. ქუთელია, ნ. ევგენიძე, ი. გურული. „ჰიბრიდული ომი და ევროატლანტიკური სივრცის უსაფრთხოების ლანდშაფტის ცვლილება“, თბ. 2016.
2. ვ. კაპანაძე. „დაბრუნება მომავალში – ანუ ჰიბრიდული ომების ეპოქა“..www.strate.ge.
3. Hoffman, F.G. Hybrid Warfare and Challenges, JFQ/ issue 52, 1st quarter 2009, 34.
4. Pomerantsev, The Menace of Unreality: How the Kremlin Weaponizes, Information, Culture and Money, The Interpreter, 2014.
5. Popescu, Nicu. Hybrid tactics: neither new nor only Russian. EUISS Issue Alert 4, 2015.
6. (<http://www.kommersant.ru/doc/2416461>.; Kofman M., Rojansky M. A Closer Look at Russia's "Hybrid War." – Washington: Kennan Institute, 2015.

Hybrid war –for understanding the term

Madlein Kotsotsashvili  
Acad. Dr. of social sciences

The term “hybrid war” is relatively new and takes the form of the beginning of the 21st century. This formulation of modern conflict was used by American military publishers James Mets and Frank Hoffman in the article Future Warfare: The Rise of Hybrid Wars, which was published in 2005. Then f. Hofmann has a more pronounced term. In his opinion, asymmetric or non-traditional components in hybrid war acquire a vital function, while their roles in the usual military conflicts are largely driven by the attention of the opponent. According to contemporary performance, the hybrid war contains classic methods of war, sabotage, guerrilla actions and information technologies. The history of mankind is full of examples of such wars from ancient times to the present. That's why the term hybrid war is not a term developed and justified by the scientific basis and can not be considered as a new generation because the arsenal of warfare instruments has been expanding since ancient times, but the goals and tasks remained unchanged.

If the term hybrid war is to be used, it is only in the context when talking about the simultaneous and asymmetric warfare on the battlefield using new technologies and tactics rather than in a broader sense. In other cases it will be propaganda and not analytics.



კერძო უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებს სახელმწიფოს მხრიდან კონტროლის გამკაცრება სჭირდებათ

ზაირა დუდუშაური,  
საქართველოს ტექნიკური  
უნივერსიტეტის პროფესორი

სტატიაში დასმულია კერძო უმაღლეს საგანმანათლებლო სტრუქტურებში სახელმწიფოს მხრიდან კონტროლის გამკაცრების საკითხი. ავტორი გამოთქვამს აზრს, რომ არ შეიძლება უმაღლესი განათლება მხოლოდ ბიზნესად იყოს აღქმული და მისგან მხოლოდ მოგებას ველოდოთ. არადა, კერძო უნივერსიტეტების დამფუძნებლები მას მხოლოდ ასე აღიქვამენ და ყოველნაირად ცდილობენ შეამცირონ სწავლების მაღალ დონეზე მოწოდებასთან დაკავშირებული ხარჯები.

სტატიის ავტორი იძლევა წინადადებებს თუ როგორ და რა მიმართულებით გაამკაცროს სახელმწიფომ კერძო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების რეგულირება, რომ ისინი აიძულოს მეტი ყურადღება მიაქციონ სწავლის შედეგებს.

საკვანძო სიტყვები: უმაღლესი განათლება, კონტროლი, რეგულირება, თვითრეგულირება.

შესავალი

ამ სტატიის შესავლად ის ვითარება გამოდგება, რომელიც დღეს საქართველოშია. მხედველობაში გვაქვს კერძო უნივერსიტეტების ეკონომიკურ და ბიზნეს ფაქტორების კურსდამთავრებულთა ქრონიკული დაუსაქმებლობა. მიზეზი ერთია – უნივერსიტეტის დამფუძნებლები უმაღლეს განათლებას რიგით ბიზნესად აღიქვამენ და მაქსიმალურ მოგებას გამოდევნებულები ორიენტი რე ბუღნი არიან არა სწავლების შედეგზე, ანუ სტუდენტის ცოდნის დონეზე, რომლითაც იგი პრაქტიკულად უნდა დასაქმდეს, არამედ, მოგებაზე. შედეგიც სახეზეა: კერძო უნივერსიტეტების მეპატრონეები ღარიბის სოციალური სტატუსიდან ჯერ საშუალო ფენაში გადავიდნენ, შემდეგ მდიდრების ფენაში და თუ ასე გაგრძელდა უნდა ველოდოთ მათ უმდიდრესთა ფენაში გადასვლას...

ამ ფონზე სახეზე გვაქვს კერძო უნივერსიტეტ-დამთავრებულ, უცოდინარ, ფსევდოსპეციალისტთა არმია, სწავლის მაღალი ფასით მათი მოტყუებულ-გაძარცვული მშობლები და ამ უნივერსიტეტებში დასაქმებული მათხოვრად ქცეული აკადემიური პერსონალი. ეს არ ეხება ადმინისტრაციულ პერსონალს, რადგან ეს საშტატო ადგილები თვით დამფუძნებლებს და მათ ნათესაობას აქვს დაკავებული, რომლებიც სულაც არ უჩივიან ხელფასების სიმცირეს...

1. უმაღლესი სასწავლო დაწესებულებების წარმოშობის ისტორია.

უმაღლესი სასწავლებლები შუა საუკუნეებში წარმოიშვა. შუა საუკუნეების უნივერსიტეტებს არაფერი არ ახასიათებდა ისეთ ადგილად, სადაც ცოდნა იყიდებოდა. უნივერსიტეტები არ იყვნენ დაკავშირებული კომერციასთან. მათ ფორმირე-

ბას მოგება არ ედო საფუძვლად. ამით იმის თქმა გვინდა, რომ მაშინდელი უნივერსიტეტების მესვეურნი უმაღლეს სწავლებას ბიზნესად არ აღიქვამდნენ და ფოკუსირებულნი იყვნენ მოსახლეობაში განათლების მაქსიმალურ გავრცელებაზე; მაშასადამე, მაშინ სწავლება იყო უფასო.

თანამედროვე მკვლევარები განათლების იდეას ადამიანის მუდმივ განვითარებას უკავშირებენ, უნივერსიტეტის წარმოშობას XII საუკუნეში ხსნიან დამოუკიდებელ მასწავლებელთა რიცხვის ზრდით, მოსწავლეთა აქტიური ბრძოლით თავიანთი მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად და ა. შ.

არსებობს ისეთი აზრიც, რომ უმაღლესი სასწავლებლების წარმოშობა არ არის რეაქცია განათლების გავრცელებაზე, მის სრულყოფაზე. ამის დამადასტურებელ არგუმენტად მოჰყავთ აკადემიურ თავისებურებებზე შექმნილ ფუნდამენტურ კანონში ჩაწერილი თეზისი (1155 წელს) - „ყველა ცოცხალი სწავლებით დაემორჩილება ღმერთს და დედამიწაზე მის მსახურს – იმპერატორს“.

იყო ისეთი აზრიც, რომელიც უნივერსიტეტების წარმოშობას უსარგებლო საქმედ მიიჩნევდა. მაგალითად, რუსი მეცნიერი ო. დოლჟენკოს აზრით, „მაშინ მაღალკვალიფიციურ სპეციალისტების მომზადებაზე სოციალური დაკვეთა არ არსებობდა. იმ დროისთვის არსებული სასწავლო დაწესებულებები სრულად აკმაყოფილებდნენ როგორც სახელმწიფოს, ისე საზოგადოების და, ეკლესიის მოთხოვნებს. ეს უდიდესი სოციალური ინოვაცია შემთხვევით შესდგა“ [1, გვ. 29].

ასე იყო თუ ისე, უმაღლესი სასწავლო დაწესებულებების წარმოშობა მაშინ მართლაც დიდი პროგრესული მოვლენა იყო. ქართველებს საამაჟოდ გვაქვს, რომ XII საუკუნეში ასეთი ეპოქალური

ახალი ეპოქისი THE NEW ECONOMIST





მნიშვნელობის სიახლე ჩვენთანაც შეიქმნა ჯერ გელათის და შემდეგ იყალთოს აკადემიის სახით. ჩვენი ღრმა რწმენით, ამ სიახლის მიზანი იყო საქართველოში არსებული კულტურის და ცოდნის არსებული დონის შენარჩუნება და განვითარება.

2. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების რეგულირება-თვითრეგულირება.

განათლების სფეროს, მ. შ. უმაღლესი განათლების სფეროს, საბაზრო ეკონომიკის მკვლევარები დღესაც მიიჩნევენ ეკონომიკის იმ სექტორად, რომელშიც ბაზრის „უჩინარი ხელით“ თვითრეგულირება დაუშვებელია და ამ სექტორის საქმიანობას სახელმწიფო უნდა არეგულირებდეს.

მაგრამ მეცნიერები იმასაც აღნიშნავენ, რომ საბაზრო მექანიზმებით განათლების სფეროს თვითრეგულირების უძლურობა და ნეგატიურობაც კი, არ ნიშნავს იმას, რომ ეს სექტორი მთლიანად გამოთიშულია ბაზრის ზემოქმედებიდან. მათივე მტკიცებით უმაღლესი სასწავლებელი რაღაც ზომით და ზოგიერთ მომენტში საბაზრო ურთიერთობის მონაწილეა სრულფუნქციონირების წევრია. ამ ურთიერთობაში მისი მონაწილეობის ხარისხი განისაზღვრება შრომის ბაზარზე სპეციალისტების მოთხოვნილებით და აგრეთვე სხვა სახის მომსახურებაზე მოთხოვნით, რომელსაც უმაღლესი სასწავლებელი კომერციულ საწესისებზე ასრულებს ქვეყანაში [2, გვ. 120].

მაღალგანვითარებული ქვეყნების უმაღლესი სასწავლებლების ძირითადი ფონდები ძირითადად სახელმწიფოსია და ისინი მხოლოდ გამოსაყენებლად გადაეცემა უნივერსიტეტებს. ისიც მიღებულია, რომ უმაღლესი განათლების დაწესებულებები არიან არაკომერციული ორგანიზაციები და მათი შემოსავალი იხარჯება მატერიალურ-ტექნიკური და სოციალური ბაზის განსავითარებლად, ხელფასის ფონდის ფორმირებისთვის და სხვა. მაგრამ ამასთან ერთად, როგორც ზოგადად არასაწარმოო სფეროს ორგანიზაციებს, ისე უმაღლესი განათლების დაწესებულებებიც, გარკვეულ შეხებაში არიან ბაზართან. ამ ბოლო დროს განსაკუთრებით აქტიური გახდა საგანმანათლებლო მომსახურების ბაზრის ფორმირების პრობლემა. ეს მომსახურება სასაქონლო გახდა, თუმცა მას გარკვეული თავისებურებები გააჩნია მატერიალური შინაარსის მქონე საქონელთან შედარებით [3, გვ. 32].

უმაღლესი სასწავლებლების საერთო ნიშანი არის მათი ავტონომიურობა, ანუ სახელმწიფოსაგან და დამფუძნებლებისაგან მათი გარკვეული დამოუკიდებლობა. თუმცა, საქართველოში საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის შემდეგ კერძო უნივერსიტეტები სამხელმწიფოსაგან დამოუკიდებელი არიან, ხოლო სახელმწიფო უნივერსიტეტებს პირიქით – მათ თითქმის ფორმალურად დაურჩათ ავტონომია.

საგანმანათლებლო პროცესის განსახორციელებლად, რომლისთვისაც შექმნილი არის უნივერსიტეტი, იგი დამოუკიდებლად ახორციელებს კადრების შერჩევას და განთავსებას, ახორციელებს სამეცნიერო, საფინანსო, სამეურნეო და სხვა სახის საქმიანობას მისი წესდების და შესაბამისი ქვეყნის კანონ მდებლობის ფარგლებში.

ასეთი ავტონომიის პირობებში მართვის სახელმწიფო ორგანოების ზემოქმედება უმაღლესი სასწავლებლებზე არსებითად შეზღუდულია. როგორც კერძო, ისე სახელმწიფო უმაღლესი განათლების დაწესებულებების საქმიანობას არეგულირებს საქართველოს კანონი „უმაღლესი განათლების შესახებ“. მასში საქმიანობის კანონიერ ჩარჩოში მოქცევის ყველა დეტალია გაწერილი. საქართველოს საჯარო უნივერსიტეტებმა – ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა, საქართველოს ტექნიკურმა უნივერსიტეტმა და სხვებმა, რომელთაც სასწავლო და სახელმწიფო მართვა-რეგულირების ისტორიული გამოცდილება უკვე ჰქონდათ (ისინი არსებობდნენ საბჭოთა კავშირის დროსაც), საბაზრო ეკონომიკაზე საქართველოს გადასვლის შემდეგ მიიღეს გარკვეული ავტონომია, მაგრამ არა ისეთი, როგორც კერძო უნივერსიტეტებმა. კერძო უნივერსიტეტები თავიდანვე დაფუძნდნენ როგორც სახელმწიფოსგან სრულიად დამოუკიდებელი სტრუქტურები. მათ დამფუძნებლებს მეწარმულმა ადლომ აგრძობინა, რომ უმაღლესი განათლება საქართველოში მოთხოვნადია და აქედან გამომდინარე, მომგებიანიც. ეს მოთხოვნა იყო საბჭოთა დროსაც, არის ეხლაც. რადგან არსებობდა მოთხოვნა, გაჩნდა მიწოდებაც.

1992 წელს ანუ საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის მეორე წელს საქართველოში 153 უნივერსიტეტი არსებობდა. თავდაპირველად კერძო უნივერსიტეტების დაფუძნება ადვილი იყო. შემდეგ საქართველოს მთავრობამ დაიწყო მათი გაფილტვრა. ამჟამად საქართველოში ფუნქციონირებს მხოლოდ 52 კერძო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება. მაგრამ გასული პერიოდი ნეგატიურად აისახა შრომის ბაზარზე. ამ ბაზარს მოაწვდა კერძო უნივერსიტეტდამთავრებულ უცოდინარ „სპეციალისტთა“ ტალღა. ეს გამოიწვია კერძო განათლებიდან სახელმწიფოს „გვერდზე გადგომაში“ და მათზე კონტროლის არარსებობამ. შედეგად მივიღეთ ის, რაც მივიღეთ. უმუშევართა რიგებში რომ ამდენი უმაღლესდამთავრებულია, ისინი იმ პერიოდის კერძო უნივერსიტეტდამთავრებულნი არიან. საქართველოს კერძო უნივერსიტეტები, არა სწავლის შედეგზე, არამედ მაქსიმალურ შემოსავლის მიღებაზე იყვნენ ორი-

ენტრიზებული. სამწუხაროდ, ასეა დღესაც.

სტატიის მოცულობის შეზღუდულობის გამო, ჩვენს ყურადღებას გაავამახვილებთ მხოლოდ კერძო უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებათა საქმიანობის ერთ სფეროზე. ეს არის სწავლების ფასი, აკრედიტაცია-ავტორიზაციის ღირებულება, გრანტის სიდიდე და თანამშრომელთა შრომის ანაზღაურება. საქართველოს კერძო უნივერსიტეტები თვითონ აწესებენ სწავლის ფასს. მოსახლეობის ცხოვრების დონიდან გამომდინარე ეს ფასი, მაღალია. სწორედ ამ მიზეზით, ხშირად ეროვნული გამოცდებით ამა თუ იმ კერძო უნივერსიტეტში ჩარიცხული სტუდენტი, ვერ რეგისტრირდება სტუდენტად და ქუჩაში რჩება.

მაღალია კერძო უნივერსიტეტების ავტორიზაცია-აკრედიტაციის ღირებულებაც. ამასთან, უნივერსიტეტს მისი წინასწარი გადახდის ვალდებულება აქვს განურჩევლად იმისა, მიიღებს თუ არ მიიღებს ავტორიზაციას ან აკრედიტაციას. უნივერსიტეტებმა არ იციან რა ხარჯები შედის მათ ღირებულებაში, რატომ არის ის ასეთი მაღალი.

სახელმწიფო გრანტი, რომელსაც სტუდენტები ეეროვნულ გამოცდებზე მიღებული ქულებით იმსახურებენ, ისაზღვრება არა იმ უნივერსიტეტის სწავლის ფასით, სადაც ის ისწავლის, არამედ, საჯარო უნივერსიტეტის სწავლის ფასით. რადგან, ძირითად შემთხვევაში, კერძო უნივერსიტეტებში სწავლის ფასი მაღალია, ამიტომ სტუდენტებს უხდებათ დამატებითი თანხების გადახდა.

კიდევ უფრო პრობლემურია კერძო უნივერსიტეტების თანამშრომელთა შრომის ანაზღაურება. იმის გამო, რომ საქართველოში არ არის დადგენილი მინიმალური ხელფასი, კერძო უნივერსიტეტების დამფუძნებლები მეტი მოგების

მიღების მიზნით ამ სფეროში მეტად თვითნებობენ. გასაკვირია, რომ ამ გაჭირვების წლებში საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო პროფესორს (სრულ პროფესორს) აძლევს მხოლოდ ერთ უნივერსიტეტში მუშაობის უფლებას და არ ინტერესდება იმით, თუ რაზე ნაკლები არ უნდა ჰქონდეს მას ამ უნივერსიტეტში ხელფასი? ეს რეგულაცია მისაღებია თუ იგი მუშაობს ივ. ჯავახიშვილის სახელობის უნივერსიტეტში, სადაც პროფესორის ხელფასი 3500 ლარია თვეში, მაგრამ კერძო უნივერსიტეტების უმრავლესო ბაზაში, რომლებშიც იგი არ სცილდება 300-400 ლარს, რაღა თქმა უნდა არ არის მისაღები.

ყოველივე აქედან გამომდინარე, ვიძლევი შემდეგ რეკომენდაციებს:

- კერძო უნივერსიტეტებში სწავლების ფასის ზედა და ქვედა ზღვარი დააწესოს სახელმწიფომ;
- ავტორიზაცია-აკრედიტაციის ღირებულება მისი შემადგენელი ხარჯების მუხლობრივი გაწერით დაიღოს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საიტზე;
- გრანტის სიდიდე განისაზღვროს იმ უნივერსიტეტის სწავლების ფასის მიხედვით, სადაც ჩარიცხა სტუდენტი;
- უმაღლესი სასწავლო დაწესებულებებისთვის სახელმწიფომ დააწესოს თანამდებობრივი განაკვეთები და იგი სავალდებულო უნდა იყოს ყველასთვის საჯარო იქნება იგი თუ კერძო;
- მოიხსნას აკრძალვა იმის შესახებ, რომ პროფესორმა ერთ დაწესებულებაში იმუშაოს, ანდა დაწესდეს შრომის ანაზღაურების რაღაცა ზღვარი, რომლის ქვევით მას მიეცემა სხვაგან მუშაობის უფლება, ზევით კი – არა.

ბამოყენებული ლიტერატურა:

1. Долженко О., Образование в России: сегодня, вчера, завтра. Вестник высшей школы, 1992, №4-6.
2. Высшее образование России: состояние и проблемы развития, НИИВО, М., 1994.
3. Попов Е., Услуги образования и рынок, ж. "Российский экономический журнал", 1992, №6.

IT IS NECESSARY TO HARSH THE CONTROL ON HIGHER PRIVATE EDUCATION INSTITUTIONS BY THE STATE

ZAIRA GUDUSHAURI, Professor of Georgian Technical University

In the article it is raised the question of strictness in controlling a higher private education institutions by the state. The author thinks that higher education mustn't be only a business and we can't expect just profit from it. Although, the founders of universities think so and trying to reduce the expenses on high level of education.

The author of this article gives us proposals how the state can harsh the regulations of higher private institutions, that they should pay more attention to the results of studying.

Key words: high education, control, regulations, self regulations



## ქართული შრომის ბაზრის ძირითადი თავისებურებანი



შალვა კვეზერელი  
 ბიზნესის ადმინისტრირების აკადემიური დოქტორი  
 დავით აღმაშენებლის სახელობის  
 საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემია,  
 ასისტენტ პროფესორი  
 ელ. ფოსტა: schalwak@yahoo.de  
 მობ.: 599 905114

სტატიაში, „ქართული შრომის ბაზრის ძირითადი თავისებურებანი“ განხილულია ჩვენი ქვეყნის შრომის ბაზრის არსებული მდგომარეობა ოფიციალური სტატისტიკური მონაცემების, საერთაშორისო და სხვა ადგილობრივი კვლევების შედეგებზე დაყრდნობით, მათ შორის საკუთარი კვლევა-დაკვირვების შედეგების ანალიზი. განხილულია რამდენიმე მნიშვნელოვანი საკითხი (ბიზნესის განვითარება, განათლება და კვალიფიკაცია), რომელთაც დიდი გავლენა გააჩნიათ ეფექტიანი შრომის ბაზრის ჩამოყალიბებაზე.

სტატიაში ასევე მოცემულია ქართული შრომის ბაზარზე არსებული შრომითი რესურსის დაჯგუფება ძირითადი მახასიათებლების მიხედვით და მათი წილობრივი თანაფარდობა, ავტორის კვლევის მიხედვით.

შრომის ბაზარი საბაზრო ეკონომიკის მნიშვნელოვანი მამოძრავებელი ძალაა, მისი მდგომარეობა ბევრის მეტყველია ქვეყნის ეკონომიკურ და სოციალურ საკითხებზე. საქართველოს დამოუკიდებლობის მოპოვების დღიდან ქვეყნისთვის ერთ-ერთ მნიშვნელოვან საკითხად, ახალი მოცემულობის შესაბამისი შრომის ბაზრის ჩამოყალიბება და განვითარება იქცა, მოსახლეობის უდიდესი ნაწილისთვის ყოველდღიურ საზრუნავად სამსახურის - შემოსავლის მოძიება, ხოლო დასაქმებულთა უმეტესობისთვის უკეთესი სამუშაო ადგილის და გაუმჯობესებული სამუშაო პირობების მიღება.

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის 2016 წლის მონაცემებით, ქვეყანაში

უმუშევრობის მაჩვენებელი 11.8%-ია. ზოგადად, ბოლო წლების უმუშევრობის მონაცემების მიხედვით თითქოს არც თუ ისეთი საგანგაშო მდგომარეობაა, როგორც განვითარებადი ქვეყნისთვის, თუმცა ჩვენს აზრით არსებული რეალობა სხვა არის. სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებში დასაქმებულად - თვითდასაქმებულად ითვლება მოსახლეობის ის ნაწილიც, რომელთა საკუთრებაში 1 ჰა სასოფლო-სამეურნეო სავარგულია, მიუხედავად იმისა, საკმარისია თუ არა ეს „ქონება“ არსებობისთვის. გარდა აღნიშნულისა კითხვის ნიშნებს ბადებს თვითდასაქმებულთა აღრიცხვის მეთოდის სხვა მიდგომებიც.

ახალი ეკონომისტი THE NEW ECONOMIST

ცხრილი 1

დასაქმებული მოსახლეობის განაწილება 2009 – 2016 წ. (ათასი კაცი)

№	2009	2010	2011	2012	2013	2014	2015	2016
დასაქმებული	1656.1	1628.1	1664.2	1724.0	1712.1	1745.2	1779.9	1763.3
დაქირავებული	596.0	618.6	632.0	662.6	658.2	692.3	753.4	745.4
თვითდასაქმებული	1059.0	1007.1	1025.4	1054.0	1043.8	1046.1	1018.1	1010.9
გაურკვეველი	1.2	2.4	6.8	7.4	10.0	6.8	8.4	7.0
თვითდასაქმებული %	64	62	62	61	61	60	57	57

შედგენილია საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემების მიხედვით

როგორც ცხრილ 1-ის მონაცემებშია მითითებული თვითდასაქმებულთა წილობრივი მაჩვენებელი (პროცენტი) მთლიან დასაქმებულთა მოცულობის დაახლოებით 60% შეადგენს. თუმცა დასადგენია აღნიშნული თვითდასაქმება და მისგან მიღებული შემოსავლები არის თუ არა საკმარისი ღირსეულად საარსებოდ. ცალკე განხილვის საგანს წარმოადგენს ქვეყანაში საარსებო მინიმუმი და მისი გამოთვლის მეთოდიკა, რასაც მოცემულ თემაში აღარ ვეხებით.


2017 წელს NDI (National Democratic Institute) მიერ ჩატარებული სოციოლოგიური კვლევის მიხედვით გამოკითხულთა 47%-ი სამუშაო

ადგილების უკმარისობას მიიჩნევს ძირითად ეროვნულ პრობლემად და მიუხედავად იმის, რომ ეს წილობრივი მაჩვენებელი წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელზე 8%-ით არის შემცირებული მაინც პირველ ადგილს იკავებს საზოგადოების მიერ დასახელებულ ძირითად ეროვნულ პრობლემათა ჩამონათვალში. ხოლო მოსახლეობის ორი მესამედი თავს დაუსაქმებლად თვლის.

გარდა აღნიშნულისა ყურადღებას იქცევს ზოგადად შრომითი ძალის დაბალი აქტიურობის დონე რომელიც 2006 – 2016 წლებში 52%-დან მაქსიმუმ 60%-მდე მერყეობს.

დიაგრამა 1

უმუშევრობის, აქტიურობის და დასაქმების დონე საქართველოში (%)



იგივე, საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მიხედვით 2016 წელს უმუშევრობის შედარებით მაღალი დონე გვაქვს ქვეყანაში ეკონომიკურად ყველაზე აქტიურ ადგილას დედაქალაქში - თბილისში 22%, მისგან განსხვავებით რეგიონებში ეს მაჩვენებელი 4.1%-დან 13%-მდეა. აღნიშნულის ერთ-ერთ მიზეზად ზემოთ

მოსხენიებული გამოანგარიშების ნაკლოვანებები უნდა მივიჩნოთ, რადგან მარტივი ჯემმარიტებაა, იქ სადაც დასაქმება და შემოსავლის მიღების მეტი შესაძლებლობებია მოსახლეობის მატება გვაქვს, ხოლო იქ სადაც უმუშევრობაა შესაბამისად მოსახლეობის კლებაა.

მოსახლობის რიცხოვნობა 2006 და 2016 წლებში

დასახელება	2006წელი ათასი კაცი	2016წელი ათასი კაცი	ცვლილება (+/-) ათასი კაცი
<b>საქართველო</b>	4398.0	3719.3	- 678.7
თბილისი	1102.2	1113.8	+ 11.6
აჭარა (არ)	378.0	338.0	- 40.0
გურია	139.1	112.8	- 26.3
იმერეთი	698.9	531.3	- 167.6
კახეთი	404.2	317.9	- 83.6
მცხეთა-მთიანეთი	124.3	94.0	- 30.3
რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი	48.8	31.3	- 17.5
სამეგრელო-ზემო სვანეთი	470.4	329.0	- 141.4
სამცხე-ჯავახეთი	208.4	160.5	- 47.9
ქვემოქართლი	508.0	426.9	- 81.1
შიდა ქართლი	313.8	263.8	- 50.0

შედგენილია საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემების მიხედვით

ცხრილი 2-ის მონაცემების მიხედვით 2006-დან 2016 წლებს შორის მოსახლეობის შემცირება ქვეყნის მასშტაბით შეადგენს 678.7 ათას კაცს, რაც 15.5 %-ია. იგივე წლებში მოსახლეობის კლებით ხასიათდება საქართველოს ყველა რეგიონი, ერთადერთი

ადგილი სადაც მოსახლეობის მცირე, თუმცა მატებაა, არის თბილისი. ასევე ბიზნეს რეგისტრის მონაცემების მიხედვით ყველაზე მეტი აქტიური სუბიექტების რაოდენობა 2017 წლის 1 ივნისის მდგომარეობით თბილისშია 43%, იხ. ცხრილი 3.

ცხრილი 3

ბიზნეს რეგისტრის მონაცემები 2017 წლის 1 ივნისის მდგომარეობით

დასახელება	სუბიექტის რაოდენობა	აქტიური	%
<b>საქართველო</b>	653640	167554	100.0
თბილისი	285610	69950	43.7
აჭარა (არ)	56018	16346	8.6
გურია	15929	4281	2.4
იმერეთი	89932	23301	13.8
კახეთი	40837	10738	6.2
მცხეთა-მთიანეთი	12058	2945	1.8
რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი	5400	1247	0.8
სამეგრელო-ზემო სვანეთი	51468	12612	7.9
სამცხე-ჯავახეთი	19122	5058	2.9
ქვემოქართლი	48064	12726	7.4
შიდა ქართლი	29034	8335	4.4

შედგენილია საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემების მიხედვით

სტატისტიკური მონაცემების მიხედვით რომ ეკონომიკური აქტიურობით შექმნან დოვლათი, საკმაოდ მაღალია იმ პირთა რაოდენობა, რომელთაც გადაქცეულნი არიან სხვა დასაქმებულთა სარჩენ დასაქმების იმედი გადაეწურათ და ნაცვლად იმისა, ჯგუფად.

ცხრილი 4

მოსახლეობა სამუშაო ძალის გარეთ 2009 – 2016 წ (ათასი კაცი)

№	2009	2010	2011	2012	2013	2014	2015	2016
სულ სამუშაო ძალა (პოტენციური)*	3131.1	3075.1	3037.6	2997.0	3014.0	2996.1	2950.0	2955.0
დასაქმებული	1656.1	1628.1	1664.2	1724.0	1712.1	1745.2	1779.9	1763.3
უმუშევარი	335.6	316.9	295.1	305.1	291.8	246.0	241.6	235.1
მოსახლეობა სამუშაო ძალის გარეთ	1139.3	1083.3	1045.9	1005.2	1022.3	1004.4	958.3	963.2
<b>მოსახლეობა სამუშაო ძალის გარეთ %</b>	<b>36.4</b>	<b>35.2</b>	<b>34.4</b>	<b>33.5</b>	<b>33.9</b>	<b>33.5</b>	<b>32.5</b>	<b>32.6</b>

\* სულ აქტიურ მოსახლეობას (სამუშაო ძალას) დამატებულია მოსახლეობა სამუშაო ძალის გარეთ - ვისაც სათანადო გარემოებების შემთხვევაში შეეძლო ყოფილიყო დასაქმებული და მივიღეთ სულ სამუშაო ძალა (პოტენციური).

ცხრილ 4-ში მიღებული მონაცემების მიხედვით მოსახლეობა სამუშაო ძალის გარეთ, რომელთა შორისაც მნიშვნელოვანი ნაწილი დასაქმების საკითხში იმედგადაწურულთა ჯგუფია, წილობრივი მაჩვენებელი ბოლო წლებში სულ სამუშაო ძალასთან (პოტენციური) მიმართებაში 32÷36 %-ის ფარგლებში მერყეობს.


განხილული მონაცემების მიხედვით შეიძლება ითქვას რომ ქვეყანაში იმ პირთა რაოდენობა ვისაც პოტენციურად შეუძლია იყოს დასაქმებული და შეიტანოს თავისი წვლილი ქვეყნის დოვლათის შექმნაში, მაგრამ სხვადასხვა გარემოებათა გათვალისწინებით არ არის დასაქმებული +30%-ია.

სტატისტიკის ეროვნული სამსახურის 2016 წლის მონაცემების მიხედვით უმუშევრობის დონე ასაკობრივ ჯგუფში არაერთგვაროვნად

გამოიყურება (იხ. დიაგრამა 2). აღნიშნული მონაცემების მიხედვით უმუშევრობის დონე 15÷29 წლის ასაკში 20%-ზე მაღალია, როდესაც იგივე სამსახურის მონაცემებით საერთო უმუშევრობის მაჩვენებელი 11.8%-ს შეადგენს. ასაკის მატებასთან ერთად უმუშევრობის მაჩვენებელი ძირითადად მცირდება. აღნიშნული იმის მაჩვენებელია, რომ 15÷29 წლის ასაკობრივი ჯგუფი შედარებით აქტიურად ეძებს სამუშაოს (გამოყენებული გამოანგარიშების მეთოდის მიხედვით), თუმცა მათი მნიშვნელოვანი ნაწილი მაინც უმუშევარია, ხოლო ასაკის მატებასთან ერთად და სამართლიანი იქნება თუ ვიტყვით მრავალი იმედგაცრუების შემდგომ ბევრი საერთოდ თავს ანებებს დასაქმების ადგილის მოძიებას და ინაცვლებს სამუშაო ძალის გარეთ მყოფთა კატეგორიაში.

დიაგრამა 2

უმუშევრობის დონე ასაკობრივ ჯგუფში 2016 წელს (%)



საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

უნდა აღინიშნოს, რომ სამუშაოს - შემოსავლის გარეშედარებითი მოსახლეობის ნაწილი ცდილობს საზღვარგარეთ წავიდეს და ამ გზით გადაჭრას ეს პრობლემა. ამ კატეგორიაშიც ახალგაზრდა თაობა აქტიურობს, ვისაც მეტი შესაძლებლობა გააჩნია ჩამოყალიბდეს მაღალკვალიფიციურ კადრად, რასაც კარგავს დროებით, რიგ შემთხვევაში სამუდამოდ ქვეყანა და მისი შრომის ბაზარი.

არსებული მდგომარეობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წინაპირობა არის შრომით ბაზარზე მოთხოვნა - მიწოდების თანაფარდობა, სადაც მოთხოვნა გაცილებით მცირეა მიწოდებასთან შედარებით. მიუხედავად იმისა, რომ სხვადასხვა ეკონომიკური მაჩვენებლები ბოლო წლებში წინა პერიოდთან შედარებით უმჯობესდება, ეს

დადებითი ცვლილებები იმდენად მცირეა, რომ ვერ ახდენს მნიშვნელოვან გავლენას მდგომარეობის გამოსწორებაზე.

ასევე უნდა ვთქვათ, რომ ქვეყანაში სუსტადაა განვითარებული საშუალო და მცირე ბიზნესი, რომლებიც როგორც წესი შედარებით მეტ სამუშაო ადგილებს ქმნის, რადგან მსხვილ ბიზნესში შრომით ძალას დიდ წილად თანამედროვე ტექნოლოგიები და დაზგა-დანადგარები ანაცვლებენ. 2016 წლის მონაცემებით დასაქმებულთა 61.3%-ს მსხვილი ბიზნესი ასაქმებს, 16.6%-ს საშუალო, ხოლო 22.1%-ს მცირე ბიზნესი. რაც შეეხება სახელმწიფო და არასახელმწიფო სექტორებში დასაქმებულთა თანაფარდობას ციფრობრივად მოცემულია ცხრილ 5-ში.

ცხრილი 5

დასაქმებულთა განაწილება სახელმწიფო და არასახელმწიფო სექტორების მიხედვით 2009 – 2016 წ.

დასახელება	2009	2010	2011	2012	2013	2014	2015	2016
<b>სულ</b>	<b>1,656.1</b>	<b>1,628.1</b>	<b>1,664.2</b>	<b>1,724.0</b>	<b>1,712.1</b>	<b>1,745.2</b>	<b>1,779.9</b>	<b>1,763.3</b>
სახელმწიფო სექტორი	298.3	285.8	266.4	273.7	247.3	251.2	274.9	262.2
არასახელმწიფო სექტორი	1357.8	1342.2	1397.8	1450.4	1464.7	1494.0	1505.0	1501.1
%								
<b>სულ</b>	<b>100.0</b>	<b>100.0</b>	<b>100.0</b>	<b>100.0</b>	<b>100.0</b>	<b>100.0</b>	<b>100.0</b>	<b>100.0</b>
სახელმწიფო სექტორი	18.0	17.6	16.0	15.9	14.4	14.4	15.4	14.9
არასახელმწიფო სექტორი	82.0	82.4	84.0	84.1	85.6	85.6	84.6	85.1

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

დასაქმებულთა დიდი ნაწილი არასახელმწიფო სექტორზე მოდის, თუმცა სახელმწიფო სექტორი, როგორც დამსაქმებელი მნიშვნელოვან როლს თამაშობს შრომის ბაზარზე.

ქვეყანაში დასაქმებულთა დაახლოებით 40%-ქალია, ხოლო 60%-ი კაცი. ბოლო წლებში ქალების დასაქმების დონე 49% – 53%-ის ფარგლებშია, ხოლო მამაკაცების 64% – 67%-ის ფარგლებში. თუმცა ხაზი უნდა გაესვას, რომ სამუშაოს ძალის გარეთ მყოფთა კატეგორიაში ქალთა რაოდენობა 2.2-ჯერ აჭარბებს მამაკაცების მსგავს რაოდენობას, ანუ ქალების უფრო დიდი ნაწილი „შეეგუა უმუშევრობას“, აქტიურად აღარ ცდილობს დასაქმებას.

დასაქმებულთა საშუალო თვიური ანაზღაურება 2006 წელს შეადგენდა 277.9 ლარს, 2017 წლისთვის (პირველი კვარტლის მიხედვით) 989.4 ლარს, ზრდა 711.5 ლარია, თუმცა დროის მოცემულ მონაკვეთში

ოფიციალური ინფლაციის მაჩვენებელი 66.7%-ია და ნაზარდი ხელფასის მნიშვნელოვანი ნაწილი ინფლაციამ შთანთქა. მამაკაცების საშუალო ანაზღაურება დაახლოებით 37%-ით აღემატება ქალების საშუალო ანაზღაურებას.

რაც შეეხება საქმიანობის სახეების მიხედვით საშუალო თვიურ ნომინალურ ანაზღაურებას, 2017 წლის პირველი კვარტლის მონაცემებით აქ ლიდერობს: საფინანსო საქმიანობა - 1907.5 ლარი, მას მოყვება მშენებლობა - 1498.5 ლარი და ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა - 1332.4 ლარით. ყველაზე დაბალანაზღაურებად საქმიანობას წარმოადგენს განათლების სექტორი - 563.9 ლარი, შემდგომ სოფლის მეურნეობა - 657.9 ლარი და სასტუმროები და რესტორნები - 740.7 ლარი. აქ კიდევ ერთხელ ხაზი უნდა გავუსვათ განათლების სექტორში არსებულ ანაზღაურებას, რომელიც ყველაზე დაბალია და ჩვენის აზრით ერთ-ერთი

ძირითადი განმაპირობებელი ფაქტორია შრომის ბაზრის ხარისხის და არა მხოლოდ მისი.

მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის 2015-2016 წლის „გლობალური კონკურენტუნარიანობის ანგარიში“ („The Global Competitiveness Report“) მიხედვით ბოლო წლებში ბიზნესმენტა და ინვესტორთა დიდი ნაწილი საქართველოში ბიზნესის ხელისშემშლელ ძირითად გარემოებად სამუშაო ძალის არაკვალიფიციურობას ასახელებს. ამავდროულად როგორც ზემოთაღვნიშნეთ, ქვეყნის შრომის ბაზარზე მიწოდება აჭარბებს მოთხოვნას, თუმცა მცოდნე და გამოცდილი მუშა ხელის მწვავე ნაკლებობაა. იგივე ორგანიზაციის მონაცემებით 140 ქვეყანაში, შრომის ბაზრის ეფექტიანობით 32 საფეხურზე ვართ (წინა წელთან შედარებით გაუმჯობესდა 9 საფეხურით), ხოლო უმაღლესი განათლების და ტრენინგების კატეგორიაში 87 ადგილი გვიჭირავს (წინა წელთან შედარებით გაუმჯობესდა 5 საფეხურით).

საქართველოში ბოლო დროს ჩატარებულმა არაერთმა კვლევამ წარმოაჩინა, რომ უმაღლესი განათლების მიღების შემდგომ დასაქმებისთვის აუცილებელია შემდგომი გადამზადება. უმაღლესი სასწავლებლები ძირითადად ვერ უზრუნველყოფენ სრულფასოვნად - დამსაქმებლისთვის მისაღები კვალიფიკაციის კურსდამთავრებულთა გამოშვებას. საკვანძო საკითხს წარმოადგენს თეორიულ მომზადებასთან ერთად პრაქტიკული უნარ-ჩვევების გამოუმუშავება, ეს კი შეუძლებელია უმაღლესი სასწავლებლების და პოტენციური დამსაქმებლების მჭიდრო თანამშრომლობის გარეშე (საწარმოო პრაქტიკები, გამოცდილი-პრაქტიკოსების საუნივერსიტეტო საქმიანობაში გარკვეული მოცულობით ჩართვა და სამეცნიერო-კვლევით საქმიანობაში საგანმანათლებლო დაწესებულებათა და ბიზნესისი მჭიდრო თანამშრომლობა). აღნიშნულს ამყარებს ის არსებული მდგომარეობაც, რომლის მიხედვით შრომის ბაზარზე უმუშევართა და არა სამუშაო ძალის კატეგორიაში მყოფთა მნიშვნელოვან ნაწილს გააჩნია უმაღლესი განათლება, რომელიც საკმარისი არ აღმოჩნდა მათთვის დასაქმებაში. რამდენიმე უმაღლეს სასწავლებელში ბოლო დროს დადებითი ცვლილებებია ზემოთ განხილული გარემოების გამოსასწორებლად, თუმცა, როგორც იტყვიან ეს ჯერ ზღვაში წვეთია და საკმარისი არ არის მთლიანი სურათის შესაცვლელად.

უმაღლესი განათლება ვერავითარ შედეგს ვერ აჩვენებს ხარისხიანი საშუალო - სასკოლო განათლების გარეშე, რომელიც ასევე წარმოადგენს მნიშვნელოვან ქვაკუთხედს ხარისხიანი

პროფესიული განათლებისთვის. დღეს ვერც ერთი მათგანი სამწუხაროდ ვერ პასუხობს არსებულ გამოწვევებს.

ჩვენს მიერ წარმოებული დაკვირვების შედეგები, რომელსაც 2006 წლიდან ვახორცილებთ და დღემდე შინაარსობრივად მოესწრო 14 ორგანიზაციის შესწავლა, რომელთაგან 4 განეკუთვნება მსხვილი ორგანიზაციების კატეგორიას, 5 საშუალოს, ხოლო დანარჩენი 5 წვრილს, თანხვედრაშია მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის მიერ გამოქვეყნებულ შედეგებთან. მსხვილი ორგანიზაციები ფინანსური რესურსების ხარჯზე ახერხებენ საკვანძო პოზიციებზე პროფესიონალი კადრის, როგორც უცხოეთიდან მოზიდვას, ასევე ადგილობრივი ბაზრიდან საუკეთესოების დასაქმებას და მათ შემდგომ გადამზადებას, თუმცა გადამზადების ხარჯები და ასევე დროის ფაქტორი მათთვისაც საკმაოდ მძიმე დამატებით ტვირთს წარმოადგენს. რაც შეეხება საშუალო და მცირე ზომის ორგანიზაციებს, ორივე მათგანში მწვავედ დგას მცოდნე და გამოცდილი კადრის მოძიების საკითხი.

ქართულ შრომის ბაზარზე, შრომითი რესურსები შეიძლება შემდეგ ძირითად ჯგუფებად დავყოთ:

- საბჭოური განათლებისა და უნარ-ჩვევების მქონე კადრი (40 წელი და ზევით), რომელთა მნიშვნელოვანი ნაწილი სამწუხაროდ ვერ პასუხობს დღევანდელ გამოწვევებს - შრომითი რესურსის დაახლოებით 55-65%;

- ახალბედა და მცირე გამოცდილების მქონე კადრი (ძირითადად 15-24 წლის ასაკს შორის), რომელთაც დასაქმებისთვის სჭირდებათ შემდგომი საფუძვლიანი გადამზადება - შრომითი რესურსის დაახლოებით 5-10%;

- გარკვეული გამოცდილებისა და უნარ-ჩვევების მქონე კადრი (ძირითადად 25-39 წლის ასაკს შორის), რომელთაც დასაქმებისთვის ძირითადად სჭირდებათ შემდგომი გადამზადება - შრომითი რესურსის დაახლოებით 30-35%;

- ბოლო დროს ჩამოყალიბებული - უცხოური და ადგილობრივი განათლების (ძირითადად ევროპული, ან ამერიკული და წარმატებული ქართული საგანმანათლებლო დაწესებულებები) და გამოცდილების მქონე კადრი - შრომითი რესურსის დაახლოებით 2-4%.

აღნიშნულ ჯგუფთან მიმართებაში გვსურს აღვნიშნოთ ერთი ჩვენი დაკვირვება: მათი ნაწილი სათანადოდ ვერ ახდენს მიღებული ცოდნისა და უნარ-ჩვევების წარმოჩენას სხვადასხვა ხელისშემშლელი გარემოებების გამო. ამ ხელისშემშლელი გარემოებებიდან უნდა გამოვარჩიოთ „კაფსულაში ჩაკეტილი ცოდნის



ცნება“, როდესაც არსებული სამუშაო გარემო მათი ცოდნისა და გამოცდილების რეალიზების შესაძლებლობას არ იძლევა და ნაცვალ იმისა, რომ ეს ცოდნა დაიხვეწოს და განვითარდეს, ხშირ შემთხვევაში გვაქვს უკუეფექტი, ხდება ამ ცოდნისა და უნარჩვევების დაკნინება (რეგრესი);

- გამოცდილი და მაღალი უნარჩვევების მქონე კადრი - შრომითი რესურსის დაახლოებით 1-2%;

ყოველი მოცემული ჯგუფი შიგნით ძალზედ მრავალფეროვანია და მოითხოვს ცალკეულ განხილვას, რასაც შემდგომ ნაშრომებში წარმოვადგენთ.

დასაქმებულების მხრიდან საკმაოდ დიდია ახალი სამსახურის მოძიების სურვილი. მათ დიდ ნაწილს მიაჩნია, რომ არსებულ სამსახურებრივ პირობებში ვერ ავლენენ თავის შესაძლებლობებს. უფრო მეტიც, 2017 წელს გაეროს განვითარების ფონდის მიერ ჩატარებული კვლევის მონაცემების მიხედვით, გამოკითხულთა 27% მიიჩნევს, რომ

ქვეყანაში ყველაზე მეტად შრომითი უფლებები ირღვევა.[4]

ისტორიას არაერთი გამოჩენილი პიროვნების დაახლოებით ასეთი შინაარსის გამოთქმა ახსოვს: „წარმატების მიღწევაში გადამწყვეტი, მაღალი პასუხისმგებლობის და გამოცდილების მქონე თანამშრომლებია“. აღნიშნულს ჩვენც ვიზიარებთ, ქვეყნის განვითარებას ესაჭიროება მცოდნე და გამოცდილი კადრების მომზადება. პროფესიონალი კადრების მომზადებას თავის მხრივ ესაჭიროება მაღალი ხარისხის: საშუალო, პროფესიული და უმაღლესი განათლების სისტემა. რა თქმა უნდა მაღალ ეფექტური შრომის ბაზრის ჩამოყალიბებაზე სხვა გარემოებებიც ახდენს გავლენას და საჭიროა მათი მთლიანობაში განხილვა, თუმცა როგორც აღვნიშნეთ, ძირითად საკითხად მაინც მაღალი კვალიფიკაციის შრომითი ძალის მომზადება - მათი სათანადოდ სწავლება და სწორი პრაქტიკული უნარ-ჩვევების ჩამოყალიბება მიგვაჩნია სახელმწიფოებრივ აზროვნებასთან ერთად.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემები (<http://www.geostat.ge/>).
2. მსოფლიოს ეკონომიკური ფორუმის ანგარიშები (<https://www.weforum.org/events/world-economic-forum-annual-meeting-2017>).
3. NDI-National Democratic Institute კვლევები ([https://www.ndi.org/sites/default/files/NDI%20poll\\_june%202017\\_ISSUES\\_GEO-VF.pdf](https://www.ndi.org/sites/default/files/NDI%20poll_june%202017_ISSUES_GEO-VF.pdf)).
4. გაეროს განვითარების ფონდი - საქართველოს კვლევები (<http://www.ge.undp.org/content/georgia/ka/home/presscenter/pressreleases/2017/07/26/human-rights-survey-2017/>).

The main peculiarities of the Georgian labor market

Shalva Kvezereli

Doctor of Business Administration,  
Ministry of Defense of Georgia  
lapel David Agmashenebeli  
National Defense Academy of Georgia,  
Assistant Professor.

Resume

The article “The main peculiarities of the Georgian labor market” discusses the current situation of our labor market, based on the results of official statistical data, international and other local researches, including the results of their own research-observation. Several important issues (business development, education, and qualification) are considered to have an impact on the establishment of an effective labor market. The article also covers the grouping of labor resources on the Georgian labor market according to the basic characteristics and their equity ratio, based on the author’s research.

## სახელმწიფოს და ბიზნესის ურთიერთქმედების მოდელი სახელმწიფო შესყიდვების სისტემაში



თინათინ მეძმარიაშვილი  
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დოქტორანტი, საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს ადმინისტრაციული დეპარტამენტის სახელმწიფო შესყიდვების სამმართველოს უფროსი  
ელ. ფოსტა: tinatinmedzmariashvili@yahoo.com  
ტელ.: +995 77 97 83 36

ახალი ეკონომისტი THE NEW ECONOMIST

*სახელმწიფოს და ბიზნესის ურთიერთქმედების მოდელი სახელმწიფო შესყიდვების სისტემაში. სახელმწიფო შესყიდვების სფეროში ფინანსური რესურსების რაციონალურ ხარჯვას, სამართლიანი და არადისკრიმინაციული გარემოს ფორმირებას, ჯანსაღი კონკურენციის განვითარებასა და საზოგადოებისათვის ინფორმაციის მაქსიმალურად გამჭვირვალედ მიწოდებას უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება. სახელმწიფო შესყიდვების სისტემის გამართული ფუნქციონირება მნიშვნელოვანია, როგორც სახელმწიფო, ასევე კერძო სექტორის წარმომადგენლებისათვის. შესაბამისად, სახელმწიფოს მხრიდან განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ჯანსაღი კონკურენციის განვითარებას სახელმწიფო შესყიდვებით დაინტერესებულ სუბიექტებს შორის, ამასთან, ხელი შეეწყოს კომპანიების მიერ საკუთარი შესაძლებლობების მაქსიმალურ გამოყენებასა და შესყიდვების ღია პროცესის წარმოებას, რაც თავის მხრივ უზრუნველყოფს სახელმწიფო ფინანსური რესურსების რაციონალურ ხარჯვას.*

სახელმწიფო შესყიდვები ქვეყნის ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან სფეროს წარმოადგენს და მასზე მთლიანი შიგა პროდუქტის 12% მოდის [6, გვ.2]. შესაბამისად, უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება სახელმწიფო ფინანსური რესურსების რაციონალურ ხარჯვას, სამართლიანი და არადისკრიმინაციული გარემოს ფორმირებას, სახელმწიფო შესყიდვების სფეროში ჯანსაღი კონკურენციის განვითარებასა და საზოგადოებისათვის ინფორმაციის მაქსიმალურად გამჭვირვალედ მიწოდებას. სახელმწიფო შესყიდვების სფეროს გამართული ფუნქციონირება მნიშვნელოვანია, როგორც სახელმწიფო, ასევე კერძო სექტორისათვის. გარდა იმისა, რომ განსაკუთრებით აქტუალურია სახელმწიფო სახსრების რაციონალური და მიზნობრივი ხარჯვა, ქვეყნისათვის მნიშვნელოვანია სახელმწიფო შესყიდვებში მცირე და საშუალო ბიზნესის ჩართულობის ზრდა, კერძო სექტორში კონკურენციის განვითარება, რაც თავის მხრივ უზრუნველყოფს მათი შემოსავლების ზრდას.

საქართველოს სახელმწიფო შესყიდვების სისტემაში სახელმწიფოსა და ბიზნესის შუალედურ რგოლს სსიპ „სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო წარმოადგენს“, რომელიც სახელმწიფო შესყიდვების კანონის მოთხოვნათა დაცვისა და შესრულების

უფლებამოსილების მქონე ორგანოა. სააგენტო უზრუნველყოფს შესყიდვების პროცედურების კანონიერებაზე ზედამხედველობასა და შესყიდვების პროცესის რეგულირების პოლიტიკის განსაზღვრას.

2010 წლამდე საქართველოში სახელმწიფო შესყიდვები ხორციელდებოდა ქაღალდური წესით და დღეისათვის მოქმედი სახელმწიფო შესყიდვების სისტემა 2010 წლის 1 დეკემბრიდან ჩამოყალიბდა. სათანადო გამჭვირვალობის არარსებობის გამო, შესყიდვების სიტემაში ადგილი ჰქონდა შემდეგი რისკების არსებობას: დისკრიმინაციულ მიდგომებსა და კორუფციას, ინფორმაციის ხელმისაწვდომობის შეზღუდულობას, ტენდერებში მონაწილეობისათვის დაწესებულ მაღალ სახდელს და ტერიტორიულ უთანასწორობას, რის შედეგადაც იზღუდებოდა ამ სფეროსათვის ერთ-ერთი აუცილებელი კომპონენტი - ჯანსაღი კონკურენცია. ყველა სატენდერო პროცედურა ქაღალდის საშუალებით ხორციელდებოდა, შესაბამისად, 2011 წლის დასაწყისისათვის სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოში დაახლოებით 20 მილიონი ქაღალდის დოკუმენტი დაგროვდა, საიდანაც სათანადო ინფორმაციის მიღება და ანალიზი პრაქტიკულად შეუძლებელი იყო [4, გვ.4].



შესაბამისად, საზოგადოებრივი ნდობის ხარისხი სახელმწიფო შესყიდვების სისტემის მიმართ დაბალი იყო, რასაც ემატებოდა ინფორმაციის შეზღუდვა, ტენდერში მონაწილეობის მაღალი ხარჯი და დროის მოთხოვნების არაადეკვატურობა [1, გვ.5]. სახელმწიფო შესყიდვების ელექტრონული სისტემის შექმნა, დანერგვა და მართვა სააგენტოს დავებდა, რომელმაც სსიპ „საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს“ ტექნიკური მხარდაჭერით უზრუნველყო სახელმწიფო შესყიდვების ელექტრონული სისტემის პროგრამული შემუშავება. საქართველო მხოლოდ მეორე ქვეყანაა მსოფლიოში, სადაც სრულად გაუქმდა ე.წ. ქაღალდის ტენდერები და უკიდურესად მოკლე ვადაში დაინერგა 100% ელექტრონული ტენდერების სისტემა. აღნიშნული რეფორმა ხუთი მარტივი მიზნის მიღწევას ითვალისწინებდა [4, გვ.5]:

1. გამჭვირვალობა – აუცილებელი იყო სახელმწიფო სახსრების ხარჯვის გამჭვირვალობის უზრუნველყოფა, რათა საზოგადოებისთვის ხელმისაწვდომი გამხდარიყო ინფორმაცია, თუ რაში და რა ოდენობით იხარჯება სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი სახსრები;

2. არადისკრიმინაციულობა – საჭირო იყო ისეთი პროცედურების შემოღება, რომელიც ყველა მიმწოდებელს თანაბარ პირობებში ჩააყენებდა შესყიდვებში მონაწილეობის დროს და გამორიცხავდა დისკრიმინაციული მიდგომის შესაძლებლობას. ეს საკმაოდ რთული ამოცანა იყო, რადგან არსებობდა სხვადასხვა სახის ფაქტორები, მაგალითად გეოგრაფიული ფაქტორი, რომელიც გარკვეულ უპირატესობას ანიჭებდა იმ კომპანიებს, რომლებიც შედარებით ახლოს მდებარეობდნენ შემსყიდველი ორგანიზაციის ადგილსამყოფელთან;

3. სამართლიანი შერჩევა – ასევე რიგ შემთხვევაში ამა თუ იმ ფაქტორის გამო, უსამართლოდ ხდებოდა მიმწოდებლების დისკვალიფიკაცია ტენდერიდან მათთვის დაბალი ქულის დაწერის გზით, რასაც ხელს უწყობდა შეფასების საკმაოდ სუბიექტური და არაგამჭვირვალე სისტემა;


4. გამარტივებული პროცედურები – ქაღალდის ტენდერებში მონაწილეობა საკმაოდ რთულ პროცედურებთან, დროისა და მატერიალური რესურსების ხარჯვასთან იყო დაკავშირებული, რაც ტენდერში მონაწილეობის სურვილს უკარგავდა არაერთ კომპანიას. პროცედურების გამარტივება და ადმინისტრაციული ბარიერების მოსპობა აუცილებელი იყო;

5. ქაღალდებისგან თავის დაღწევა

– სააგენტოში წარდგენილი ქაღალდის დოკუმენტაცია არა მხოლოდ არაეფექტური და არასანდო ინფორმაციის წყარო იყო, არამედ ამ დოკუმენტაციის დამუშავება და საჭირო ინფორმაციის მიღება საკმაოდ რთული და დროში გაწელილი პროცესი იყო. პრობლემატური იყო ასევე ქაღალდზე მიღებული ინფორმაციის საჯარო ინფორმაციის სახით გაცემა (მოძიება, დამუშავება, ასლის გადაღება და ა.შ.).

დღეისათვის მოქმედი სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემა გამოირჩევა მაქსიმალური გამჭვირვალობით. სისტემით სარგებლობა შეუძლია შემსყიდველს, მიმწოდებელს და სტუმრის სტატუსით ნებისმიერ დაინტერესებულ პირს, თუმცა სისტემაში წინასწარი რეგისტრაცია სავალდებულოა მხოლოდ შემსყიდველებისა და მიმწოდებლებისათვის [3, გვ.5]. ამასთან, სისტემით სარგებლობა შეუძლია ნებისმიერ დაინტერესებულ პირს მსოფლიოს მასშტაბით, სისტემა სამენოვანია და ხელმისაწვდომია მომხმარებლებისათვის ქართულ, ინგლისურ და რუსულ ენებზე. თანამედროვე ინფორმაციულმა ტექნოლოგიებმა ხელი შეუწყო საქართველოს სახელმწიფო შესყიდვების სისტემის განვითარებას. ელექტრონული შესყიდვების სისტემამ გაზარდა შესყიდვების პროცესის ეფექტურობა და დღეისათვის იზოგება, როგორც შემსყიდველის, ასევე პოტენციური მიმწოდებელი ორგანიზაციების ფინანსური, ადამიანური და დროითი რესურსები [2, გვ.232]. აღსანიშნავია, რომ ყოველწლიურად იზრდება შესყიდვების სფეროთი დაინტერესებულ კომპანიათა რიცხვი (იხილეთ დიაგრამა 1).

2016 წელს სახელმწიფო სფეროში კვლავ დიდი აქტიურობით გამოირჩევა კერძო სექტორი და წლის მანძილზე სისტემაში ჯამში 5 659 ახალი მიმწოდებელი დარეგისტრირდა და შედეგად, რეგისტრირებული მიმწოდებლების რაოდენობამ 2016 წლის ბოლოსათვის 30 704 შეადგინა. სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ინფორმაციით, 2015 წლისთვის ფიქსირდება დაახლოებით 160 000 აქტიური ეკონომიკური ოპერატორი, რომლის მიხედვითაც სახელმწიფო შესყიდვებში მონაწილეობას ღებულობს დაახლოებით 15,6% [5, გვ.17]. 2016 წელს სისტემაში რეგისტრირებული არარეზიდენტი მიმწოდებლების რაოდენობამ 1 123-ს მიაღწია, რაც წინა წლის ამავე მაჩვენებელს 60%-ით აღემატება. აღნიშნული ფაქტი მეტყველებს იმაზე, რომ სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემა ღია და ხელმისაწვდომია ყველა საერთაშორისო ეკონომიკური სუბიექტისათვის [6,



წყარო: სსიპ „სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო“ [www.procurement.gov.ge](http://www.procurement.gov.ge)

სახელი ეპონიმიზირებული THE NEW ECONOMIST

გვ.18]. უცხოური კომპანიების ჩართულობა ხელს უწყობს ადგილობრივ ბაზარზე კონკურენციის განვითარებასა და უზრუნველყოფს სახელმწიფო ფინანსური რესურსების რაციონალურ ხარჯვას. 2017 წლის პირველი თებერვლიდან მოხდა სატენდერო დოკუმენტაციის ელექტრონიზაცია და შემსყიდველი ორგანიზაციები კითხვარის სახით ავსებენ სატენდერო მოთხოვნებს, რაც მარტივად აღსაქმელი და მოსახერხებელია ტენდერით დაინტერესებული პოტენციური პრეტენდენტებისათვის.

სახელმწიფო შესყიდვების ნებისმიერი სახელმწიფოსათვის ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან სფეროს წარმოადგენს. სახელმწიფომ უნდა შექმნას ბიზნესის ჩამოყალიბება-განვითარებისათვის ოპტიმალური პირობები: ქვეყანაში უზრუნველყოს პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური სტაბილურობა. ამასთან, უზრუნველყოს კონკურენტული გარემოს ფორმირება და სახელმწიფო შესყიდვების სფერო

გამართული სამართლებრივი ბაზით.

მნიშვნელოვანია, რომ სახელმწიფო ფინანსური რესურსები სწორედ იყოს მიმართული ქვეყნის საჭიროებიდან გამომდინარე და უზრუნველყოფილ იქნას მათი რაციონალური და მიზნობრივი ხარჯვა. ამასთან, ყურადღება უნდა მიექცეს კერძო სექტორის სახელმწიფო შესყიდვებით დაინტერესების საკითხს, რადგან სახელმწიფო შესყიდვები პირდაპირ ზეგავლენას ახდენს მთლიანი შიგა პროდუქტის სტრუქტურაში. გამომდინარე აქედან უზრუნველყოფილი უნდა იქნეს კომპანიების მაქსიმალური ჩართულობა და დაინტერესება შესყიდვების სფეროში. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ჯანსაღი კონკურენციის განვითარებას სახელმწიფო შესყიდვებით დაინტერესებულ სუბიექტებს შორის, რაც თავის მხრივ უზრუნველყოფს სახელმწიფო სახსრების რაციონალურ ხარჯვას და კომპანიების მიერ საკუთარი შესაძლებლობების მაქსიმალურ გამოყენებას.

გამოყენებული ლიტერატურა:

- 1) კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს სტრატეგიული გეგმა, Policy and Management Consulting Group (PMcG), მაისი, 2013.
- 2) მემარიაშვილი თ, ინფორმაციული ტექნოლოგიების როლი სახელმწიფო შესყიდვების ფორმირებაში (საქართველოს მაგალითზე, საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის „თანამედროვე ინფორმაციული ტექნოლოგიები ეკონომიკური გლობალიზაციის პირობებში“ შრომების კრებული,

თბილისი 2015, გვ. 229-233.

- 3) სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემის მომხმარებლის სახელმძღვანელო, თბილისი 2016, ვერსია 5.02.
- 4) სსიპ „კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს“ 2011 წლის ანგარიში.
- 5) სსიპ „სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს“ 2015 წლის საქმიანობის ანგარიში.
- 6) სსიპ „სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს“ 2016 წლის საქმიანობის ანგარიში.

State and business interaction model in the state procurement system

Tinatin Medzmariashvili  
Ivane Javakhishvili Tbilisi State University  
Under-graduate of PhD of the Faculty of Economics and Business  
Head of State Procurement Division  
of Administration Department of the Ministry  
of Regional Development and Infrastructure of Georgia

Annotation

Rational spending of financial resources in the sphere of public procurement, forming a fair and non-discriminatory environment, promoting healthy competition and delivering information to the public is transparently important. The smooth functioning of the state procurement system is important for both the state and the private sector. Therefore, the government should emphasize the importance of healthy competition between public procurement stakeholders, in addition, to encourage companies to use their potential to the maximum and open procurement process in the production, which in turn provides the financial resource expenditure.

საჯარო სამსახურის პრობლემები და მათი გადაჭრის გზები



ლაშა მგელაძე  
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დოქტორანტი  
ტელ: (+995) 577229889  
ელ.ფოსტა: lmgeladze@gmail.com

ახალი ეკონომისტი THE NEW ECONOMIST

სტატია ეხება საჯარო სამსახურის სისტემის მოწყობის თემატიკას. ქვეყნის განვითარების, მისი სიძლიერის, მსოფლიოს ღირსეულ წევრად ჩამოყალიბების ერთ-ერთ უმთავრეს ფაქტორს სახელმწიფო/საჯარო სამსახური წარმოადგენს. ამიტომ, აუცილებელია ქვეყანაში არსებობდეს გამართული/ეფექტური სახელმწიფო სამსახურის ინსტიტუციური მოდელი.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სტატიაში განხილულია, თუ რა გამოწვევების წინაშე იდგა ქვეყნის საჯარო სამსახურის სისტემა დამოუკიდებლობის მიღებიდან პირველ ათწლეულში, რა ტიპის რეფორმები გატარდა სისტემის სრულყოფის მიზნით და რა შედეგები მოიტანა გატარებულმა ღონისძიებებმა. ბოლოს წარმოდგენილია ავტორის ხედვა, როგორ პრინციპებზე უნდა იქნეს აგებული საჯარო სამსახურის სისტემა, რათა დაიხვეწოს სისტემის როგორც ინსტიტუციური მოდელი ისე გაუმჯობესდეს მართვის მექანიზმები. შესაბამისად, შემოთავაზებულია ისეთი სისტემა, რომელიც, ავტორის აზრით, უკეთ უზრუნველყოს ქვეყნის განვითარებას.

ეფექტური, მოქნილი და კვალიფიციური, საჯარო სამსახურის ჩამოყალიბებისათვის ავტორი გვთავაზობს საჯარო სამსახურის მოწყობის ჰიბრიდულ/შერეულ მოდელს (კარიერული და ღია/საკონტრაქტო სისტემის ნაზავი), რომელიც, უფრო მეტად ღირსებაზე დაფუძნებული და ღია საჯარო სამსახურის მოდელის პრინციპებით იქნება გაჯერებული.

ძირითადი სიტყვები

საჯარო სამსახური, რეფორმა, საჯარო სამსახურის მოდელები, საჯარო სამსახურის სრულყოფა, საქართველოს საჯარო სამსახური.

ქვეყნის განვითარების, მისი სიძლიერის, მსოფლიო ქვეყნების თანამეგობრობის ღირსეულ წევრად ჩამოყალიბების ერთ-ერთ უმთავრეს ფაქტორს სახელმწიფო/საჯარო სექტორი/საჯარო სამსახური წარმოადგენს. ამიტომ, აუცილებელია ქვეყანაში არსებობდეს გამართული/ეფექტური სახელმწიფო სამსახურის ინსტიტუციური მოდელი, რომელიც დაეყრდნობა კვალიფიციურ სახელმწიფო მოსამსახურეს; სისტემა, რომელიც ადეკვატურად უპასუხებს ქვეყნის წინაშე წარმოქმნილ გამოწვევებს და შეძლებს ყველა წამოჭრილი პრობლემის მოგვარებას; სისტემა, რომლის ფუნქციონირების ხარჯი მცირეა, რომლის შენახვა ზედმეტ წნეხად/ტვირთად არ აწევს ეკონომიკას და გადასახადის გადამხდელებს და ამავდროულად, ეფექტური/ეფექტიანია. სისტემა, რომელიც ორიენტირებულია ზედმეტი ბიუროკრატიული ბარიერების მოხსნაზე და ჭარბი/ფუჭი რეგულირების გარეშე საკითხების მოგვარებაზე; სისტემა, რომელსაც შეუძლია ყველა წამოჭრილი პრობლემა მოაგვაროს დამატებითი ინსტიტუტების შექმნისა და საჯარო სამსახურის შენახვის ხარჯების გაზრდის გარეშე.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ჩნდება კითხვა: მაინც როგორი საჯარო სამსახური ჭირდება ქვეყანას და რა პრინციპებზე (პოსტულატებზე) დაყრდნობით უნდა იყოს აგებული იგი?!

საკითხის განხილვას მივყვით ეტაპობრივად. მიმოვიხილოთ რა მდგომარეობაში იყო ქვეყნის საჯარო სამსახურის სისტემა საქართველოს დამოუკიდებლობის მიღების შემდგომ და რა რეფორმები გატარდა, რამაც მკვეთრი ეფექტი მოახდინა სისტემის გაუმჯობესებაზე. შევაფასოთ სისტემა, გატარებული რეფორმები და დავსახოთ გაუმჯობესების გზები. წარმოვადგინოთ, ჩვენი აზრით, საჯარო სამსახურის მოწყობის ოპტიმალური მოდელი.

დამოუკიდებლობის მიღების შემდგომ, პირველ ეტაპზე, მთელი რიგი მიზეზების გამო, ვერ მოხერხდა მეტ-ნაკლებად ეფექტური საჯარო სამსახურის სისტემის ჩამოყალიბება. ქვეყანაში, დასაწყისში (დამოუკიდებლობის გამოცხადების საწყის ეტაპზე), არ არსებობდა სახელმწიფოებრივი მოწყობის და მართვის გამოცდილება. შესაბამისად, ინერციით მოხდა



საბჭოური მემკვიდრეობის გადმოღება; ხშირ შემთხვევაში, კოპირება. სისტემა ხასიათდებოდა არამდგრადობით, არასისტემურობით, კორუფციის ძალიან მაღალი დონით სისტემის ყველა შტოსა და მართვის სხვადასხვა დონეზე; მთელი რიგი ჭარბი და არაეფექტური რეგულირებებით; უწყებებს შორის ფუნქციების დუბლირებით, დაბალი მოტივაციით; დიდი სახელფასო დავალიანებითა და ფინანსური არამდგრადობით; ქვეყნის განვითარების დოკუმენტების სიმრავლით (პოლიტიკის განმსაზღვრელი დოკუმენტების სიმრავლე და მრავალგვარობა - არ იყო ქვეყნის განვითარების ერთიანი ხედვა, პოლიტიკის განმსაზღვრელი დოკუმენტები შეიცავდნენ განვითარების სხვადასხვაგვარ მიმართულებებს); ბიუჯეტის ხარჯვის გაუმჭვირვალობითა და თანხების განაწილების არამიზანმიმართულობით; სამსახურში აყვანისა და დათხოვნის პროცესის გაუმჭვირვალობითა და არაეფექტურობით; საჯარო სამსახურებისა და კადრების სიმრავლით. შესაბამისად, საჯარო სამსახურის აპარატის მოუქნელობითა და არაეფექტურობით. რამდენიმე მაგალითი ნათლად დაგვანახებს, თუ რა დგომარეობაშიჩავარდასაჯაროსამსახურისსისტემა (სახელმწიფო ინსტიტუტები) დამოუკიდებლობის მიღებიდან პირველ ათწლეულში (90-იან წლებსა და 2000-იანების დასაწყისში):

- ქვეყნის დაგეგმილი ბიუჯეტი 800 მლნ. ლარს შეადგენდა (2002 წელს ქვეყნის დაგეგმილი ბიუჯეტი 1 200 000 000 ლარს შეადგენდა), რომელიც ვერ სრულდებოდა; სახელმწიფო ბიუჯეტის სეკვესტრი (შემცირება/შეკვეცა) ჩვეულებრივი მოვლენა იყო (მიუხედავად პერიოდულად განხორციელებული ბიუჯეტის სეკვესტრებისა, მაინც ვერ ხერხდებოდა ბიუჯეტის შესრულება).

- საჯარო მოხელის მინიმალური დარიცხული თანამდებობრივი სარგო 32 ლარს, ხოლო მაქსიმალური 250 ლარს (ეს იყო ქვეყნის პირველი პირის თანამდებობრივი სარგო) შეადგენდა;

- არ არსებობდა ქვეყნის განვითარების სტრატეგიის განმსაზღვრელი ერთი დოკუმენტი, რომელთან შესაბამისობაშიც იქნებოდა ყველა სხვა, მთავრობის მიერ მიღებული სტრატეგია თუ სამოქმედო გეგმა. ქვეყნის სტრატეგიის განმსაზღვრელი დოკუმენტები ხასიათდებოდა არასისტემურობით და ქაოტურ გარემოს ქმნიდა;

ქვეყნის განვითარების ძირითადი დოკუმენტი შედგებოდა რამდენიმე ასეული ფურცლისგან („ეკონომიკური განვითარებისა და სიღარიბის დაძლევის პროგრამა“) და მასში განსაზღვრული იყო 600-ზე მეტი პრიორიტეტი (მიღებული იქნა 2003 წელს);

- არ იყო განსაზღვრული, თუ რა მისიით იყო შექმნილი სხვადასხვა სფეროს პოლიტიკის განმსაზღვრელი უწყებები-სამინისტროები. ასევე, არ არსებობდა მათი სამოქმედო სფეროს განვითარების ხედვა;

- საბიუჯეტო სისტემა იყო მოძველებული

და არ პასუხობდა მსოფლიოში აპრობირებულ პრაქტიკულად გამართლებულ მოდელებს (საუკეთესო პრაქტიკას);

- საგადასახადო და საბაჟო სისტემა ხასიათდებოდა როგორც კორუფციის მაღალი დონით, ისე ჭარბი რეგულირებით, გადასახადების სიმრავლითა და მაღალი განაკვეთებით;

- შენარჩუნებული იყო ლიცენზიებისა და ნებართვების სისტემის საბჭოური მოდელები;

- ქვეყანაში მოქმედებდა ასევე, საბჭოური დროიდან შემორჩენილი საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მილიციური მოდელი. გზებზე წესრიგს იცავდა ეგრეთ წოდებული „საი“ (ГАИ);

- მოშლილი იყო ენერგეტიკის სისტემა - კვირაობით/თვეობით იყო გათიშული ელექტროენერგია და ჯამში რამდენიმე საათით თუ მიეწოდებოდა მოსახლეობას;

- პრაქტიკულად, შეიძლება ითქვას, არ ფუნქციონირებდა ჯანდაცვის და სოციალური უზრუნველყოფის სისტემა. პენსია შეადგენდა 10 ლარს თვეში. მოსახლეობა თვეობით, ხანდახან წლობით ვერ იღებდა აღნიშნულ თანხას და ა.შ.

ქვეყანაში საჯარო სამხურის რეფორმის/დახვეწის კუთხით მასშტაბური და ყოვლისმომცველი რეფორმები 2003 წლიდან დაიწყო. კერძოდ:

- განხორციელდა ინსტიტუციური ცვლილებები - საჯარო სექტორის მოქნილობისა და ეფექტურობის გაზრდის მიზნით მოხდა სახელმწიფო ინსტიტუტების კონსოლიდაცია, რამაც გამოიწვია გადაწყვეტილებების მიღების გამარტივება და დროში შემცირება. შესაბამისად, წამოჭრილ პრობლემებზე რეაგირების და საკითხების მოგვარების პროცესი გახდა უფრო ეფექტური.

რეფორმის ფარგლებში იმ პერიოდში არსებული 18 სამინისტროს ნაცვლად, ჩამოყალიბდა 13 სამინისტრო. განხორციელდა 18 სახელმწიფო დეპარტამენტის რეორგანიზაცია. ისინი გარდაიქმნა საქვეუწყებო დაწესებულებებად და დაექვემდებარა შესაბამის სამინისტროებს.

ამასთან, რეფორმის ერთ-ერთ ნაწილი იყო არა მარტო სახელმწიფო ინსტიტუტების კონსოლიდაცია, არამედ უწყებების შიგნით რესტრუქტურისაც (დაწესებულებათა მოქნილობის, დასახულ ამოცანებზე სწრაფად რეაგირებისა და ეფექტურობის/ეფექტიანობის გაზრდის მიზნით). შესაბამისად, განხორციელდა შიდა უწყებრივი კონსოლიდაცია და საქვეუწყებო დაწესებულებათა რაოდენობა 52-დან 34-მდე შემცირდა.

- საჯარო მოხელეთა რიცხოვნობის ოპტიმიზაცია-განხორციელებული ინსტიტუციური ცვლილებების შედეგად, საჭირო გახდა საჯარო მოხელეთა რიცხოვნობის ოპტიმიზაცია (ცვლილებების შედეგად, შემცირდა სახელმწიფო ინსტიტუტების რაოდენობა, მოხდა ზოგიერთი მათგანის გამსხვილება). კადრების ოპტიმიზაციის საჭიროება განაპირობა ასევე, ინსტიტუციური ცვლილებების პარალელურად დერეგულირების კუთხით განხორციელებულმა რეფორმებმა და

სახელმწიფო სამსახურის ზედმეტი ფუნქციებისგან გათავისუფლებამ (ლიცენზიებისა და ნებართვების სისტემის, ტექნიკური რეგულირების სისტემის, მეწარმეობის რეგულირების სისტემის და ა.შ რეფორმები).

რეფორმების შედეგად, სამინისტროების თანამშრომელთა რაოდენობა (2004-2005 წლებში) 102 571-დან 66 615-მდე (35%-ით) შემცირდა; ხოლო თანამშრომელთა რაოდენობა საქვეუწყებო დაწესებულებებში 23 769-დან 8 237-მდე (65%-ით) შემცირდა.

ამასთან უნდა აღინიშნოს, რომ მთელ რიგ შემთხვევებში, მოხდა კადრების სრული განახლება. ხელახლა მოხდა საპატრულო პოლიციის, სურსათის უვნებლობის სააგენტოს და სხვა ორგანიზაციების კადრებით დაკომპლექტება.

• მოტივაციის გაზრდა - გატარებულმა რეფორმებმა გამოიწვია საბიუჯეტო შემოსავლების მკვეთრი ზრდა, ხოლო სტრუქტურულმა ცვლილებებმა განაპირობა საბიუჯეტო სახსრების მნიშვნელოვანი ეკონომია. შედეგად, შესაძლებელი გახდა სახელმწიფო მოხელეებისათვის ხელფასის მომატება.

რეფორმებისა და განვითარების ფონდის პროექტი, რომელიც ითვალისწინებდა საჯარო მოხელეთათვის ხელფასებზე დანამატების გაცემას (ეგრეთ წოდებული „სოროსის მიერ გაცემული დანამატები“), შეწყდა. აღნიშნული პროექტით გათვალისწინებული სახსრები ჩაანაცვლა სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილმა თანხებმა. საჯარო სამსახურში საშუალო ხელფასი (2004-2005 წლებში) 15-ჯერ გაიზარდა. გასტუმრებული იქნა ყველა ძველი სახელფასო დავალიანება და სისტემა იმდენად მდგრადი გახდა, რომ პრობლემა ხელფასის დაგვიანებისა, ან არ გაცემისა იმის გამო, რომ ბიუჯეტში სათანადო თანხები არ არსებობს, მოიხსნა.

ზემოაღნიშნული, სახელმწიფო ბიუჯეტიდან შრომის ანაზღაურებაზე დახარჯული სახსრების სტატისტიკითაც დასტურდება. 2003 წელს სახელმწიფო ბიუჯეტიდან მუშა-მოსამსახურეთა შრომის ანაზღაურებაზე გამოყოფილი ასიგნებები შეადგენდა 138.321.200 ლარს; 2004 წელს 198.675.600 ლარს (ზრდამ წინა წელთან შედარებით 43% შეადგინა); 2005 წელს 276.461.300 ლარს (წინა წელთან შედარებით ზრდა 39%); 2006 წელს 372.651.400 (წინა წელთან შედარებით ზრდა 35%); 2007 წელს კი 462.177.100 (წინა წელთან შედარებით ზრდა 24%). 2004 წელთან შედარებით 2007 წელს სახელფასო ფონდი 132%-ით გაიზარდა [14, გვ. 99].

გატარებულმა რეფორმებმა მნიშვნელოვანი საფუძველი შექმნა მოხელეთა სტიმულირების კუთხით (საჯარო სამსახურში მუშაობის მსურველთა რიცხვი გაიზარდა); ასევე, გაიზარდა შესაძლებლობა კერძო სექტორიდან კადრების სახელმწიფო სექტორში გადმოსვლის თვალსაზრისით (გაზრდილი ხელფასის შედეგად გაჩნდა სისტემაში კვალიფიციური კადრების მოზიდვის შესაძლებლობა). ამასთან,

მნიშვნელოვნად შემცირდა კორუფციული გარიგებების რაოდენობა (ხელფასების ზრდა, ერთ-ერთია იმ ღონისძიებათა შორის, რომელმაც ხელი შეუწყო კორუფციული გარიგებების რაოდენობის შემცირებას).

• ქვეყნის განვითარების პოლიტიკის დოკუმენტების შემუშავების სრულყოფა და ბიუჯეტის დაგეგმვის პროცესის დახვეწა - უნდა აღინიშნოს, რომ ზემოაღნიშნული რეფორმების პარალელურად, მნიშვნელოვნად დაიხვეწა ბიუჯეტის დაგეგმვისა და სახელმწიფო თანხების განკარგვის პროცესი. შემოღებული იქნა ბიუჯეტის ხარჯების საშუალოვადიანი დაგეგმვის (MTEF) პროცედურა, რამაც მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი საბიუჯეტო თანხების ხარჯვის ეფექტურობისა და გამჭვირვალობის ამაღლებას.

ამასთან, შემუშავდა მთავრობის საშუალოვადიანი სტრატეგიის დოკუმენტი, რომელიც მოწადა ქვეყნის განვითარების პოლიტიკის დოკუმენტების ანალიზისა („ეროვნული უსაფრთხოების კონცეფცია“, „ნატოსთან ინდივიდუალური პარტნიორობის სამოქმედო გეგმა“ (IPAP), „საქართველოს ანტიკორუფციული სტრატეგია“, „ათასწლეულის განვითარების მიზნები საქართველოში“, „ეკონომიკური განვითარებისა და სიღარიბის დამლევის პროგრამა საქართველოში“ და სხვა) და მათი კომპილაციის (შინაარსობრივად დახარისხება და გაერთიანება) საფუძველზე (გამოირიცხა ყავლგასული და არააქტუალური „პრიორიტეტები“, განხორციელდა პრიორიტეტების ინტეგრაცია და განისაზღვრა აქტუალური პრიორიტეტული მიმართულებები).

მთავრობის საშუალოვადიანი სტრატეგიის საფუძველზე განხორციელდა სამინისტროების საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმების შემუშავება. გამოიყო განსახორციელებელი პრიორიტეტული მიმართულებები (სამინისტროების სამოქმედო სფეროების მიხედვით) საშუალოვადიან პერიოდში და დაისახა მიმართულებების შესრულების ამოცანები.

მთავრობის სტრატეგია და სამოქმედო გეგმა ინტეგრირებული იქნა ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების დოკუმენტში (BDD). აღნიშნული დოკუმენტის საფუძველზე ხდება ბიუჯეტის საშუალოვადიანი ხარჯვის პოლიტიკის (MTEF) დაგეგმვა. შესაბამისად, გატარებული რეფორმის შედეგად, საბიუჯეტო სახსრების ხარჯვა უშუალო კავშირში მოექცა მთავრობის პრიორიტეტებთან.

• ანტიკორუფციული ღონისძიებები - საჯარო სამსახურის რეფორმის ხედვის ერთ-ერთ ძირითად ამოცანას საჯარო სამსახურში კორუფციული გარიგებების შესაძლებლობების მაქსიმალური შემცირება წარმოადგენდა, რისთვისაც მთელი რიგი ღონისძიებები გატარდა [16]. გატარებულ რეფორმებს მწყობრი ხასიათი რომ ჰქონოდა და გაზრდილიყო დასახული ამოცანის ეფექტიანად შესრულების შესაძლებლობა, შემუშავდა საქართველოს ეროვნული ანტიკორუფციული





სტრატეგია და სტრატეგიის განხორციელების სამოქმედო გეგმა. გეგმით განისაზღვრა ყველა ის რეფორმა, ღონისძიება, რომელიც აუცილებელი იყო კორუფციული გარიგებების მაქსიმალურად შესამცირებლად და, ამავე დროს, რეალური იყო მათი შესრულება.


აღსანიშნავია, რომ მნიშვნელოვნად გააქტიურდა „კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის სახელმწიფოთა ჯგუფთან“ (GRECO) თანამშრომლობა. ქვეყანამ წარმატებით შეასრულა მოლაპარაკებების პირველი რაუნდით განსაზღვრული 21 რეკომენდაცია და გადავიდა მოლაპარაკებების მეორე რაუნდზე. აღსანიშნავია, რომ დღეის მდგომარეობით, მიმდინარეობს მოლაპარაკებების მე-4 რაუნდი. საქართველოს მიერ, კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლაში მიღწეული პროგრესი საერთაშორისო დონეზე იქნა აღიარებული (მსოფლიო ბანკისა და ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის 2005 წელს გამოქვეყნებული კვლევა (BEEPS - Business Environment and Enterprise Performance Survey); 2006 წლის 6 ნოემბერს არასამთავრობო ორგანიზაცია „საერთაშორისო გამჭვირვალობის მიერ გამოქვეყნებული კვლევა - 2006 წლის „კორუფციის აღქმის ინდექსის“ (CPI) კვლევის შედეგები; დიდი ბრიტანეთის ორგანიზაცია „ეკონომიკური დაზვერვის სამსახურის“ (The Economist Intelligence Unit), რომელიც “The Economist Group“-ის წევრია, ანგარიში სხვადასხვა ქვეყნის ეკონომიკური და პოლიტიკური მდგომარეობისა და მისი შესაძლო განვითარების პერსპექტივების შესახებ, 2007 წლის მარტი; საერთაშორისო ორგანიზაციის „Global Integrity“ -ის კვლევა, 2006 წელი; „საერთაშორისო რესპუბლიკურმა ინსტიტუტის“ საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვა (გამოკითხვა მოეწყო აშშ-ს საერთაშორისო დახმარების სააგენტოს დაფინანსებით) „განწყობა

ქვეყანაში”, 2007 წელი თებერვალი).

უნდა აღინიშნოს, რომ ეფექტური საჯარო სამსახურის სისტემის ჩამოყალიბებისათვის მხოლოდ, უშუალოდ საჯარო სამსახურთან დაკავშირებული ნორმატიული ბაზისა თუ საკადრო ცვლილებების გატარება არ არის საკმარისი. ზემოაღნიშნულ რეფორმებთან ერთად, პარალელურ რეჟიმში ქვეყანაში მიმდინარეობდა ფართომასშტაბიანი, რადიკალური რეფორმები სხვა მიმართულებებითაც. რეფორმებიამათუიმსისტემის საკანონმდებლო და პროცედურულად დახვეწასთან ერთად, ინსტიტუციურ ცვლილებებსაც მოიცავდა, რაც შესაბამისი სფეროს საჯარო უწყებების გაუმჯობესებას და ეფექტურობის/ეფექტიანობის გაზრდასაც ემსახურებოდა. ამ პერიოდში განხორციელდა ლიცენზიებისა და ნებართვების, ტექნიკური რეგულირების, საბაჟო, საგადასახადო და ენერგეტიკის სისტემების; განათლების სფეროს, სამეწარმეო სფეროს, საკუთრების უფლებებთან დაკავშირებული, საგზაო პოლიციის და ა. შ. რეფორმები.

განხორციელებულმა რეფორმებმა შედეგი რომ გამოიღო ამაზე, 2003-2007 წლების, ქვეყნის მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდის სტატისტიკაც მეტყველებს. ქვეყნის მშპ 2003 წელს 8.564 მლნ ლარს შეადგენდა, ხოლო 2007 წელს უკვე თითქმის ორჯერ იყო გაზრდილი და 16.994 მლნ. ლარს შეადგენდა. ეკონომიკურმა ზრდამ, ამავე წელს წინა წელთან შედარებით, 12.3% შეადგინა. ეს იმ ფონზე, როცა 2003 წელს ლარის ნომინალური გაცვლითი კურსი დოლართან მიმართებაში საშუალოდ 1\$ = 2.1453 ლარი იყო, ხოლო 2007 წელს 1\$=1.6699 ლარი შეადგინა [17]. ანუ, ნომინალურად, დოლარში მთლიანი შიდა პროდუქტი უფრო მეტად გაიზარდა, ვიდრე ლარში (იხ. გრაფიკი #1).

გრაფიკი #1 [18]



ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ 2007 წლის მერე აქტიური რეფორმები საჯარო სამსახურის დახვეწის/გაუმჯობესების კუთხით არ გაგრძელდა. ლოგიკურად იბადება კითხვა: იყო თუ არა საკმარისი გატარებული რეფორმები სისტემის სრულყოფისთვის. რა თქმა უნდა, არა, რადგან, ჩვენი აზრით, გატარებული საკადრო და ინსტიტუციური რეფორმების შემდეგ, აუცილებელი იყო ახალი საჯარო სამსახურის მარეგულირებელი ახალი ნორმატიული ბაზის შექმნა, რომელიც დაეყრდნობოდა იმ ძირითად მიდგომებს და პრინციპებს, რაც აუცილებელი იყო/არის სისტემის მდგრადობის ეფექტურობის/ეფექტიანობის და მოქნილობის შესანარჩუნებლად/გასამდიერებლად. საბიუჯეტო რეფორმის შემდგომ აუცილებელი იყო ეგრეთ წოდებულ „პროგრამულ“ ბიუჯეტზე გადასვლა და ა.შ. რეფორმები შეუქცევადი პროცესია, იგი ცოცხალი ორგანიზმივითაა - მუდმივად უნდა მიმდინარეობდეს სრულყოფისკენ მიმავალი ღონისძიებების განხორციელება.

საჯარო სამსახურის რეფორმის ტემპის შენელებამ (ფაქტიურად უმოქმედობამ) გამოიწვია ამ სისტემის „გაბერვა“ (კვლავ გაიზარდა როგორც ინსტიტუტების, ისე სისტემაში დასაქმებულთა რაოდენობა). სისტემა გახდა უფრო ხისტი, მოუქნელი და ნაკლებ ეფექტური. აღნიშნული ქვემოთ მოყვანილი ციფრებიდანაც იკვეთება.

სამინისტროების რაოდენობა გაიზარდა და 18 ერთეულს გაუტოლდა (13-დან 18-მდე გაიზარდა სამინისტროებისა და სახელმწიფო მინისტრების აპარატების რაოდენობა). ეს იმ ფონზე, როცა აშშ-ში სულ 15 სახელმწიფო დეპარტამენტი (სამინისტრო) [19], გერმანიაში 14 სამინისტრო [20], საფრანგეთში 16 სამინისტრო [21], ესტონეთში 11 სამინისტრო [22], შვედეთში 12 სამინისტრო [23], შვეიცარიაში კი 7 ფედერალური დეპარტამენტი (სამინისტრო) [23].

ამასთან, 2006 წელს, სამინისტროების სისტემაში დასაქმებულ პირთა რაოდენობა (იგულისხმება როგორც საჯარო მოსამსახურეები ასევე, ის პირები, ვინც საჯარო მოსამსახურეებად არ ითვლებიან მაგ. სსიპ-ში დასაქმებულები) უკვე 83 009-მდე გაიზარდა, 2007 წელს 95 792-მდე, ხოლო 2008 წელს 103 749 ერთეულს მიაღწია [6;7]. ჩვენი ინფორმაციით 2009 წლის შემდეგ, საჯარო სამსახურის ბიუროს მიერ, საჯარო სამსახურის სისტემაში დასაქმებულთა რაოდენობრივი კვლევები არ ჩატარებულა (არ ჩატარებულა უწყებების რაოდენობრივი კვლევებიც). კვლევები განახლდა 2014 წლიდან, მაგრამ განსხვავებული მიდგომით („კვლევა ეფუძნება 2014 წლის მონაცემებს და ეხება მხოლოდ „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის დღეს მოქმედი რედაქციით გათვალისწინებულ საჯარო დაწესებულებებს, რომელში საქმიანობაც ითვლება საჯარო სამსახურად.“ [8]), რომელიც მხოლოდ საჯარო მოხელეებს მოიცავს. მიუხედავად კვლევების განსხვავებული მიდგომებისა,

ზოგიერთ კომპონენტში მაინც არის კავშირი და შესაძლებელია ზოგადი სურათის გამოკვეთა. სტატისტიკური კვლევებიდან იკვეთება, რომ 2006 წელს საჯარო სამსახურში დასაქმებული იყო 16 287 სამოქალაქო საჯარო მოსამსახურე (მალოვნების გარდა), ხოლო 2016 წელს ეს ციფრი თითქმის გაორმაგებულია და 32 151-ს შეადგენს. ჩვენ, ამ ეტაპზე, აღარ ჩავუღრმავდებით კვლევების დეტალებს (მიუხედავად იმისა, რომ გარკვეულ შემთხვევებში ძალიან საინტერესო ტენდენციების იდენტიფიცირება შეიძლება).

ზემოაღნიშნული ციფრების წარმოდგენის მიზეზი გახლავთ შემდეგი: გვინდოდა გვეჩვენებინა, რომ რეფორმების ტემპის შემცირებამ და საჯარო სამსახურის მეტნაკლებად არაეფექტურ პრინციპებზე დატოვებამ როგორი შედეგი გამოიწვია. სისტემამ დაიწყო ზრდა/„გაბერვა“ (მოხდა, როგორც უწყებებების, ისე დასაქმებულთა რაოდენობრივი ზრდა), ჩვენი აზრით, გახდა უფრო ხისტი და მოუქნელი და ა.შ.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ჩნდება კითხვა: რა პრინციპებზე (საფუძველზე) აგებული საჯარო სამსახური ჭირდება ჩვენს ქვეყანას, რომ იყოს მაქსიმალურად გამჭვირვალე, მოქნილი, ეფექტური/ეფექტიანი, პროფესიონალებით დაკომპლექტებული; იყოს მოტივაციის მაღალი დონე; მინიმუმადე იქნეს დაყვანილი ნეპოტიზმისა და კორუფციის ფაქტები. როგორი უნდა იყოს კადრების აყვანის, შეფასების, დაწინაურების მეთოდები და ა.შ.

ჩვენ, ამ ეტაპზე, არ დავიწყებთ ახლადმიღებული ნორმატიული აქტების ანალიზს (მითუმეტეს, რომ ძირითადად, არ ვეთანხმებით მასში განსაზღვრულ მეთოდებს/საფუძველებს) და მის კრიტიკას (ამ საკითხის უფრო სიღრმისეულ კვლევას მოგვიანებით განვახორციელებთ და წარმოვადგენთ). შევეცდებით წარმოვადგინოთ ჩვენი უფრო, ზოგადი ხედვა, თუ როგორ მოდელზე აგებული საჯარო სამსახური იქნება ოპტიმალური ჩვენი ქვეყნისთვის.

ზოგადად, აღიარებულია, რომ კერძო სექტორი მენეჯმენტით, მოტივაციის ზრდით, კადრების პროფესიონალიზმით, ანაზღაურებით, ეფექტურობით/ეფექტიანობით (საკმარისია, ნებისმიერი ცნობილი ტრანსნაციონალური კომპანია გავიხსენოთ, რომ უმალ ამოგვიტივტივდება მსგავსი განწყობა) და ა.შ. ბევრად აღემატება საჯარო სექტორს. კერძო სექტორის უპირატესობის ძირითად არგუმენტად მოყავთ ის, რომ აქ მფლობელის, კერძო პირის ფული იხარჯება, რომელიც ყველანაირად ცდილობს იყოს ეფექტური მენეჯერი და შექმნას კარგი პირობები, რათა არ მოხდეს მისი ფულის ფლანგვა და ამავე დროს, მიიღოს შესაძლებლად მაღალი მოგება. ანუ პირადი ინტერესი იწვევს ხარისხის ზრდას. ეს მაშინ, როცა საჯარო სექტორი ძირითადად

1 სტატისტიკა მოტანილია საჯარო სამსახურის ბიუროს მიერ 2005-2009 წლებში განხორციელებული კვლევებისა და 2013-2016 წლების წლიურ ანგარიშებში ასახული სტატისტიკური ანგარიშებიდან.



(განსაკუთრებით, ეგრეთწოდებული კარიერული მოდელის შემთხვევაში) დამყარებულია საჯარო მოხელის პატიოსნებაზე, მის პატრიოტიზმზე, შრომისმოყვარეობაზე და ა.შ. (აქ ხომ მეტი პირადი მოგების/სარგებლის მიღების სტიმული არ არსებობს). ანუ, საჯარო მოხელე არ ხარჯავს თავის ფულს. იგი სხვისი, სახელწიფოს ფულის ხარჯვაზეა ორიენტირებული და შესაბამისად, პირადი მიზანი, რომ ფული სწორად და ეფექტურად დაიხარჯოს, ნაკლებია. პრინციპით, „რადგან ჩემი არაფერი მიდის“, იზრდება რისკი სახელმწიფო ფულის უყარათოდ ხარჯვის, ნაცნობ-მეგობრების დასაქმების (შტატების არამიზნობრივად გაზრდის), დიდი პრემიებისა და დანამატების გამოწერის, შესასრულებელი სამუშაოსადმი გულგრილი დამოკიდებულების და ა.შ.

შესაბამისად, საჭიროა განისაზღვროს ისეთი პრინციპები და მიდგომები, რომელიც მაქსიმალურად დაახლოვებს საჯარო სამსახურს კერძო სამსახურის მსგავს მენეჯმენტსა და ეფექტურობასთან/ეფექტიანობასთან.

ანუ, ზოგადად, გვჭირდება ობიექტური, გამჭვირვალე, მცირე და მოქნილი, დასახულ ამოცანებზე სწრაფად და ეფექტურად რეაგირებადი საჯარო სამსახური; გვჭირდება სისტემა, რომელიც აღჭურვილი იქნება მცირე, მხოლოდ გარდაუვლად აუცილებელი ფუნქციებით და არ შექმნის ზედმეტ ბარიერებსა და პრობლემებს საზოგადოების სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისათვის. სისტემა, რომელიც მისცემს სტიმულს მენეჯერებს კადრების დაქირავებისას იხელმძღვანელონ პროფესიონალიზმისა და უნარჩვევების პრინციპით და არა ნაცნობ-მეგობრობის პრინციპით. სისტემა, რომელიც შესრულებული სამუშაოს შესაბამის ანაზღაურებას მისცემს მოხელეს და მინიმუმამდე დაიყვანს ნეპოტიზმის პრინციპით გაცემულ დანამატებს და ა.შ.

მოკლედ, ზემოაღნიშნულ პრინციპებზე, ალბათ, ყველა ერთი აზრისაა, მაგრამ როგორ უნდა იქნას უზრუნველყოფილი აღნიშნული, აქ უკვე იწყება აზრთა სხვადასხვაობა. ჩვენი აზრით:

- სტრუქტურა, ძირითადად, უნდა იყოს აგებული ეგრეთწოდებულ „შერეულ სისტემაზე“ (კარიერული და ღია „საკონტრაქტო“ სისტემის ნაზავი), რომელიც გაჯერებული იქნება „ღია, საკონტრაქტო სისტემის“ ელემენტებით. ჩვენი აზრით, კარიერული მოდელი ვერ უზრუნველყოფს ქვეყნის წინაშე მდგარი ამოცანების შესრულებას და პრობლემების ეფექტურად გადაჭრას. საჭიროა სისტემა, რომელიც მერიტოკრატიულ/ღირებულებით/ღირსებაზე დაფუძნებულ პრინციპებზე იქნება აგებული და არა მექანიკურ ბიუროკრატიულ პრინციპებზე.

სისტემამ რომ ეფექტურად/ეფექტიანად იმუშაოს, აუცილებელია ადამიანების დასახული ამოცანების შესაბამისად დაქირავება. კერძო და საჯარო სექტორს შორის თავისუფლად უნდა იყოს შესაძლებელი კვალიფიციური კადრების მოძრაობა (რათა „არ იყურებოდეს“ საჯარო მოხელე მხოლოდ

ბიუროკრატიული ფურცლებიდან და სხვა), იყოს მაღალი მოტივაცია (რომლის ერთ-ერთ ძირითად საფუძველს მაღალი, კერძოსთან გათანაბრებული ანაზღაურება წარმოადგენს) და ა.შ.

მსგავსი ამოცანების მიღწევა ფაქტობრივად შეუძლებელია კარიერული მოდელის პირობებში, რადგან აქ გვაქვს ჩაკეტილი ბიუროკრატიული სისტემა ერთიანი სახელფასო ბადით, გაწერილი სტანდარტული სამუშაოს აღწერილობებით, სადაც მოტივაციად მხოლოდ დაწინაურებისა და საკლასო ჩინის მომატება (რომელთანაც მიმზღულია ანაზღაურება) გვევლინება. მაგალითად, საჭირო რომ გახდეს თანამდებობაზე რომელიმე განათლებული/პროფესიონალი პირის მიღება, რომელიც კერძო სექტორშია დასაქმებული, ფაქტობრივად ვერ მოხერხდება [ან უნდა მივიღო უმდაბლეს თანამდებობაზე (ჩაკეტილ სისტემაში, გარკვეული გამოწავლისი შემთხვევების გარდა, მხოლოდ უმდაბლეს თანამდებობაზე შეიძლება სისტემაში გარედან შესვლა) ან პოლიტიკურ თანამდებობაზე].

ამასთან, უნდა აღინიშნოს, როგორც მსოფლიოში, ისე საქართველოში მოვლენები სწრაფად იცვლება და ქვეყანა დინამიკურად ვითარდება. ამიტომ საჭიროა წამოჭრილი პრობლემებისა და ამოცანების სწრაფად, ადეკვატურად და ეფექტურად გადაჭრა. შესაბამისად ჩაკეტილი ბიუროკრატიული სისტემა ვერ უზრუნველყოფს ზემოთ წამოჭრილი ამოცანების შესრულებას, რადგან სხვადასხვა ეტაპზე შესაძლებელია საჭირო გახდეს სხვადასხვა კვალიფიკაციისა და განათლების ადამიანების ჩართვა ამოცანის გადასაჭრელად. ჩაკეტილი სისტემა კი მოკლებულია (ვერ უზრუნველყოფს) კადრების განახლებისა და არსებული ვითარების შესაბამისად კადრების ცვლის შესაძლებლობას (იგი ვერ უზრუნველყოფს მოკლე დროში სისტემის ადეკვატური კადრებით დაკომპლექტებას).

ინსტიტუციური სტრუქტურა - ჩაკეტილი, კარიერაზე დამყარებული სისტემისათვის დამახასიათებელია პოლიტიკის შემუშავებელი და აღმასრულებელი რგოლის ერთიანობა [პოლიტიკის შემუშავებაზე პასუხისმგებელი პირი (პოლიტიკური თანამდებობის პირი - მაგ. მინისტრი), ხელმძღვანელობს/ახორციელებს შემუშავებული პოლიტიკის აღსრულებას], რაც, ჩვენი აზრით არაეფექტურია. ასევე, ჩაკეტილი სისტემისათვის [გამომდინარე იქიდან, რომ სტანდარტული გაწერილი ფუნქციებით არის აღჭურვილი (მაგ. სტრუქტურის დებულება, სამუშაო აღწერილობები და ა.შ.) დაწესებულებები და ნაკლებად არის ორიენტირებული განსახორციელებელი კონკრეტული ამოცანების შესრულებაზე] დამახასიათებელია სტრუქტურებს შორის ფუნქციების დუბლირება (დაწესებულების რაც შეიძლება მეტი სტანდარტულად გაწერილი ფუნქციით აღჭურვა იმისთვის, რომ გაიზარდოს გავლენის სფერო, რაც გარკვეულ შემთხვევებში იწვევს ფუნქციების დუბლირებას); ამა თუ იმ შესასრულებელი ფუნქციებისათვის საჭიროზე მეტი საშტატო ერთეულების მორგება. აღნიშნული

კიდევ უფრო მოუქნელს, ხისტს და არაეფექტურს ხდის საჯარო სამსახურის სისტემას.

უმჯობესია, სისტემაში მკაფიოდ იყოს გამიჯნული პოლიტიკური თანმდებობის პირის და აღმასრულებელი რგოლის ფუნქციები (რაც სახელშეკრულებო სისტემის მახასიათებელია). მიზანშეუწონელია, პოლიტიკური თანამდებობის პირი (მაგ. მინისტრი) მართავდეს დაწესებულებას (მაგ. სამინისტროს); ორგანიზებას უწევდეს და ხელმძღვანელობდეს უწყების საავტომობილო პარკს, ადმინისტრაციულ და კომუნალურ საჭიროებებს, ფინანსურ უზრუნველყოფას და ა.შ.

შრომითი ურთიერთობები - კარიერული მოდელისათვის დამახასიათებელია ჩაკეტილი სისტემა ანუ, როგორც წესი, სისტემაში მოხვედრა ხდება დაბალ თანამდებობაზე და ამის შემდგომ ხდება პირის გარკვეული დადგენილი პროცედურების შესაბამისად დაწინაურება. ფაქტიურად შეუძლებელია შუა რგოლში (მაგალითად სამმართველოს ან დეპარტამენტის უფროსის თანამდებობაზე) მოხვდე სისტემაში გარედან. იმისთვის, რომ მოხვდე მაღალ თანამდებობაზე, აუცილებელი პირობაა იყო სისტემის ნაწილი (მუშაობდე საჯარო სამსახურში ან ირიცხებოდე საკადრო რეზერვში, ჩაბარებული გქონდეს ერთიანი საკვალიფიკაციო გამოცდები და ა.შ.). აღიქმება, რომ ეს არის საჯარო სამსახურში მუშაობის მოტივაციის ძირითადი ფაქტორი. შენ მუშაობ მუდმივად და თუ რაიმე გადაცდომა არ ჩაიდინე სამსახურიდან ვერ გაგათავისუფლებენ, რაც, ჩვენი აზრით, არასწორი მიდგომაა: „თუ რამე არ შემეშალა მუდმივად ვიქნები დასაქმებული“-ს პრინციპი ამცირებს თვითგანვითარების მოტივაციას, საქმის ეფექტურად კეთების სტიმულს. ამას ემატება კანონმდებლობით განსაზღვრული ხელფასი (იცი, რომ თუ არ დაწინაურდი ხელფასი ნორმატიული აქტით განსაზღვრულ ზღვარს ზემოთ ვერ გექნება). გაწერილი ფუნქციების განსახორციელებლად საჭიროზე მეტი პირების რაოდენობა და ა.შ. სისტემა ხდება არაეფექტური.

ჩვენი აზრით, მიზანშეუწონელია, შრომითი ურთიერთობები საჯარო სამსახურში დამყარებული იყოს სტანდარტულ, ბიუროკრატიულ, კარიერულ, პრინციპებზე (როგორც ეს კარიერული სისტემისთვის არის დამახასიათებელი). გარდა იმისა, რომ აღნიშნული ამცირებს საკადრო პოლიტიკის მოქნალობას და ეფექტურობას (რაზეც უკვე ზემოთ ვისაუბრეთ) ამცირებს მოტივაციას, რადგან ადამიანის დაწინაურება არა მხოლოდ მის უნარჩვევებზე, აზროვნებაზე, შესრულებული სამუშაოს ხარისხსა და პასუხისმგებლობაზე დამოკიდებული, არამედ გადამწყვეტ როლს სამუშაო სტაჟი, მიღებული განათლება. მიღებული სერტიფიკატები და ა.შ ასრულებს. ანუ, ხდება დასაქმებულის შეფასება კვალიფიკაციის და არა დასმული ამოცანის შესრულების ხარისხის, მიხედვით. პოზიციაზე დამყარებული სისტემისგან განსხვავებით, ხელფასი ნაკლებადაა დაკავშირებული სამუშაოს შინაარსთან. ასევე, ხდება

პირზე სამუშაოს მორგება და არა საჭიროებების შესაბამისად პირის სამსახურში აყვანა. ასევე, თითქმის გამორიცხავს შუა რგოლში ადამიანის გარედან მიღების შესაძლებლობას (რადგან ძირითადად დახურული სისტემა ადამიანის შიგნიდან დაწინაურებაზეა ორიენტირებული). ანუ დასაქმებულმა იცის, რომ მის კარიერულ წინსვლაში ძირითად როლს სტაჟი, მიღებული განათლება, აღებული სერტიფიკატები, ენების ცოდნა და ა.შ. თამაშობს და ისიც იცის, რომ თუ სისტემას დატოვებს (გადავა კემო სეტორში სამუშაოდ), უკან დაბრუნება უფრო მაღალ თანამდებობაზე გაუჭირდება (ფაქტობრივად შეუძლებელია).

კარიერული მოდელისთვისაა დამახასიათებელი, ასევე, საჯარო სამსახურში მიღებისათვის რაიმე საერთო სასერტიფიკატო გამოცდების არსებობა (თუ არ ჩააბარებ გამოცდას და არ აიღებ სერტიფიკატს, ვერ შეძლებ საჯარო სამსახურში დასაქმებას). აღნიშნული კატეგორიულად გაუმართლებლად მიგვაჩნია. ეს კიდევ უფო ხისტს, მოუქნელს და არაეფექტურს ხდის სისტემას. საჭირო უნარჩვევები, თანამდებობის სპეციფიკის მიხედვით. განსაზღვრული უნდა იყოს კონკურსისას თანამდებობისათვის საჭირო მოთხოვნებში. სისტემა უნდა იყოს ორიენტირებული აიყვანოს კრეატიული, მოაზროვნე კადრი, რომელიც საჭიროებისამებრ წაიკითხავს, აღიქვამს და სამუშაოს შესრულებს ეფექტურად. სასერტიფიკატო მოდელი კი ძირითადად წინასწარ გაზეპირებულ კანონმდებლობაზე იღებს ორიენტაციას. ანუ, „საზეპიროების პრინციპით“ განსაზღვრავს ადამიანის ეფექტურობას, რაც ჩანასახშივე არასწორია. გაუგებარია ასევე, საერთო კრიტერიუმების საფუძველზე, როგორ/რატომ უნდა განისაზღვროს, რომ ადამიანი გამოდგება საჯარო სამსახურში მუშაობისათვის. ან, თუ შესაბამისი/საჭირო კადრი ვნახე, რატომ უნდა ჩავაბარებინო სასერტიფიკატო გამოცდა (რომელიც, ხშირ შემთხვევაში, საქმისთვის მეასეხარისხოვანია) იმისთვის, რომ სამსახურში ავიყვანო და ა.შ.

ჩვენი აზრით, საერთოდ აზრს მოკლებულია კარიერული მოდელისთვის დამახასიათებელი, საჯარო სამსახურში საკლასო ჩინების შემოღება (მითუმეტეს, თუ ის სტაჟისა და დასახურების მიხედვით სტანდარტული პროცედურების საფუძველზეა დამყარებული). დასაქმებულს ბენეფიტები უნდა განესაზღვროს მის მიერ შესრულებული სამუშაოს, შესასრულებელი სამუშაოს სირთულის, თანამდებობის კორუფციისადმი მგრძობიარობის (თანამდებობა, სადაც მაღალია კორუფციის რისკი) მიხედვით. საკლასო ჩინების სისტემა კი კიდევ უფრო მოუქნელს და არაეფექტურს ხდის საჯარო სამსახურს.

არაეფექტურად მიგვაჩნია, ასევე, კარიერული მოდელისთვის დამახასიათებელი ცენტრალიზებული საკადრო რეზერვის არსებობა. თუ პირს არ აწინაურებენ, ყოველ ჯერზე ვაკანტურ თანამდებობაზე უნდა ცხადდებოდეს ღია კონკურსი (როგორც ეს საკონტრაქტო სისტემისთვის არის



დამახასიათებელი). იმიტომ, რომ ყოველ ჯერზე არსებობს შესაძლებლობა, კონკურსში საკადრო რეზერვში მყოფ პირებზე უფრო კვალიფიციურმა (თანამდებობისათვის უფრო შესაფერისმა) კადრმა მიიღოს მონაწილეობა. ასევე, საჯარო სამსახურში, რომელიც წამოჭრილ პრობლემებზე სწრაფად და ეფექტურად რეგირებაზე და ქვეყნის დინამიკურად განვითარებაზეა ორიენტირებული, ვაკანტურ თანამდებობაზე სხვადასხვა დროს, სხვადასხვა კვალიფიციციისა თუ უნარჩვევების ადამიანის დანიშვნა შეიძლება გახდეს საჭირო. შესაბამისად, საკადრო რეზერვი, სადაც „გუმინდელი“ პრობლემის მოგვარებისთვის გამოცხადებულ კონკურსის შესაფერისი კადრები ირიცხება დღეს, დიდი ალბათობით, არაეფექტური იქნება.

ანაზღაურების სისტემა - კარიერული მოდელისთვის დამახასიათებელია ანაზღაურების სისტემის საკლასო ჩინების/რანგების მიხედვით განსაზღვრა (ნორმატიული აქტით სახელფასო ბადის საშუალებით სახელფასო განაკვეთების განსაზღვრა), რაც გაუმართლებლად მიგვაჩნია. აღნიშნული მიდგომით, სისტემა ხდება უფრო მეტად ადამიანის საკლასო ჩინზე/რანგზე ორიენტირებული (აქვს მაღალი კვალიფიკაცია, გავლილი აქვს ტრენინგები და აიმაღლა კვალიფიკაცია, აქვს დიდი სამუშაო სტაჟი და ა.შ. და უნდა გამოვუმეზნოთ შესაბამისი სამსახური/ადგილი) და არა პრობლემების იდენტიფიცირებასა და მის გადაჭრაზე (სისტემის განსახორციელებელი/გასაკეთებელი საქმის ეფექტურად შესრულებაზე) მიმართული.

ამასთან, გაუგებარია, რატომ უნდა მიიღოს ადამიანმა უფრო ნაკლები ანაზღაურება იმის გამო, რომ არ აქვს საკმარისი სამუშაო გამოცდილება ან აქვს უფრო დაბალი საკლასო ჩინი, თუ მისი შესრულებული სამუშაო უფრო ეფექტურია, ვიდრე საკლასო ჩინით მაღალი რანგის მქონე პირის.

ადამიანმა უნდა მიიღოს ანაზღაურება შესასრულებელი სამუშაოს სირთულისა და შესრულებული საქმის ხარისხის მიხედვით და არა ფორმალურად გაწერილი პროცედურების მიხედვით.

მიზანშეუწონელია, სახელფასო ბადის არსებობაც. ჩვენი აზრით, ეს კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ სისტემა არ არის ორიენტირებული ეფექტურად საქმის კეთებაზე იგი ორიენტირებულია ფორმალური ქულების დაგროვებაზე: სტაჟზე, სერტიფიკატებზე და ა.შ.

შეფასების სისტემა - ჩვენი აზრით, მიზანშეუწონელია, ეგრეთ წოდებული ატესტაციის სისტემის დანერგვა საჯარო სამსახურში. იგი კლასიკური კარიერული მოდელის გადმონაშთია და არაეფექტურია. ატესტაცია უფრო საჯარო სამსახურის კარიერული მოდელისთვისაა დამახასიათებელი, რადგან სამსახურში მუდმივად ყოფნის განცდა მოხელეს თვითგანვითარების სტიმულს უქვეითებს.

შესაბამისად, იმისთვის, რომ მოხელე სულ „ფორმაში“ იყოს და იზრუნოს კვალიფიციციის

ამაღლებასა და სამუშაოს ხარისხიანად შესრულებაზე, პერიოდულად საჯარო სექტორში სავალდებულო ატესტაციები ტარდება.

ასევე, უნდა აღინიშნოს, ატესტაციისას დიდი სუბიექტურობის ალბათობა და არსებული პრაქტიკის მიხედვით, იგი ძირითადად თანამშრომელთა გათავისუფლებისთვის ტარდება.

ამასთან, გაუგებარია, თუ ადამიანს უკავია თანამდებობა და რამოდენიმე წელი ასრულებს თავის საქმეს პირნათლად, რა კითხვა უნდა დაუსვა ისეთი, ატესტაციის დროს, თავისი საქმიანობის კუთხით, რომ პასუხი ვერ გასცეს. ან, ადამიანი, რომელიც წლებია მუშაობს და ვერ გაივლის ატესტაციას, ვისი ბრალია? ჩვენი აზრით, მისი უშუალო ხელმძღვანელის ან არასწორად მოწყობილი ინსტიტუციური სტრუქტურის. თუ ადამიანი წლების მანძილზე იყო არაეფექტური და ვერ ასრულებდა დაკისრებულ მოვალეობებს პირნათლად (წინააღმდეგ შემთხვევაში, მისთვის საჭირო ცოდნა შეძენილი ექნებოდა და საჭირო უნარჩვევებიც გამოიმუშავებული), რატომ იკავებდა თანამდებობას წლების მანძილზე და რატომ იხარჯებოდა საბიუჯეტო სახსრები არაეფექტურ თანამშრომელზე (ეს ჩაკეტილი, კარიერული მოდელის არაეფექტურობის კიდევ ერთი მანიშნებელია). ასევე, თუ თანამშრომლების კვალიფიკაციას ვამოწმებთ, რატომ არ უნდა შემოწმდეს დაწესებულების ხელმძღვანელების („ტოპ-მენეჯერების“) კვალიფიკაცია?!

პირის კვალიფიკაციის დონე, რომელიც წლების განმავლობაში მუშაობს დაწესებულებაში, მკვეთრად უნდა ამაღლდეს. კვალიფიკაციის დონის შემცირება შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ პირს არ აქვს შესაბამისი დატვირთვა სამსახურებრივი უფლებამოსილების განხორციელებისას. მსგავს შემთხვევებში, პრობლემა პირის კვალიფიკაცია კი არ არის, არამედ პრობლემა თვითონ ორგანიზაციიდან გამომდინარეობს.

თუ ხელმძღვანელს არ აკმაყოფილებს პირის კვალიფიკაცია, არ მიიღებს სამსახურში მას, ხოლო თუ მაინც მიიღო და შემდგომში არ დააკმაყოფილა პირის საქმიანობის ხარისხმა, ყოველგვარი ატესტაციის გარეშეც გაუშვებს სამსახურიდან დაკისრებული მოვალეობის სათანადოდ ვერ შესრულების გამო.

შეფასების სისტემა უნდა იყოს ორიენტირებული პრობლემების იდენტიფიცირებაზე (მათ შორის, რა ტიპის ტრენინგებია საჭირო თანამშრომლებისათვის), მათი გამოსწორების გზების დასახვაზე და არა თანამშრომლების კვალიფიკაციის შემოწმებაზე (არაკვალიფიციური თანამშრომელი თავიდანვე არ უნდა იქნეს მიღებული სამსახურში).

ასევე, საჯარო სექტორში საკონტრაქტო ელემენტების შემოღების შემთხვევაში, ატესტაცია გარკვეულწილად, აზრს კარგავს, რადგან მოხელე რომელმაც იცის, რომ კონტრაქტის გაგრძელება მის კვალიფიკაციასა და შესრულებული სამუშაოს

ხარისხზე ასევე, ახალ გამოწვევებზე მისი ადეკვატური „მორგების“ უნარზეა დამოკიდებული, ყოველთვის ცდილობს თვითგანვითარებას.

საჯარო სამსახურში მიღება - როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, კარიერული მოდელის შემთხვევაში, ფაქტობრივად შეუძლებელია სისტემის შუა რგოლში გარედან მოხვედრა. როგორც წესი, ცხადდება დახურული/შიდა კონკურსი, სადაც მონაწილეობის უფლება აქვს საჯარო სამსახურის სისტემის წევრებს (ვინც უკვე მუშაობს ან ვინც ირიცხება რეზერვში). ჩვენი აზრით, აღნიშნული მიდგომა არაეფექტურია (თუ რატომ, ზემოთ ამ საკითხზე გვქონდა უკვე საუბარი).

რეალობას თუ გავითვალისწინებთ, პრაქტიკულად, შეუძლებელია კონკურსის წესების/პროცედურების ისე გაწერა, რომ გამოირიცხოს პროტექციონიზმი და „ნაცნობ-მეგობრობით“ ადამიანების სამსახურში აყვანა.

უმჯობესია, შეიქმნას მექანიზმი, რომლის მიხედვით მენეჯერს არ ექნება მოტივაცია ნეპოტიზმის პრინციპით აიყვანოს პირი. კერძოდ, სწორად და გარკვეულ დროში გაწერილი შესასრულებელი სამუშაო, თავისუფალ განკარგვაში გაცემული სახელფასო ფონდი და მიცემული უფლება, დამოუკიდებლად მიიღოს მენეჯერული გადაწყვეტილებები (ანუ მხოლოდ ის არის პასუხისმგებელი შესრულებული სამუშაოს ხარისხსა და სრულყოფილებაზე), იძულებულს გახდის მენეჯერს, ეძებოს საჭირო კვალიფიციური კადრები, რათა შესაბამის დროში და ხარისხიანად შესასრულოს დაკისრებული მოვალეობები (მინიმუმამდე დაიყვანს ნაცნობ-მეგობრობით ადამიანების სამსახურში აყვანის პრინციპს).

ასევე, გაუგებარია, მენეჯერი, რომელიც საქმის კეთებაზეა ორიენტირებული და ზუსტად იცის, რომ კონკრეტული პირი ოპტიმალურად შეძლებს მისთვის საჭირო სამუშაოს შესრულებას, რატომ ვერ უნდა ნიშნავდეს თანამდებობაზე მას პირდაპირი წესით (კონკურსის გარეშე), შესაბამისი დასაბუთების საფუძველზე?! ანუ, პირს, რომელიც ნეპოტიზმზეა ორიენტირებული, მაინც აპყავს სამსახურში ვინც უნდა ის, უბრალოდ, ფორმალური პროცედურების გატარების შემდეგ, მაშინ, როცა საქმეზე ორიენტირებულ მენეჯერს დადგენილი პროცედურების გავლის გარეშე (დროის კარგვის გარეშე) არ შეუძლია საჭირო კადრის სამსახურში აყვანა.

ჩვენი აზრით, ყველაზე კარგი იქნება განისაზღვროს „პოლიტიკური“ თანამდებობები, სადაც შესაძლებელი იქნება პირის პირდაპირი წესით დანიშვნა არაუმეტეს მმართველი გუნდის (დაწესებულების ხელმძღვანელის) მმართველობაში ყოფნის პერიოდისა. ყველა სხვა თანამდებობაზე დანიშვნა უნდა ხდებოდეს ობიექტური კონკურსის საფუძველზე. ასევე, ამ თანამდებობებზე დაწესებულების ხელმძღვანელს, შესაბამისი დასაბუთების საფუძველზე, საშუალება უნდა ჰქონდეს აიყვანოს პირი პირდაპირი წესით.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე,

მიზანშეწონილად მიგვაჩნია საჯარო სამსახურის სისტემა აიგოს შემდეგ პრინციპებზე:

1) კერძოსთან მიახლოებული მოტივაციის შექმნა საჯარო სამსახურის მენეჯერებში - იმისთვის რომ მენეჯერულ თანამდებობაზე მყოფი საჯარო მოხელე არ იყოს ორიენტირებული ნეპოტიზმზე, კორუფციულ გარიგებებსა და არამართებულ საკადრო პოლიტიკაზე, აუცილებელია:

• ეგრეთ წოდებულ პროგრამულ ბიუჯეტზე გადასვლა (სადაც ყოველი თეთრი გაწერილი და დასაბუთებულია შესასრულებელი სამუშაოს/პროგრამის გათვალისწინებით). შესაბამისად, საჭირო აღარ გახდება რაიმე დამატებითი ფორმალური/არაეფექტური ნორმატიული აქტების შექმნა იმისთვის, რომ არ იქნას შესყიდული ძვირადღირებული ტექნიკა, არ გაიხარჯოს თანხები არასაჭირო მივლინებებში და ა. შ.

ანუ, ფინანსების განკარგვის კონტროლი მოხდება თავიდანვე, როცა ბიუჯეტი იგეგმება. თავიდანვე გახდება საჭირო დასაბუთდეს ყველა ხარჯი. აღნიშნულს ჩანასახშივე დაჰყავს მინიმუმამდე არამიზნობრივი ხარჯვა (მინიმუმამდე დაჰყავს არასაჭირო ნივთების შესაძენად თუ ღონისძიებების განსახორციელებლად თანხების ხარჯვის შესაძლებლობა).

• მიზანშეწონილია, მკაფიოდ განისაზღვროს უწყებების ფუნქციები და მენეჯერს მიეცეს კონკრეტული შესასრულებელი სამოქმედო გეგმა და დრო (რა თქმა უნდა, საჭირო რესურსიც).

შესაბამისად, მენეჯერი იძულებული გახდება ორიენტაცია აიღოს საქმის შესრულებაზე (კონკრეტული დავალების კონკრეტულ დროში შესრულებაზე) საქმის შესასრულებლად კი კვალიფიციური კადრი დაჭირდება. ანუ ის დაიწყებს რეალურად საჭირო კადრების ძებნას. აღნიშნული მაქსიმალურად შეამცირებს ნეპოტიზმს საჯარო სამსახურში

2) ინსტიტუციური სტრუქტურა - საჯარო სამსახურის ინსტიტუციური სტრუქტურა უნდა გაიყოს პოლიტიკური და აღმასრულებელი ნიშნით, სადაც:

• პოლიტიკური ნაწილი - შედგება სახელმწიფო-პოლიტიკური თანამდებობის პირისა და მისი გუნდისგან (მოადგილეები, მრჩეველები და ა.შ.). ისინი პოლიტიკური პროცესის შედეგად ინიშნებიან.

სახელმწიფო-პოლიტიკური თანამდებობის პირი და მისი გუნდი - იღებს მხოლოდ პოლიტიკურ გადაწყვეტილებას (შეიმუშავებს სფეროს გაუმჯობესების სტრატეგიას/ხედვას და ა.შ.), უშუალოდ არ მონაწილეობს დაწესებულების ადმინისტრირებაში. შეიმუშავებული პოლიტიკის (მიღებული პოლიტიკური გადაწყვეტილების) აღსრულებაზე/განხორციელებაზე პასუხისმგებელია აღმასრულებელი რგოლი/ნაწილი.

• აღმასრულებელი ნაწილი - შედგება მთავარი აღმასრულებლის (დაწესებულების ხელმძღვანელის), მის დაქვემდებარებაში მყოფი საჯარო მოხელეებისა და დამხმარე პერსონალისაგან.



აღმასრულებელი ნაწილი სტაბილურია და არ არის დამოკიდებული პოლიტიკურ პროცესებზე (პოლიტიკურად ნეიტრალურია).

მთავარი აღმასრულებელი (დაწესებულების ხელმძღვანელი) - უზრუნველყოფს პოლიტიკური გადაწყვეტილებების აღსრულებას, ადმინისტრირებას უწევს დაწესებულებას.

საჯარო მოხელე - ყველა სხვა საჯარო მოსამსახურე

დამხმარე მოსამსახურეები - ახორციელებენ დაწესებულების ტექნიკურ უზრუნველყოფას და ა.შ.

3) შრომითი ურთიერთობები - შრომითი ურთიერთობები აგებული უნდა იყოს შემდეგ პრინციპზე:

- შრომითი საქმიანობა საჯარო სამსახურში, ძირითადად, დაფუძნებული უნდა იქნეს საკონტრაქტო სისტემაზე. სისტემა გახდება უფრო მოქნილი, ღია და ეფექტური, დივერსიფიცირებული რისკებისა და ამოცანების მიხედვით.

კანონმდებლობით უნდა განისაზღვროს ხელშეკრულების ზოგადი პრინციპები (ასევე, შეიძლება განისაზღვროს ზოგადი პირობები სფეროების მიხედვით) და დისკრეციის ფარგლები (ხელშეკრულების მინიმალური და მაქსიმალური ვადები, ანაზღაურება და სხვა). დისკრეციული უფლებამოსილება უნდა გააჩნდეს მთავარ აღმასრულებელს (დაწესებულების ხელმძღვანელს).

- საკონტრაქტო სისტემა არ უნდა გავრცელდეს სახელმწიფო პოლიტიკური თანამდებობის პირებზე

- საკადრო პოლიტიკა, საჯარო სამსახურში უნდა იყოს ღია, საჯარო მოსამსახურეზე ორიენტირებული. საჯარო სამსახურში ყველა ეტაპზე უნდა იყოს შესაძლებელი მუშაობის დაწყება და სამსახურის დატოვება (კერძო სექტორს და საჯარო სისტემას შორის შესაძლებელი უნდა იყოს ნებისმიერ ეტაპზე კადრების ცვლა);

- რანგირების სისტემა (საკლასო ჩინები) უნდა გაუქმდეს/არ უნდა იქნას შემოღებული;

- საკადრო რეზერვის ცენტრალიზებულად წარმოების სისტემა უნდა გაუქმდეს/არ უნდა იქნას შემოღებული (შესაძლებელია დაწესებულების ხელმძღვანელს ქონდეს მსგავსი ბაზა თუ გადაწყვიტავს თვითონ);

- უნდა გაუქმდეს/არ უნდა იქნეს შემოღებული საერთო სასერთიფიკატო გამოცდები;

4) ანაზღაურების სისტემა - ანაზღაურების სისტემა, ჩვენი აზრით, უნდა იყოს შემდეგი სახის:

- უწყებებს უნდა განესაზღვროთ ამოცანები, გადაეცეთ განსაზღვრული ოდენობის სახელფასო ფონდი, შემდგომ ეტაპზე კი უწყების ხელმძღვანელებს მიეცეთ მაქსიმალური თავისუფლება ამოცანის შესასრულებლად [შესაძლებელია, გამომდინარე იქიდან, რომ სახელმწიფო სახსრები იხარჯება, თანამდებობების მიხედვით დადგინდეს სახელფასო განაკვეთის ზედა და ქვედა ზღვარი, (ე.წ. სახელფასო დერეფნები), რომლის ფარგლებში ხელფასის

განსაზღვრის დისკრეცია მიეცემა დაწესებულების ხელმძღვანელს ხელშეკრულების საფუძველზე];

- საჯარო სამსახურში, ბენეფიტები (გარდა პოლიტიკური თანამდებობის პირებისა) უნდა იყოს „მონეტიზებული“ (ანუ ხელფასის ნაწილს უნდა შეადგენდეს. ფულად ნომინალში უნდა იყოს ასახული). ეს გამოიწვევს პირის საჯარო სამსახურის სისტემაზე ნაკლებ მიჯაჭვულობას. „არამონეტიზებული“ ბენეფიტები კლასიკური ბიუროკრატიული/კარიერული სისტემის მახასიათებელი ელემენტია. ადამიანი „არამონეტიზებული“ ბენეფიტებით ხდებოდა საჯარო სამსახურზე დამოკიდებული, მას ჰქონდა დაბალი ხელფასი, რითაც ვერ უზრუნველყოფდა საკუთარ თავს საცხოვრებელი ფართით, ავტომობილით და ა.შ. აღნიშნული ბენეფიტებით (სარგებლით) მას უზრუნველყოფდა საჯარო სამსახური.

ჩვენს მიერ ზემოთ წარმოდგენილი ინსტიტუციური მექანიზმის ფარგლებში, ანაზღაურება უნდა განისაზღვროს შემდეგი პრინციპით:

- სახელმწიფო-პოლიტიკური თანამდებობის პირების ანაზღაურების ოდენობა უნდა განისაზღვროს კანონმდებლობით;

- მთავარი აღმასრულებლის (დაწესებულების ხელმძღვანელის) ანაზღაურების ოდენობა განისაზღვროს ხელშეკრულებით, პოლიტიკური თანამდებობის პირისა და საჯარო სამსახურის ბიუროს უფროსის მიერ ერთობლივად;

- საჯარო მოხელის ანაზღაურების ოდენობა განისაზღვროს მთავარი აღმასრულებლის მიერ ხელშეკრულებით.

5) საჯარო სამსახურში მიღება - საჯარო სამსახურში მიღება უნდა ხდებოდეს, ჩვენს მიერ წარმოდგენილი ინსტიტუციური მოდელის მიხედვით, შემდეგი ფორმით:

1. პირდაპირი დანიშვნით ან არჩევით კანონმდებლობის შესაბამისად;

2. კონკურსის საფუძველზე. პირდაპირი დანიშვნის ან არჩევის წესით ინიშნებიან:

- სახელმწიფო-პოლიტიკური თანამდებობის პირი და მისი „გუნდის“ თანამშრომლები;

- მთავარი აღმასრულებლის „გუნდი“ (მოადგილე, მრჩეველი, თანაშემწე, მდივანი და სხვ.);

- პირები გადაყვანის ან დაწინაურების შემთხვევაში.

აღნიშნული წესი არ ზღუდავს კონკურსის გამოცხადების შესაძლებლობას.

კონკურსის საფუძველზე დანიშვნა ხდება ყველა სხვა თანამდებობაზე. ამასთან, დაწესებულების ხელმძღვანელს უფლება უნდა ჰქონდეს, შესაბამისი დასაბუთების საფუძველზე, პირი მიიღოს თანამდებობაზე პირდაპირი წესით (კონკურსის გარეშე).

კონკურსის ჩატარების პროცედურა უნდა იყოს მაქსიმალურად მარტივი და გამჭვირვალე.

მთავარი აღმასრულებლის თანამდებობაზე კონკურსი უნდა ჩატარდეს ცენტრალიზებული წესით (დანიშვნა უნდა მოხდეს შესაბამისი პოლიტიკური თანამდებობის პირისა და საჯარო სამსახურის ბიუროს უფროსის მიერ, ხოლო ვადამდელი გათავისუფლებისათვის აუცილებელია, საჯარო სამსახურის კომისიის/საბჭოს თანხმობა)

დაწესებულებაში კონკურსის ჩატარების წესს და პირობებს განსაზღვრავს და მის საჯაროობას უზრუნველყოფს მთავარი აღმასრულებელი. კონკურსის ჩატარებას უზრუნველყოფს მთავარი აღმასრულებლის მიერ დაკომპლექტებული შესარჩევი კომისია.

6) შეფასების სისტემა - ჩვენი აზრით, შეფასების სისტემა უნდა იყოს შემდეგ პრინციპებზე აგებული:

- შეფასების სიტემა უნდა იყოს ნებაყოფლობითი (არ უნდა იყოს შეფასების ჩატარების აუცილებლობის მოთხოვნა კანონმდებლობით);
- შეფასება უნდა ხდებოდეს პრობლემების იდენტიფიცირების და მათი გადაჭრის გზების დასახვის შესაბამისად;
- არსებობს შეფასების ძირითადად აპრობირებული ორი მოდელი ეგრეთ წოდებული „360 გრადუსიანი“ მოდელი (სადაც ყველა ყველას აფასებს. მათ შორის უმაღლესი რანგის მენეჯერებს) და „შეფასება მიზნების (შესასრულებელი სამუშაოს) მიხედვით“. თავადაპირველ ეტაპზე კარგი იქნება, თუ „360 გრადუსიანი“ სისტემა დაინერგება. შემდგომ ეტაპზე, როცა ინსტიტუციური სისტემა გაიმართება, მართებულია „მიზნების მიხედვით“ შეფასების სისტემის დანერგვა.

7) მოტივაციის სისტემა საჯარო სამსახურში - ჩვენი აზრით, ზემოთ წარმოდგენილი მოდელის მიხედვით, მნიშვნელოვნად გაიზრდება მოტივაცია საჯარო სამსახურში: დაიხვეწება მენეჯენტი, მოხდება შრომის მეტნაკლებად თანხრად გადანაწილება, გაიზრდება ხელფასები და ა.შ. აღნიშნულს დამატება საჯარო სამსახურისათვის დამახასიათებელი ბენეფიტები, რომელიც სწორად აწყობილ ინსტიტუციურ სისტემაში ძალიან კარგ ეფექტს იძლევა. ეს ბენეფიტებია: პროფესიული სტატუსი და სოციალური პრესტიჟი, სამსახურეობრივ საქმიანობასთან დაკავშირებული მივლინებები, ახალი უნარებისა და კვალიფიკაციის შეძენა, ინტელექტუალური ინტერესები, სოციალური კაპიტალი, გავლენა გადაწყვეტილებებზე (შესაძლებლობა, რომ დაეხმაროს ადამიანებს), წვლილი შეიტანოს საზოგადოებრივ ცხოვრებაში, სოციალური

იდეალები და ა.შ. აქვე გვინდა აღვნიშნოთ, რომ ზემოთ წარმოდგენილი ინსტიტუციური მოდელის ელემენტები აღქმული და გაანალიზებული უნდა იქნას ერთიან კონტექსტში.

ასევე, აღსანიშნავია, რომ მსოფლიოში, ქვეყნების სპეციფიკის თუ მმართველობის ტრადიციების/სტილის შესაბამისად გვხვდება საჯარო სამსახურის მოწყობის როგორც კარიერული (გერმანია, საფრანგეთი) და შერეული (აშშ, ინგლისი) ისე ღია (ავსტრალია, ახალი ზელანდია) სისტემები. ქვემოთ მოცემულია მატრიცა, სადაც წარმოდგენილია ავსტრალიის, ინგლისის, აშშ-სა და ახალი ზელანდიის საჯარო სამსახურის მოწყობის ზოგადი მახასიათებლები (იხ. დანართი). შეიძლება ითქვას, რომ აღნიშნულ ქვეყნების საჯარო სამსახურებს საერთო მახასიათებელი შემდეგია:

- საჯარო სამსახური დაყოფილია პოლიტიკურ და მმართველობით ნაწილებად - უწყებას მართავს „ხელმძღვანელი“ (HEAD, Permanent secretary, Chief executive), რომელიც განსაზღვრული ვადით ინიშნება (მაგ. ახალ ზელანდიაში არაუმეტეს 5 წლით). მინისტრი პოლიტიკური თანამდებობის პირია. მინისტრის/პოლიტიკური თანამდებობის პირის ცვლილება არ იწვევს ხელმძღვანელის ცვლილებას.
- სისტემები ძირითადად აგებულია „ღია“ და არა „კარიერულ“ პრინციპზე - ავსტრალიისა და ახალი ზელანდიის საჯარო სამსახურები სრულად ღია/საკონტრაქტო სისტემებზეა აგებული აშშ-ში და ინგლისში შერეული „კვაზი-საკონტრაქტო“ სისტემებია.

• სახელფასო და საკადრო პოლიტიკაში მნიშვნელოვანი თავისუფლება აქვთ უწყებების ხელმძღვანელებს - ავსტრალიასა და ახალ ზელანდიაში უწყების ხელმძღვანელი თავისუფალია საკადრო და ანაზღაურების საკითხების გადაწყვეტაში, აშშ-ში და ინგლისში შედარებით უფრო შეზღუდულია სახელფასო ბადით და აშშ-ში დამატებით, კანონმდებლობით დადგენილი თანამდებობაზე დანიშვნის ნორმებით.

ამრიგად, ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ეფექტური, მოქნილი და კვალიფიციური, საჯარო სამსახურის ჩამოყალიბებისათვის აუცილებელია დაინერგოს საჯარო სამსახურის მოწყობის ჰიბრიდული/შერეული მოდელი (კარიერული და ღია/საკონტრაქტო სისტემის ნაზავი), რომელიც იქნება უფრო მეტად ღირსებაზე (პროფესიონალიზმზე) დაფუძნებული და ღია საჯარო სამსახურის მოდელის პრინციპებზე აგებული.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ინფორმაცია რეფორმების კოორდინაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატის 2005-2006 წლებში განხორციელებული საქმიანობის შესახებ.
2. ინფორმაცია რეფორმების კოორდინაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატის 2007 წელს განხორციელებული საქმიანობის შესახებ.
3. ინფორმაცია სამინისტროების მიერ 2006 წელს გაწეული საქმიანობის შესახებ „საქართველოს



მთავრობის პროგრამის“ შესრულების თვალსაზრისით.

4. ნატო-სთან ინდივიდუალური პარტნიორობისა და თანამშრომლობის გეგმის (IPAP) 2005, 2006 წწ შესრულების ანგარიში.
5. „საჯარო სამსახურის რეფორმის ხედვა, პროექტი განხილვისათვის“, რეფორმების კორდინაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატი - 2007წ.
6. „საჯარო სასახურის სისტემის უწყებათა და მოსამსახურეთა რაოდენობრივი ანალიზი (2005-2007 წწ)“ სსიპ.საჯარო სამსახურის ბიურო.
7. „საჯარო სასახურის სისტემის უწყებათა და მოსამსახურეთა რაოდენობრივი ანალიზი (2009წ. იანვარი)“ სსიპ. საჯარო სამსახურის ბიურო.
8. საჯარო სასახურის ბიურო, წლიური ანგარიში 2013/2014 წწ. [http://csb.gov.ge/uploads/Annual\\_Report\\_2013-214\\_opt.pdf](http://csb.gov.ge/uploads/Annual_Report_2013-214_opt.pdf).
9. „საჯარო სამსახურის ბიურო 2015 წლის ანგარიში“, [http://csb.gov.ge/uploads/2015\\_GEO\\_web.pdf](http://csb.gov.ge/uploads/2015_GEO_web.pdf) .
10. „საჯარო სამსახურის ბიუროს 2016 წლის ანგარიში“ <http://csb.gov.ge/uploads/slide/book-22.pdf> .
11. „ადამიანური რესურსების მართვის პრაქტიკის მიმოხილვა საჯარო სამსახურებში: ამერიკის შეერთებული შტატები, გაერთიანებული სამეფო, თურქეთი, გერმანია და საქართველო“ - სსიპ. საჯარო სამსახურის ბიურო, 2013 წ. ივნისი. <http://csb.gov.ge/uploads/civil-service-HR-practice-overview.pdf> .
12. „საჯარო სამსახურის დაყოფა პოლიტიკურ და აღმასრულებელ ნაწილებად როგორც პოლიტიკურად ნეიტრალური საჯარო სამსახურის ჩამოყალიბების წინაპირობა (შედარებითი ანალიზი)“ სსიპ.საჯარო სამსახურის ბიურო, 2013 წელი, თბილისი. [http://csb.gov.ge/uploads/kvleva\\_sajaro\\_samsaxurshi.pdf](http://csb.gov.ge/uploads/kvleva_sajaro_samsaxurshi.pdf) .
13. „საჯარო სამსახურის რეფორმების კვლევა აშშ-ში, შვედეთში, ახალ ზელანდიაში, ესტონეთსა და გაერთიანებულ სამეფოში“ სსიპ საჯარო სამსახურის ბიურო, 2011წ. [http://www.csb.gov.ge/uploads/RESEARCH\\_ON\\_NEW\\_PUBLIC\\_MANAGEMENT\\_09\\_09\\_09.pdf](http://www.csb.gov.ge/uploads/RESEARCH_ON_NEW_PUBLIC_MANAGEMENT_09_09_09.pdf) .
14. ლაშა მგელაძე, „საჯარო სამსახურის რეფორმა“, სამეცნიერო პრაქტიკული ჟურნალი „თემიდა“ 2008 წ. #1(3).
15. ლაშა მგელაძე, მოხსენება - „საქართველოს კორუფციასთან ბრძოლის ინსტიტუციური და სტრატეგიული სტრუქტურის დახასიათება“. გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP-ის) მიერ 2007 წლის 14-15 მაისს ყაზახეთის ქალაქ ალმაატაში ორგანიზებული ანტიკორუფციული სემინარი.
16. ლაშა მგელაძე, „Вызовы Грузии в борьбе с коррупцией“ (რუსულენოვანი სტატია) ყოველკვარტალური რეფერირებადი და რეცენზირებადი საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალი „ბიზნეს-ინჟინერინგი“. სტატია ჩამშვებულია და გამოვა 2017 წლის მე-3 კვარტლის ჟურნალში (2017წ. #3).
17. ლარის გაცვლითი კურსები <http://www.lari.ge/index.php?do=currency/chart&code=USD>.
18. ფინანსთა სამინისტროს მონაცემები <http://mof.ge/4760>.
19. [https://en.wikipedia.org/wiki/List\\_of\\_federal\\_agencies\\_in\\_the\\_United\\_States](https://en.wikipedia.org/wiki/List_of_federal_agencies_in_the_United_States); [https://ru.wikipedia.org/wiki/Список\\_федеральных\\_агентств\\_США](https://ru.wikipedia.org/wiki/Список_федеральных_агентств_США) .
20. [https://www.bundesregierung.de/Webs/Breg/EN/FederalGovernment/Ministries/\\_node.html](https://www.bundesregierung.de/Webs/Breg/EN/FederalGovernment/Ministries/_node.html); [https://ru.wikipedia.org/wiki/Федеральное\\_правительство\\_Германии](https://ru.wikipedia.org/wiki/Федеральное_правительство_Германии).
21. [https://en.wikipedia.org/wiki/Government\\_of\\_France#Composition\\_and\\_formation](https://en.wikipedia.org/wiki/Government_of_France#Composition_and_formation).
22. <https://riigikantselei.ee/en>; [https://en.wikipedia.org/wiki/Government\\_ministries\\_of\\_Estonia](https://en.wikipedia.org/wiki/Government_ministries_of_Estonia) .
23. [https://en.wikipedia.org/wiki/List\\_of\\_Swedish\\_ministries](https://en.wikipedia.org/wiki/List_of_Swedish_ministries); [http://www.wikiwand.com/en/List\\_of\\_Swedish\\_ministries](http://www.wikiwand.com/en/List_of_Swedish_ministries) .
24. [https://en.wikipedia.org/wiki/Federal\\_administration\\_of\\_Switzerland](https://en.wikipedia.org/wiki/Federal_administration_of_Switzerland).
25. <http://www.oecd.org/gov/pem/OECD%20HRM%20Profile%20-%20United%20Kingdom.pdf>.
26. <http://www.oecd.org/gov/pem/OECD%20HRM%20Profile%20-%20United%20States.pdf>.
27. <https://www.opm.gov>.
28. <http://civilservicecommission.independent.gov.uk> <http://civilservicecommission.independent.gov.uk>.
29. <http://www.ssc.govt.nz>.
30. <http://www.apsc.gov.au>.
31. [http://www.unpan.org/country\\_profiles](http://www.unpan.org/country_profiles).

მატრიცა: ქვეყნის საჯარო სამსახურის მოქმედების ძირითადი მახასიათებლები

ქვეყანა	აღიარება	ინგლისი	აბი	ახალი ზელანდია
მახასიათებელი				
ძირითადი მარჯვლიანი კანონი	საჯარო სამსახურის აქტი (1999)	- საჯარო სამსახურის კოდექსი (2006) - საჯარო სამსახურის მართვის კოდექსი (1995)	საჯარო სამსახურის რეგულაციები (1978)	საჯარო სამსახურის აქტი (1988)
საჯარო სამსახურის მკორფირებული შტაბი	საჯარო სამსახურის კომისია (The Australian Public Service Commission)	საჯარო სამსახურის კომისია (The Civil Service Commission)	საჯარო სამსახური (OPM)	საჯარო სამსახურის კომისიონარების კომისიონარი (The Office of State Service Commissioner)
საჯარო სამსახურის კლასიფიკაცია	საჯარო დაქვებულებები იყოფა 5 კატეგორიად: A,B,C,D,E	- სამხედრო სამსახური (Civil Service) - არაქვეყნური საჯარო ორგანიზაციები (Non-Departmental Public Bodies) - საჯარო კორპორაციები	- საკონკურსო სამსახური (The Competitive Service) - მოვარდნი ადმინისტრაციის სამსახური (The Senior Executive Service) - გამარჯვებული სამსახური (The exempted Service)	- საჯარო სამსახურის ორგანიზაციები - ადგილობრივი მთავრობის ორგანიზაციები
საჯარო თანამდებობების კლასიფიკაცია	I კატეგორია - იყოფა 6 საფეხურად II კატეგორია (ადმინისტრაციული) - იყოფა 2 საფეხურად III კატეგორია (მოვარდნი ადმინისტრაციული) - იყოფა 3 საფეხურად	- მომსახურე საჯარო სამსახური (Senior Civil Service) - მოვარდნი საჯარო სამსახური (Senior Executive Service)	თანამდებობების კლასიფიკაცია გამარჯვებული სამსახურების კლასიფიკაციის მიხედვით	- მოვარდნი ადმინისტრაციული - სხვა საჯარო მომსახურე
საჯარო სამსახურის მოდელი	- კონკურსის წესით (მერიტული კრიტერიუმით) დაქვებულების ხელშეწყობით აღიარებულია წესით დადგენილი მინიმალური მოთხოვნების შესაბამისად	- ლიბერალური წესით მოვარდნი საჯარო სამსახურის თანამდებობებზე პირის დასაბამად საქმიანობის კომპეტენციის დასტურით	- საკონკურსო სამსახური - მოდელი, დაქვებულების პროცედურები და საკვალიფიკაციო მოთხოვნები განვიხილავთ ანონიმურად მონაბრუნავი აქტივობით. - გამარჯვებული სამსახური - ძირითადი მოთხოვნები განვიხილავთ შესაბამისი კანონით ან ნორმატიული წესით. - მოვარდნი ადმინისტრაციული სამსახური - მოთხოვნები განვიხილავთ დაქვებულების მიერ ინდივიდუალურად, მინიმალური მოთხოვნები განსაზღვრულია კანონით	- მოვარდნი ადმინისტრაციული კომისიონარების მიერ - სხვა საჯარო მომსახურეების მიერ - სხვა მოვარდნი ადმინისტრაციული მიერ
ანაზღაურების სისტემა	ანაზღაურების წესი განისაზღვრება დაქვებულების ხელშეწყობის მიერ, შრომის სფეროში ორგანიზაციის კონფიდენციალური და რეკომენდაციების საფუძველზე შედგენილი კანონით ადგილის ხელშეწყობის დოკუმენტით განსაზღვრული ზოგადი პრინციპების შესაბამისად	- დეპარტამენტული და საჯარო სამსახურის ანაზღაურების სისტემების განსაზღვრება მოვარდნი საჯარო სამსახურის კანონით - მოვარდნი საჯარო სამსახურის ანაზღაურების განსაზღვრება ანაზღაურების სისტემის მიხედვით	ანაზღაურების იდენტიფიკაციის განსაზღვრება და კორფიდენციალური OPM საჯარო სამსახურის მიხედვით	- მოვარდნი ადმინისტრაციული ანაზღაურების განსაზღვრება კომისიონარების მიერ - დამატებითი ანაზღაურების დადგენილი ანაზღაურების ფორმულაში - სხვა საჯარო მომსახურეების ანაზღაურების სისტემის მიხედვით ადმინისტრაციული.
მმართველობითი გამოყენება	- მინისტრი პოლიტიკური თანამდებობის პირია - შტაბის მართვის ხელშეწყობელი (HEAD) არაპოლიტიკური თანამდებობის პირია	- მინისტრი პოლიტიკური თანამდებობის პირია. - შტაბის მართვის ხელშეწყობელი (Permanent secretary) არაპოლიტიკური თანამდებობის პირია	სამინისტროს მართვის მინისტრი	- მინისტრი პოლიტიკური თანამდებობის პირია. - შტაბის მართვის ხელშეწყობელი (Chief executive) არაპოლიტიკური თანამდებობის პირია
ძირითადი კრიტერიუმები	• საჯარო სამსახური დაყოფილია პოლიტიკურ და მმართველობით ნაწილებად • ქვეყნის მართვის "ხელშეწყობელი" (HEAD, Permanent secretary, Chief executive), მმართველობის პირია, მმართველობითი თანამდებობის პირია. • სისტემის ძირითადი აქტივობა "აღ" და არა "კონკურსული" პრინციპით • აქტივობის და ახალი ზელანდიის საჯარო სამსახურის სრულად დასაბამებული "სისტემის" სისტემის დასაბამი და ახალი ზელანდიის მმართველობითი თანამდებობის პირია • აქტივობის და ახალი ზელანდიის მმართველობითი თანამდებობის პირია	• საჯარო სამსახური დაყოფილია პოლიტიკურ და მმართველობით ნაწილებად • ქვეყნის მართვის "ხელშეწყობელი" (HEAD, Permanent secretary, Chief executive), მმართველობის პირია, მმართველობითი თანამდებობის პირია. • სისტემის ძირითადი აქტივობა "აღ" და არა "კონკურსული" პრინციპით • აქტივობის და ახალი ზელანდიის საჯარო სამსახურის სრულად დასაბამებული "სისტემის" სისტემის დასაბამი და ახალი ზელანდიის მმართველობითი თანამდებობის პირია	ანაზღაურების იდენტიფიკაციის განსაზღვრება და კორფიდენციალური OPM საჯარო სამსახურის მიხედვით	- მოვარდნი ადმინისტრაციული ანაზღაურების განსაზღვრება კომისიონარების მიერ - სხვა საჯარო მომსახურეების ანაზღაურების სისტემის მიხედვით ადმინისტრაციული.



Public service problems and ways to solving them

Lasha Mgeladze

Doctoral Student at Georgian Technical University

The article deals with the topic of civil service system arrangement. The state/public service is one of the key factors in the country's development, its strength, and in developing the dignified membership of the world. Therefore, it is necessary to have an institutional model of proper/effective state service in the country.

Based on the above, the article discusses the challenges faced by the country's public service system in the first decade of its independence, what kind of reforms have been implemented with the purpose of improving the system and what results the undertaken activities have brought. At the end of the article the author's vision is presented - on what principles the public service should be built in order to improve the system as an institutional model as well as the management mechanisms. Consequently, offered is a system, which, in the opinion of the author, is better suited to the development of the country.

For the effective, flexible and qualified public service, the author offers a hybrid/mixed model of public service arrangement (a mixture of career and open/contract system), which will mostly be based on principles of dignity and open public model.

Key words: Public Service, Reform, Public Service Models, Improvement of Public Service, Public Service of Georgia.

Modernity an introduction to modern society and media, culture & society



სახლი მეცნიერება THE NEW ECONOMIST

Memory Zodwa Radasi  
PhD candidate at the University of Porto, Portugal  
Faculty of arts: Department of Sociology  
Contact information: +351 936 793 799  
zodwar@gmail.com

Abstract

*In the question of identity, there are three different conceptions in cultural identity that involves the enlightenment subject, sociological subject and the post modern subject. Identity during enlightenment subject was supposed to be a centred, unified and rational one. In sociological subject identity is reflected the growing complexity of the modern world and awareness that individuals were not autonomous and self sufficient beings. In postmodern the subject does not have a fixed, essential, or permanent identity. The focal point of the article is change in the late modernity that caused an uncertainty in our sense of identity. It further explains the national cultures that contain subcultures which have other values than the overall society as well as globalization that affects cultural identities. The article also explains the fields of power that includes the large-scale production and small scale production. In autonomy of different fields, this paper will deal with the way Bourdieu put emphasis on the autonomy of various fields and the way he also calls attention to the interrelatedness among those fields. Also, cultural production involves extensive range in understanding of culture. The paper will also explore the fields of power that includes the large-scale production and small scale production. In autonomy of different fields, this paper draws on Bourdieu the way he put emphasis on the autonomy of various fields, and the way he also calls attention to the interrelatedness among those fields. Furthermore, the paper discusses the relation between the production and consumptions as well as consumption that is contemporaneously and production. Finally, this suggests cultural intermediaries that are associated with cultural commentary in the mass media.*

*Keywords: identity, culture, society, globalization, autonomy, interrelatedness, production, consumptions*

Three concepts of identity

In The Question of Cultural Identity, Hall outlines three concepts of identity that includes enlightenment subject, the sociological subject, and the postmodern subject. Hall (1992: 212) mentions that the postmodern

subject differs from other subjectivities in one important way. In both the enlightenment subject and the sociological subject, the essential part is the one that exists at the centre of an individual's identity. This means that the postmodern subject as the third approach in this theory has no significant self identity.

Enlightenment subject

Hall states that the enlightenment subject is “based on a conception of the human person as a fully centered, unified individual” that has “an inner core” however, it is formed in the interaction between self and society”. He further explains that “the essential centre of the self was a person’s identity” (Hall 1992).

Sociological subject

მომხმარებელთა მონაცემთა ბაზებზე დაფუძნებული მარკეტინგული პროგრამების ბაზისი [8].

მომხმარებელთა ღირებულების მართვის მთავარი იდეა მდგომარეობს შემდეგში: მომხმარებელი განიხილება, როგორც კომპანიის ერთ-ერთი ყველაზე ფასეული ბიზნეს-აქტივი ბრენდის კაპიტალის შემდეგ და კომპანიები ისევე აქტიურად მუშაობენ მომხმარებელთა ოპტიმალური პორტფელის შექმნაზე, როგორც სხვა ბიზნეს-აქტივების პორტფელის ფორმირებაზე. ისევე როგორც სხვა ბიზნეს-აქტივებს, მომხმარებლებსაც აქვთ დღევანდელი ღირებულება, რომლებიც სხვა აქტივებზე იცვლიან ღირებულებას თითქმის ყოველდღე. მომხმარებლების შეფასება შეიძლება, აგრეთვე, მათი მოსალოდნელი, ანუ პოტენციური ღირებულების მიხედვით, რომელიც ასევე შეიძლება შეიცვალოს სხვადასხვა ფაქტორების ზეგავლენით [9].

მომხმარებლის მიმდინარე ღირებულება არის ის, რა ღირებულებაც გამოიმუშავა მომხმარებელმა დღევანდელი დღისთვის, ანუ ეს არის მომხმარებლის მიერ წლების განმავლობაში აკუმულირებული სარგებელი, მას შემდეგ რაც ისინი მომხმარებლები გახდნენ, ხოლო პოტენციური ღირებულება არის მოსალოდნელი სარგებელი, რომელსაც მოუტანს თითოეული მომხმარებელი კომპანიას, სანამ ის მომხმარებლად დარჩება. თუ მომხმარებელი შეწყვეტს ურთიერთობას კომპანიასთან, მომხმარებლის პოტენციური ღირებულება ნულს მიუახლოვდება და ეს იქნება მომხმარებლის სასიცოცხლო ციკლის დასასრული. მიმდინარე ღირებულებისა და პოტენციური ღირებულების ჯამი გვამღვებს სასიცოცხლო ღირებულებას. ჩვენ შეგვიძლია აღვწეროთ მომხმარებლის ღირებულება მისი მიმდინარე და პოტენციური ღირებულების გათვალისწინებით (ცხრილი 1) [10].

გლობალურ სივრცეში ინფორმაციული საზოგადოების რესურსის კვლევისას გასათვალისწინებელია ინტერნეტისა და მობილური ინტერნეტის ხელმისაწვდომობა, სოციალურ ქსელებში აქტივობა, ციფრული აქტივობა და სხვა.

ციფრულ საზოგადოებაში, ციფრული მოქალაქის ცხოვრების ერთი ტიპიური დღე გვიჩვენებს, რომ: ინტერნეტში ცხოვრობს მოსახლეობის ნახევარი (50.1%), რომელიც ყოველდღიურად იყენებს 2.3 მლრდ GB web-ტრაფიკს (ინფორმაციულ ნაკადს), აგზავნის 207 მლრდ ელექტრონული ფოსტის წერილს, 4.2 მლრდ ადამიანი ინტერნეტ-აქტივობას იწყებს Google-ში ძიებით, ხოლო 8 მლრდ ციფრული მოქალაქე ყოველდღე ნახულობს YouTube-ის ვიდეოებს [11].

მომხმარებლის ღირებულების პორტფელი

↑ მიმდინარე ღირებულება	დაბალი პოტენციური ღირებულება მაღალი მიმდინარე ღირებულება	მაღალი პოტენციური ღირებულება მაღალი მიმდინარე ღირებულება
	მოვიზიდოთ ასეთი მომხმარებლები	შევინარჩუნოთ ეს მომხმარებლები
↓ დაბალი მიმდინარე ღირებულება	დაბალი პოტენციური ღირებულება დაბალი მიმდინარე ღირებულება	მაღალი პოტენციური ღირებულება დაბალი მიმდინარე ღირებულება
	აზრი აქვს ინვესტირებას ასეთ მომხმარებლებში?	მოვიზიდოთ ასეთი მომხმარებლები
<b>პოტენციური ღირებულება</b>		→

წყარო : (Novo & ნოვო , 2004)

ახალი ეკონომისტი THE NEW ECONOMIST

მომხმარებლებს, რომელთაც მაღალი მიმდინარე და პოტენციური ღირებულება აქვთ, შედიან იმ საუკეთესო მომხმარებელთა 10 ან 20% - ში, რომლებიც გამოიმუშავენ მთლიანი სარგებლის 80-90% - ს. მომხმარებელთა ეს კატეგორია ყველაზე სასურველია და ამიტომ, საჭიროა მათ ყველაზე დიდი ყურადღება მივაქციოთ, რათა არასდროს მიგვატოვონ.

მომხმარებლები, რომლებიც განთავსებულნი არიან მატრიცის მარცხენა ზედა და მარჯვენა ქვედა კუთხეებში, არიან შერეული მომგებიანობის მქონე კლიენტები და შესაბამისად, მათ ძალიან დიდი ყურადღება სჭირდებათ.

მომხმარებლები მაღალი მიმდინარე, თუმცა, დაბალი პოტენციური ღირებულებით, არიან იმ კატეგორიის მომხმარებლები, რომლებიც საუკეთესო მომხმარებლები იყვნენ, თუმცა, გარკვეული მიზეზის გამო, შეამცირეს სარგებლის მომტანი აქტივობა და შეიძლება საერთოდ შეწყვიტონ კომპანიასთან ურთიერთობა. მომხმარებელთა შენარჩუნების პროგრამების მიმართვა ყველაზე მეტად ამ ტიპის მომხმარებელზეა საჭირო, მაგრამ უნდა მოხდეს ზუსტი ფოკუსირება, რადგანაც ხშირია შენარჩუნების მიზნობრივი პროგრამების ჩავარდნის შემთხვევები არასწორი ფოკუსირების გამო.

მაღალი პოტენციური ღირებულების და დაბალი მიმდინარე ღირებულების მქონე მომხმარებლები არიან იმ კატეგორიის მომხმარებლები, რომლებიც არცთუ ისე დიდი ხანია შემოვიდნენ კომპანიასთან ურთიერთობაში და მათ ჯერ შანსი არ ჰქონიათ მოეტანათ კომპანიისთვის დიდი სარგებელი. თუმცა, მოსალოდნელია, რომ მომავალში დიდ მოგებას მოიტანენ. თუ ყველაფერი ისე განვითარდა, როგორც ამას კომპანიები ვარაუდობენ მომხმარებელთა მონაცემთა ბაზების ანალიზზე დაყრდნობით, მაშინ კომპანიისათვის

მაღალი პოტენციური ღირებულებისა და დაბალი მიმდინარე ღირებულების მქონე მომხმარებლები გადაინაცვლებენ იმ მიმე წონიან მომხმარებელთა კატეგორიაში, რომელთაც მაღალი მიმდინარე და პოტენციური ღირებულება გააჩნიათ. აქაც საჭიროა შენარჩუნებისა და მოზიდვის პროგრამების ამუშავება, სხვა შემთხვევაში ამ ტიპის მომხმარებლები გადაინაცვლებენ დაბალი მიმდინარე და დაბალი პოტენციური ღირებულების მქონე მომხმარებელთა კატეგორიაში და კომპანია დახარჯავს მათზე უფრო მეტ თანხას, ვიდრე მათ შეუძლიათ მოუტანონ კომპანიას.

ელექტრონული მთავრობის სფეროში არსებითია უთანასწორობა, როგორც საზოგადოების შორის, ისე სახელმწიფო დონეებსა და ფედერალურ სისტემებში თანამშრომლობისას. კერძოდ: ადგილობრივი და ფედერალური ინიციატივები ზოგჯერ ერთმანეთთან ურთიერთქმედებაში თავსებადი არაა; კომპიუტერის და ინტერნეტის გამოყენება განიხილებოდა, როგორც ელ-მთავრობის იმლემენტაციის უმნიშვნელოვანესი ფაქტორი, ხოლო ციფრული უნარების ნაკლებობა კი იწვევდა უთანასწორობასა და სოციალურ გამოთიშვას (UNPA & ASPA, 2001). მათ ვისაც არ აქვთ წვდომა ინტერნეტთან ვერ ისარგებლებენ მთავრობის ონლაინ სერვისებით (OECD, 2003). ციფრული დაყოფით, ფინანსური რესურსების თუ სათანადო უნარების ნაკლებობის გამო მოქალაქეებს არ აქვთ ერთნაირი წვდომა კომპიუტერებსა და ინტერნეტზე; ფაქტობრივად, შეიძლება ითქვას, რომ კომპიუტერული განათლება საჭიროა ელ-მთავრობის აპლიკაციების მოხმარებით სარგებლის მიღებისათვის. ამასთან, სახელმწიფომ უნდა მოამზადოს თავისი თანამშრომლები და მოქალაქეები ძირითად კომპიუტერულ უნარებში, იმისათვის, რომ მიეცეთ ელ-მთავრობის აპლიკაციების განვითარებაში



მონაწილეობის მიღებისა თუ მისი აქტიური მოხმარების შესაძლებლობა. Smith (2002). სწორედ ინტერნეტის მისაწვდომობის პრობლემა წარმოადგენს მოსახლეობის გარკვეული ნაწილის ყველაზე მნიშვნელოვან ბარიერს (ელ-მთავრობის განვითარებისთვის) UN (2008). ამასთან, კვლევით დადგენილია, რომ განვითარებადი ეკონომიკის ქვეყნებში ციფრული უთანასწორობა ზრდის ელექტრონული სერვისების განვითარებისა და მოხმარების ტექნიკური ბარიერების ხარჯს.

ინფორმაციული საზოგადოების ფორმირებისას მნიშვნელოვანი ბარიერია არა ტექნიკური არამედ კულტურული გართულება ახალი ტექნოლოგიების მიმართ. არსებული კულტურული ფაქტორები განაპირობებსახალი ტექნოლოგიების განვითარების მასშტაბებს (DeLisi, 1990). კულტურული ნორმები დიდ როლს ასრულებს მოქალაქეების მიერ ინტერნეტ ტექნოლოგიების გამოყენებაში. ინტერნეტ-კულტურას დიდი მნიშვნელობა აქვს ადამიანის მსოფლმხედველობაში, ბევრი ადამიანი ეწინააღმდეგება ცვლილებას და რთულად იღებს ახალ ტექნოლოგიებს (Feng, 2003).

Hackney & Jones, 2002-ის შეფასებით, კულტურული ცვლილებებია საჭირო ელ-მთავრობის წარმატებისთვის. აღნიშნული კულტურული ცვლილებები მოიცავს: საჯარო უწყებებს შორის გაუმჯობესებულ სამუშაო ურთიერთობას, კორპორაციული მიდგომის განვითარებას, ორგანიზაციულ განვითარებას. შიდა კულტურული ცვლილებების უზრუნველყოფას.

კულტურა ეფუძნება შემდეგ ფაქტორებს: სოციალურისტურუქტურა, რელიგია, ენა, განათლება, ეკონომიკური და პოლიტიკური ფილოსოფია (Chang, 2002). ტექნოლოგიური განვითარება და ელექტრონული მართვის ფორმირება ეფუძნება არა მხოლოდ სტრუქტურულ ცვლილებას, არამედ კულტურულ ცვლილებასაც. ეს კულტურული ცვლილებები გათვალისწინებული უნდა იქნას სტრატეგიული დაგეგმვისას, იმისათვის, რომ ტექნიკური ცვლილება წარმატებულად დაინერგოს.

მაღალხარისხიანი და კომპლექსური ელ-მომსახურეობის განვითარებისთვის აუცილებელია: ინფორმაციული საზოგადოების ფორმირება; მართვის პროცესების, მომსახურებისა და ურთიერთობების ოპტიმიზაცია; მოქალაქეებთან პროდუქტიული და ნდობაზე დამყარებული ურთიერთობის ფორმირება; მომხმარებელთა

მოთხოვნილებებზე სახელმწიფო ორგანიზაციების სწრაფი რეაგირება; მომხმარებლის საერთო მოლოდინისა და ელ-მთავრობის მომსახურების გამოყენების შეცნობა; ელ-მომსახურების ფუნქციური თავსებადობა სამთავრობო უწყებებთან; ტექნოლოგიური, პოლიტიკური და სოციალური ლანდშაპის შესაბამისად ელ-მომსახურების პოლიტიკის ფორმირება და ელ-მომსახურების დანართების მუდმივი სრულყოფა; მომსახურებასთან სწრაფი და პირდაპირი წვდომის უზრუნველყოფა; ელ-მთავრობის სერვისის უსაფრთხოებისა და კონფიდენციალურობის დაცვის მაღალი დონე; სახელმწიფოებრივი მიდგომის, ინფორმაციისა და სერვისის ტექნოლოგიური მოთხოვნის საჭიროების შეფასება; ელ-მომსახურების პოლიტიკის ფორმულირება და ადაპტაცია გლობალური და ლოკალური ტენდენციების შესაბამისად, მოქალაქეებისთვის ინფორმაციული და სერვისული არხების დივერსიფიკაცია უკეთესად მოქმედებისთვის, მომსახურების ხელსაყრელობა, ციფრული უთანასწორობის შემცირება და სხვა [12].

მოქალაქეზე ორიენტირებული მართველობა ამცირებს ციფრულ უთანასწორობას, მიმწოდებლებსა და მომხმარებლებს შორის წარმოჩენილ პრობლემებს, ზრდის ელ-მომსახურების გამოყენებას, ხარისხს, მთავრობასთან უკუკავშირსა და ურთიერთქმედებას; იგი უფრო მეტია ვიდრე ინტერნეტით მოქალაქის მომსახურება და საზოგადოებრივი ინფორმაციის მისაწვდომობა.

ელ-მთავრობის წარმატებით განვითარებისა და ფართოდ გამოყენებისათვის მნიშვნელოვანია მოქალაქეების ციფრული უნარ-ჩვევები და შესაძლებლობები: ტექნოლოგიური, კომერციული, ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურის ინსტალაციისათვის საჭირო ტექნიკური უნარები (OECD, 2003). ასევე, ქვეყნისათვის მნიშვნელოვანია შესაბამისი უნარების მქონე კვალიფიციური კადრებისა და ადეკვატური ადამიანის რესურსი, რომლის ნაკლებობაც განვითარებადი ეკონომიკის მქონე ქვეყნებში გვხვდება (UNPA&ASPA, 2001).

ამრიგად, სახელმწიფოსთვის, ციფრული ეკონომიკის სარგებლის ზრდას განაპირობებს საზოგადოებისა და საჯარო უწყებების ინტერნეტ-წიგნიერება, ციფრული უნარ-ჩვევები და ინტერნეტ-აქტივობა.

1. ბარათაშვილი ე., გალახვარიძე ნ., ზარგინავა თ. ინოვაციათა მენეჯმენტი, სახელმძღვანელო, ვეროპის უნივერსიტეტი. თბილისი, 2015.
2. ზაუტაშვილი დ. ელექტრონული მთავრობა.
3. Tanya Gupta ., Roberto Panzardi. The Role of E-Government in Building Democratic Governance (with a special focus on Latin America).
4. ჯაში ჩ. მომხმარებელთა კვლევის ზოგიერთი ასპექტი გლობალურ ბაზრებზე. გლობალიზაცია, საერთაშორისო ბიზნესის თანამედროვე პრობლემები და განვითარების პერსპექტივები. საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის მასალები. თბ., 2012.
5. თოდუა ნ., აბულაძე რ. ინტერნეტ-მარკეტინგი. სახელმძღვანელო. გამომცემლობა „უნივერსალი“, თბილისი, 2011.
6. Loshin ,P . & Vacca,J. Electornic Business in Developing Countries. 2004.
7. Forrester Research, Consumer Behavior Online 2008.
8. Novo J. Drilling Down: Tuning Customer Data into Profits with a Spreadsheet. 2004.
9. Holweg, Matthias and Frits K. (2004) Pil: The Second Century : reconnecting Customer and Value Chain through Build-to-Order, MIT Press. 2004.
10. Novo J. Drilling Down: Tuning Customer Data into Profits with a Spreadsheet. 2004.
11. The World Bank, World Bank Group. World Development Report 2016: Digital Dividends. Report. 2016.
12. აბულაძე რ. ელექტრონული მთავრობა. სახელმძღვანელო. გამომცემლობა „უნივერსალი“. თბილისი, 2013.

E-Governance as a tool for formation of Informative Society

Ketevan Sichinava

Ph.D. candidate

St. Andrew the First-Called

Georgian University of the Patriarchate of Georgia.

Article reviews importance of e-Governance in formation of Informative Society. Scholar-researchers, considering the increasing importance and role of information and knowledge, analyze the influence of internet-technologies on society's everyday life and thus, on the development of e-governance.

Article presents (tabular form) and interprets user value considering their current and potential values. Grounded on research results, it depicts statistical data (based on internet activity) of a digital citizen's typical day in a digital society.

Article concludes by presenting determinant factors for profit acceleration of the state's digital economy.



## საჯარო მოხელეების მოტივაცია, სქემის დიზაინი და შესრულებული სამუშაოს შეფასების მენეჯმენტი



სალომე საყვარელიძე  
 ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის  
 სახელმწიფო უნივერსიტეტის  
 ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის  
 დოქტორანტი  
 ტელ: + 995 99 31 04 00;  
 ელ-ფოსტა: salisakvarelidze@gmail.com

*დღესდღეობით ნებისმიერი ორგანიზაციის წარმატების აუცილებელ პირობას წარმოადგენს მოტივირებული თანამშრომელი. მოტივაცია არის საკუთარი და სხვათა მოქმედებების წაქეზება გარკვეული მიზნების მისაღწევად. შესაბამისად აღნიშნულის გასახორციელებლად საჭიროა პროცესების სწორი შეფასება და ცალკეული პიროვნებების მამოძრავებელი მოტივების დროული განსაზღვრა.*

*სახელმწიფო და კერძო სტრუქტურების მენეჯერები გამუდმებით უნდა მუშაობდნენ თანამშრომლების კოორდინაციისა და მათი მოტივაციის ამაღლების მიმართულებით, რათა დროულად უზრუნველყოფნ ორგანიზაციის მიერ დასახული გეგმების ეფექტური განხორციელება.*

*საკვანძო სიტყვები: მოტივაცია, ადამიანური რესურსები, საჯარო უწყება, მოტივაციის სქემის დიზაინი, შესრულებული სამუშაოს შეფასების მენეჯმენტი.*

ადამიანური რესურსების მენეჯმენტი არის მმართველობითი პროცესი, რომელიც მნიშვნელოვან როლს თამაშობს ნებისმიერი ორგანიზაციის წარმატების მიღწევაში. მასზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს გლობალიზაცია, ტექნოლოგიები, დემოგრაფიული ცვლილებები და ეკონომიკური გამოწვევები. ვინაიდან ადამიანური რესურსების მენეჯმენტის მთავარი ფიგურა ორგანიზაციაში ადამიანია, ამ ადამიანთა ძალისხმევის ეფექტიანობაზე დამყარებული ერთობლივი საქმიანობის უზრუნველყოფის მიზნით, საჭირო ხდება ეფექტური მმართველობითი პროცესის შექმნა. აღნიშნულიდან გამომდინარე მენეჯერებმა უნდა შეძლონ საჭირო დროსა და საჭირო ადგილას შესაბამისი რაოდენობისა და უნარების მქონე ადამიანების მობილიზება, რაც კომპანიას მოგების გაზრდაში დაეხმარება.

ნებისმიერი სახელმწიფოს ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან საკითხს უწყებებში დასაქმებულებზე ზრუნვა უნდა წარმოადგენდეს. აღსანიშნავია, რომ მსოფლიო მასშტაბით საჯარო მოხელეებთან ურთიერთობა კვლავ ერთ-ერთ მთავარ გამოწვევას წარმოადგენს. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ მოტივაციის ხელისშემწყობი რესურსები საჯარო უწყებებში ყოველთვის იყო და იქნება შეზღუდული რაოდენობით. შესაბამისად მიზანშეწონილია ნებისმიერმა სახელმწიფომ შექმნას მოხელეებისთვის ოპტიმალური

პირობები. ამისთვის მნიშვნელოვანია ქვეყნის საჭიროებიდან გამომდინარე სახელმწიფომ ფინანსური რესურსების სწორი განაწილება, მათი რაციონალური და მიზნობრივი ხარჯვა მოახდინოს.

საჯარო სამსახური არის დამოკიდებულების, პასუხისმგებლობის გრძნობისა და მორალის ერთიანობა [6. გვ.368]. პირები, რომლებთანაც აქვთ მაღალი სახალხო ინტერესი, უფრო მეტად ირჩევენ საჯარო სამსახურს [5. გვ.41] და არიან უფრო აქტიურები და სოციალური კაპიტალის აშენების მაღალი სურვილის მატარებელი. მოტივაცია მჭიდროდ არის დაკავშირებული გენდერთან, განათლებასთან, მენეჯმენტთან და ინდივიდუალურ ფულად პრიორიტეტებთან. კვლევების თანახმად, საჯარო სამსახურში დასაქმებულებთან შორის მაღალი მოტივაციით გამოირჩეოდნენ მენეჯერი ქალები - მეტი განათლებითა და ფულადი დაჯილდოების ნაკლები სურვილით [1. გვ.15]. ამასთან ერთად, ქალებს ჰქონდათ ორგანიზაციის პოლიტიკის სტრატეგიების შემუშავებისა და თანაგრძნობის მაღალი მაჩვენებელი [1. გვ.16], ხოლო კაცებს საზოგადოებრივი ინტერესებისა და თავგანწირვის სურვილი [1. გვ.16]. მკვლევარები ასევე ვარაუდობენ, რომ საჯარო მოხელეების ძირითადი მოტივი საჯარო სამსახურში არის პატრიოტიზმი [6. გვ.369]. კვლევების შედეგად აღმოჩნდა, რომ საჯარო სამსახურის მოტივაციის მაჩვენებელზე

ახალი ეკონომისტი THE NEW ECONOMIST

ასევე მნიშვნელოვან გავლენას ახდენდა ოჯახის სოციალიზაცია, მათი რელიგიური საქმიანობა და გამოცდილება [1. გვ.18].

დღესდღეობით კი განვითარებულ და განვითარებად ქვეყნებში საჯარო სექტორში თანამშრომელთა მოტივაცია, ხელმძღვანელობის მიმართ ნდობა, სამსახურებრივი ვალდებულება, პროფესიული კმაყოფილება და ეთიკური გარემო თანდათანობით ქვეითდება [2. გვ.1]. ძლიერი მოტივები მნიშვნელოვანია საჯარო, საზოგადოებრივი და სოციალური მომსახურების გასახორციელებლად [1. გვ.6].

თანამშრომლები უფრო მეტად მოტივირებულნი იქნებიან თუ თავიანთი სამუშაოს მნიშვნელოვნებას გაიაზრებენ და გაუჩნდებათ პასუხისმგებლობის გრძნობა შესრულებული ამოცანების მიმართ [6. გვ.371]. ხელფასი არის ერთ-ერთი ძლიერი მოტივატორი, რომელიც მნიშვნელოვან როლს თამაშობს უინტერესო საქმის წარმატებით და ეფექტურად შესრულებაში, რაც ასუსტებს შინაგანს მოტივაციას და აძლიერებს გარეგანს [1. გვ.19-20]. აღსანიშნავია, რომ კომპენსაცია არ არის მარტო ფული. კომპენსაცია შეიძლება მოიცავდეს ყველაფერს, რაც შემდეგ ფულად გარდაიქმნება, მაგალითად ჯანმრთელობის დაზღვევა და ასშ. ამასთან ერთად, გასათვალისწინებელია, რომ წახალისების ყველა მექანიზმი არ მუშაობს. ხშირად ფულადი წახალისების გამოყენება არ ზრდის თანამშრომლის მოტივაციას [2. გვ.14]. შესაბამისად მიზანშეწონილია შეიქმნას და ადმინისტრირება გაეწიოს კომპენსაციის ეფექტურ და ორგანიზაციაზე მორგებულ გეგმებს [3. გვ.84-85].

რობინსის და კოუთლერის აზრით, მნიშვნელოვანია, მენეჯერებმა, რომლებიც გადაწყვიტენ დასაქმებულების მოტივაციას, შეიმუშაონ სწორი და ეფექტური სამოტივაციო სქემის დიზაინი, რომელიც არსებულ გარემოზე მთლიანად იქნება მორგებული. სწორი დიზაინის შემუშავებისათვის საჭიროა [7. გვ.466-467]:

- საქმის და პასუხისმგებლობის გაზრდა;
- სამუშაოს თვისებრივი მოდელის გამოყენება, რომელიც მოიცავს 5 ძირითად

ელემენტს:

1. უნარ-ჩვევების ნაირსახეობა – სხვადასხვა აქტივობა, რომლებშიც ჩართულ თანამშრომლებს მოუწევთ სხვადასხვა უნარის გამოყენება;
2. დავალების იდენტიფიკაცია და მისი დროული დასრულება;
3. ამოცანის მნიშვნელობა, რომელიც ზეგავლენას ახდენს ადამიანის სამუშაოზე ან მისი ცხოვრების პირობებზე;

4. ავტონომია – საქმეს მოაქვს თავისუფლება და დამოუკიდებლობა;

5. უკუგება, რომელიც მოითხოვს თანამშრომლების მიერ შესრულებული სამუშაოს ხარისხზე შესაბამის რეაგირებას.

- ღია-წიგნის მენეჯმენტის მიდგომა, ფინანსური ცნობა, რომელიც ყველა თანამშრომლისთვის ხელმისაწვდომია. აღნიშნული მეთოდი დასაქმებულებს დაეხმარებათ ორგანიზაციის რეალური გარემოს დანახვასა და აღქმაში;

- თანამშრომლის აღიარების პროგრამა, რომელიც გულისხმობს მის დაფასებას საქმის კარგად შესრულებისთვის.

მაკი რობინსისა და კოუთლერის მსგავსად მიიჩნევს, რომ მნიშვნელოვანია მენეჯერებმა გამოიყენონ საქმის თვისებრივი მოდელი, რომელიც ეფექტურად იმოქმედებს თანამშრომლის შინაგან მოტივაციაზე, ხოლო გარეგანი მოტივაციის ასამაღლებლად მნიშვნელოვანია შეიქმნას და ადმინისტრირება გაეწიოს კომპენსაციის გეგმებს [3. გვ.84-85]:

▪ ბევრი ადამიანისთვის მნიშვნელოვანია ფული, ვინაიდან ფულით უზრუნველყოფს ძირითადი მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას. ანაზღაურებამ შეიძლება გაზომოს შესრულებული საქმის წარმატება და შედარება მოახდინოს სხვებთან;

▪ ინდივიდუალური კომპენსაცია დამოკიდებულია ინდივიდების შედეგებზე. ამას დადებითი ეფექტი იმ შემთხვევაში ექნება, თუ კომპენსაცია სამართლიანად იქნება მიჩნეული;

▪ ჯგუფური კომპენსაცია ეფექტური მექანიზმია, ვინაიდან ჯგუფს ერთი მთავარი მიზანი აქვს და გამოიყენება, როდესაც რთულდება ინდივიდის მიერ შესრულებული სამუშაოს გაზომვა;

▪ ხარისხზე დაფუძნებული კომპენსაცია განისაზღვრება ინდივიდუალურად ან ჯგუფურად შესრულებული სამუშაოს ხარისხით.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ კომპენსაცია არ არის მარტო ფული. კომპენსაცია შეიძლება მოიცავდეს ყველაფერს, რაც შემდეგ ფულად გარდაიქმნება, მაგალითად, დაზღვევა, შვებულება და სხვა.

თანამშრომელთა შესრულებული სამუშაოს მართვის მენეჯმენტი არის მიზანმიმართული პროცესი ორგანიზაციაში დასაქმებულთა პროდუქტიულობის გაზრდის მიზნით, რომელზეც მნიშვნელოვან გავლენას ახდენს შიდა და გარე ფაქტორები [4. გვ.234].

თანამშრომელთა შეფასების სისტემის საერთო

კრიტერიუმად გამოიყენება თანამშრომელთა თვისებები, ქცევები, კომპეტენცია, მიზნების მიღწევა და გამოსწორების პოტენციალი [4. გვ.240]. შეფასების ჩატარების პერიოდი ყველა კომპანიაში განსხვავებულია. კვლევების თანახმად, სასურველია პროცესის ხშირად განხორციელება. შესაბამისად, ორგანიზაციის ეფექტური ფუნქციონირებისთვის მენეჯერებმა უნდა იცოდნენ თანამშრომლების მიერ შესრულებული სამუშაოს შედეგები. ამისთვის სასურველია ორგანიზაციაში შეფასების მრავალფეროვანი ტრადიციული და არატრადიციული კერძოდ, წერილობითი ესეს, კრიტიკული ინციდენტის, გრაფიკული შეფასების სქემა, ქცევაზე ორიენტირებული სკალის, ადამიანთა შეფასების, MBO-სა და 360- გრადუსიანი უკუგების შეფასების მეთოდების დანერგვა და გამოყენება [7. გვ.354-355].

მოტივაციის პროცესი რთული მექანიზმია, რომლის თეორიების შესწავლა დღემდე გრძელდება. საკითხის აქტუალობიდან გამომდინარე, ადამიანური რესურსების მართვის

სპეციალისტები გათვითცნობიერებულნი უნდა იყვნენ თანამედროვე ადამიანური რესურსების მენეჯმენტის მეთოდების შესაძლებლობების ეფექტური გზით გამოყენებაში, რომელიც საბოლოო ჯამში ხელს შეუწყობს არსებული გარემოს გაუმჯობესებას. ვინაიდან არ არსებობს ერთი საუკეთესო სტრატეგია, მნიშვნელოვანია მენეჯერებმა გააცნობიერონ ის ფაქტი, რომ ადამიანთა მოთხოვნილებები ერთმანეთისგან განსხვავებულია და საჭიროებენ ინდივიდუალურ მიდგომებს.

ასევე მნიშვნელოვანია, მენეჯერები, რომლებიც გადაწყვეტენ დასაქმებულების მოტივაციას, შეიმუშაონ სწორი და ეფექტური სამოტივაციო სქემის დიზაინი, რომელიც არსებულ გარემოზე მთლიანად იქნება მორგებული. სწორი დიზაინის შემუშავებისათვის საჭიროა მოხდეს საქმის გაზრდა, დასაქმებულების პასუხისმგებლობის გაზრდა, სამუშაოს თვისებრივი მოდელის გამოყენება და ღია-წიგნის მენეჯმენტის მიდგომა.

ბამოქმენებული ლიტერატურა:

1. Belle, N., Cantarelli, P. (2010). Public Service Motivation: The State of the Art. Retrieved May 23,2017, [https://www.researchgate.net/publication/289751177\\_Public\\_service\\_motivation\\_The\\_state\\_of\\_the\\_art](https://www.researchgate.net/publication/289751177_Public_service_motivation_The_state_of_the_art).
2. Global Center For Public Service and Excellence. (2014). Motivation of Public Service Officials, Insights for Practitioners. UNDP: Singapore.
3. McKee, A. (2011). Management A focus on Leaders. New Jersey: Prentice Hall.
4. Mondy, W., Mondy, B.J (2012). Human Resource Management. New York: Pearson.
5. Moynihan, P.D., Pandey, S. (2007). The Role of Organizations in Fostering Public Service Motivation. Public Administration Review, 40-53.
6. Perry, L.J., Wise. R. L. (1990). The Motivation Bases of Public Service. Public Administration Review, 50(3): 367-373.
7. Robbins, P.S., Coutler, M. (2011). Management. New York: Pearson.

Public Employee Motivation, the Scheme Design and Performance Appraisal Management

Salome Sakvarelidze  
 Doctor Student  
 Ivane Javakishvili Tbilisi State University  
 Faculty of Economic and Business

Nowadays the motivated employee represents the essential condition of the organization's success. Motivation is incitement of own and others behavior to achieve the certain goals. Accordingly, to implement the above-mentioned the proper assessment of the processes and timely determination of the individuals driving motives are needed.

Public and private sector managers should constantly work toward coordinatng and increasing employee motivation in order to ensure the timely and effective implementation of the plans set by the organization.

Key Words: Motivation, Human Resources, Public Sector, Motivation Scheme Design, Performance Appraisal Management.

საქართველოს მცირე და საშუალო ბიზნისის მთავრობისეული SWOT-ანალიზის შეფასება

მალხაზ ფარცვანია  
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მასწავლებელი  
ტელეფონი: 595 234 478  
E-mail: malxaz58@yandex.ru

ანი ქიმაძე  
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დოქტორანტი  
ტელეფონი: 577 525 272  
E-mail: Kimadzeani@yahoo.com

სტატიაში – „საქართველოს მცირე და საშუალო ბიზნისის მთავრობისეული ანალიზის შეფასება“ ავტორები აფასებენ საქართველოს სამთავრობო დოკუმენტში – „მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების 2016-2020 წლების სტრატეგიაში“ ჩადებულ SWOT-ანალიზს. ავტორები განსაკუთრებით აკრიტიკებენ ამ სექტორის პირველ, მეოთხე, მეექვსე, მეშვიდე, მეათე და მეთერთმეტე ძლიერ მხარეებს. მთავრობისეულ SWOT-ანალიზში მოცემული ბიზნისის 13 სუსტი მხარე სტატიის ავტორებს შემცირებულად მიაჩნიათ და მას თავის მხრივ ამატებენ კიდევ ხუთს.

სტატიის დასასრულს ავტორებს გაკეთებული აქვთ შემაჯამებელი დასკვნა.

საკვანძო სიტყვები: მცირე ბიზნისი, საშუალო ბიზნისი, SWOT-ანალიზი, ძლიერი მხარეები, სუსტი მხარეები, შესაძლებლობები, საფრთხეები.

ახალი ეკონომისტი THE NEW ECONOMIST

ნებისმიერი საწარმოს, დარგის თუ ქვედარგის ეხლანდელ თუ სამომავლო მდგომარეობას მისი SWOT-ანალიზით აფასებენ. მისით ირკვევა რა ძლიერ და სუსტ მხარეებს ფლობს იგი და რა შესაძლებლობები აქვს და რა საფრთხეები ელოდება მომავალში.

2015 წელს პირველად საქართველოში შემუშავდა და გამოქვეყნდა „საქართველოს მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების სტრატეგია 2016-2020 წლებისთვის“. მასში ამ სექტორის SWOT-ანალიზია წარმოდგენილი. წინამდებარე

სტატიაში ჩვენ ამ ანალიზზე გვექნება საუბარი.

1. საქართველოს მცირე და საშუალო ბიზნისის მთავრობისეული SWOT-ანალიზის შეფასება პირველ ცხრილში წარმოდგენილი SWOT-ანალიზი თეორიულ პლანში გვიჩვენებს მცირე ბიზნისის ძლიერ და სუსტ მხარეებს, შესაძლებლობებს და საფრთხეებს (ცხრილი 1). ამის ცოდნა აუცილებელია ნებისმიერი მცირე და საშუალო მეწარმისთვის, მათი ადმინისტრაციული ორგანოსთვის და ამ სექტორის კვლევით დაკავებული ნებისმიერი მკვლევარისათვის.

ცხრილი 1

საქართველოს მცირე და საშუალო ბიზნისის სექტორის SWOT-ანალიზი [1, ბმ. 22]

ძლიერი მხარეები

1. ხელსაყრელი ბიზნეს გარემო;
2. გამართლებული ადმინისტრაციული პროცედურები და განვითარებული სახელმწიფო სერვისები;
3. ბიზნისის დაწყების მარტივი პროცედურები;
4. მცირე და საშუალო საწარმოებისთვის საკონსულტაციო მომსახურება;
5. მთავრობა კორუფციის გარეშე;
6. მცირე საგადასახადო ტვირთი და შეღავათიანი საგადასახადო სისტემა მიკრო და მცირე ბიზნისებისთვის;
7. რეგიონულ და საერთაშორისო ბაზრებზე წვდომის სიმარტივე და დაბალი ხარჯი;
8. ლიბერალური სავაჭრო რეჟიმები: DCFTA ევროკავშირთან; თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმებები დსთ-ს ქვეყნებთან და თურქეთთან; GSP აშშ-თან, კანადასთან, იაპონიასთან, შვეიცარი-

სუსტი მხარეები

1. სამეწარმეო უნარების და გამოცდილების ნაკლებობა;
2. კონკურენტუნარიანობის დაბალი დონე;
3. დაბალი პროდუქტიულობა;
4. გრძელვადიან საინვესტიციო რესურსებზე შეზღუდული წვდომა;
5. ინოვაციების, კვლევისა და R&D დაბალი დონე;
6. კვლევისა და განვითარების ინსტიტუტებსა და კერძო სექტორის არასაკმარისი თანამშრომლობა;
7. ტექნოლოგიების დანერგვის შეზღუდული შესაძლებლობები;
8. ადამიანური კაპიტალის არასაკმარისი კონკურენტუნარიანობა;
9. უცხოური ბაზრების შესახებ ცოდნის და-





- ასთან და ნორვეგიასთან;
9. კარგად განვითარებული ინფრასტრუქტურა;
  10. მცირე და საშუალო მეწარმეების ხელშეწყობის ახალი ინსტიტუტები;
  11. მცირე და საშუალო მეწარმეობის მხარდაჭერის სახელმწიფო პროგრამები;
  12. ახალგაზრდებში ინგლისური ენის ცოდნის მაღალი დონე;
  13. ელექტროენერგიაზე დაბალი ხარჯი. შესაძლებლობები
    1. ფინანსებზე გაზრდილი ხელმისაწვდომობა;
    2. კარგად განვითარებული ალტერნატიული დაფინანსება;
    3. DCFTA -ის ეფექტიანი გამოყენება ექსპორტის დივერსიფიკაციის შესაძლებლობები;
    4. მცირე და საშუალო საწარმოების მხარდაჭერა DCFTA -ის მოთხოვნების შესრულების სფეროში;
    5. ძლიერი სახელმწიფო ინსტიტუტები DCFTA -ის მოთხოვნების შესრულების სფეროში;
    6. თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმებები ევროპის თავისუფალი ვაჭრობის ასოციაციის (EFTA) წევრ ქვეყნებთან და ჩინეთთან;
    7. შრომის ბაზრის მოთხოვნებზე ორიენტირებული პროფესიული განათლების სისტემა;
    8. კარგად განვითარებული ხარისხის ინფრასტრუქტურა - შემცირებული ტექნიკური ბარიერები ვაჭრობაში;
    9. წარმოების დივერსიფიკაცია;
    10. საერთაშორისო თანამშრომლობის გაძლიერება და საწარმოთა ინტერნაციონალიზაცია;
    11. კარგად განვითარებული საკონსულტაციო მომსახურება;
    12. ინოვაციების და ტექნოლოგიების დანერგვის პოტენციალის გაძლიერება;
    13. თანამედროვე სამეწარმეო კულტურის დანერგვა;
    14. განგრძობითი სამეწარმეო განათლების განვითარება;
    15. ევროპულ საწარმოთა ქსელში (Enterprise Europe Network) ინტეგრაცია - სავაჭრო კავშირები ევროკავშირში არსებულ კომპანიებთან;
    16. მცირე და საშუალო ბიზნესის ინსტიტუტების გაძლიერების მხარდაჭერა.

მეცნიერები თვლიან, რომ მცირე ბიზნესის ძლიერი მხარეები აპირობებენ მის ღირსებებს, სუსტი მხარეები კი მის ნაკლოვანებებს წარმოადგენენ.

ცხრილში მოცემული SWOT-ანალიზი საქართველოს მცირე და საშუალო ბიზნესის ორივე ამ მხარეს გვიხასიათებს.

ძლიერი მხარეების ჩამონათვალში, რომელთა რიცხვი 13-ია, ჩვენი ყურადღება მიიქცია პირველმა – „ხელსაყრელი ბიზნესგარემო“, მეოთხემ – „მცირე და საშუალო საწარმოებისთვის საკონსულტაციო მომსახურება“, მეექვსემ – „მცირე საგადასახადო ტვირთი მცირე და მიკროსაწარმოებისთვის“, მეშვიდემ – „რეგიონულ და საერ-

- ბალი დონე;
10. ექსპორტისა და ინტერნაციონალიზაციის შეზღუდული შესაძლებლობა;
  11. ახალი ტექნოლოგიების (ძირითადი საშუალებების) მაღალი ხარჯი;
  12. მცირე და საშუალო საწარმოების საკონსულტაციო მომსახურების მაღალი ღირებულება;
  13. ბიზნესის დახურვის სირთულე. საფრთხეები
    1. შესაძლო სავაჭრო ეკონომიკური ფაქტორები (ფინანსური კრიზისი, საერთაშორისო ბაზრებზე მოთხოვნის შემცირება და ა. შ.);
    2. ეკონომიკური ზრდის შესაძლო შენელება;
    3. პოლიტიკური არასტაბილურობა;
    4. მცირე და საშუალო ბიზნესის სექტორში ინვესტიციების დაბალი დონე;
    5. არასაკმარისი საექსპორტო შესაძლებლობები;
    6. საერთაშორისო კონკურენციის ფონზე მცირე და საშუალო საწარმოთა დაბალი შესაძლებლობები;
    7. DCFTA -ის მოთხოვნების არასაკმარისი ცოდნა და მათთან ადაპტაციის დაბალი დონე;
    8. ბიზნეს-საგანმანათლებლო პროგრამებში მცირე და საშუალო ბიზნესის არასაკმარისი მონაწილეობა;
    9. საექსპორტო ბაზრებზე არსებული მოთხოვნების არასაკმარისი ცოდნა.

თაშორისო ბაზრებზე წვდომის სიმარტივე და დაბალი ხარჯი“; მეათემ – „მცირე და საშუალო მეწარმეობის მხარდაჭერის სახელმწიფო ინსტიტუტები და მეთერთმეტემ – „მცირე და საშუალო მეწარმეობის მხარდაჭერის სახელმწიფო პროგრამები“.

პირველ ძლიერ მხარედ ხელსაყრელი ბიზნესგარემო დასახელებული. მიკრო და მცირე სტატუს მინიჭებულ საწარმოებს ეს მართლაც აქვთ დაბეგვრის კუთხით, მაგრამ ეს სტატუსი მიენიჭა არა ყველა პროფილის საწარმოს (თუნდაც მას დაეკმა ყოფილებინა მოთხოვნილი პარამეტრები – მიკროსთვის 30 000 ლარი ერთობლივი შემოსავალი, მცირესთვის 100 000 ლარამდე ერ-

თობლივი შემოსავალი), არამედ მხოლოდ ზოგიერთ საქმიანობაში დასპეციალებულ საწარმოებს. მათი ჩამონათ ვალი მეტად მცირე იყო.

მეოთხე ძლიერ მხარედ დასახელებულია საკონსულტაციო მომსახურება. კერძო საკონსულტაციო ფირმები საქართველოში ბევრია. მცირე მეწარმეები ელოდნენ, რომ მეწარმეობის სააგენტო როცა გაიხსნებოდა მას ექნებოდა უფასო საკონსულტაციო მომსახურება. მაგრამ ეს ასე არ მოხდა. მეწარმეობის სააგენტო გაიხსნა და მისი საკონსულტაციო მომსახურებაც ფასიანი, ზოგჯერ უფრო ძვირიც კი, ვიდრე კერძო საკონსულტაციო მომსახურება. ასეთ დროს, მცირე საწარმო არასოდეს არ არის ფინანსურად ძლიერი. სახელმწიფო მას კონსულტაციებში ფულს არ უნდა ახდევინებდეს.

მეექვსე ძლიერ მხარედ დასახელებულია მცირე საგადასახადო ტვირთი, მაგრამ როგორც აღვნიშნეთ, იგი არ შეეხო ყველა პროფილის მცირე საწარმოს.

მეშვიდე ძლიერ მხარედ დასახელებულია რეგიონულ და საერთაშორისო ბაზრებზე წვდომის სიმარტივე. ასეთ დროს თვით მცირე მეწარმეებიც აღნიშნავენ და ამ სფეროში მომუშავე მეცნიერებიც სინანულით მიუთითებენ, რომ მცირე მეწარმეებს დამოუკიდებლად უჭირთ საერთაშორისო ბაზარზე გასვლა (არ იციან უცხო ენა, უცხოური სტანდარტები და ა.შ.).

მეათე ძლიერ მხარედ დასახელებულია მცირე და საშუალო მეწარმეობის ხელშემწყობი ინსტიტუტები. თუ აქ „მეწარმეობის განვითარების სააგენტო“ იგულისხმება, ის არ არის მხოლოდ მცირე და საშუალო მეწარმეთა ხელშემწყობი. იგი მსხვილ საწარმოებსაც ემსახურება, საჭიროა ცალკე არსებობდეს, ისე როგორც აშშ-ია, „მცირე მეწარმეობის სააგენტო“ და არა ზოგადად, მეწარმეობის განვითარების სააგენტო. უფრო მისასაღებელია ორივეს არსებობა. მათ განსხვავებული ფუნქციები ექნებათ.

მეთერთმეტე ძლიერ მხარედ დასახელებულია მცირე და საშუალო მეწარმეობის მხრდაჭერი სახელმწიფო პროგრამები. საქართველოში ასეთი სულ არის 3-4 პროგრამა („იაფი კრედიტი“, „საწარმოე საქართველოში“, „დანერგე მომავალი“). ასეთ დროს ევროპის ქვეყნებში ამ სექტორის მხარდასაჭერად ასეულობით პროგრამები ხორციელდება (მაგალითად, გერმანიაში 500 პროგრამა მუშაობს). ჩვენი აზრით, 3-4 პროგრამის არსებობა არ შეიძლება ძლიერ მხარედ ჩაითვალოს.

ესხლა რაც შეეხება სუსტ მხარეებს. საქართ-

ველოს მცირე და საშუალო ბიზნესის სუსტ მხარეებად ცხრილში ასევე 13 მხარე არის ჩამოთვლილი. სასურველი კი იყო, რომ მათი რიცხვი ძლიერ მხარეებზე ნაკლები ყოფილიყო. ამ 13-სუსტ მხარეს ჩვენ ჩვენი მხრით დავამატებთ:

1. სახელწიფოს მხრიდან ფინანსური მხარდაჭერის არასაკმარისობა;
2. ქვეყანაში განვითარების ბანკის არ არსებობა, რომელიც გასცემდა გრძელ ვადიან, დაბალპროცენტულ კრედიტებს მცირე მეწარმეებს;
3. ბიზნეს-ინკუბატორების არ არსებობა ქვეყანაში და სახელწიფოს დაუინტერესებლობა ამ ფენომენით;
4. მცირე საწარმოებში პროდუქციის წარმოების ქვოტების არ არსებობა, რომ ლის ფარგლებში თვით სახელმწიფო შეისყიდოდა წარმოებულ პროდუქციას (ასეა საზღვარგარეთ);
5. საქონლისა და მომსახურების სახელმწიფო შესყიდვებში მცირე საწარმოთა ჩართვის სირთულე (მათ არა აქვთ ინფორმაცია, რადგან ინფორმაცია მხოლოდ ინტერნეტით ვრცელდება, რომლის შესაძლებლობა ყველა მცირე მეწარმეს არა აქვს).

ამავე დოკუმენტში საქართველოს მცირე და საშუალო მეწარმეობის სამომავლო შესაძლებლობებში 16 პოზიცია არის ჩამოთვლილი. ყველა ისინი მისაღებია, მაგრამ ერთია, რომ არსებობს ეს შესაძლებლობები და მეორე, თუ როგორ შეიძლება საქართველოს ხელისუფლება ამ შესაძლებლობების რეალობად გადაქცევას.

იგივე დოკუმენტში საფრთხეების ნაწილში მცირე და საშუალო მეწარმეობის 9-საფრთხე არის ჩამოთვლილი. ყველა ეს მაკროეკონომიკური საფრთხეებია.

საქართველოს მთავრობას ამ საფრთხეების შესამცირებლად და მცირე მეწარმეობის განვითარების შესაძლებლობების ასამოქმედებლად. ამავე დოკუმენტში, რომელშიც წარმოდგენილი იყო მცირე და საშუალო მეწარმეობის შუკ თანახმობის შემუშავებული აქვს ღონისძიებები. ჩვენ გადავხედეთ ამ ღონისძიებებს და მათში არა უშუალოდ ღონისძიებები, არამედ, დაპირებები ამოვიკითხეთ, კერძოდ, ასეთი: „შემუშავდება“, „განთავსდება“, „გაიზრდება“ და ა. შ. ამას სჯობდა დასახულიყო კონკრეტული ღონისძიებები შესრულების ვადების, შემსრულებელი პირების და დაფინანსების ჩვენებით. საქართველოს მცირე და საშუალო მეწარმეები მთავრობისგან ასეთ ღონისძიებებს ელიან. დასაინანია, რომ ლოდინი ლოდინათ რჩება.

დასკვნა. სტატიაში წარმოდგენილი მასალა მა მხარეებმა ჯერ-ჯერობით ვერ გადააჭარბა მის საშუალებას გვაძლევს დავასკვნათ, რომ საქართველოს მცირე და საშუალო მეწარმეობის ძლიერ-სუსტ მხარეებს. ეს იმას ნიშნავს, რომ ეს სექტორი სათანადოდ არ არის განვითარებული.

ბამოქმენიშული ლიტერატურა:

- 1. საქართველოს მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების სტრატეგია 2016-2020 წლისთვის, თბ., 2015.

THE EVALUATION OF GEORGIAN SMALL AND MEDIUM BUSINESS SWOT-ANALYZE BY THE GOVERNMENT

MALKHAZ PARTSVANIA, Teacher of Tbilisi State University.

ANI KIMADZE, Doctoral of Georgian Technical University.

S U M M A R Y

In the article -” The Evaluation of Georgian Small and Medium Business SWOT-Analyze by the government”, the authors are analyzing and evaluating the document made by government-SWOT-Analyze from “The strategy of small and medium industry development in 2016-2020”. The authors are specially criticizing the first, fourth, sixth, seventh, tenth and eleventh strong sides of this sector.

The authors of this article think that 13 weak sides of this business are reduced in government SWOT-Analyze and they are adding five more ones.

In the end of the article the authors drew the summarizing conclusion.

Key words: Small business, Medium business, SWOT-Analyze, Strong sides, Weak sides, possibilities, dangers.

# შემოსავლების უთანაბრობის პრობლემა და მისი შემცირების გზები საქართველოში



თამარ კვანტალიანი  
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო  
უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის  
მაგისტრი  
ტელ.: 595957181  
ელ-ფოსტა: tamuna.kvantaliani4@gmail.com

ახალი ეკონომისტი THE NEW ECONOMIST

სტატია ეხება შემოსავლების უთანაბრობის თემატიკას. საკითხი აქტუალურია, რადგან შემოსავლების უთანაბრობა გავლენას ახდენს ქვეყნის ეკონომიკურ ზრდაზე, გრძელვადიანი ეკონომიკური ზრდა კი ნებისმიერი სახელმწიფოს კეთილდღეობის საფუძველია. ეკონომიკური ზრდის მაღალი ტემპი და, შესაბამისად, ცხოვრების დონის გაუმჯობესება ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ამოცანაა საქართველოსთვისაც. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სტატიაში წარმოდგენილია პრობლემის მასშტაბური ხასიათი როგორც განვითარებად, ისე განვითარებულ ქვეყნებში. გამოკვეთილია შემოსავლების უთანაბრობის გამომწვევი ძირითადი მიზეზები და ასახულია უარყოფითი შედეგები, რომელიც მას მოაქვს. სტატისტიკური ანალიზისთვის არჩეულია უთანაბრობის გაზომვის ყველაზე გარცელებული მეთოდი - ჯინის ინდექსი და მისი საშუალებით საქართველოს მდგომარეობა შედარებულია სხვა ქვეყნების მდგომარეობას. ბოლოს, განხილულია შემოსავლების უთანაბრობის აღმოფხვრის სტრატეგიები და შეთავაზებულია მისი დაძლევის ეფექტიანი გზები.

მიუხედავად იმასა, რომ მთავრობის ამჟამინდელი კურსი შედეგისმომტანი იქნება, გრძელვადიანი და ეფექტიანი შედეგის შენარჩუნებისთვის აუცილებელია საგადასახადო სისტემის გადახედვა და მოსახლეობისთვის განათლების ხელმისაწვდომობის ზრდა.

ძირითადი სიტყვები: შემოსავლების უთანაბრობა, ეკონომიკური ზრდა, ჯინის ინდექსი, კორელაციის კოეფიციენტი, საგადასახადო შემოსავალი.

მოსახლეობის შემოსავლების უთანაბრობის დონე მნიშვნელოვანი მაჩვენებელია, რადგან შემოსავლების უთანაბრობა გავლენას ახდენს ქვეყნის ეკონომიკურ ზრდაზე, სწრაფი ეკონომიკური ზრდა კი მოსახლეობის კეთილდღეობის ამაღლების და სიღარიბის შემცირების მნიშვნელოვანი წინაპირობაა.

შემოსავლების უთანაბრობა ხშირად შემოსავლების სამართლიანობის იდეასთან ასოცირდება. ზოგიერთი ეკონომისტის აზრით შემოსავლების უთანაბრობა არასამართლიანია, რადგან ამ დროს მოსახლეობის შემოსავლების უმეტესი ნაწილი მდიდარი ადამიანების ხელშია. შემოსავლების უთანაბრობა შეიძლება გამოწვეული იყოს რეგიონალური, გენდერული და სოციალური სტატუსის მიხედვით განსხვავებებით.

უკანასკნელი ათწლეულების განმავლობაში შემოსავლების უთანაბრობა გაიზარდა მდიდარ ქვეყნებშიც კი. 1980-იან წლებში OECD წევრი ქვეყნების ყველაზე მდიდარი მოსახლეობის 10%-ის საშუალო განკარგვადი შემოსავალი დაახლოებით

7-ჯერ მეტი იყო ღარიბი მოსახლეობის შემოსავლებზე, დღეს კი დაახლოებით 10-ჯერ მაღალია. განვითარებად ქვეყნებში, მათ შორის საქართველოში, სიღარიბის შემცირების მიუხედავად, შემოსავლები უფრო და უფრო არათანაბარი ხდება. უთანაბრობა გაიზარდა აზიის ისეთ ქვეყნებში, როგორცაა ჩინეთი, ინდოეთი და ინდონეზია. მაგ, ჩინეთში იგი ყოველწლიურად 1,6 %-ით იზრდებოდა.<sup>1</sup>

რა შეიძლება იწვევდეს შემოსავლების უთანაბრობას? 1990 წლის შემდეგ გამოიკვეთა შემდეგი ძირითადი მიზეზები: გლობალიზაცია და ტექნოლოგიების გავლენის ზრდა სამუშაო ძალაზე, დროებით კონტრაქტზე მომუშავე ადამიანების რიცხვის ზრდა და ა.შ. შეიძლება გაჩნდეს კითხვა, შემოსავლების უთანაბრობა ხომ ყოველთვის არსებობდა. მაგ, ნომადური ჯგუფებში და რატომ წარმოადგენს ის პრობლემას დღევანდელ მსოფლიოში? საქმე ისაა, რომ დიდი განსხვავება მოსახლეობის შემოსავლებში ანელებს ეკონომიკურ ზრდას და სოციალურ მობილობას,

<sup>1</sup> www.oecd.com ,OECD insights 2015



იწვევს უამრავ დაავადებას და ზრდის კრიმინალის დონეს. ამერიკის შეერთებული შტატების ყოფილმა პრეზიდენტმა ბარაკ ობამამ მას „ჩვენი დროის აშკარა გამოწვევა უწოდა“.

როგორც აღვნიშნეთ შემოსავლების უთანაბრობის პრობლემა საქართველოს ეკონომიკის წინაშეც დგას, სწორედ ამიტომ მისი შემცირება „საქართველოს მთავრობის სოცილურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგია 2020“-ის ერთ-ერთი ძირითადი მიზანია.

იმისათვის, რომ ვიცოდეთ შემოსავლების უთანაბრობის დონე ქვეყანაში და შევადაროთ იგი სხვა ქვეყნის ანალოგიურ მაჩვენებელს, აუცილებელია მისი გაზომვა. შემოსავლების უთანაბრობის გაზომვის ბევრი მეთოდი არსებობს, ესენია: ჯინის კოეფიციენტი, დეცილური კოეფიციენტი, რობინ ჰუდის, ატკინსონის და ენთროპიის ინდექსები. მათ შორის ყველაზე მეტად გავრცელებულია ჯინის კოეფიციენტი, რომლის გაანგარიშებისათვის ჯერ ვითვლით მოსახლეობის რიცხოვნობისა და შემოსავლების ხვედრით წონებს, ხოლო შემდეგ ხშირადობათა ნაზრდ ჯამებს მოსახლეობის რიცხოვნობისა და შემოსავლების მიხედვით. კოეფიციენტის სიდიდე 0-დან 1-მდე მერყეობს, ასევე შესაძლებელია პროცენტულადაც გამოისახოს 0%-100%.0


უთანაბრობის არარსებობაზე, 1 კი მაქსიმალურ უთანაბრობაზე მეტყველებს ბუნებრივია, ეს კოეფიციენტი ყოველთვის 0-სა და 1-ს შორისაა, რადგან სრულიად უთანაბრო ან თანასწორი საზოგადოება არ არსებობს.

კენედიმ და კავაჩიმ (Kawachi I, Kennedy BP Soc Sci Med. 1997 Oct) გაზომეს შემოსავლების უთანაბრობა 6 სხვადასხვა მეთოდით და გამოიანგარიშეს პირსონის კორელაციის კოეფიციენტი. აღმოჩნდა რომ ის მერყეობდა 0,86-0,99 შუალედში. პირსონის კორელაციის კოეფიციენტი ზომავს რაოდენობრივ ცვლადებს შორის წრფივი კავშირის სიძლიერეს. კავშირი ძლიერია თუ  $|r| \geq 0,7$ -ზე. ასე რომ მათ მიხედვით, გაზომვის მეთოდები მჭიდრო კორელაციაში იმყოფება ერთმანეთთან ამიტომ მათ განსხვავებული შედეგები არ უნდა მოგვეცეს. თუმცა ჯინის კოეფიციენტი მაინც ყველაზე გავრცელებული მეთოდი და ქვეყნებში შემოსავლების უთანაბრობაზე სტატისტიკური ინფორმაციის მოპოვებაც ამ მაჩვენებლის მიხედვით ყველაზე ადვილადაა შესაძლებელი.

განვიხილოთ ჯინის კოეფიციენტი მთლიანი სამომხმარებლო ხარჯების მიხედვით საქართველოში 2006-2016 წლებში. დიაგრამიდან 1 ჩანს, რომ 2013 წლიდან იგი იმყოფება 0.38-0.39 ინტერვალში, მათ შორის 2016 წელს 0.39-ია.

დიაგრამა 1

ჯინის კოეფიციენტი მთლიანი სამომხმარებლო ხარჯების მიხედვით საქართველოში 2006-2016 წლებში



(წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური)

ევროკავშირის წევრ ქვეყნებში ჯინის კოეფიციენტი 2015 წელს საშუალოდ 0.31 იყო. 2016 წელს ნორვეგიაში 0.25, ბელგიაში 0.263, ჩეხეთში

0.251, დანიაში 0.277, ხორვატიაში 0.297, უნგრეთსა და პოლანდიაში 0.282. როგორც ვხედავთ საქართველოში შემოსავლების უთანაბრობა

გაცილებით მაღალია ევროკავშირის ქვეყნებთან შედარებით.


საქართველო ასევე ჩამორჩება მეზობელ აზერბაიჯანსა და სომხეთს, სადაც ჯინის ინდექსი 2014 წელს 31,54 იყო. ინდიკატორი უახლოვდება ლათინური ამერიკის ქვეყნების არგენტინის, ბოლივიის, ბრაზილიის და სხვა ქვეყნების მაჩვენებელს. ამ ქვეყნებში კოეფიციენტი 0.40-ზე მაღალია. უნდა აღინიშნოს, რომ რუსეთსა და

თურქეთში კოეფიციენტი ასევე 40-ზე მაღალია.

დიაგრამაზე მოცემულია მოწინავე და ბოლო ხუთი ქვეყანა ჯინის ინდიკატორის მიხედვით. უთანაბრობა ყველაზე მცირეა უკრაინაში, სლოვენიაში, ნორვეგიაში, სლოვაკეთსა და ჩეხეთში. ყველაზე მაღალი უთანაბრობის დონე არის აფრიკის კონტინენტის ქვეყნებში, მათ შორისაა სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკა, ნამიბია, ჰაიტი, ბოტსვანა და ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკა.

დიაგრამა 2

მოწინავე და ბოლო ხუთი ქვეყანა ჯინის ინდექსის მიხედვით



(წყარო: The Guardian-ბრიტანული ყოველდღიური ჟურნალი)

ახალი ეკონომისტი THE NEW ECONOMIST

ზემოთმოყვანილ სტატისტიკურ ინფორმაციაზე დაყრდნობით უნდა ვთქვათ, რომ საქართველოში შემოსავლების უთანაბრობის დაძლევა ძალიან მნიშვნელოვანია.

ვისკონსინის უნივერსიტეტის პროფესორი ტიმ სიდინგი იზიარებს მემარცხენე პოლიტიკოსების იდეოლოგიას და აღნიშნავს, რომ შემოსავლების დაძლევის იდეა ძალიან მარტივია - გამოსავალი სიმდიდრის გადანაწილებაშია. მან შემოგთავაზა ამერიკის შეერთებული შტატებისთვის შემოსავლების უთანაბრობის შემცირების გზები, მათ შორის:

- კაპიტალურ შემოსავლებზე - მოგებასა და დივიდენდზე საპროცენტო განაკვეთების ზრდა;
- საგადასახადო შემოსავლების გადანაწილება საზოგადოებრივ ინფრასტრუქტურაზე (მათ შორის ინტერნეტის ხელმისაწვდომობის ზრდა);
- განათლების ხელმისაწვდომობის ზრდა;
- სამუშაო ადგილზე სწავლების მეთოდის გაუმჯობესება და გავრცელება.

შემოსავლების უთანაბრობის აღმოფხვრის ერთ-ერთი სტრატეგია ასევე არის პროგრესული გადასახადის შემოღება - გადასახადი, რომლის საშუალო განაკვეთი (გადასახადის ოდენობის დასაბეგრობიექტზე განაყოფი) იზრდება და ბეგვრის ობიექტის ოდენობის ზრდის შესაბამისად. გადასახადი პირველად შემოიღეს 1798 წელს, დიდ ბრიტანეთში, თუმცა არა იმ მიზნით, რა მიზნითაც მას დღეს იყენებენ. დღეს მისი ერთ-ერთი ფუნქცია შემოსავლების თანაბრობის მიღწევაა.

ნეოკლასიკური თეორიის თანახმად, პროგრესული გადასახადები და შემოსავლების უთანაბრობის შემცირება ანელებს ეკონომიკურ ზრდას. გადასახადი ერთნაირად მოქმედებს, როგორც დასაქმებულზე, ასევე დამსაქმებელზე და საგადასახადო ტვირთი თაბარად ნაწილდება. გადასახადების ზრდა შეამცირებს დამქირავებლის მოტივაციას აიყვანოს მეტი თანამშრომელი და ამასთან იგი შეეცდება შეამციროს დაქირავებულთა რაოდენობა. ამის შედეგად იზრდება უმუშევრობა



და მცირდება კეთილდღეობა. მეორე მნიშვნელოვან ნაკლზე საუბრობენ ეკონომისტები, რომ იგი ინვესტიციების სტიმულებს ახშობს.

თუმცა ამის საპირისპიროზე მეტყველებს მაგალითები. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ქვეყნების უმრავლესობაში პროგრესული საშემოსავლო გადასახადის დანერგვას მოჰყვა ეკონომიკური ზრდა და არა შემცირება.

საქართველოში აღნიშნული საგადასახადო სისტემის შემოღების რეკომენდაციისთვის მნიშვნელოვანია განვიხილოთ საგადასახადო შემოსავლების სტრუქტურა საქართველოში. ცხრილში 1. მოცემულია საგადასახადო შემოსავლების სტრუქტურა მლნ.ლარებში საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტში 2016 წელს.

ცხრილი 1.

საგადასახადო შემოსავლების სტრუქტურა საქართველოში 2016 წ.

გადასახადები	საშემოსავლო გადასახადი	მოგების გადასახადი	ქონების გადასახადი	დამატებული ღირებულების გადასახადი	აქციზი	იმპორტის გადასახადი	სხვა
7986.7	1978.2119	1055.9424	0	3286.2852	1069.64	70.1	526.5


(წყარო: საქართველოს ფინანსთა სამინისტროს, სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახადები, წლიური მონაცემები)

დიაგრამიდან 3. ჩანს, რომ დამატებული ღირებულების გადასახადმა 2016 წელს მთლიანი საგადასახადო შემოსავლების 41 % შეადგინა. მეორე ადგილზეა საშემოსავლო გადასახადი 24.7 %-ით. ხოლო მოგების გადასახადი, რომლის გადამხდელები ძირითადად მსხვილი ბიზნესებია საგადასახადო შემოსავლების სტრუქტურაში

შედარებით ნაკლებ წილს 13,2%-ს იკავებს. ამიტომ პროგრესული საგადასახადო სისტემის შემოღებით ტვირთი შეუმსუბუქდება შედარებით არამდიდარ მოსახლეობას. წვრილი ბიზნესებისთვის მდგომარეობის შემსუბუქებისთვის კი მათთვის განსხვავებული მოგების გადასახადი უნდა დაწესდეს.

დიაგრამა 3

საგადასახადო შემოსავლების პროცენტული სტრუქტურა საქართველოში 2016 წელს



(წყარო: საქართველოს ფინანსთა სამინისტრო)

შემოსავლების უთანაბრობის დასაძლევად მეორე ეფექტიან გზად ეკონომისტები განათლების ხელმისაწვდომობის ზრდას, ასევე, სტუდენტური გრანტებისა და სესხების მექანიზმების ამოქმედებას ასახელებენ.

მიუხედავად უმაღლეს და პროფესიულ განათლებაში განხორციელებული რეფორმებისა, საქართველოში უმაღლეს სასწავლებლებში სტუდენტთა მიღებისა და კურდამთავრებულთა რიცხოვნობის სტატისტიკა გვიჩვენებს, რომ 2016 წელს დაახლოებით დამამთავრებელი კურსის სტუდენტთა 33%-მა ვერ დაასრულა სწავლა. მიზეზთა შორის გალახად არის ფინანსური პრობლემები და სტუდენტური სესხების მექანიზმის არარსებობა.

დიდი მნიშვნელობა აქვს ასევე სამუშაო ადგილზე სწავლებას. საქართველოს პროფესიული განათლების სისტემაში დაიწყო დუალური სწავლების პილოტირება სოფლის მეურნეობისა და მეღვინეობის დარგებში. მნიშვნელოვანია აღნიშნული მიდგომის განვითარება და სხვა სექტორებში დანერგვის ხელშეწყობა.

საქართველოს მთავრობის „საქართველო 2020“

გამოყენებული ლიტერატურა:

1. საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგია საქართველო 2020; [www.napr.gov.ge](http://www.napr.gov.ge)
2. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური; [www.geostat.ge](http://www.geostat.ge)
3. საქართველოს ფინანსთა სამინისტრო; [www.mof.ge](http://www.mof.ge)
4. [www.businessinsider.com](http://www.businessinsider.com)
5. [www.eurostat.com](http://www.eurostat.com)
6. [www.guardiananytime.com](http://www.guardiananytime.com)
7. [www.oecd.com](http://www.oecd.com), OECD insights 2015
8. US library of Medicine

Income inequality and solutions to fight it in Georgia

Tamar Kvantaliani

The article deals with the issue of income inequality. Issues are relevant, as income inequality affects the country's economic growth and long-term economic growth – is the basis of the well-being of any country. The high rate of economic growth and, consequently, improvement of living standards of the population is one of the main tasks for Georgia.

Based on the above, the article presents an extensive problem in both developing and developed countries. The main causes of income inequality are highlighted and negative consequences are shown. For Statistical Analysis, the most common method of measuring income inequality is the Gini Index - This indicator provides a comparison of situation in Georgia and other countries. At the end, strategies to eradicate income inequality are considered and effective ways to overcome it.

while the current course of the government will be effective, in order to maintain a long-term and effective outcome, the country's tax system needs to be reviewed and the availability of public education is also important.

Key words: *Income Inequality, Economic Growth, Gini Coefficient, Correlation Coefficient, Tax Revenue.*





ეკონომიკური საინფორმაციო სისტემები



**მარინე ხალიშვილი**  
 თსუ-ს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის  
 ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრი  
 ტელ.: (+995) 558 91 85 97  
 ელ.ფოსტა: marigio217@gmail.com

საინფორმაციო სისტემებს შორის ყველაზე გავრცელებულ სახეობას ეკონომიკური საინფორმაციო სისტემები წარმოადგენენ. ვინაიდან ეკონომიკის სფეროში ფუნქციონირებს მრავალი საწარმო, ფირმა, ორგანიზაცია, დაწესებულება და ა.შ, ყველა ამ ობიექტს შეესაბამება თავისი საინფორმაციო სისტემა, რომელსაც ვუწოდებთ ეკონომიკურ საინფორმაციო სისტემას.

ეკონომისტების ხელში კომპიუტერი მარტო გამოთვლების შესასრულებელი იარაღი არ არის. იგი მისი საქმიანობის ყველა ასპექტს მოიცავს, დაწყებული ინფორმაციის მოპოვებიდან, რომელიც განსაზღვრული წესით უნდა დამუშავდეს და გახდეს საშედეგო ინფორმაცია – წარმოადგენს გადაწყვეტილებების მიღების საფუძველს, რომელიც უნდა იყოს დაცული და უტყუარი. სხვა შემთხვევაში ეს საბოლოო ანგარიშგებები იქნება საწყისი ინფორმაცია და თავიდან გაივლის ინფორმაციის დამუშავების ყველა ეტაპს სხვა ეკონომიკურ ჭრილში. ეკონომიკური ინფორმაცია გამოისახება ტექსტით, ციფრებით, გრაფიკულად და შტრიხ-კოდებით.

საწყისი ინფორმაცია ფიქსირდება პირველად საბუთებში, რაც საჭიროებს კომპიუტერში ხელით შეტანას და შემოწმებას. ეკონომიკური ინფორმაციის საერთო მოცულობაში გაცილებით მეტი ხვედრითი წილი უკავია საწყის ინფორმაციას, ვიდრე შუალედურსა და საშედეგოს. ეკონომიკური ინფორმაცია დამუშავების თვალსაზრისით არის პერიოდული, ეს ნიშნავს რომ საწყისი და საშედეგო ინფორმაცია უნდა ასახავდეს ზუსტ კალენდარულ დროს, მაგ: დღე, კვირა, თვე, კვარტალი, ნახევარი წელი, წელიწადი, და ა.შ.

ეკონომიკური ამოცანების შინაარსიდან ანუ მოთხოვნებიდან გამომდინარე იქმნება ინფორმაციის დამუშავების ალგორითმები და პროგრამული უზრუნველყოფა, რაც უმთავრესი კომპო-

ნენტია ეკონომიკური საინფორმაციო სისტემის დაპროექტებისას.

ეკონომიკური საინფორმაციო სისტემა ეს არის ინფორმაციის, ეკონომიკურ მათემატიკური მეთოდებისა და მოდელების, ტექნიკური, პროგრამული, ტექნოლოგიური საშუალებებისა და სპეციალისტების ერთობლიობა, რომლებიც განკუთვნილია ინფორმაციის გადამუშავებისა და მმართველობითი გადაწყვეტილებების მიღებისთვის. ამ ინფორმაციის საფუძველზე გამოითვლება წარმოების ეკონომიკური ეფექტიანობა და გამოვლინდება სუსტი ადგილები. ამის შესაბამისად, მიიღება ოპტიმალური მმართველობითი გადაწყვეტილება შემდგომი ფუნქციონირებისთვის. აქედან გამომდინარე, ინფორმაცია წარმოადგენს თანამედროვე მართვის აუცილებელ ატრიბუტს, სტრატეგიულ რესურსს. რაც არსებითად განსაზღვრავს ამა თუ იმ ქვეყნის წარმატებას. ქვეყნის ეკონომიკური ძლიერება იქმნება უახლესი, უტყარი, დაცული ინფორმაციული რესურსებისა და ჯამური კომპიუტერული სიმძლავრეების ერთიანობით.

ეკონომიკური საინფორმაციო სისტემები საშუალებას იძლევა:

- ამაღლდეს გადაწყვეტილებათა მიღების ხარისხი, გადაწყვეტილების მიმღები მუშაკების მოთხოვნების შესაბამისად;
- გამოვლენილ იქნას საინფორმაციო რეზერვები მართვის სფეროში ახალი ამოცანების დასმისა და გადაწყვეტის გზით;
- გაუმჯობესდეს ობიექტის ძირითადი ეკონომიკური მაჩვენებლები მმართველობითი აპარატის და მთლიანად სამართავი სისტემის ეფექტიანობის ამაღლების ხარჯზე.

ეკონომიკური საინფორმაციო სისტემის შექმნის დროს, პირველ რიგში უნდა განისაზღვროს

ახალი ეკონომისტი THE NEW ECONOMIST

კონკრეტულად რა მიზნის მისაღწევად მუშავდება სისტემა; მეორე, რა დროისათვის არის მიზანშეწონილი სისტემის დამუშავება და მესამე, რა დანახარჯებთანაა დაკავშირებული სისტემის დაპროექტება.

კონკრეტული საინფორმაციო სისტემისათვის უნდა მივუთითოთ კონკრეტული ამოცანები, რომელიც ამ სისტემამ მომდევნო რამდენიმე წლის განმავლობაში უნდა გადაწყვიტოს – რა ინფორმაცია შეგროვდეს, რა სახით და რა სიხშირით გავრცელდეს. თითოეული სახის ინფორმაციისათვის უნდა მივუთითოთ; - ინფორმაციის სავარაუდო მოცულობა და მოთხოვნები მის ხარისხზე; - განახლების სავარაუდო პერიოდულობა; - ამ ინფორმაციის ანალიზის ძირითადი სახეები; - ის ძირითადი ფორმები, რა სახითაც ეს ინფორმაცია მომხმარებელს მიეწოდება, და მისი პერიოდულობა.

ინფორმაციის წყაროდ მიზანშეწონილია ყველაზე ხარისხიანი და იაფი ინფორმაციის წყარო იქნეს გამოყენებული. ამასთან, ამ მონაცემების საინფორმაციო სისტემაში შესატანად ყველაზე დაბალი რესურსები უნდა დაიხარჯოს, ანუ პირველ რიგში, ინფორმაციის ისეთი წყარო უნდა შეირჩეს, რომლისთვისაც შეფარდება ფასი/ხარისხი მაქსიმალური იქნება. თუ ინფორმაციის ერთი წყარო არაა საკმარისი, მაშინ ინფორმაციის შემდეგი წყარო დაემატება. ინფორმაციის წყაროდ განიხილება როგორც კონკრეტული ორგანიზაცია, ისე მონაცემთა სხვადასხვა ბაზები, ინფორმაცია ინტერნეტში და სხვ.

ვეროკავშირის ქვეყნებთან საერთაშორისო პროექტების ჩარჩოებში მიღებულია, რომ საინფორმაციო სისტემის დამუშავებისა და ექს-

პლუატაციის პროექტებისათვის კონცეფციის დამუშავებაზე, დაგეგმვასა და მარკეტინგულ კვლევაზე გაწეული დანახარჯები მთელი სამუშაოს ღირებულების 10-20%-ს უნდა შეადგენდეს.

საინფორმაციო სისტემები მის მომხმარებელზეა ორიენტირებული. ამიტომ იგი აუცილებლად უნდა ფლობდეს მარტივ, კომფორტულ, იოლად ასათვისებელ ინტერფეისს, რომელმაც საბოლოო მომხმარებელს თავისი სამუშაოსთვის საჭირო ყველა ფუნქცია უნდა წარუდგინოს: მაგრამ ამავე დროს, არ მისცეს საშუალება ნებისმიერი ზედმეტი მოქმედება შეასრულოს.


გასათვალისწინებელია, რომ განვითარებული ინტერფეისის შესაბამისად მაღალია დანახარჯებიც საინფორმაციო სისტემის შექმნაზე. ამასთან ერთად საინფორმაციო სისტემის დამკვეთის ძირითადი სურვილია მინიმალური დანახარჯებით მაღალი ხარისხის მზა დანართები მიიღოს და აკონტროლოს სისტემის ექსპლუატაციაში გაშვების მომენტში რამდენად სრულად აკმაყოფილებს მოცემული სისტემა დამკვეთის მოთხოვნებს.

ორგანიზაციის მართვის სისტემაში საინფორმაციო სისტემა არის არამხოლოდ სტრუქტურული ელემენტი, არამედ ერთ-ერთი ქვესისტემა.

მთლიანობაში ეკონომიკური საინფორმაციო სისტემის ფუნქციონირება შეიძლება ისეთი პროცესის სახით წარმოვიდგინოთ, სადაც ეკონომიკური ინფორმაცია მუდმივ მოძრაობაშია გარემოს, სამართავ ობიექტსა და სამართავ სისტემას შორის.

სტრუქტურულად ამ ობიექტებს აკავშირებს ინფორმაცია, რომელიც აღწერილია ამ მარტივი სქემით:

**გარე სამყარო**



მმართველ და სამართავ სისტემებს შორის კავშირის დამყარება შესაძლებელია მხოლოდ საინფორმაციო სისტემის საშუალებით. საინფორმაციო სისტემა წარმოადგენს სამართავი ობიექტის შესახებ ინფორმაციის შეგროვების, გადაცემის და დამუშავების საკომუნიკაციო სისტემას, რომელიც ამარაგებს სხვადასხვა რანგის მართვის მუშაკებს მართვის ფუნქციის განსახორციელებლად საჭირო ინფორმაციით. ამრიგად, მართვის პროცესი გულისხმობს მონაცემების მიღებას სამართავი

ობიექტის მდგომარეობის შესახებ, მონაცემების დამუშავებასა და დამუშავებული მონაცემების შედეგად მიღებული ინფორმაციის საფუძველზე გადაწყვეტილების მიღებას.

ინფორმაციის როლი ეკონომიკაში დღითიდღე იზრდება. ორგანიზაციის წარმატება იმაზეა დამოკიდებული, თუ რამდენად ზუსტად, დროულად და ხარისხიანად ადვენებს იგი თვალყურს იმ ბაზრისა და საქონლის შესახებ ინფორმაციას რომელთანაც მას უხდება მუშაობა.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. კონიაშვილი მ., საინფორმაციო სისტემები და ტექნოლოგიები ეკონომიკაში, თბ., 2005.
2. სტურუა თ. – საინფორმაციო სისტემების დაპროექტება, თბ., 2012.
3. ჯაფიაშვილი ც. – საინფორმაციო სისტემები და მათი დაპროექტება, თბ., 2008.



რუბრიკა მიჰყავს ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორს, ფაზისის საერო-სამეცნიერო აკადემიის ნამდვილ წევრს, ომარ შუღრას

დროის მართვის პრობლემები

შალვა ფოფხაძე

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სტუდენტი  
ტელ.: 591 811 842 / 598 003 444

ახალი ეპოქისათვის THE NEW ECONOMIST

დრო დღეს მნიშვნელოვანია თითოეული ადამიანისთვის, მაგრამ საქმე იმაშია, რომ თუ ვინ როგორ, ან რანაირად გამოიყენებს მას. დღეს თითქმის ყველა ადამიანი ამბობს: „დრო აჩქარდა“. ეს ნამდვილად ასეა, მაგრამ რატომ მოხდა ასე? ვფიქრობ, რომ ეს განაპირობა ტექნოლოგიურმა საშუალებებმა, გარდა ამისა, დროის არაგეგმიურმა გამოყენებამ და დროის დაუფასებლობამ. ყველაზე ძვირფასი საჩუქარი, რაც კი ამჟვეყნად არსებობს ეს არის დრო, თუ ადამიანს აჩუქებ, ის მას ვერასდროს დაგიბრუნებს.

დღეს ჩვენ ადამიანები, დროს არ უნდა დავემორჩილოთ, მას უნდა „ვებრძოდეთ“, რომ სულ ერთფეროვნებაში არ აღმოჩნდეთ. ასე მაგალითად, შარლ ბოდლერი ამბობდა: „თრობას მიეძღვება, თრობას. პოეზიით, ღვინით, სიქველით, რითაც გენობით ოღონდ იყავით მთვრალი, რაგან არ ვეყმით დროს“. დიახ, ჩემო მკითხველო, დროის ყმობა ცოტა რთული საკითხია, მაგრამ მასთან ბრძოლა დროის რაციონალური დაგეგმარებითაა შესაძლებელი.

დროის მართვის ცნება ინგლისური სიტყვებიდან მომდინარეობს ტიმე-დრო, მანაგემენტ-მართვა. ამ საკითხს არაერთი სტატია, კონფერენცია, თემა, ლექცია, ტრენინგი მიეძღვნა თუმცა ვფიქრობ, რომ შედეგი არ გამოიღო ამ ყველაფერმა, რამეთუ დღესაც მწვავედაა დაყენებული ჩვენს რეალობაში დროის მართვის პრობლემები.

ბოლო პერიოდში შეიმჩნევა ასეთი დამოკიდებულება კონკრეტული საკითხისადმი თუ საქმისადმი: იყოს ხვალ გავაკეთებ, სამომავლოდ გავაკეთოთ, რა გვეჩქარება დრო გვაქვს და აშ.

ადამიანებს ხშირად ავიწყდებათ ყველაზე ძვირფასი და ყველაზე შეზღუდული რესურსი, რომელსაც სწორი გადანაწილება და სწორად

გამოყენება სჭირდება.

როგორ დაგეგმოთ სწორად და რაციონალურად დრო? ამისათვის უმჯობესი იქნება გაითვალისწინოთ შემდეგი:

1. წინასწარ დაგეგმეთ დღე, კვირა, თვე. ეს აგვაცილებს ზედმეტ დატვირთვას.
2. არ დაკარგოთ დრო წარუმატებლობაზე ფიქრით, ჭარბი ემოციებითა და განცდებით.
3. მოერიდეთ საქმეს, რომელსაც შედეგი ვერ მოაქვს.
4. ოფისის მაგიდა მაქსიმალურად გქონდეთ თავისუფალი, ნუ დააკავებთ მაგიდას ზედმეტი არასაჭირო ნივთებით.
5. საქმის დროს ვკონცენტრირდეთ კონკრეტულ საკითხზე.
6. გადაანაწილეთ უფლება მოსილება კომპეტენტურ პირებზე.
7. თუ ისეთი პრობლემის წინაშე აღმოჩნდით, რომელსაც განსაკუთრებული ცოდნა და გამოცდილება სჭირდება, მიმართეთ შესაბამისი სფეროს სპეციალისტს.
8. ეცადეთ არ მოაცდინოთ თქვენს გარშემო მყოფი ადამიანები.
9. დროის დაგეგმვა სისტემური უნდა იყოს.
10. ხშირად დაუსვით საკუთარ თავს როგორ დაგხარჯო ჩემს ხელთ არსებული დრო ეფექტიანად?

„დრო ფულია“, თუმცა მისი ზუსტი ღირებულება არავინ იცის. დრო ასევე ბუნებაში ყველაზე მეტად შეზღუდული და არაგანახლებადი რესურსი, რომლის აღდგენა ან უკან დაბრუნება არ ხდება. ეკონომიკა განიხილავს დროის რესურსს ეკონომიკური მოგების გაანგარიშებისას. მისი ერთ-ერთი ფუნდამენტური პრინციპია ის, რომ ადამიანები ალტერნატივის წინაშე დგანან და ნებისმიერი



გადაწყვეტილებების მიღებისას რაციონალურმა ადამიანმა უნდა გაითვალისწინოს საკუთარი დროის ალტერნატიული დანახარჯი. თუმცა, რეალობაში საწინააღმდეგო სურათს ვაწყდებით. ადამიანები იშვიათად თუ ვფიქრობთ დროის სწორ განაწილებასა და ეფექტიანად გამოყენებაზე. გვიჭირს საქმისთვის დროის გამონახვა ვიდრე, ამ საქმის დასრულების დანიშნულ ვადას არ მივუახლოვდებით.

დროის არასწორი მენეჯმენტი განსაკუთრებით დამლუპველია ორგანიზაციებისთვის. განსხვავება ადვილად შეიმჩნევა თუ ქართულ და ევროპულ ორგანიზაციებს შევადარებთ. თუ საქართველოში ზეგანაკვეთური მუშაობა საბეჭდოთ და სამსახურისთვის თავდადებად ითვლება, ევროპაში აღნიშნული ფაქტი მხოლოდ მშრომელის მიერ დროის არასწორ გამოყენებაზე მეტყველებს. გამოკვლევებმა ცხადყო, რომ ზეგანაკვეთური მუშაობა არაეფექტიანია, ვინაიდან ზეგანაკვეთური დროის დიდი პროცენტული წილი იხარჯება დაბალ პრიორიტეტულ საქმიანობაზე, რომელიც არ ქმნის არანაირ დამატებულ ღირებულებას, მოკლევადიანი ზეგანაკვეთური შრომის შემთხვევაშიც კი, შრომის შედეგების დანაკარგი საშუალოდ 15%-ია, რომ აღარაფერი ვთქვათ მუდმივ ზეგანაკვეთურ შრომაზე.

განხილული კვლევები ცხადყოფს, რომ კავშირი ზეგანაკვეთურ შრომასა და პროდუქტიულობას შორის უარყოფითია. აღნიშნულის ერთ-ერთი საუკეთესო მაგალითია გერმანია. ქვეყანა, რომელიც მუშაობს კვირაში საშუალოდ 35 საათის განმავლობაში და იგი აღწევს მაღალ პროდუქტიულობას. რა არი გერმანელების საიდუმლო? გერმანელებისთვის სამუშაო დრო ნიშნავს სამუშაო დროს ანუ დროს, რომელიც ეთმობა მხოლოდ მუშაობასა და არაფერს სხვას. გერმანელები აფასებენ ცხოვრებას სამსახურს მიღმა. ისინი მუშაობენ აქტიურად, რათა დაისვენონ აქტიურად. მათი საქმიანობა მთლიანად ფოკუსირებულია სამუშაოზე, ხოლო არასამუშაო საათები რეალურად, არასამუშაო საათებია.

გერმანელები აფასებენ საზღვრებს სამსახურეობრივ ცხოვრებასა და პირად ცხოვრებას შორის, ამ ყოველივეს კი მიყვარათ იმ შედეგამდე, რასაც მაღალი წარმოებულობა ჰქვია. მაშასადამე, დროის სწორად დაგეგმვა, მისი დაფასება და მინიმალური ფლანგვა საწინდარია მაღალი მწარმოებლურობის, რაც ქვეყნის წინსვლის განმსაზღვრელი დეტერმინანტია და მეტი თავისუფალი

დროის პირადი ცხოვრებისთვის, რაც ინდივიდის ბედნიერების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია.

ზემოთ ქართული რეალობა ვახსენე და ამ საკითხს რამოდენიმე სიტყვით შევეხები. ჩვენში დროს არ აფასებენ, დამოკიდებულება დროის მიმართ, ჩემი აზრით, უარყოფითია. „დღეს თუ არა ხვალ გაკეთდება“ ესეთი მიდგომა ნებისმიერი საკითხისადმი დროში გაჭიანურების მომასწავებელია. ამიტომ ვართ „დროში გაბნეულები“.

აქვე მსურს აღვნიშნო დროის ფლანგვის საშუალებები. ამ შემთხვევაში რამოდენიმეს ვასახელებ სოციალური ქსელები და ინტერნეტი. ინტერნეტში წერტილი იქცა მიმედ, ანუ ეს არის დაუსრლებელი პროცესი, ამას დიალოგური ფორმა მიეცა, რამაც არაერთი ადამიანი ჩართო ამ პროცესში და მით უფრო გაჭირდა დროის მართვა, მით უფრო მეტი პრობლემები დადგა დროის მართვის საკითხებში. თუ დაუკვირდებით აღმოჩნდება, რომ თუ თქვენ სოციალური ქსელისთვის განსაზღვრეთ 10 წუთი, სრულიად მოულოდნელად აღმოჩნდება, რომ ეს დრო ამოიწურა!. ვფიქრობ, ამ მაგალითმა კიდევ უფრო ცხადყო, რომ ინტერნეტი და სოც.ქსელები როგორ ართმევს დროს ადამიანს.

გარდა ამისა, დროის დაუფასებლობაც დიდ პრობლემად იქცა, მაშინ როდესაც გასაუბრებაზე გვიბარებენ, სამსახურში აყვანის შანსი ძალიან მცირეა. სამსახურის ნაცვლად მხოლოდ საუბარი და გაფლანგული დრო გვრჩება. ვფიქრობ, ეს ორგანიზაციის დიდ სისუსტეზე მიუთითებს, რადგან ის არ აფასებს სხვის დროს.

დრო მატერიის ძირითადი ფორმა, რომელიც გამოიხატება ერთი მეორის მონაცვლე მოვლენების კანონზომიერი კოორდინირებით. დრო არსებობს ობიექტურად და განუყრელადაა დაკავშირებული მატერიის მოძრაობასთან.

დასასრულს ვიტყვი, რომ დროის მართვის პრობლემები ნათლად წარმოჩნდა ჩვენს რეალობაში. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ დროის რაციონალურად დაგეგმარების ძალიან ბევრი ხელის შემშლელი ფაქტორი არსებობს, თუმცა ამ პრობლემის მოგვარება შესაძლებელია.

ინდური სიბრძნე გვისხნის და გვეუბნება, რომ ის რაც გასაკეთებელია გააკეთე დროულად, თუ ახლა არ გაქვს დრო, მერე არ გექნება შესაძლებლობა, ხოლო შემდეგ შენ აღარ იქნები! ეს სიტყვები საუკეთესო მაგალითია, იმისთვის რაც გასაკეთებელი გვაქვს გავაკეთოთ დროულად.



ვლადიმერ კეკელიძე



რუბრიკა მიჰყავს ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორს, ფაზისის საერთო-სამეცნიერო აკადემიის ნამდვილ წევრს, ომარ შუღრაძს

„რადიოტალღებს არასოდეს, არსად არ ექნებათ პრაქტიკული გამოყენება...“  
ჰ. ჰერცი

ახალი ეპოქისი THE NEW ECONOMIST

2017 წლის 21 ოქტომბერს დაბადებიდან 70 წელი უსრულდება საქართველოს სახელმწიფო პრემიის ლაურეატს, ფიზ.-მათ. მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორს, მეცნიერების და ტექნიკის საპატიო მუშაკს, მაღალი ენერჯიების ფიზიკის ინსტიტუტის (ქ. დუბნა) დირექტორს, ცნობილ მეცნიერსა და საზოგადო მოღვაწეს, ვლადიმერ კეკელიძეს.

შვეიცარია. ენევა – სიწყნარით, სიმშვიდით ცნობილი ქალაქი. იქვე ხუთ კილომეტრშია ცერნი – ბირთვულ გამოკვლევათა ევროპული ორგანიზაცია, სადაც 10 ათასი მეცნიერი მუშაობს (ძირითადად, თავიანთ ქვეყნებში). აქ, არსებული სამყაროს „ლაბორატორიულ სინჯარაში“ მოთავსებით, მიკროსკოპული ზომის, ხელოვნურ „შავ ხვრელებზე“ დაკვირვებით, ცდილობენ დაადგინონ, არსებობენ თუ არა „ავადსახსენებელი“ პარალელური სამყაროები, პარალელური განზომილებები... უპასუხოდაა დატოვებული უამრავი კითხვა: ჩვენს სამყაროში მატერიის რაოდენობა 4.8 პროცენტს არ აღემატება. რას წარმოადგენს დარჩენილი „შავი მატერია“ და „შავი ენერჯია“? ადამიანის შემადგენელი ელემენტარული ნაწილაკების წონა სულ ერთი გრამია, ჯამური მოცულობა კი პატარა სათითეს არ აღემატება... დანარჩენი ყველაფერი იღუზია? სამყაროს გარდა რატომ არ არსებობს ანტისამყაროც? ფილოსოფოსებს ვერ გაურკვევიათ თუნდაც, რატომ არსებობს სამყარო (მეცნიერები მხოლოდ იკვლევენ – რას წარმოადგენს ის). ასეთი კითხვები უამრავია.

შვეიცარია-საფრანგეთის საზღვარზე, ალპებში,

2010 წლიდან მუშაობს მსოფლიოში უდიდესი, ზეგამტარ მაგნიტებზე (მინუს 271°C) აწეობილი, მიიმე ნაწილაკების შემხვედრი ნაკადების შემაჯახებელი (LHC კოლაიდერი). 27 კილომეტრიან წრიულ გვირაბში, რომლის სიღრმე მიწაში ზოგან 175 მეტრს აღწევს, წამში 10 ათასი ბრუნვის (თითქმის სინათლის) სიჩქარით ორ მიღში მოძრავი პროტონები ერთმანეთს ამჯამად რეკორდული,  $14 \times 10^{12}$  ელ. ვოლტის ენერჯიით ეჯახებიან.

შეჯახებაზე დაკვირვებისათვის ასევე მასშტაბური, 5 სართულიანი სახლის ზომის, საერთო ჯამში 24 ათას ტონამდე წონის ხელსაწყოები (დეტექტორები) გამოიყენება. თითოეულ დეტექტორზე 3 ათასამდე მეცნიერი მუშაობს.

ცალკეა თანამედროვე კომპიუტერული ცენტრი 7 ათასი კომპიუტერით (პირველი ინტერნეტი, ძირითადად, აქ დაინერგა) და კოლაიდერის მართვის ცენტრი. ექსპერიმენტი რომ ჩაატაროს, ფიზიკოსმა ორი ქვეყნის საზღვარი უნდა გადაკვეთოს, ამ ცენტრებს შორის კი თხუთმეტოდე კილომეტრია...

ენევის კოლაიდერზე 8 მილიარდი დოლარი დაიხარჯა. მისი ტექნიკა 12 ათას ამპერ დენს



მოითხოვს. ზეგამტარი მაგნიტების გაცივებაზე 10 ათასი ტონა თხევადი აზოტია საჭირო. წლის განმავლობაში დაგროვილი ექსპერიმენტული ინფორმაციის მოცულობა 10<sup>9</sup> მეგაბაიტს აღწევს, რომლის დამუშავებისათვის თანამედროვე მსოფლიო ქსელი (ბროდ) გამოიყენება. აქ ხელფასებიც მასშტაბურია: თანამშრომელთა ანაზღაურება რამდენიმე ათასი ევროა, მოწვეული პროფესორის კი 15 ათასი...

აქ დიდხანს მუშაობდა (და ახლაც ატარებს ექსპერიმენტს) ჩვენი თანამემამულე ვლადიმერ კეკელიძე.

ვლადიმერი (ვოვა) ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში 1965-1970 წლებში სწავლობდა. ცხოვრობდა საბურთალოზე, თსუ მაღლივ კორპუსთან. მე დუბნის (მოსკოვის ოლქი) საერთაშორისო ცენტრიდან, ასპირანტურის დამთავრების შემდეგ თბილისში ახალი ჩამოსული ვიყავი. უნივერსიტეტში, ფიზიკის ფაკულტეტზე ვმუშაობდი და ასპირანტურაში ჩემს შემცველს ვეძებდი. როგორც ფიზიკის ფაკულტეტის საუკეთესო სტუდენტზე, დეკანატის დახმარებით, არჩევანი ვოვა კეკელიძეზე გაგაკეთე, მაგრამ როცა შინ დავურეკე, სატელეფონო ხუმრობად მიიღო და ... ყურმილი დამიკიდა. ლაბორატორიის გამგის, ნოდარ ამალღობელის (მომავალი აკადემიკოსის, უნივერსიტეტის რექტორის) დახმარებით ვოვა მივაგვლინეთ ქ. დუბნაში – ჯერ როგორც ასპირანტი, შემდეგ კი – მეცნიერ-თანამშრომელი. ვლ. კეკელიძემ 1977 წელს დაიცვა საკანდიდატო, ხოლო 40 წლის ასაკში – სადოქტორო დისერტაცია. 20 წლის განმავლობაში თსუ მაღალი ენერჯების ფიზიკის ინსტიტუტის თანამშრომელი იყო, შემდეგ შესთავაზეს დუბნაში ლაბორატორიის დირექტორის მოადგილეობა. უკვე 20 წელია ის ერთ-ერთი დიდი ლაბორატორიის (ფაქტობრივად, ინსტიტუტის) დირექტორია. საერთოდ, დუბნის საერთაშორისო ინსტიტუტში ამჟამად 6 ათასი თანამშრომელია (აქედან 1200 – მეცნიერ-მუშაკია), ინსტიტუტის ბიუჯეტი კი 200 მლნ დოლარს აღწევს. ასეთი „ნაუკოგრადი“ რუსეთში სულ რამდენიმეა.

ვლ. კეკელიძეს მეცნიერ-ორგანიზატორის ნიჭი აღმოაჩნდა: ის ხელმძღვანელობდა საერთაშორისო თანამშრომლობას (ექსჩანგი), ცერნ-ის პროექტს (16 ინსტიტუტი, 8 ქვეყანა), იყო უმაღლესი საატესტაციო კომისიის წევრი, რუსეთის ეკონომიკური განვითარების კომიტეტის წევრი, არის

პლოვდივის უნივერსიტეტის საპატიო დოქტორი.

ვლ. კეკელიძე 250-მდე გამოქვეყნებული შრომის ავტორია. მას მიღებული აქვს დუბნის საერთაშორისო ინსტიტუტის 10 პრემია. მიუხედავად ასეთი აღარებისა, ვოვა ძალიან უბრალოა ურთიერთობებში, და საერთოდ, კარგი ადამიანია.

უენევის კოლაიდერზე შეისწავლიან მხოლოდ სამყაროს შექმნის მომენტს – სივრცის გაწვდვას („დიდ აფეთქებას“), ამიტომ დუბნაში დაიწყო ზეგამტარული კოლაიდერის (NICA) მშენებლობა, რომელიც „დიდი აფეთქების“ შემდგომ მოვლენებსაც შეისწავლის. ვლ. კეკელიძე ამ პროექტის ერთ-ერთი ხელმძღვანელია (26 ქვეყანა, რუსეთის 60 ინსტიტუტი). პროექტის ღირებულება 500 მილიონი დოლარია. ის სრულ სიმძლავრეს 2023 წელს მიაღწევს. თუმცა, ექსპერიმენტები უკვე 2019 წელს დაიწყო. გარდა წმინდა მეცნიერული დანიშნულებისა, ხელსაწყოს პრაქტიკული გამოყენებაც ექნება, კერძოდ, შეისწავლიან კიბოს მეურნალობის ახალ მეთოდებს, რადიაციის ზეგავლენას ელექტრონიკის მუშაობაზე (კოსმოსური გაფრენებისათვის) და სხვ.

რაც შეეხება უენევის კოლაიდერს, რომლის ექსპერიმენტებში გაერთიანებული ქართული ჯგუფია ჩართული (35-მდე კაცი), ის კიდევ 20 წელი იმუშავებს. მასზე უკვე აღმოაჩინეს ბოლო ელემენტარული ნაწილაკი (რომელიც ძნელი საპოვნელი იყო). ამით დამტკიცდა ფიზიკაში არსებული თეორიული („სტანდარტული“) მოდელის ჭეშმარიტება, რაშიც 2013 წელს, 80 წელს გადაცილებულმა ინგლისელმა პიტერ ჰიგსმა ნობელის პრემია მიიღო.

ამჟამად მუშავდება პროექტი, რათა კოლაიდერზე (2034 წელს) შეჯახების ენერჯიამ 14 ნაცვლად 100X10<sup>12</sup> ელ. ვოლტს მიაღწიოს. ამისათვის, საჭირო იქნება გვირაბის სიგრძე გაიზარდოს... 100 კილომეტრამდე. ფანტასტიკურ მანძილზე, თითქმის ისე, როგორც ცნობილ ქართულ ფილმშია („მონანიება“) – „ბომბიდან ლონდონამდე...“

უენევის რედაქცია, რედაქციეგია, უნივერსიტეტული მეცნიერები ვულოცავთ პროფესორ ვლადიმერ კეკელიძეს საიუბილეო თარიღს და ვუსურვებთ ხანგრძლივ შემოქმედებით ცხოვრებას, შემდგომ სამეცნიერო მიღწევებს.

ომარ შუღრა

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მაღალი ენერჯების ფიზიკის ინსტიტუტის სწავლული მდივანი 1980-1995 წლებში.



ივანე ბერიტაშვილი



ახალი ეპოქისი THE NEW ECONOMIST

ომარ შუდრა

E-mail: Oshudra@yahoo.com

WEB: Omarshudra.ucoz.com

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში 1962 წელს კიბერნეტიკის სპეციალობის მე-4 კურსზე ვიყავი, როცა ჩემი ყურადღება დერეფანში გამოკრულმა განცხადებამ მიიქცია. ის „ფიზიკის დიდ აუდიტორიაში“ იწვევდა სტუდენტებს აკადემიკოს ივ. ბერიტაშვილის მოხსენებაზე .... გონებრივი შრომის ორგანიზაციის შესახებ.

ფიზიოლოგიის კურსს დოცენტი (შემდგომში – აკადემიკოსი) თემო იოსელიანი გვიკითხავდა, შესანიშნავი მეცნიერი და პიროვნება. მისი რეკომენდაციით ჩათვლისთვის ბერიტაშვილის სქელტანიანი სახელმძღვანელო დავაკონსპექტე. გაცემული ვიყავი, თუ რა მეცნიერული სიღრმით, ერუდიციით, უცხოური ლიტერატურის სოლიდური სიით იყო დაწერილი ეს წიგნი.

დიდ აუდიტორიაში, რატომღაც, განათება მოიშალა. მოხსენებას ათიოდე სტუდენტი ესწრებოდა. ფანჯარასთან, პირველ რიგში, ჩემს მერხთან მდგომი მოხუცი ძალიან მშვიდად, შინაურულად გვესაუბრებოდა. ასე გავიცანი პირველად ჩვენი სახელოვანი თანამემამულე, აკადემიკოსი ივანე ბერიტაშვილი.

მოგვიანებით გავიგე, ამ საკითხებით ის სტუდენტობიდან ყოფილა გატაცებული და სტუდენტებს პირველ ლექციაზე ყოველთვის გონებრივი შრომის ორგანიზაციაზე, პატიოსნებაზე, თავმდაბლობაზე ესაუბრებოდა. შავი „კახური“ ქუდი, რომლითაც ის დადიოდა (გონებრივი შრომის ეფექტურობის მიზნით), მალე აკადემიურ წრეებში მოღაღ იქცა.

ივ. ბერიტაშვილი ასევე დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა სწორად დგომას, ხერხემლის პოზიას ადამიანის ცხოვრებაში და შინ „შვედური კედელი“ კი ჰქონდა, ის აკადემიის სხდომების დროსაც კი კედელთან დგომას ამჯობინებდა...

ივ. ბერიტაშვილი დაიბადა 1884 წლის 10 იანვარს სოფ. ვეჯინში (გურჯაანთან). მამა (წარმოშობით ქართლელი) მღვდელი იყო. დედამ (სამჭკუაშვილის ქალმა) თორმეტი შვილი გააჩინა. ვანო მეთერთმეტე იყო. მან დაწყებითი განათლება ვეჯინის სასოფლო სკოლაში მიიღო. სწავლა გააგრძელა ჯერ თელავის სასულიერო სასწავლებელში (ვასილ ბარნოვი მისი მასწავლებელი იყო), შემდეგ ძმების მხარდაჭერით – ტფილისის სასულიერო სემინარიაში. ვანოს მღვდელობა არ უნდოდა, სემინარიიდან გამოვიდა, მამასთან ამის გამო კონფლიქტი მოუვიდა და როგორც შედეგი – უკიდურეს სიღარიბეში ცხოვრობდა.

ჯიუტი ხასიათი თანდათან მის ნებისყოფაში გადაიზარდა: რუსული ენის დაუფლებისათვის ბინა ქვრივ რუსთან იქირავა, ალ. სვანიძესთან ერთად (მომავალში – ფინანსთა და საგარეო საქმეთა მინისტრი), რომელმაც მას წიგნზე მუშაობა კიდევ უფრო შეაყვარა. ამავე მიზეზით დაიწყო დღიურების წერა (ძირითადად, რუსულ ენაზე). თვითაღზრდის გარდა, დღიური ვანოს დროის რაციონალურ გამოყენებაშიც ეხმარებოდა. ამ პერიოდში ის უფრო სოციოლოგიური საკითხებით იყო გატაცებული, ამიტომ სანქტ-პეტერბურ-



გის პოლიტეკონომიის ფაკულტეტზე აპირებდა სწავლას, მაგრამ საბოლოოდ ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტის საბუნებისმეტყველო განყოფილებაზე მოხვდა (1906).

უკარება, უმეგობრო, უსაღმლო, მორცხვი ხასიათის ჭაბუკმა იშვიათი შრომისმოყვარეობით მიიქცია პედაგოგების ყურადღება. ის ფიზიოლოგიით დაინტერესდა და როგორც წარჩინებული ასპირანტი, ერთი წლით ჰოლანდიაში გააგზავნეს (1914). 1915 წლიდან კი ივ. ბერიტაშვილი ოდესის (ნოვოროსიის) უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტის პრივატ-დოცენტი. აქვე დაქორწინდა თავის სტუდენტზე ო.ა. ნევისკაიაზე, რომელთანაც რამდენიმე შრომაც გამოაქვეყნა. მათ შეეძინათ ქალიშვილი – სალომე.

როდესაც დაარსდა თბილისის უნივერსიტეტი, აქ ივ. ბერიტაშვილმა საფუძველი ჩაუყარა ქართულ, მეცნიერულ ფიზიოლოგიურ სკოლას (ივ. თარხნიშვილი რუსეთში მუშაობდა). მან საოცარი ორგანიზაციული ნიჭი გამოავლინა ამ საქმეში, (ისევე როგორც ტრადიციული „გაგრის საუბრების“ (სიმპოზიუმების) ჩამოყალიბებაში).

1922 წელს ფიზიოლოგიაზე დაწერილი წიგნი რამდენჯერმე გამოიცა. სულ ივ. ბერიტაშვილი ცხრა მონოგრაფიის ავტორია.

1934 წლიდან ის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან არსებული ექსპერი-მენტული ბიოლოგიის ინსტიტუტის დირექტორია (1935 წლიდან ის ფიზიოლოგიის ინსტიტუტად გარდაიქმნა, ხოლო 1941 წ. მეცნიერებათა აკადემიის დაქვემდებარებაში გადავიდა).

საბჭოთა ჯარის ევროპაში შესვლის შემდეგ, 1948 წელს ქვეყანაში რთული საერთო-პოლიტიკური სიტუაცია შეიქმნა: დაიწყო კამპანია „კოსმოპოლიტიზმის“ წინააღმდეგ. კრიტიკის ქარცეცხლი შეეხო მწერლებს, მუსიკოსებს, მეცნიერებს, გენერა ლიტეტს... დაპატიმრებულთა შორის აღმოჩნდა ფიზიოლოგიის ინსტიტუტის დირექტორი, აკადემიკოსი ლინდა შტერნიც.

1949 წელს, რთული პატრიოტიზმის პროპაგანდის მიზნით, ივ. პავლოვის დაბადების 100 წლისთავზე გრანდიოზული ღონისძიებები იყო დაგეგმილი. ამ ფონზე გამოქვეყნებული ივ. ბერიტაშვილის ბროშურა (1947) და „საერთო ფიზიოლოგიის“ ორტომეული (1948) საგაზეთო სტატიაში გააკრიტიკა პარტიის ცკ მეცნიერების განყოფილების გამგემ (პოლიტბიუროს წევრის, ა. უდანოვის შვილმა). საიუბილეო აუიოტაჟის გამო ბერიტაშვილს მეცნიერული დისკუსიის საშუალება არ მისცეს. კრიტიკული განწყობა (სტალინის დიქტატურის პირობებში) გადაეცა მეცნიერებათა

აკადემიასაც (პრეზიდენტი ა.ნ. ნესმეიანოვი), სადაც მას აკრიტიკებდნენ „იდეალიზმში“, „ბურჟუაზიულ კოსმოპოლიტიზმში“ და „სტალინის შეხედულებებთან წინააღმდეგობაში“. კრიტიკული შენიშვნები მიიღო ივ. ბერიტაშვილმა ჩვენი რესპუბლიკის აკადემიაშიც (1951), თუმცა, (რადგან პრეზიდენტი ნ. მუსხელიშვილი იყო), უფრო კეთილგანწყობილ ატმოსფეროში.

სტალინის გარდაცვალების შემდეგ, განსაკუთრებით 1955 წლიდან (ფიზიოლოგთა საკავშირო ყრილობა კიევში, ცნობილი ფიზიკოსის პ. კაპიცას წერილი ნ. ხრუშჩოვს ა. უდანოვის შვილის „ღვაწლის“ შესახებ) ბერიტაშვილს მიეცა საშუალება, გაეგრძელებინა ფიზიოლოგიის ინსტიტუტში მეცნიერული მუშაობა.

ის იყო თსუ კათედრის გამგე (1960 წლამდე), სსრკ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი (1939), საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი (1941), სოციალისტური შრომის გმირი (1964), ნიუ-იორკის მეცნიერებათა აკადემიის საპატიო წევრი... დაჯილდებული იყო რამდენიმე უმაღლესი ორდენით. გადაუხადეს ოფიციალური იუბილეები – 50, 70, 75, 80 წლისთავზე.


უყვარდა ფიზიკური შრომა სოხუმის აგარაკზე, სიმღერა მოლხენისას (მეუღლე ოპერის თეატრში მღეროდა), იყო კარგი თამადა. მან დაამკვიდრა ფიზიოლოგიის ინსტიტუტში ქალაქგარეთ ექსკურსიების ტრადიცია.

ივ. ბერიტაშვილი ძუნწი იყო ქებაში, უფრო ირონია და დატუქსვა უყვარდა. ხშირად სიცხიანიც კი მუშაობდა შინ (კამოს ქუჩაზე, შემდგომ გმირთა მოედანზე, თერთმეტსართულიან სახლში). სიცოცხლის ბოლო წლებში ხშირად ავადმყოფობდა (ორი ინფარქტი, ხშირი პნევმონია, ფილტვების ანთეზა და სხვ.), თუმცა, ნათელი გონება გარდაცვალებამდე შეინარჩუნა.

მეცნიერებით გატაცებული, მუდამ ჩაფიქრებული, ზოგჯერ კურიოზებშიც ვარდებოდა: როცა მას შრომის გმირობა მიანიჭეს, შინ ქვეყნის პირველმა პირმა – საქართველოს კომპარტიის ცკ პირველმა მდივანმა, ვასილ მუჟანაძემ დაურეკა და მაღალი ჯილდო მიულოცა. პარტიული იერარქია ბერიტაშვილს არ აინტერესებდა, უცვებ ვერ გაერკვა, ვინ ულოცავს, და გადაამოწმა: „ცეკას დირექტორი ბრძანდებით?“ ეს რეალური ისტორია აკადემიურ წრეებში დღემდე ახსოვთ და უკვე ანეკდოტად იქცა.

გარდაიცვალა ივ. ბერიტაშვილი 1974 წელს, 90 წლის ასაკში. დაკრძალულია უნივერსიტეტის ბაღში.

ახალი ეკონომისტი THE NEW ECONOMIST



თანამედროვე საქართველოს ეკონომიკაში პრობლემების ნაკლებობა ნამდვილად არ იგრძნობა, მაგრამ მათ შორის ერთ-ერთი ყველაზე მწვავეა მოსახლეობის ცხოვრებისა და კეთილდღეობის არასაკმარისი დონე. აღნიშნულიდან გამომდინარე, მნიშვნელოვანია საქართველოს ეკონომიკის სტაბილური და გრძელვადიანი ზრდა, რადგანაც ამის გარეშე შეუძლებელია ევროკავშირში გაწევრიანებაზე ორიენტირებული საქართველოს ეკონომიკური ჩამორჩენის დაძლევა, საშინაო და საგარეო სოციალურ-ეკონომიკური პრობლემების გადაწყვეტა და მოსახლეობის ცხოვრების დონის განუხრელი ამაღლება.

სწორედ აღნიშნულ პრობლემას ეძღვნება ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორის, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორის უშანგი სამადაშვილის მონოგრაფიული გამოკვლევა: „დივერსიფიკაცია-საქართველოს ეკონომიკური ზრდის კატალიზატორი“, გამომცემლობა „უნივერსალი“ თბ; 2016წ. - 180 გვ.

სარეცენზიო ნაშრომში, საქართველოს ეკონომიკაში არსებული არასახარბიელო მდგომარეობის ანალიზისა და შეფასების საფუძველზე, შემუშავებულია კონკრეტული წინადადებები და რეკომენდაციები საქართველოს სავაჭრო პარტნიორების, პროდუქციისა და უცხოური ინვესტიციების დივერსიფიკაციის შესახებ. შემოთავაზებული წინადადებების რეალიზაცია, ჩვენი აზრით, ხელს შეუწყობს ეკონომიკური ზრდის დაჩქარებას, ნაზრდი შემოსავლის მიზნობრივ, სამართლიან განაწილებას, მოსახლეობის საყოველთაო, დიფერენციულ კეთილდღეობას და საქართველოს თითოეულ მოქალაქეში კანონზომიერი სიამაყისა და ქვეყნისადმი პატრიოტიზმის გრძნობის ჩამოყალიბებას.

მონოგრაფიულ ნაშრომს, შინაარსიდან გამომდინარე, შეუძლია შეასრულოს როგორც შემეცნებითი, დიდაქტიკური, ასევე პრაქტიკული

ფუნქცია. გამოკვლევის ძირითადი ფასეულობაა ახალი იდეები, მათი თეორიულ-პრაქტიკული ხასიათი და საქართველოს პირობებთან და თავისებურებებთან ადაპტირება. ნაშრომის ხარისხს ამაღლებს ის, რომ თან ახლავს ანოტაცია, სარჩევი და ვრცელი რეზიუმე ინგლისურ ენაზე. ამგვარი გამოკვლევა როგორც თეორიულად, ასევე პრაქტიკულად უაღრესად მნიშვნელოვანია, ერთობ განვრცობადია და განსაკუთრებით ფასეულია პოსტსოციალისტური და პოსტსაბჭოური ქვეყნებისათვის, რომელთაც წინათ სოციალიზმის, ახლა კი განვითარებული საბაზრო ეკონომიკის მშენებლობის პრობლემების გადაწყვეტა აერთიანებთ.

მონოგრაფიაში ჩამოყალიბებული და განვითარებული თეორიულ-პრაქტიკული ხასიათის იდეები, წინადადებები და რეკომენდაციები, მიზანშეწონილია, გამოყენებული იქნას ეროვნული მეურნეობისა და ცალკეული დარგების განვითარების სტრატეგიული მნიშვნელობის დოკუმენტების შემუშავებასა და განხორციელებაში, საქართველოს კანონმდებლობის სრულყოფასა და ევროკავშირის კანონმდებლობასთან ჰარმონიზებაში, ეფექტიანი საგარეო სავაჭრო-ეკონომიკური პოლიტიკის განსაზღვრაში, ინვესტორთათვის კომფორტული ბიზნეს-გარემოს შექმნაში, სამამულო ბიზნესის საშინაო და საერთაშორისო კონკურენტუნარიანობის ამაღლების ხელშეწყობაში, მთავრობის, მეცნიერებისა და ბიზნეს-სექტორის კოორდინირებული მუშაობის გაუმჯობესებაში.


ვფიქრობთ, ნაშრომი დიდ დახმარებას გაუწევს, ასევე, უმაღლესი სასწავლებლების ეკონომიკისა და ბიზნესის ადმინისტრირების მიმართულების ბაკალავრებს, მაგისტრანტებს, დოქტორანტებს, პროფესორ-მასწავლებლებს, დამწყებ და მოქმედ მეწარმეებსა და მეწეურებს, ასევე, დაინტერესებულ მკითხველთა ფართო წრეს.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, უშანგი სამადაშვილის მონოგრაფია-“დივერსიფიკაცია-საქართველოს ეკონომიკური ზრდის კატალიზატორი“- ჩვენი აზრით, ქართული ეკონომიკური მეცნიერების კარგი შენაძენია.

თეიმურაზ შენგელია  
ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი,  
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის  
პროფესორი.

შოთა ვეშაპიძე  
ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი,  
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის  
პროფესორი.

ეკონომიკური მოღვაწეობა: სისტემური ანალიზი



გამოვიდა პროფესორ პაატა ლეივაძის წიგნი ეკონომიკური მოღვაწეობა: სისტემური ანალიზი“ (მე-2 გამამუშავებული და შევსებული გამოცემა).

აღნიშნულ ნაშრომში გაანალიზებულია ეკონომიკური მოღვაწეობის არსი და მისი გამოვლენის

ფორმები ეკონომიკის განვითარების სხვადასხვა სტადიებზე. ფუნდამენტური ეკონომიკური კატეგორიების დიალექტიკური ანალიზის შედეგად ეკონომიკური მოღვაწეობა წარმოგვიდგება როგორც ეკონომიკურ მოქმედებათა რთული, არწრფიული, ფუნქციონალურად ჩაკეტილი და კაუზალურად გახსნილი სისტემა. ასეთ სისტემებს გააჩნიათ უნიკალური თვისებები, რომლებიც კარგად არის შესწავლილი ქაოსის თეორიის, კონსტრუქტივიზმის და მეორე რიგის კიბერნეტიკის მიერ. ეს გარემოება იძლევა სასუალებას ეკონომიკური პროცესების გამოსაკვლევად მოვიხმოთ ამ მეცნიერული დისციპლინების უახლესი მიღწევები ინტერდისციპლინარული ანალიზის ფორმატში.

მონოგრაფიაში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა საბაზრო ეკონომიკის თვითრეგულირების მექანიზმის ანალიზს. შემოთავაზებული კონცეპციის თანახმად საბაზრო ეკონომიკის პირობებში ყოველი სუბიექტი მოიხმარს იმას, რასაც აწარმოებს სხვა, და აწარმოებს იმას, რასაც მოიხმარს სხვა. ამიტომ, სხვისგან ყიდულობს იმას, რაც სჭირდება მას, და ყიდის იმას, რაც სჭირდება სხვას. ასეთ პირობებში საკუთარი მოთხოვნილებების დაკმაყოფილება შესაძლებელია მხოლოდ სხვისი მოთხოვნილებების დაკმაყოფილების მეშვეობით. ამიტომ სუბიექტები თავისი მოქმედებებით „მიბმულნი“ არიან ერთმანეთზე და ქმნიან ერთ მთლიანობას, სისტემას, რომელშიც, წონასწორობის შემთხვევაში, ყველაფერი, რაც იწარმოება მოიხმარება, და ყველაფერი, რაც მოიხმარება - იწარმოება. ასეთ პირობებში ყოველი ეკონომიკური მოქმედება ბადებს სხვა მოქმედებას. ანუ იბადება პროცესები, რომელთა წყალობითაც ეკონომიკური სისტემა ფორმირდება როგორც ჩაკეტილი,


თვითაღწარმოებადი სისტემა, რომელიც თვითონ ბადებს ელემენტებს (ეკონომიკურ მოქმედებებს) რომლისგანაც შედგება.

ასეთი მოდგომის შედეგად დავინახავთ, რომ საბაზრო ეკონომიკის თვითორგანიზება ხორციელდება რეკურსიული პროცესების შედეგად (საქონელი იწარმოება საქონელის მეშვეობით, ფასები ფორმირდება ფასების საფუძველზე, მოქმედებები ბადებენ მოქმედებებს, დაკმაყოფილებული მოთხოვნილებები ბადებენ ახალ მოთხოვნილებებს და ა.შ.). რეკურსიული პროცესები ეკონომიკურ სისტემაში, ისევე როგორც სხვა რთულ არაწრფიულ დინამიურ სისტემებში, ბადებენ „საკუთარ მნიშვნელობებს“ (მათემატიკოსების ტერმინებში - „უძრავ წერტილებს“). ასეთ „საკუთარ მნიშვნელობებს“ წარმოადგენენ საქონლის წონასწორული ფასები და რაოდენობები, რომლისკენაც, რეკურსიული პროცესების შედეგად ისწრაფვიან საქონლის ფაქტიური საბაზრო ფასები და რაოდენობები, და ამით უზრუნველყოფენ სისტემის სწრაფვას საერთო წონასწორობისაკენ.

შემოთავაზებულია საერთო ეკონომიკური წონასწორობის „სიმეტრიული მოდელი“, რომელიც გვიჩვენებს თუ როგორ იბადებიან, საით არიან მიმართული და როგორ ურთიერთქმედებენ ის ეკონომიკური ძალები, რომლებიც უზრუნველყოფენ საბაზრო ეკონომიკის სწრაფვას წონასწორობისაკენ. ანუ გვიჩვენებს ეკონომიკური სისტემის იდეალურ, ოპტიმალურ მდგომარეობას საითაც ეკონომიკა მედმივად ისწრაფვის, მაგრამ ვერასიდეხს აღწევს გარე ფაქტორების მადესტაბილიზირებელი გავლენის გამო. საერთო ჯამში ეკონომიკა წარმოდგენილია როგორც კიბერნეტიკული სიტემა, რომელშიც თვითორგანიზება ხორციელდება დადებითი და უარყოფითი უკუკავშირების მეშვეობით ისევე, როგორც ნებისმიერ სხვა რთულ, არაწრფიულ, დინამიურ სისტემებში.

ნაშრომი გათვალისწინებულია ეკონომიკური პროფილის მეცნიერ-მუშაკებისთვის, აკადემიური პერსონალისთვის და შეიძლება გამოყენებულ იქნეს როგორც დამხმარე სახელმძღვანელო, ეკონომიკური ფაკულტეტების სტუდენტებისთვის.

ახალი ეკონომიკისათ THE NEW ECONOMIST



ნასყიდა ღარბუაშვილი

### ეკონომიკა და აზროვნება I ტომი

გამოცა ნასყიდა ღარბუაშვილის წიგნის პირველი ტომი სახელწოდებით „ეკონომიკა და აზროვნება“ (616 გვერდი, B5 ფორმატში). წიგნში ჩადებულია 16 წლის ეკონომიკური კვლევები.

წიგნში განხილულია ის მიზეზები, რამაც საქართველოსა

და მთელ მსოფლიოში ეკონომიკური და სხვა სახის პრობლემები გამოიწვია. სწორედ არსებული პრობლემები არ აძლევს ჩვენი თუ სხვა ქვეყნების ეკონომიკებს განვითარების საშუალებას.

მძიმე ეკონომიკური და სოციალური პრობლემების მთავარი მიზეზია ეკონომიკურ მოდელებში, თეორიებში და ფორმულებში არსებული შეცდომები (ხშირად უხეში შეცდომებიც), ან არსებული ეკონომიკური მოდელების, თეორიების და ფორმულების თანამედროვეობასთან შეუსაბამობა.

მთავარი მიზეზი კი მდგომარეობს იმაში, რომ მრავალმა „ეკონომიკურმა დოგმამ“ სხვადასხვა მიზეზთა გამო, ყოველგვარი შემოწმების, თეორიული ანალიზის, დროისა და სივრცის გათვალისწინების გარეშე, არასწორი განზოგადება და საყოველთაო აღიარება მიიღო და მთელი მსოფლიოს მამტაბით გამოიყენება.

არავის ყურადღება გაუმახვილებია იმაზე, რომ ის, რაც შეიძლება მისაღები იყოს და წარმატება მოუტანოს დიდ ქვეყანას, შეიძლება ის დამანგრეველი აღმოჩნდეს მცირე ქვეყნისთვის. ასევე, ეკონომიკური მოდელი, რამელიც მისაღებია და წარმატებით მუშაობს განვითარებულ ქვეყანაში, შეიძლება სრულიად მიუღებელი იყოს განვითარებადი ან ეკონომიკურ კრიზისში მყოფი ქვეყნისათვის. ან, ის ეკონომიკური მოდელები და თეორიები, რაც შეიძლება მისაღები იყოს ზომიერი კლიმატური სარტყელის ქვეყნებისთვის, შეიძლება სრულიად მიუღებელი აღმოჩნდეს ცივ ან ცხელ სარტყელში არსებული ქვეყნებისათვის. ის, რაც მისაღებია არა მთაგორიანი (მდელოზე განლაგებული) ქვეყნებისათვის, სრულიად

მიუღებელია მთაგორიანი ქვეყნისათვის, უდაბნოს, ტუნდრის ან სხვა რელიეფისათვის ან ზონისთვის.

არავინ არ ფიქრობს იმაზე, რომ ამა თუ იმ ეკონომიკური მოდელის წარმატება ან წარუმატებლობა სხვადასხვა ქვეყანაში დამოკიდებულია ქვეყნის განვითარების დონეზე, ამ ქვეყანაში არსებულ სწავლების სისტემასა და ხარისხზე, შესაბამისად, მაღალპროფესიული კადრების არსებობაზე და სტრუქტურაზე.

არავინ არ ფიქრობს იმაზე, რომ ეკონომიკისა და ქვეყნის რეფორმის წარმატება დამოკიდებულია ამ ქვეყნის კულტურაზე, ადათწესებზე, რელიგიაზე და ამ მნიშვნელოვანი ღირებულებების მიმართ მოსახლეობის დამოკიდებულებაზე მათი ამ ღირებულებების მიმართ „მიზმულობის“ დონეზე და ხარისხზე.

მაგალითისათვის, 18-ე საუკუნის გენიალური მეცნიერის დიდი ადამ სმიტის მიერ დამუშავებული პირველი ეკონომიკური მოდელი, „თავისუფალი საბაზრო ეკონომიკის“ მოდელი გამოდგება, რომელსაც თვითონ ადამ სმიტმა „უხილავი ხელი“ უწოდა და რომელიც დღესაც აქტიურად გამოიყენება.

ადამ სმიტი მიიჩნევდა, რომ ეკონომიკა თვითრეგულირებადი სისტემაა, ამიტომ ეკონომიკაში სახელმწიფოს (მთავრობის) ჩარევა მიუღებელია და რაც უფრო ნაკლებად ჩაერევა ხელისუფალი ეკონომიკაში მით უკეთესია ეკონომიკისათვის.

ადამ სმიტი მიიჩნევდა, რომ სახელმწიფოს (ხელისუფალის) ჩარევა ეკონომიკაში უნდა შემოიფარგლოს მხოლოდ გადასახაების აკრეფით, ამასთან გადასახადი უნდა იყოს მინიმალური. ადამ სმიტმა თავის ეკონომიკურ მოდელში სახელმწიფო ფაქტიურად „თამაშგარე მდგომარეობაში“ დატოვა.

როდესაც ადამ სმიტი „თავისუფალი საბაზრო ეკონომიკის“ მოდელს ამუშავებდა 250 წლის წინ აბსოლუტურად მართალი იყო და ჭეშმარიტებას ღაღადებდა, იმიტომ, რომ მაშინ ადამ სმიტის დროს მსოფლიოს ყველა ქვეყანაში მონარქია იყო და მეფე იყო ხელისუფალი (მთავრობა). სახელმწიფოს შემოსავლები ძირითადად მეფის, მისი ოჯახის და სანათესაოს და ელიტარული საზოგადოების კეთილდღეობას და მაღალი ცხოვრების დონის უზრუნველყოფას ხმარდებოდა. ამავე დროს „სამრეწველო რევოლუცია“ ჯერ არ

იყო მომხდარი და მთელი ეკონომიკა გლეხების ფიზიკურ შრომას და ხელოსნების „კუსტარულად“ შექმნილ პროდუქციას ემყარებოდა. ცხადია ასეთ ვითარებაში მაშინდელი ხელისუფალის - მონარქის ჩარევა ეკონომიკაში მხოლოდ ვნებდა და ანადგურებდა ეკონომიკას და მკვეთრად აქვეითებდა მოსახლეობის ცხოვრების პირობებს. ამ პირობებში ადამ სმითი აბსოლუტურად სწორ დასკვნებს აკეთებს ხელისუფალის ეკონომიკაში ჩაურევლობის შესახებ.

თანამედროვე მსოფლიო და თანამედროვე ეკონომიკა სრულიად განსხვავებულია. მსოფლიოს ქვეყნების უმრავლესობაში დემოკრატიული წყობაა. სამრეწველო რევოლუციებმა, შეუდარებლად მრავალჯერ გაზარდა ეკონომიკა. თანამედროვე მსოფლიოში მრავალჯერაა გაზრდილი სახელმწიფოს (მთავრობის) ფუნქციები და მნიშვნელობა. სახელმწიფო ბიუჯეტი უამრავ სოციალურ და სახელმწიფოებრივ, საერთო-სახალხო პროექტებს ხმარდება. ყველაფერი ეს აღარ წარმოადგენს მძიმე ტვირთს განვითარებული ეკონომიკისათვის. რადიკალურად განსხვავებულია ქვეყნების წინაშე არსებული საფრთხეები და გამოწვევები.

განსხვავებულია თანამედროვე სახელმწიფოს როლი და მნიშვნელობა საზოგადოების განვითარებაში. ამ დროს 250 წლის წინ დამუშავებულ სმითისეულ „თავისუფალი საბაზრო ეკონომიკის“ მოდელში, რომელიც დღესაც აქტიურად გამოიყენება, საერთოდ არაა გათვალისწინებული სახელმწიფოს (მთავრობის) როლი და ადგილი, რაც ეკონომიკაში მიმდინარე უამრავი მანკიერების მიზეზია.

როგორც ვხედავთ, ის, რაც 250 წლის წინ გენიალურმა სმითმა აბსოლუტურად სწორად და გენიალურად ჩამოაყალიბა, სრულიად მიუღებელია თანამედროვე ეკონომიკისათვის.

დიახ, დრო გასული და თანამედროვეობასთან შეუსაბამო ეკონომიკური მოდელების, მრავალი დოგმის, უაზრო თეორიების, გაუაზრებელი და მიუღებელი ეკონომიკური მოსაზრებების და მოდელების „საყოველთაო აღიარება“, განაპირობებს ამ მოდელებისადმი ბრმა ნდობას, აღიარებას და ქვეყანაში დანერგვას, რაც იწვევს ქვეყნის ეკონომიკის ნგრევას და ქვეყნის ნორმალურად არსებობის საფუძვლების გამოცლას ყველა თანამდევი უმძიმესი პროცესებით.

წიგნის პირველ ტომში განხილულია ურთულესი ეკონომიკური პრობლემები, რომლებიც კაცობრიობაზე უკვე მძიმედ მოქმედებს და მომავალში გადაუჭრელ (გადაულახავ) ბარიერად დარჩება არსებული ეკონომიკური მოდელების პირობებში.

წიგნში თქვენ ნახავთ საყოველთაოდ ცნობილი ეკონომისტების თეორიებისა და მოდელების მწვავე კრიტიკას, თანამედროვე ეკონომიკაზე მათ დამანგრეველ მოქმედებას და ამ მოქმედების მძიმე შედეგებს.

წიგნში ასევე ნახავთ გამოსავლის გზებს, თანამედროვე ეკონომიკის შესაძლებლობებს და არსებული ეკონომიკური რესურსების ეფექტურად გამოყენების საშუალებებს. წიგნში მკითხველი ნახავს 21-ე საუკუნის ეკონომიკის პრობლემებსა და შესაძლებლობებს, ერთი სიტყვით, „ახალ ეკონომიკას“.

## წიგნის პრეზენტაცია

მიმდინარე წლის 17 ოქტომბერს, 16 საათზე ჩატარდება ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორ **როზეტა ასათიანის** წიგნის, **„საზოგადოებრივი სექტორის ეკონომიკა“** - საუნივერსიტეტო სწავლებისათვის სავალდებულო პირველი სახელმძღვანელო საქართველოში, პრეზენტაცია-განხილვა.

### მისამართი:

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ადმინისტრაციული კორპუსი, გიორგი ნიკოლაძის სახელობის სააქტო დარბაზი (III სართული).

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი;  
საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემია;  
თსუ პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტი;  
რუსეთის საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა აკადემიის  
საქართველოს განყოფილება;  
ჟურნალი „სოციალური ეკონომიკა“.

დასწრება თავისუფალია

# საქონლის ეკონომისტი

## საერთაშორისო რეფერირებადი და რეცენზირებადი სამეცნიერო-პრაქტიკული ჟურნალი

სტატიების მიღება შემდეგი მოთხოვნების გათვალისწინებით:

1. ტექსტი აკრეფილი უნდა იყოს Word-ში, Sylfaen-ში, შრიფტის ზომა 12, ინტერვალი სტრიქონებს შორის - 1,5, ველები დაშორება მარჯვენა-მარცხენა მხარეს 2 და 3 სმ. შესაბამისად, ზედა და ქვედა – 2,5 და 2,5სმ. ტექსტი უნდა აიკრიფოს გადატანების გარეშე. ცხრილები გადაყვანილი JPEG-ში. სტატიის მინიმალური მოცულობა უნდა იყოს 5 გვერდი A4 ფორმატის.
2. ავტორის სახელი, გვარი, სამეცნიერო წოდება და თანამდებობა, საკონტაქტო კორდინატები, (ტელ-ფონები, ელ.ფოსტა), სურათის ელექტრონული ვერსია JPEG-ში;
3. სტატიას უნდა ახლდეს რეზიუმე ქართულ, ინგლისურ და რუსულ ენებზე, მოცულობით 120-150 სიტყვა, აკრეფილი შესაბამისად Sylfaen-ში და Times New Roman-ში, შრიფტის ზომა 12. სამეცნიერო სტატიას უნდა დაერთოს გამოყენებული ლიტერატურის სია.
4. სტატია შეიძლება გამოქვეყნდეს ინგლისურ, რუსულ, გერმანულ და ფრანგულ ენებზეც. ნებისმიერ შემთხვევაში, აუცილებელი მოთხოვნაა, რეზიუმე მოგვაწოდოთ ქართულ, ინგლისურ და რუსულ ენებზე.
- სტატიის გამოქვეყნების ღირებულება შეადგენს – ჟურნალის ერთი გვერდი 10 ლარი, რომელსაც ავტორი გადაიხდის დადებითი რეცენზიის მიღების შემდეგ, ხოლო ჟურნალის ღირებულება – 5 ლარი.
5. სტატიის გამოქვეყნების, ჟურნალის შექმნისა და/ან გამოწერის ღირებულების გადახდა შესაძლებელია შპს “ლოი“-ს ანგარიშზე: საიდენტიფიკაციო კოდი 204439296, ანგარიშის ნომერი GE61HB000000000713602, სს „ხალიკ ბანკი საქართველო“, ცენტრალური ფილიალი, ბანკის კოდი HABGGE22.

ელექტრონული ფოსტა: [loidk@yahoo.com](mailto:loidk@yahoo.com); [www.economisti.ge](http://www.economisti.ge); [www.loi.ge](http://www.loi.ge)  
ტელ: 299-05-76; 555 277 554; 595 32 30 34.

PS. სტატიების მოწოდება ფურცლებით ან CD-თ აუცილებელი არ არის.

### International Precise and Review Scientific-Practical Magazine

Continues taking articles according to this requests:

1. Text must be gathered in Word, size of Sylfaen font 12, interval between lines - 1.5, borders in right and left side- 3 and 2sm. Also, up and down borders- 2.5 and 2.5sm. Text must be picked up without transferring. Tables should be in JPEC. The minimal size of article is 5pages of A4 format.
2. The first name of author, last name, scientific rank and post, coordinates (telephone number, e-mail), electronic version of photo in JPEG.
3. The article must have reziume in Georgian, English and Russian languages. The size should be 120-150 words, it must be picked up in Sylfaen and in Times New Roman, size of font-12. Scientific article must have list of used literature.
4. The article may be published in English, Russian, German and France languages. So, it is also our request to prepare reziume in Georgian, Egnlish and Raussian languages too.  
The price of article's publication is- one page of journal 10 GEL (Lari) or 5 USD. And auhor will pay this price after getting positive respond. Also, the price of journal is 5 GEL (Lari).
5. The price of publication article, buying journal and subscription fee could be payed in Ltd. LOI's account: identification code – 204439296, the account number- GE61HB000000000713602, “Halyk Bank Georgia”, central office, bank code HABGGE22.

Our coordinates:

e-mail: [loidk@yahoo.com](mailto:loidk@yahoo.com); [www.economisti.ge](http://www.economisti.ge); [www.loi.ge](http://www.loi.ge)  
Tel: 299 05 76; 555 277 554; 595 32 30 34.

PS. Giving articles with papres or CD-s, is not necessary.




უპს “**Smarty**” გთავაზობთ სრულ სარეკლამო/პოლიგრაფიულ სერვისს უახლესი დანადგარებითა და ხელსაყრელი ფასებით!!!

ციფრული ბეჭდვა

ფართოფორმატიანი ბეჭდვა

ოფსეტური ბეჭდვა



ბანერი ბადე სტიკერი სტიკერი

HEIDELBERG A2

- სავიზიტო
- ფლაერი
- ბუკლეტი
- ტრი პლეტი
- ბროშურა
- ჟურნალი
- წიგნი
- ბლანკი
- კოპირებადი
- თვითწაბადი
- პოსტერი
- პლაკატი
- ბლოკნოტი
- ეტიკეტი
- კალენდარი:
- ჯიზის/სამაგიდო/კედლის
- მუყაოს სასაჩუქრე ჩანთა
- კატალოგი
- კოლოფი
- კონვერტი
- მოსაწვევი

**აღვიწიეთ მიტანის სერვისი უფასოდ!!!**

მის.: ქ. თბილისი, აგლაკის ქ.83

☎ 551 30 33 20

✉ smartyLTD@gmail.com

🌐 smarty.ltd



Smarty

www.smarty.ge